

შემაჯავებელი

119

ТРУДЫ

03609034 886608433303 63403

СЕРИЯ ЮРИДИЧЕСКИХ НАУК

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Тбилисский государственный университет



შ რ ო მ ე ბ ი Т Р У Д Ы

119

იურიდიულ მეცნიერებათა სერია

СЕРИЯ ЮРИДИЧЕСКИХ НАУК

IV

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

თბილისი

1967

ТБИЛИСИ

მიძღვნილია პროფესორ ალექსანდრე ვახეიშვილის
დაბადების 80 წლისთავისადმი



Посвящается 80-летию со дня рождения профессора
А. К. Вачейшвили

და ი ბ ე ჯ დ ა *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს
დადგენილებით

*


სარედაქციო კოლეგია

პროფ. ს. მ. ჯორბენაძე (რედაქტორი)
პროფ. ბ. ზ. ფურცხვანიძე
პროფ. ლ. ა. ალექსიძე
პროფ. გ. ზ. ინწკირველი
დოც. ვ. ვ. აბაშმაძე

*

იურიდიულ მეცნიერებათა სერით გამოქვეყნებულია თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების შემდეგი ტომები: 79 (I), 89 (II), 94 (III).

*В серии юридических наук вышли в свет
следующие тома Трудов Тбилисского государственного университета:
79 (I), 89 (II), 94 (III).*



ალექსანდრე ვაჩეიშვილი
(1886 — 1964)

პროფესორ ალექსანდრე ვაჩეიშვილის ხსოვნას

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფ. ალექსანდრე ვაჩეიშვილის დაკარგვა დიდი დანაკლისია ქართული იურიდიული მეცნიერებისათვის. 42 წლის მანძილზე იგი ფრიად ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ჩვენს უნივერსიტეტში, 32 წლის განმავლობაში კი უცვლელად ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის კათედრას. მის კალამს ეკუთვნის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 10 ცალკე წიგნებად არის გამოცემული.

მისი ცნობილი ნაშრომები სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და ქართული სამართლის ისტორიის დარგში დიდხანს შეინარჩუნებენ სამეცნიერო ღირებულებას. მნიშვნელოვანია მისი დამსახურება ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დამუშავებისა და დადგენის საქმეშიც.

ალექსანდრე ვაჩეიშვილი იურიდიული განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელია საქართველოში.

თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მუშაობის პერიოდში მან იურიდიულ მეცნიერებათა კურსის მთელი ციკლი წაიკითხა უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს იგი კითხულობდა სოციოლოგიის, სამართლის ზოგადი თეორიის, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და რომის სამართლის ისტორიის კურსებს. ოთხი ათეული წლის განმავლობაში მან აღზარდა იურისტების მთელი პლეადა, რომელიც გულმოდგინედ ემსახურება მართლმსაჯულების საპატიო საქმეს.

არავის ჩვენი მასწავლებლებიდან ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებისა და იურისტთა კადრების აღზრდისათვის იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც ალექსანდრე ვაჩეიშვილმა გააკეთა.

პატივცემული ალექსანდრე ფრიად ერუდირებული, დიდად განსწავლული და მაღალკულტურული ადამიანი იყო. თავისუფლად ფლობდა რა ევროპულ ენებს, იგი ორიგინალში იცნობდა ევროპის ხალხთა ისტორიას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. 60 წლის ასაკში მან სპარსული ენაც შეისწავლა. მისი მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ქალბატონმა მარიამმა უნივერსიტეტს შემოსწირა, ბევრ უნიკალურ წიგნს შეიცავს. იგი სარკეა ჩვენი მეცნიერის ღრმა განსწავლულობისა, მისი ფართო კულტურული პროფილისა.

ბავშვობის, ყრმობისა და ჭაბუკობის წლები მან ყოველმხრივ უზრუნველყოფილ ცხოვრებასა და ბეჯით სწავლაში გაატარა. მეცნიერების საფუძვლებს ევროპაში დაეუფლა. ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ქართველოლოგიის მამამთავრისა და დედაუნივერსიტეტის დამაარსებლის ბატონ ივანეს მოწვევით გათავისუფლებულ სამშობლოს და მის უნივერსიტეტს მოაშურა. მშვიდად და უდრტვინველად, ღირსეულად და სასახელოდ ეწეოდა იგი მეცნიერების მძიმე უღელს.



სწორად განიკითხეთ და სწორად განიკითხულ იქნებითო, ამბობდნენ ჩვენსა წინაპრები. ნამდვილი მასწავლებელი, რა რანგისა და რა ტალანტისაც არ უნდა იყოს იგი, მოწაფის სულიერი მამა და მოძღვარია, გონების გამსხნელი და ნებისყოფის გამომწრთობია; სულისა და ზნეობის აღმზრდელია; ცოდნის, სიკეთისა და სიყვარულის მთესველია. ამიტომაც ჩვენი მწიგნობართუხუცესები ძველთაგან გვასწავლიდნენ და გვარიგებდნენ: «მორჩილ, გამგონე და მოსიყვარულე იყვნით მოძღუართა თქვენთა, რამეთუ არა არს მოწაფე უფროჲს მოძღვრისა თვისისა».

ამიტომ ამაგდარი და ღვაწლმოსილი მასწავლებლის კეთილი მოგონება ყოველი მომდევნო თაობის უმაღლეს ზნეობრივ მოვალეობას შეადგენს.

ალექსანდრე ვაჩიშვილს სიცოცხლეში არ ღირსებია მისი ღვაწლის საზეიმო აღნიშვნა. მისი პაროვნებისათვის უცხო იყო განდიდების ყოველგვარი რეკლამა. იგი დამსახურებულ ქება-დიდებასაც ერიდებოდა ხოლმე. ამიტომ იყო, რომ მან მისთვის დამახასიათებელი მოკრძალებით უარი თქვა დაბადების 60 და 70 წლისთავეების საზეიმო აღნიშვნაზე. ხოლო 75 წლისთავეზე, როცა მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიიღო, მადლიერების გრძნობით აღვსილი, იუბილეს გამართვაზე მაინც არ დათანხმდა. ამით მან თავმდაბლობის იშვიათი მაგალითი გვიჩვენა.

*


* * *

1964 წლის 31 ივლისი, ბორჯომი, ლიკანი, პროფკავშირების სანატორიუმი. ოპერაციის შემდეგ ალექსანდრე აქ ისვენებს თავისი ოჯახით. მისი ოთახის აივანზე ვზივართ და ტკბილად ვსაუბრობთ. რაღაც განსაკუთრებულ სიხარულს განიცდის, უჩვეულო სითბოთი და სიყვარულით ლაპარაკობს შეილებსა და შეილიშვილებზე, ჩვენს მასაზრდოებელ დედაზე — უნივერსიტეტზე; იგონებს თავის ბავშვობას, ქუთაისში გატარებულ წლებს, სკოლის მეგობრებს, მშობლიურ სოფელს ვუთუ რს; ნატრობს, ნეტავ ერთხელ კიდევ მანახვავო. ბევრი ვისაუბრეთ, ბევრი ვიცინეთ. დღის 1 საათზე დავემშვიდობე, მთხოვა: ხვალ საგზური მითადება, ამ პაპანება სიცხეში თბილისში რა ჩამიყვანს, თუ ვინმეს იცნობ, დამეხმარე 25 აგვისტომდე საგზური გამიგრძელონო. დახმარება აღეუთქვი, საგზურიც გაუგრძელეს.

მაგრამ... «სცთების და სცთების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად». საღამოს 7 საათზე უეცრად ცუდად ვახდა, გულმა უმტყუნა, მეორე სართულის კიბის მოაჯირს მიეყრდნო, ძლივს თავის ოთახამდე მიადწია, «ექიმო» — აღმოსდა; ექიმიც წამსვე გაჩნდა, მაგრამ ალექსანდრე უკვე აღესრულა. იმავე ღამეს თბილისიდან მისი ორი ვაჟი ჩამოვიდა, ცხედარი წამოასვენეს. 5 აგვისტოს მისი პატიოსანი ნეშტი დიდუბის წმინდა მიწამ მიიბარა.

სიცოცხლეც ღირსეული და სიკვდილიც ტკბილი ჰქონდა ალექსანდრე ვაჩიშვილს. მას შეეძლო ეთქვა: «მიღწვიან, მომიგონებენ, დაპლოცვენ, მოვეგონებო». მაგრამ ტყუილად როდი თქმულა: «საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გავვიცინია...»

ოთხი თვეც არ ვასულა, რომ მის ოჯახში საშინელი ტრადედია დატრიალდა. რისხვით მობრუნდა ბორბალი მათზედა ცისა შეიღისა. 21 ნოემბერს, გარდაცვლილი ბიძის წლისთავეზე გურიასი მიმავალი ალექსანდრეს ორი ვაჟი — გივი და კოტე,




ავტომობილის კატასტროფაში მოხვდნენ. შემზარავი სურათი გადაიღო. მანქანის მძღველის შემდეგ ალექსანდრემ კვლავ თავი შეივიწროვა შეილებისათვის, ისინი გულში ჩაიკრა და სამუდამოდ გვერდში მოიწვინა.

სასწაულებრივად აღსრულდა შოთას ბრძნული სიტყვები:

«საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების,
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუნდების».

მოისრა ორი თაობა. მესამე თაობიდან სამი ახლადამოწვერილი ჯეჯილი დარჩა. იხაროს თავთავმან ნორჩი ჯეჯილისამ, რათა საუკუნოდ არ განქარდეს ძვირფასი ალექსანდრეს მემკვიდრეთა კვალი.

ი. დოლიძე



ბ. ინჟირველი

იურიდიული მეცნიერება ახალი ამოცანების წინაშე

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტებისათვის, ისევე, როგორც საბჭოთა იურისპრუდენციის ყოველი მუშაკისათვის, საპროგრამო მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ივნისის თვეში მიღებულ დადგენილებას „იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და ჩვენს ქვეყანაში იურიდიული განათლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამავე საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება, რომელშიც, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე, ასახულია რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობა და განსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.


დასახელებულ დადგენილებებში, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრულია იურიდიული მეცნიერების განვითარების პერსპექტივები, მოცემულია ძირითადი პრობლემები, რომლებიც საბჭოთა იურისტების კვლევის საგანი უნდა გახდეს. ეს პრობლემები — კვლევის ძირითადი მიმართულებები, პირობითად შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს:

პირველი — სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების, სოციალისტური დემოკრატიის გაშლისა და გაფართოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის გაძლიერების, სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციისა და საქმიანობის სრულყოფის, სახელმწიფო მმართველობის მეცნიერული საფუძვლების, კომუნისტური თვითმმართველობის განვითარების პრობლემები;

მეორე — სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის, საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების, სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფის, დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის, მათ წარმოშობ მიზეზთა მოსპობის პრობლემები;

მესამე — საერთაშორისო ურთიერთობის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების, მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის სამართლებრივი საკითხები;

მეოთხე — საბჭოთა იურისტების სამეცნიერო საქმიანობა უნდა ემსახუ-



რებოდეს აგრეთვე საბჭოთა კონსტიტუციის თეორიული საფუძვლები, სახელმწიფოს კანონმდებლობის კოდიფიკაციასა და სისტემატიზაციას.

ყველა დასახელებული პრობლემის გადაჭრა ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების დღევანდელი დღის მოთხოვნებითაა ნაპარნახევი, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებითაა განპირობებული და, არსებითად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით არის გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემათა ნაწილზე უკვე მუშაობდნენ და მუშაობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის სექტორის — რესპუბლიკის ამ ორი იურიდიული სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლები. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახელებულ ყველა პრობლემაზე ერთდროულად მუშაობა შეუძლებელია რესპუბლიკაში სამეცნიერო კადრების შედარებითი სიმცირის გამო. დადგენილებაში დასახულია იურიდიული მეცნიერების განვითარების მთავარი მიმართულებანი მთელი ქვეყნის მასშტაბით. ცხადია, სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრები თავიანთ კვლევის ობიექტებად აირჩევენ მხოლოდ გარკვეულ პრობლემებსა და საკითხებს. ყოველ შემთხვევაში, ამიერიდან სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და საგამომცემლო გეგმები უშუალოდ უნდა პასუხობდნენ დადგენილების მოთხოვნებს. გეგმების შემუშავებისა და მათი შესრულების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციას. უკანასკნელ დრომდე ამ საქმის მოუწესრიგებლობა ჩვენი მუშაობის მნიშვნელოვან ნაკლოვან მხარეს წარმოადგენს, რაზეც სამართლიანად მიუთითა საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა. ამჟამად უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები, პირველ ყოვლისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის სექტორს შორის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის დასამყარებლად. ამ მიზნით აკადემიის პრეზიდიუმმა შექმნა „საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის“ პრობლემის საკავშირო სამეცნიერო საბჭოს საქართველოს სექცია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: აკადემიიდან — პროფ. თ. წერეთელი (საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე), პროფ. ი. დოლიძე, დოც. გ. ჟვანია, დოც. თ. ლილუაშვილი, დოც. დ. ფურცელაძე. უნივერსიტეტიდან — პროფ. ს. ჯორბენაძე, პროფ. ი. სურგულაძე, პროფ. გ. ინწკიორველი, პროფ. ბ. ფურცხვანიძე, დოც. ა. კარანაძე, გ. მაისურაძე (უმალ. სასამ. თავმჯდომარე), პ. ბერძენიშვილი (რესპუბლიკის პროკურორი), მ. ლომიძე (იურიდ. კომისიის თავმჯდომარე), გ. სოგორაშვილი (საზ. წესრიგის დაც. სამინისტროდან). საბჭო უკვე შეუდგა საქმიანობას და შეიმუშავა 1966-70 წლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკა.

ქართველ იურისტ-მეცნიერთა მიერ თავიანთი კვლევითი მუშაობის თემების შერჩევასთან დაკავშირებით, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ისტორიული ხასიათის თემატიკაზე, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხების შესწავლასა და კვლევით მუშაობაზე ამ დარგში. ის გარემოება, რომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება განსაზღვრავს თეორიული იურისპრუდენციის მთავარ მიმართულებებს თანამედროვე პირობებში, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს საერთოდ საჭირო აღარ იყოს ისტორიული ხასიათის თემების

დამუშავება. ჯერ-ერთი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია იურიდიულ მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომელსაც, ისევე როგორც ყველა სხვა დარგს, ესაჭიროება განვითარება და გაღრმავება. გარდა ამისა, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია სასწავლო დისციპლინაა, რომელსაც, თავისი სპეციალისტები ჰყავს და ისინი სწორედ ამ დარგში უნდა აწარმოებდნენ კვლევით მუშაობას. მათი ლექციები უნდა იკითხებოდეს მაღალ დონეზე და მათ უნდა შეადგინონ სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები. დაბოლოს, საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის საკითხები თუ საქართველოში არ დამუშავდება, ამ საქმის გაკეთებას სათანადო დონეზე სხვაგან ხომ ვერსად ვერ შეძლებენ.

ყოველივე აღნიშნულის გამო ქართველ მეცნიერ-იურისტთა საკვლევი თემატიკა მოიცავდა და უნდა მოიცავდეს ისტორიულ საკითხებსაც, მაგრამ ისტორიული თემებით ზედმეტად გატაცებას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი, თანაც უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საბჭოთა პერიოდს და არა ძველ ეპოქებს.

ერთ-ერთი ნაკლი, რომელიც საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებას ახასიათებს და ქართველ იურისტთა მუშაობასაც ეხება, ისაა, რომ ხშირად არ მყარდება შემოქმედებითი კონტაქტები სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენლებთან, არ ხდება მათთან ერთად საერთო პრობლემების შესწავლა.

მართალია, ზოგი რამ ამ მიმართულებით კეთდება. მაგალითად, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ბ. ხარაზიშვილის მონაგრაფიაში „დამნაშავის ქცევის მოტივის საკითხები საბჭოთა სამართალში“ გამოყენებულია ფსიქოლოგიის მეცნიერების მონაცემები; პროფესორ თ. წერეთლის ცნობილი ნაშრომი „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“ დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებების იურისპრუდენციასთან დაკავშირების სანიმუშო მაგალითია; იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ს. ჯორბენაძის წიგნი „სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა და განვითარება სსრ კავშირში“ ეკონომიური მეცნიერების საკვანძო პრობლემების დრმა შესწავლის გარეშე არ შეიძლება დაწერილიყო; ქართველ ფილოსოფოსებთან ერთად ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ისტორიული მატერიალიზმის სახელმძღვანელოს შედგენაში. მაგრამ ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. კონტაქტები მონათესავე დარგების წარმომადგენლებთან უფრო მჭიდრო და სისტემატური უნდა იყოს.

მეცნიერების განვითარების ინტერესები მოითხოვენ აგრეთვე შემოქმედებითი დისკუსიების მოწყობას, მსჯელობას სადავო საკითხების გარეშე, განსაკუთრებით კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას. ამ მხრივ ჩვენთან ჯერჯერობით ბევრია გასაკეთებელი. მართალია, ფაქულტეტზე სისტემატურად ეწყობა გამოსული იურიდიული ლიტერატურის განხილვა, ხშირად იბეჭდება რეცენზიები ქართველ მეცნიერ-იურისტთა მიერ გამოქვეყნებულ შრომებზე, ტარდება სამეცნიერო სესიები და თეორიული კონფერენციები, მაგრამ მეცნიერული კრიტიკა ყოველთვის ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, ფართო ხასიათის დისკუსიები თითქმის არ მოწყობილა, ქართველ მეცნიერ-იურისტებს ბევრ აქტუალურ საკითხზე არ გამოუთქვამთ საკუთარი შეხედულება.

საერთოდ კი, მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებებისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში იურიდიული მეც-



ნიერების განვითარების დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა. ამაზე განსაკუთრებით ნათლად მეტყველებს ორი გარემოება.

პირველი — ქართველ იურისტთა ბეჭდვითი პროდუქციის სწრაფი ზრდა. როგორც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ზემოთ მითითებულ დადგენილებაშია აღნიშნული, ამ პროდუქციის საერთო მოცულობა უკანასკნელი წლების მანძილზე 500 ნაბეჭდ თაბახს აღემატება. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი მონოგრაფიები: ალ. ვაჩიშვილის „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“, თ. წერეთლის „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“, ი. დოლიძის „ძველი ქართული სამართალი“, გრ. ერემოვის „საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები“, ივ. სურგულაძის „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“, ბ. ფურცხვანიძის „დანაშაული სიცრუისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ“, ს. ჯორბენაძის „სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა და განვითარება სსრ კავშირში“, ბ. ხარაზიშვილის „დამნაშავის ქცევის მოტივის საკითხები საბჭოთა სამართალში“, გ. ყვანიას „სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი“, ვ. მაყაშვილის „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის“, ნ. ლომსაძის „ბუნების დაცვის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში“, ე. ნეიძის „შრომის დისციპლინის რეგულირების არსი და მეთოდები სსრ კავშირში“, ი. ფუტყარაძის „ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის“, თ. ცაგურიას „სამოქალაქო პასუხისმგებლობა მუშაკის დაშავების ან სიკვდილისათვის“, დ. ფურცელაძის „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, ა. მენაბდის „საბჭოთა სახელმწიფო აპარატი და მისი შემდგომი სრულყოფის საკითხები“, თ. ლილუაშვილის „მტკიცების საგანი და ტვირთი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში“, ს. ჯაფარიძის „საბჭოთა მემკვიდრეობის სამართალი“, გ. ტყეშელაძის „პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის“, გ. ნადარეიშვილის „ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII სს. საქართველოში“, ლ. ალექსიძის „საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან XVI-XVIII სს. (საერთაშორისო-სამართლებრივი გამოკვლევა)“, ა. ფალიაშვილის (ს. ბოროდინთან თანაავტორობით) „სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“.

ქართულ ენაზე შეიქმნა აგრეთვე სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მაგალითად, ბ. ხარაზიშვილის „კრიმინალისტიკა“ (1954 წ.), ს. ჯორბენაძის „საბჭოთა საოჯახო სამართალი“ (1957 წ.), ბ. ფურცხვანიძის „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი“ (1963 წ.), გ. ინწკირველის „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“ (1962 და 1964 წწ.), ა. კარანაძის „საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო სამართალი“ (1964), გრ. ერემოვის „საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი“ (გადაცემულია დასაბეჭდად), ბ. ფურცხვანიძის „სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი“ (1966), ბ. ხარაზიშვილის „სასამართლოსა და პროკურატურის ორგანიზაცია სსრ კავშირში“ (გადაცემულია დასაბეჭდად).

მართალია, დასახელებული სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ ამის გამო არ

შეიძლება ისეთი ნიჰილისტური დასკვნის გაკეთება, თითქოს ქართულ საზოგადოებაში ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნის ნაცვლად უნდა შევუდგეთ რუსულ ენაზე გამოცემული სასწავლო ლიტერატურის თარგმნას. საქართველოში იურიდიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე და იურიდიული სამეცნიერო კადრების დღევანდელი შემადგენლობა საფუძველს არ გვაძლევს ჩვენი რესპუბლიკის იურიდიული მეცნიერება დავუპირისპიროთ რუსულ იურიისპრუდენციას, როგორც ჩამორჩენილი — მოწინავეს.

ქართველ იურისტთა სამეცნიერო პროდუქციის ზრდას ხელი შეუწყო ისეთი პერიოდული ბეჭდვითი ორგანოების გამოსვლამ, როგორცაა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, იურიდიულ მეცნიერებათა სერია“ და ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“.

ქართველ იურისტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები ხშირად არ არის ცნობილი რესპუბლიკის გარეთ, ვინაიდან მათი გამოყენების სფერო შემოფარგლულია ქართული ენის მცოდნე პირებით. ამიტომ, სავსებით დროული და მიზანშეწონილი იქნება უფრო მეტი რაოდენობით გამოიცეს რუსულად ისეთი შრომები, რომელთა თემატიკას საკავშირო მნიშვნელობა აქვს და რომლებსაც, შესაძლებელია, გამოხმაურება ექნება ჩვენი რესპუბლიკის გარეთ, საბჭოთა იურისტების ფართო წრეებში.

მეორე გარემოება, რომელიც რესპუბლიკაში იურიდიული მეცნიერების განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს, არის მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება. ომის შემდგომი წლების მანძილზე სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს თ. წერეთელმა, ი. დოლოძემ, ბ. ფურცხვანიძემ, გ. ერემოვმა, ლ. ალექსიძემ, ს. ჯორბენაძემ, ბ. ხარაზიშვილმა, გ. ინწკირველმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა საქართველოში კი უკვე დაახლოებით სამი ათეულია. იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელშიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის სექტორის წამყვანი თანამშრომლები და ზოგიერთი პრაქტიკული მუშაკიც შედის, ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სამეცნიერო საბჭოა სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ სამეცნიერო საბჭოებს შორის, მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტების შემდეგ.

აქვე შეიძლება აღინიშნოს სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში არსებული ნაკლიც, იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურაში მისაღებ პირთა შერჩევის საკითხის მოუწერსივებლობა. კერძოდ, უკანასკნელ დროს ფაკულტეტზე ასპირანტების მიღება ხდება უმთავრესად დაუსწრებელ ასპირანტურაში, სადაც ხშირად ისეთი პირები ჩაირიცხებიან ხოლმე, რომლებიც ვერ ამყდვენ ბენ მიდრეკილებას სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობისადმი, სათანადო დროს არ ანდომებენ საკუთარი ცოდნის გაღრმავებას, დროზე ვერ ამზადებენ დისერტაციებს, და ამიტომ ზოგჯერ გაირიცხებიან ხოლმე კიდევ ასპირანტურიდან. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც ასპირანტურაში შემოსულას ან საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებას ასპირანტურის გარეშე ცდილობენ ისეთი პირები, რომლებსაც გარდა სურვილისა, სხვა აზრითარი მონაცემები არ გააჩნიათ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად. საგულისხმოა, რომ 1964 წელს ოთხი კაცი ცდილობდა მოხვედრას დაუსწრებელ ასპირანტურაში, მაგრამ საგამოცდო კომისიამ არც ერთი მათგან-



ქვემოთაღნიშნული
დეკლარაცია

ნის ცოდნა არ ჩათვალა საკმარისად ასპირანტურაში შემოსვლისათვის, ვიღებდი ფაქტიურად დაიკარგა. ასპირანტურის ყველა ადგილი 1965 და 1966 წლებშიც ვერ აითვისეს. ამყამად კათედრებს დავალებული აქვთ ჩაატარონ სისტემატური წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა შემდგომ წლებში ასპირანტურაში მისაღებად შესაფერის პირთა შერჩევისათვის. ამ საქმეში ადმინისტრაციულ ორგანოთა და უწყებათა ხელმძღვანელების დახმარებაც არის საჭირო; მათ უნდა შეისწავლონ და სათანადო რეკომენდაციები მისცენ მოწინავე პრაქტიკულ მუშაკებს, რომლებიც ამჟღავნებენ თეორიული აზროვნების ნიჭსა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარს.

საბჭოთა იურიდიული მეცნიერება ვალდებულია მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. ამ კავშირის ყოველმხრივ გაძლიერების მიზნით საჭიროა ჩვენმა მეცნიერ-მუშაკებმა შეისწავლონ და განაზოგადონ სასამართლო-საგამომძიებლო და მმართველობის ორგანოთა პრაქტიკა, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შემუშავებაში. ქართველ მეცნიერ-იურისტთა გარკვეული ნაწილის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი წამყვან როლს ასრულებდნენ და ასრულებენ საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების პროექტთა შემუშავებაში (პროფ. თ. წერეთელი, პროფ. ბ. ფურცხვანიძე, ვ. მაყაშვილი და სხვ.), სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების პროექტების, აგრეთვე, შრომის, მიწის კანონმდებლობის პროექტების შემუშავებაში (პროფ. ს. ჯორბენაძე, დოც. ნ. ლომსაძე, დოც. ე. ნეიძე, დოც. ნ. ლორთქიფანიძე, დოც. ლ. ჯომარჯიძე და სხვ.). მაგრამ საჭიროა უფრო მეტი მეცნიერი მუშაკის ჩაბმა ამ საქმეში.

დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემულ მითითებას — შემოღებულ იქნეს პრაქტიკაში სამართლებრივ დისციპლინათა მასწავლებლების მივლინება სამუშაოდ სასამართლოს, პროკურატურის აპარატში და სხვა სახელმწიფო ორგანოებში, აგრეთვე, პრაქტიკულ სამუშაოზე იმ მეცნიერ მუშაკთა დაწინაურება, რომლებსაც სათანადო ორგანიზაციული ნიჭიც გააჩნიათ.

მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის კავშირის განმტკიცების მიზნით ფაქულტეტზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კათედრათა სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო გეგმების შედგენისას, აგრეთვე სტუდენტთა სადიპლომო და საკურსო შრომების თემატიკის დამტკიცებისას, გაითვალისწინონ შესაბამისი პრაქტიკული დაწესებულებების მოთხოვნილებანი და ინტერესები. ამ მიზნით სხვადასხვა უწყებათა ხელმძღვანელებს დაეგზავნათ წერილები თხოვნით — გვაცნობონ, თუ რა თემების დამუშავებას თვლიან ისინი მიზანშეწონილად მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა მუშაობის ხასიათიდან გამომდინარე.

პრაქტიკასთან კავშირის გამოხატულებას წარმოადგენს აგრეთვე პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსა (პროფ. თ. წერეთელი, პროფ. ბ. ფურცხვანიძე, პროფ. ს. ჯორბენაძე და სხვ.) და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საპატიმრო ადგილების სამმართველოს საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში (დოც. ა. ფალიაშვილი, მასწავლებლები ვ. ედიშერაშვილი და

უ. კობიაშვილი). ქ. თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის სამეცნიერო საბჭოს წევრთა შემადგენლობაში შეყვანილი არიან პროფ. თ. წერეთელი, პროფ. ბ. ფურცხვანიძე, პროფ. ბ. ხარაზიშვილი და დოც. ა. ფალიაშვილი. ზოგიერთი მათგანი გამოყოფილია ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკთა კონსულტანტად თემების დამუშავებაში.

სასურველია უფრო ხშირად მოეწყოს სამეცნიერო სესიები და თეორიული კონფერენციები (მათ შორის გამსვლელი სესიები და კონფერენციები რაიონებში), ახალ კანონპროექტთა განხილვა და წიგნების გარჩევა პრაქტიკულ მუშაკების აქტიური მონაწილეობით.

სახელმწიფო სამართლის
კათედრა

(რედაქციას მოუვიდა 20. IX. 1965 წ.).

Г. З. ИНЦКИРВЕЛИ

ЮРИДИЧЕСКАЯ НАУКА ПЕРЕД НОВЫМИ ЗАДАЧАМИ

(Резюме)

Для юристов-теоретиков и практиков нашей республики, как и для каждого работника советской юриспруденции, программное значение имеет Постановление ЦК КПСС (июнь 1964 г.) «О дальнейшем развитии юридической науки и улучшении юридического образования в стране».

Некоторые проблемы, о которых говорится в Постановлении, уже разрабатывались и разрабатываются работниками двух юридических научных центров республики — юридического факультета Тбилисского университета и сектора права АН Груз. ССР. В будущем же все научно-исследовательские и издательские планы должны непосредственно отвечать требованиям Постановления ЦК КПСС.

Несмотря на имеющиеся недостатки, с уверенностью можно сказать, что в последние годы уровень юридической науки в Грузии значительно возрос. Об этом красноречиво свидетельствуют два обстоятельства: быстрый рост печатной продукции грузинских юристов и повышение квалификации научных работников. Достаточно отметить, что общий объем юридической литературы, изданной за последние годы, составляет 500 печатных листов, среди которых имеются монографии, брошюры, научные и научно-популярные статьи, учебники и учебные пособия. В настоящее время в республике работают около 10 докторов и свыше 30-ти кандидатов юридических наук.

Большую работу предстоит проделать для улучшения связи юридической науки с практикой. Необходимо шире обобщать деятельность судебно-следственных органов, более активно участвовать в разработке проектов законов и других правовых актов.

3. ლორია

**ადმინისტრაციული კომისიები და ადმინისტრაციული
პასუხისმგებლობის ზოგიერთი საკითხი**

1961 წლის 21 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“, რომელიც იმავე წლის 8 დეკემბერს დამტკიცებულ იქნა კანონად¹. ამ საკანონმდებლო აქტს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ადმინისტრაციული ჯარიმების, არამედ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მთელი რიგი საკითხების რეგულირების საქმეში. ბრძანებულებამ გადაჭრა ისეთი პრინციპული ხასიათის საკითხები; როგორებიცაა: დაწესებულებებზე, საწარმოებსა და ორგანიზაციებზე ადმინისტრაციული ჯარიმების დადების აკრძალვა, ადმინისტრაციული ჯარიმების დამდები ორგანოების რიცხვის შემცირება, განსაკუთრებით კი იმ ორგანოებისა, რომელთაც შეუძლიათ ადმინისტრაციული წესით ჯარიმების დაწესება. ბრძანებულებამ აკრძალა ადმინისტრაციული ჯარიმების შეცვლა შრომაგასწორებითი სამუშაოებით და, ამრიგად, აკრძალა შრომაგასწორებითი სამუშაოების ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომად გამოყენება, ვინაიდან ისინი ადმინისტრაციულ სამართალში სწორედ ასეთი შეცვლის მიზნით იყვნენ შემოღებული. ბრძანებულებამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების როლის ზრდას მოქალაქეთა კანონიერების დაცვის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში.

ამ საერთო-საკავშირო აქტის საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებმა მიიღეს შესაბამისი ბრძანებულებანი და დებულებები ადმინისტრაციული კომისიების შესახებ. ჩვენს რესპუბლიკაში „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დებუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისა და ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის წარმოების წესის შესახებ“ დამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 27 ივლისის ბრძანებულებით². ამ ახალი კანონმდებლობის შესაბამისად 1961 წლიდან დაიწყო საქართველოს სსრ მშრომელთა დებუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის გარდაქმნა, ხოლო 1963 წლის მარტ-

¹ იხ. «Ведомости Верховного Совета СССР», № 50, 1961.

² „საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1962 წ. № 23, მუხ. 377.



ში ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შემდეგ შეიქმნა ადმინისტრაციული კომისიების ახალი შემადგენლობები რესპუბლიკური დებულების შესაბამისად.

რესპუბლიკის მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების რეორგანიზაციის გამოცდილებამ გვიჩვენა საბჭოთა მთავრობის მიერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში გატარებული ღონისძიებების საჭიროება და დროულობა. ადმინისტრაციული კომისიები გახდნენ მასების აღზრდის ნამდვილი კერები, საბჭოთა კანონების ზუსტი შესრულების, სოციალისტური საკუთრების დაცვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, სოციალისტური თანაცხოვრების წესების შესრულების სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდის კერები. ეყრდნობიან რა საზოგადოებრიობის ფართო მასებს და იქმნებიან რა როგორც დებუტატების, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, ადმინისტრაციული კომისიები არსებითად გახდნენ სახელმწიფო-საზოგადოებრივი ორგანოები¹. პრაქტიკამ არ გაამართლა იმ ავტორთა აზრი, რომლებსაც დაუშვებლად მიაჩნდათ საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ადმინისტრაციულ კომისიაში შეყვანა.

ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის ახალი რეორგანიზაციის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გაიზარდა მათი ფუნქციები და ამოღდა მათი ავტორიტეტი. თუ ადრე ადმინისტრაციული კომისიები იქმნებოდნენ „სავალდებულო გადაწყვეტილებების დარღვევასთან დაკავშირებული საქმეების განსახილველად“². ახლა ისინი იქმნებიან თვით ადგილობრივ საბჭოების მიერ, და მათი საქმიანობა მხოლოდ ასეთი ხასიათის საქმეებით არ არის შემოფარგლული. მათ ექვემდებარება ისეთ ადმინისტრაციულ გადაცდომათა საქმეები, რომლებზედაც პასუხისმგებლობა დაწესებულია „სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების, საქ. სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების, ავტონომიურ რესპუბლიკათა სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების აქტებით, მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით“³. ადმინისტრაციული კომისიები, რომლებსაც საჯარიმო კომისიებსაც უწოდებდნენ, ძირითადად დაკავშირებული იყვნენ მილიციის მუშაობასთან. მილიციის საქალაქო ქვეგანყოფილებების უფროსები შე-

¹ იხ. ამის თაობაზე: Г. И. Петров, Некоторые теоретические вопросы участия общественности в управлении государством, ж. «Известия Вуз, Правоведение», 1962, № 3, გვ. 103; Л. М. Розин, Ф. С. Разаренов, Административные комиссии при исполкомах районных и городских Советов депутатов трудящихся, Госюриздат, 1962, გვ. 23; В. А. Власов, Новое законодательство об административных штрафах, Госюриздат, 1963, გვ. 74.

² იხ. В. И. Шеремет, Организация работы административных комиссий при исполкомах районных и городских Советов депутатов трудящихся, ж. «Советское государство и право», 1956, № 5, გვ. 118; Е. Н. Тагунов, К вопросу о кодификации советского административного права, ж. «Советское государство и право», 1958, № 5, გვ. 135.

³ იხ. СУ РСФСР № 17, 1931 г., ст. 186.

⁴ იხ. დებულება საქ. სსრ ადმინისტრაციული კომისიების შესახებ.



დიოდნენ ადმინისტრაციული კომისიების შემადგენლობაში, ხოლო განყოფილებების უფროსები კომისიების თავმჯდომარეები იყვნენ. ადმინისტრაციულ კომისიას შეეძლო განეხილა მხოლოდ გარკვეული ხასიათის საქმეები, სხვა ორგანოებზე დაქვემდებარებულ საქმეებს კი იგი არ ღებულობდა.

ახლა კი სულ სხვა მდგომარეობაა. გაუქმებულია მილიციის უბირატესი ზეგავლენა ადმინისტრაციულ კომისიებზე, არაა სავალდებულო, რომ მათ შემადგენლობაში აუცილებლად შედიოდნენ მილიციის წარმომადგენლები; იმ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებსაც შეუძლიათ დაჯარიმება ადმინისტრაციული კომისიებისათვის მიუშვართავად, უფლება აქვთ მასალები ადმინისტრაციული გადაცდომის შესახებ გადასცენ ამ უკანასკნელთ. გარდა ამისა, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ რიგი საქმეებისა ადმინისტრაციული გადაცდომების შესახებ, რომლებიც სხვა ორგანოებსა და თანამდებობის პირებს ექვემდებარებიან, განსახილველად შეიძლება გადაეცეს ადმინისტრაციულ კომისიებს¹. ამ დებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 14 მარტის ბრძანებულებით „სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო შეკრებისგან თავის არიდებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ“ ადმინისტრაციულ კომისიებს დააკისრა ასეთი შინაარსის საქმეების განხილვა², ნაცვლად სამხედრო კომისიარიატებისა.

ამრიგად, დღევანდელი ადმინისტრაციული კომისიების მოქმედების სფერო საგრძნობლად ფართოა. უნდა ვიფიქროთ, რომ თუკი არ არსებობს კანონის სპეციალური მითითება, ყველა საქმე ადმინისტრაციულ გადაცდომათა შესახებ განსახილველად ექვემდებარება ადმინისტრაციულ კომისიებს, გარდა ისეთებისა, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების მე-13 მუხლის შესაბამისად უნდა განიხილონ განსაზღვრულმა ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ლ. მ. როზინსა და ფ. ს. რაზარენოვს, რომლებიც თვლიან, რომ საქმეები აკრძალული რეწვის შესახებ თითქოს არ უნდა განიხილონ ადმინისტრაციულმა კომისიებმა³. ბრძანებულების აღნიშნულ მუხლში არაა მოხსენებული საფინანსო ორგანოები, რომლებმაც, როგორც ავტორები თვლიან, შეიძლება განიხილონ აღნიშნული საქმეები. უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის ქვემდებარეობის წესი ირღვევა. კანონის დარღვევას წარმოადგენს, მაგალითად, ჯარიმების დაკისრება საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ უბილეთო მგზავრებზე. შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სინამდვილიდან მრავალი ფაქტი, როცა მილიციის ორგანოები აჭარბებენ თავიანთ უფლებებს და აკისრებენ ჯარიმებს დამრღვევებს იმ შემთხვევაში, როცა ამის უფლება არა

¹ «Ведомости Верховного Совета СССР», № 35, 1961, გვ. 368.

² „საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1963 წ. № 8, მუხლი 133.

³ Л. М. Розин, Ф. С. Разаренов, Административные комиссии при исполкомах районных и городских Советов депутатов трудящихся, Госюриздат, 1962, გვ. 31.



აქვთ. აჭარის ასსრ პროკურორის 1963 წლის 13 აგვისტოს წარდგინებული ნიშნულია, რომ 1963 წელს ჩაქვის რაიმილიციის განყოფილებამ დააჯარიმა 16 მოქალაქე, ხოლო ბათუმის საქალაქო მილიციის განყოფილებამ — 79 მოქალაქე საპასპორტო სისტემის წესების დარღვევისათვის, რაც ადმინისტრაციულ კომისიებს ექვემდებარება (გარდა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქისა).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადმინისტრაციულ კომისიებს შეიძლება განსახილველად გადაეცეთ მხოლოდ იმ ორგანოებსა და თანამდებობის პირებზე დაქვემდებარებული საქმეები, რომლებიც ჩამოთვლილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების მე-13 მუხლში. დანარჩენ ორგანოებზე დაქვემდებარებულ საქმეებს ადმინისტრაციული კომისიები ვერ განიხილავენ. ამიტომ ქ. თბილისის კალანინის სახ. რაიონ-მასკომთან არსებული ადმინისტრაციული კომისიის მიერ არასრულწლოვანთა დარღვევების შესახებ საქმეების განხილვის პრაქტიკა არ არის სწორი. კანონმდებლობა უმეტეს შემთხვევებში ზუსტად განსაზღვრავს საქმეთა დაქვემდებარების წესს და მისი განუხრელი დაცვა აუცილებელია.

საჭიროა შევჩერდეთ ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე, რომელსაც ადგილი აქვს რესპუბლიკის ადმინისტრაციული კომისიების პრაქტიკაში. საკითხი ეხება ადმინისტრაციული კომისიების მიერ საქმეთა გადაწყვეტას ადმინისტრაციული სამართლის ნორმების ანალოგიის საფუძველზე. როგორც ცნობილია, დებულებით პასპორტების შესახებ გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით ჩაუწერლად ცხოვრებისათვის. ამასთან პასუხს აგებენ როგორც ჩაწერის გარეშე მცხოვრები მოქალაქეები, ასევე ის პირნი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ჩაწერისათვის (მუხ. 35). კანონმდებლობაში პასპორტების შესახებ არაფერია ნათქვამი წასული პიროვნების ამოუწერლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. მილიციის ორგანოები მაინც ადგენენ აქტებს ასეთ შემთხვევებზე, ხოლო ადმინისტრაციული კომისიები აჯარიმებენ სახლმმართველებს, კომუნდანტებს, სახლთმფლობელებს, ფართისმფლობელებს საცხოვრებელი სახლიდან წასული მოქალაქეების ამოუწერლობისათვის, იყენებენ რა ანალოგიით დებულების 35-ე მუხლს. მაგ., ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ 1963 წლის 27 თებერვლის დადგენილებით დააჯარიმა მოქ. ზ. შ., რომელმაც არ ამოწერა თავისი ნათესავი, რომელიც 2 წელია რაც გათხოვდა და წავიდა; ასევე — მოქ. ლ. ტ., რომელმაც არ ამოწერა თავისი ძმა და სხვ.

ანალოგიის გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალში დაუშვებელია. აქ ლაპარაკია ადმინისტრაციული ნორმების ანალოგიაზე იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს ისეთ დარღვევას, რომელიც სამართლით არაა გათვალისწინებული. პოზიტიური ადმინისტრაციული ნორმების ანალოგიით გამოყენება, ე. ი. განსაზღვრული დადებითი მოქმედების შესრულება, რომელიც სამართლით არ რეგულირდება, მაგრამ რომელსაც ადმინისტრაციული სამართლის ნორმის ანალოგიით იურიდიულა მნიშვნელობა ენიჭება, — საერთოდ დაუშვებელია საბჭოთა სამართალში. საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობიდან გამომდინარე, საბჭოთა სახელმწიფოს ყოველ ორგანოს თავისი განსაზღვრული

კომპეტენცია გააჩნია და სამართლის არასრულყოფის შემთხვევაში იგი „შევსებულ უნდა იქნეს დადგენილი წესით კანონმდებელი ორგანოების მიერ და არა იმ ორგანოების მიერ, რომლებიც მოწოდებული არიან გამოიყენონ კანონი. ცალკეული თანამდებობის პირებისათვის უფლებამოსილების მინიჭება — თავიანთი შეხედულებისამებრ ჩათვალონ, რომ კანონმდებლობაში არსებობს ესა თუ ის ნაკლი, და „შეავსონ“ ეს „ნაკლი“ თავიანთი გადაწყვეტილებით, — ეწინააღმდეგება სოციალისტური კანონიერების გამტკიცების ინტერესებს“¹.

ჩვენი აზრით, არ უნდა მოახდინონ რეაგირება ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ისეთ დარღვევებზე, რომლებზეც პასუხისმგებლობა არაა დაწესებული ადმინისტრაციული კანონმდებლობით, მაგრამ ამ დარღვევებს განსაზღვრული მავნე შედეგები მოსდევს. ადმინისტრაციული მართლდარღვევები, სისხლის-სამართლებრივი დარღვევისაგან განსხვავებით, „თუმცა კი აყენებენ განსაზღვრულ ზიანს ჩვენს საზოგადოებასა და სახელმწიფოს, მაგრამ არა აქვთ საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, არ ემუქრებიან საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების არსებობისა და განვითარების ძირითად პირობებს“². ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო თვლის, რომ საჭიროა ადმინისტრაციული სამართლის მეშვეობით რეაგირება მოხდეს საზოგადოებაში შესაძლებელ არა ყოველგვარ დარღვევაზე, არამედ მხოლოდ ისეთებზე, რომლებიც ყველაზე უფრო საგრძნობია საზოგადოებისათვის, რომელთა რეგულირება სამართლის ნორმების მეშვეობით აუცილებელია განსაზღვრული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით. არასამართლებრივი დარღვევები, რომლებიც ადმინისტრაციული გადაცდომის ნიშნებს ატარებენ, მოკლებული არიან საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს და მათზე სახელმწიფოებრივი რეაგირების აუცილებლობა არ არსებობს. ასეთი დარღვევები მოკლებულია იურიდიულ მნიშვნელობას და მათ მიმართ საქმის წარმოება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ამიტომ, ჩვენი აზრით, არასწორია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება საცხოვრებელი ბინიდან წასულ მოქალაქეებზე ამოუწერლობისათვის, რომლებიც ისედაც ავებენ პასუხს ახალ საცხოვრებელ ადგილზე ჩაწერის გარეშე ცხოვრებისათვის.

სსრ კავშირის სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებში აღნიშნულია, რომ სამოქალაქო წესით საქმეების განხილვისას, სასამართლო იყენებს კანონისა და სამართლის ანალოგიას, ხოლო ამ საქმეთა შორის სასამართლო განიხილავს აგრეთვე ზოგიერთ საქმეს ადმინისტრაციული გადაცდომის შესახებ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია ადმინისტრაციული სამართლის ნორმა ანალოგიით გამოიყენოს. ეს გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მარტივი ბუნებიდან, იქიდან, რომ ასეთი სახის დარღვევები მოკლებულია საზოგადოებრივ საშიშროებას და ამიტომ არ საჭიროებს ადმინისტრაციული სამართლის ანალოგიას. ადმინისტრაციული კომისიების შესახებ დებულების მე-3 მუხლიც პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ადმინისტრაციული კომისიები განიხილავენ საქმეებს ადმინისტრაციულ დარღვევათა შესახებ,

1 Н. Г. Александров, Право и законность в период строительства коммунизма, М., 1961, гл. 168.

2 Г. И. Петров, Советское административное право, изд. ЛГУ, 1960, гл. 288.



რომელთათვისაც პასუხისმგებლობა პირდაპირ გათვალისწინებული ია... აქტებით“¹ (ხაზგასმა ჩვენია). ამრიგად, ადმინისტრაციული სამართლის ნორმების ანალოგია დაუშვებელია. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ა. ე. ლუნიოვი, „მოქმედების მართლწინააღმდეგობა პირველი პირობაა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“². ამიტომ ვერ დავეთანხმებით პ. ე. ნედბაილოს, რომელიც თვლის, რომ სამართლის ყველა დარგში, გარდა სისხლის სამართლისა, დასაშვებია ანალოგიის გამოყენება³.

რაც შეეხება ანალოგიის გამოყენებას ადმინისტრაციულ პროცესში, იგი დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ყველა შემთხვევაში. ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმების ანალოგიით გამოყენება გამოიწვევდა კანონიერების უხეშ დარღვევას სახელმწიფო მმართველობაში, თავისუფალ შესაძლებლობას მისცემდა მმართველობის თვითეულ ორგანოს—თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს ესა თუ ის ინდივიდუალური საქმე. რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც არეგულირებენ სასამართლო ორგანოთა მოქმედებას მათ მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას, ისინი შეეხებიან სასამართლო პროცესს და არ წარმოადგენენ ადმინისტრაციული პროცესის ნორმებს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ ჩავთვლით ადმინისტრაციულ პროცესად სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვას, რაც სასამართლო პროცესის ჩარჩოებში ხდება და დიდად განსხვავდება ადმინისტრაციული პროცესისაგან. ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესი ზოგიერთ ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოში განხილვისას ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, არ შეიძლება ადმინისტრაციულ პროცესზეც გავრცელდეს.

რესპუბლიკის პროკურატურის ზოგიერთი ორგანო ღებულობს ზომებს ადმინისტრაციული კომისიების მიერ ანალოგიის გამოყენების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგალითად, აჭარის რესპუბლიკის პროკურატურამ გააპროტესტა ბათუმის საქალაქო აღმასკომთან არსებული ადმინისტრაციული კომისიის დადგენილებანი და ზემოაღნიშნული მოქალაქეები გათავისუფლებულ იქნენ პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ ყველა პროკურატურა ასე როდი იქცევა. ქ. თბილისის კალინინის სახ. რაიონის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ 1963 წელს დააჯარიმა ათზე მეტი მოქალაქე მათი საცხოვრებელი ადგილიდან წასულ პირთა ამოუწერლობისათვის, მაგრამ ადმინისტრაციული კომისიის არც ერთი ასეთი დადგენილება არ ყოფილა გაპროტესტებული თბილისის კალინინის რაიპროკურატურის მიერ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ პროკურატურის ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ადმინისტრაციული კომისიების მუშაობას. რაიონისა და ქალაქის პროკურორები უფრო ხშირად არ ესწრებიან ადმინისტრაციული კომისიების სხდომებს, მაშინ როცა ადმინისტრაციული კომისიების დებულების 28-ე მუხლის შესაბამისად „კომისიის სხდომის დღე ეცნობება პროკურორს“ და იგი ვალდებულია

¹ „საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1962 წ. № 23, მუხ. 377.

² А. Е. Лунев, Административная ответственность за правонарушения, Госюриздат, 1961, გვ. 46.

³ П. Е. Недбайло, Применение советских правовых норм, Госюриздат, 1960, გვ. 463.

ბულია დაესწროს მას. პროკურატურის ორგანოები ვერ გააპროტესტებენ ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებს, მაგრამ მათ სრულყოფილად უნდა გამოიყენონ „საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“ დებულების მე-13 მუხლით მინიჭებული უფლება, რომლის თანახმადაც პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გამოტანილი დადგენილების თაობაზე, აყოენებს ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომის აღსრულებას სათანადო ორგანოს მიერ პროტესტის განხილვამდე¹. ჩვენ მხარს ვუჭერთ პრესაში გამოთქმულ წინადადებებს ადმინისტრაციულ კომისიებზე საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ².

დიდი მნიშვნელობა აქვს ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტას რესპუბლიკის ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის პრაქტიკაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების მე-6 მუხლის ფორმულირება არაზუსტად უნდა ჩაითვალოს. ამ მუხლში აღნიშნულია, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჯარიმა დაედებათ იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც „თავიანთი თანამდებობრივი მოვალეობით ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები დადგენილი წესების დროულად შესრულებისათვის...“³. აქედან შეიძლება დავასკვნათ არაბრალეული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობის შესახებ, ვინაიდან თანამდებობის პირმა შეიძლება მიიღო ყველა ზომა დადგენილი წესების დროულად შესრულებისათვის, მაგრამ სხვა პირმა განზრახ დაარღვია წესი და ჩაიდინა ადმინისტრაციული გადაცდომა. თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა სხვისი ბრალის გამო შეიძლება ვინმემ ვაამართლოს იმით, რომ თანამდებობის პირი პასუხისმგებელია თავისი ხელმძღვანელობის მთელ უბანზე, მაგრამ მისი ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიცემა სხვისი ბრალის გამო, — ეს იქნებოდა, ჩვენი აზრით, კანონიერების დარღვევა. თვითონ ბრძანებულებაც მე-7 მუხლში კატეგორიულ ფორმაში მოითხოვს მხოლოდ ბრალეულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. მაგრამ მე-6 მუხლის ასეთი არაზუსტი ფორმულირება იძლევა საბაბს პრაქტიკაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხის არასწორად გადაჭრისათვის. მაგალითად, ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების კალინინის სახ. რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ 1963 წლის 25 ივლისს დააჯარიმა „ცეკავშირის“ № 1 მაღაზიის დირექტორი იმისათვის, რომ ამ მაღაზიის გამყიდველი უადგილო ადგილას ჰყიდდა ხილს. დირექტორი აქ არაფერ შუაში იყო და პასუხი უნდა ეგო გამყიდველს, მაგრამ ადმინისტრაციულმა კომისიამ მაინც ხელმძღვანელი დასაჯა.

ბრალს დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგომისათვის. ბრალის ფორმა ხშირად დამრღვევის დასჯის ზომასაც განსაზღვრავს. ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოთხოვნა დამრღვევთა ბრალეული პასუხისმგებლობის შესახებ ზოგჯერ ირღვევა ადმინისტრაციული კომისიების მიერ და პიროვნებები ხშირად პასუხს აგებენ მხოლოდ თავიანთი მოქ-

¹ «Ведомости Верховного Совета СССР», 1955, № 9, გვ. 222.

² См. ж. «Социалистическая законность», № 12, 1963, — Е. Наер, Прокурорский надзор за соблюдением законности в деятельности административных комиссий, гв. 46—48.

³ «Ведомости Верховного Совета СССР», 1961, № 35, გვ. 368.



მედების მაგნე შედეგების მიხედვით, რაც, რასაკვირველია, კანონის მიზანმიმართულ დარღვევაა. არ შეიძლება დავეთანხმოთ ვ. ა. ვლასოვს, რომელიც თვლის, რომ „ბრალეულობის დადგენისას აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს, თუ რა ჩაიდინა დამრღვევმა და ამის შესაბამისად გამოვიყენოთ ადმინისტრაციული ზემოქმედების ესა თუ ის ზომა“¹. ბრალი გულისხმობს სწორედ დამრღვევის ფსიქიკურ დამოკიდებულებას თავის მოქმედებასთან და მოქმედების შედეგებთან, და იგი არ შეიძლება განისაზღვროს დამრღვევის მოქმედების მხოლოდ შედეგებით. ახალი ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიერ მხოლოდ ფიზიკური პირის მხოლოდ ბრალეული პასუხისმგებლობის უნივერსალური პრინციპის დაწესება მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში.

როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულ კომისიებს შეუძლიათ ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომა შეუფარდონ დამრღვევებს, თუკი მოცემული დარღვევისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოების აქტებით. ამიტომ, ამხანაგური სასამართლოებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ კომისიებს არ შეუძლიათ განიხილონ წმინდა მორალური განკიცხვის საქმეები. ამ თვალსაზრისით ისინი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგანაც განსხვავდებიან. ადმინისტრაციული კომისიები მმართველობის ორგანოებია და ისინი მართლმსაჯულებას არ ეწვეიან. მაგრამ ისინი დარგობრივი მმართველი ორგანოებისაგანაც განსხვავდებიან იმით, რომ მათ მმართველობის უშუალო ობიექტები არ გააჩნიათ და მშრომელთა აღზრდასა და კანონიერების განმტკიცებას ისახევენ ძირითად მიზნად. ამ მხრივ ისინი უფრო არბიტრაჟის ორგანოებს მოგვაგონებენ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მათი უშუალო საქმიანობის სფეროები სხვადასხვაა და ამის შესაბამისად მათ ფუნქციებიც სხვადასხვა აქვთ.

ადმინისტრაციულ კომისიებში საქმეთა განხილვა სასამართლო განხილვის ხასიათს კი არ იღებს, არამედ სახელმწიფო-საზოგადოებრივ ორგანოში საქმის განხილვის, თვით მშრომელი მასების მიერ საქმის განხილვის ხასიათს, სადაც სახელმწიფო იძულება ერწყმის საზოგადოებრივ ზემოქმედებას. რასაკვირველია, როგორც ყოველგვარი სადავო საქმის განხილვა, ადმინისტრაციულ გადაცდომათა შესახებ საქმეთა განხილვაც მხარეთა არსებობას და დამტკიცების საშუალებათა გამოყენებას გულისხმობს, რაც არ ცვლის ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობის ადმინისტრაციული პროცესის ხასიათს. განსხვავებით სასამართლო პროცესისაგან, ადმინისტრაციულ პროცესში ადმინისტრაციული კომისია იმ მხარედ გვევლინება, რომელიც სარგებლობს დამრღვევზე აღმზრდელითი ზემოქმედების უპირატესი უფლებით. სასამართლო კი მხარე არასდროს არაა პროცესში. ეს გამომდინარეობს ადმინისტრაციული პროცესის თავისებურებიდან, იქიდან, რომ ეს პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობასთან და ღებულობს გამარტივებულ ხასიათს.

მაგრამ ადმინისტრაციული კომისია არ წარმოადგენს ადმინისტრაციული

¹ В. А. Власов, Новое законодательство об административных штрафах, Госюриздат, 1963, გვ. 57.

იუსტიციის ორგანოს, ვინაიდან მისი მუშაობა მხოლოდ ინდივიდუალურად, ადმინისტრაციული საქმეების განხილვით არ ამოწურება. ეს კომისია დიდ ორგანიზაციულ საქმიანობასაც ახორციელებს რაიონში (ქალაქში) საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების ხაზით. ადმინისტრაციული კომისიები საქმიანობის ძირითადად ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმების მატარებელი ფუნქციონალური მმართველობის ორგანოებია. ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები საბჭოთა კავშირში საერთოდ არ არსებობენ, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, სახალხო სასამართლოებში ადმინისტრაციული პროცესი არ წარმოიშვება და ამდენად ისინი ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოებად არ ჩაითვლებიან (როგორც ამას ზოგი ავტორი თვლის), ხოლო მმართველობის ორგანოთა დემოკრატიულობიდან გამომდინარე, თვითოეული ორგანო ჩვენში ვალდებულია დაიცვას მშრომელთა ინტერესები სპეციალურად ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოს შექმნის გარეშე.

ადმინისტრაციული კომისიები ძირითადად განიხილავენ საქმეებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თაობაზე. მაგრამ ისინი სხვა საქმეებსაც განიხილავენ, რომლებიც მათ შეიძლება გადასცენ იმ ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა, რომლებსაც უფლება აქვთ დაადონ ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომა დამრღვევებს ადმინისტრაციული კომისიებისადმი მიმართვის გარეშე. ამდენად ადმინისტრაციული კომისიების მოქმედების სფერო უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის პრაქტიკას ახასიათებს ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნება. რესპუბლიკის სინამდვილეში არსებობს ისეთი შემთხვევები, რომლებიც კანონმდებლობით არ ყოფილა გათვალისწინებული. 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების თანახმად ადმინისტრაციული კომისიები იქმნებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან. მაგრამ ზემდგომ (საოლქო, სამხარეო) აღმასკომებთან ადმინისტრაციული კომისიების არსებობა არაა გათვალისწინებული, რადგან მოქალაქეთა აღზრდის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ამოცანებს ისინი შეასრულებენ მხოლოდ მასებთან კავშირში, მხოლოდ ადგილებზე, — მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან. მაგრამ პრაქტიკამ მოგვცა ისეთი შემთხვევა, როცა რაიონისა და ქალაქის აღმასკომებთან არსებობს ერთი ადმინისტრაციული კომისია, რომელიც ქალაქსაც და რაიონსაც ემსახურება. ქ. ცხაკაიაში არსებობს მშრომელთა დეპუტატების როგორც ქალაქის, ისე რაიონის საბჭოები და შესაბამისი აღმასკომები, მაგრამ მათთან არის ერთი ადმინისტრაციული კომისია. იგი შედგება რაიონისა და ქალაქის საბჭოების დეპუტატებისაგან და რაიონისა და ქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. ადმინისტრაციული კომისია სავსებით ართმევს თავს მუშაობას და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს. ასეთივე ერთი ადმინისტრაციული კომისიაა მახარაძის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ მისი შემადგენლობა დაკომპლექტებულია მხოლოდ რაიონის საბჭოს დეპუტატებისაგან და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. ასეთ პირობებში ადმინისტრაციული კომისია არსებითად იქცევა მხოლოდ რაიონისა და ქალაქის აღმასკომის ორგანოდ. იმისათვის, რომ თავისი უფლებამოსილება გაავრცე-



ლოს რაიადმასკომის მოქმედების ფარგლებს გარეთაც, ადმინისტრაციული კომისიისა უნდა შედგებოდეს ორივე საბჭოს ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. ადმინისტრაციული კომისიები, მართალია, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხასიათს ატარებენ, მაგრამ ისინი, აკისრებენ რა დამრღვევებს განსაზღვრული ხასიათის შემოქმედების ზომას, მაგალითად ჯარიმის სახით, მოქმედებენ სახელმწიფოს სახელითაც, როგორც მმართველობის ორგანოები, და ამიტომ უფლებამოსილებითაც უნდა იყვნენ აღჭურვილი შესაბამისი ორგანოების მიერ.

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ერთიანი ადმინისტრაციული კომისიის არსებობა, როცა მისი მოქმედების სფეროში შემავალი ქალაქი და რაიონი დიდი მასშტაბისა არ არის, ჩვენი აზრით შეიძლება გამართლებულ იქნეს. სამტრედიის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ 1963 წლის ათი თვის განმავლობაში სულ 15 სხდომა ჩაატარა, რომლებზეც განხილულ იქნა 3 საქმე სანიტარული წესების დარღვევის შესახებ, 20 საქმე შინამრეწველთა შესახებ, 198 საქმე საპასპორტო სისტემის წესების დარღვევის შესახებ და კიდევ რამდენიმე საქმე სხვა დარღვევათა შესახებ. ასეთ მცირერიცხოვან საქმეთა განსახილველად აუცილებელი არაა სპეციალური კომისიის არსებობა. ამ საქმეებს სრულიად თავისუფლად გაართმევს თავს რაიადმასკომთან არსებული ადმინისტრაციული კომისია, რაც მას უფრო მეტ ავტორიტეტს მოუპოვებს მასებში. რუსეთის ზოგიერთ დიდ ქალაქში კი პირიქითაა, — ქალაქის ერთ რაიადმასკომთან რამდენიმე ადმინისტრაციული კომისიაა. ერთიცა და მეორე შემთხვევაც უნდა იქნეს გათვალისწინებული დებულებებში ადმინისტრაციული კომისიების შესახებ, რათა სწორად განისაზღვროს ხელისუფლების ორგანოს მიერ უფლებამოსილი ამ თავისებური ორგანოს იურიდიული მდგომარეობა.

ინტერესს არაა მოკლებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის პრაქტიკაში ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტა. როგორც ცნობილია, 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებამ განსაზღვრა ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის დღიდან საქმის განხილვამდე. მაგრამ კანონმდებლობა არ იძლევა ხანდაზმულობის საზღვრებს სხვადასხვა შემთხვევისათვის. რასაკვირველია, ერთთვიანი ხანდაზმულობა გადაცდომის ჩადენიდან არ შეიძლება გავავრცელოთ ადმინისტრაციული მართლდარღვევის ყველა შემთხვევაზე, ვინაიდან ზოგჯერ პრაქტიკულად შეუძლებელია ადმინისტრაციული გადაცდომის დაწყებისა და დამთავრების მომენტების დადგენა. გარდა ამისა, ხანდაზმულობა კანონმდებლობით არაა განსაზღვრული იმ შემთხვევაში, როცა საქმე აღძრულია სისხლის სამართლის წესით, მაგრამ შემდეგ წარმოება ამ წესით წყდება დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო და გადაეცემა ადმინისტრაციულ კომისიას ადმინისტრაციული შემოქმედებისათვის. 1962 წლის 16 სექტემბერს სოფ. ორმულალოს მცხოვრებმა ს. უ — მ (გურჯაანის რაიონი) დაარღვია სოფელში გამოცხადებული კარანტინის წესები და მეზობლის ცხენით წავიდა თავის ნათესავებთან მეზობელ სოფელში — კაჭრეთში, სადაც გურჯაანის ტერიტორიული სამმართველოს წარმომადგენლების მიერ დაკავებულ იქნა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ძიებით არ დადასტურდა დანაშაულის ნიშნები დამრღვევის ქმედებაში და რაიმილიციის უფროსის 1963 წლის 30 იანვრის დადგენილებით საქმე გადაეცა გურჯაანის რაიონის აღმასკომთან არსებულ ად-

მინისტრაციულ კომისიას, რომელმაც დამრღვევი 5 მანეთით დააჯარიმა. ადმინისტრაციული კომისია ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა საქმის წარმოებაში მიღებიდან ერთი თვის ხანდაზმულობის ვადით.

პრაქტიკა კანონმდებლობისაგან მოელის ადმინისტრაციული ხანდაზმულობის საკითხის შემდგომ გადაწყვეტას. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ დენადი და განგრობადი ადმინისტრაციული გადაცდომების დროს ერთთვის ხანდაზმულობის ვადა უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული საქმის აღძვრის მომენტიდან, ხოლო სისხლის სამართლის წესით საქმის წარმოების შეწყვეტისა და ადმინისტრაციული წესით მისი დაწყების შემთხვევაში, ერთთვის ხანდაზმულობის ვადა უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წესით მისი წარმოების დაწყების მომენტიდან.

დიდია ადმინისტრაციული კომისიების აღმზრდელობითი როლი. მათ მართლდამრღვევზე ზემოქმედების მრავალგვარი ფორმა აქვთ; თუ წინათ ადმინისტრაციულ კომისიებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ადმინისტრაციული ზემოქმედების მხოლოდ სამი სახე (გაფრთხილება, ჯარიმა, შრომაგასწორებითი სამუშაოები), დღეს მათ შეუძლიათ დამრღვევის მიმართ გამოეყენონ არა მარტო გაფრთხილება და ჯარიმა, არამედ ადმინისტრაციული დარღვევისათვის საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული ზემოქმედების სხვა ზომაც. ადმინისტრაციული კომისიები მოვალენი არიან ყველა ზომა მიიღონ თავიანთი დადგენილების სისრულეში მოსაყვანად, სსამართლოს აღმასრულებლის დახმარებას კი შეუძლიათ მიმართონ მხოლოდ მაშინ, როდესაც დადგენილებას ჯარიმის გადახდის შესახებ არ ასრულებს დამრღვევი, რომელიც არსად არ მუშაობს. დანარჩენ შემთხვევებში ჯარიმა გადახდებათ დამრღვევებს უდავო წესით მათი ხელფასიდან. მაგრამ ზოგიერთი ხელმძღვანელი არ ასრულებს ადმინისტრაციული კომისიების ასეთ დადგენილებებს, ხოლო სამთვის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ საქმე წყდება და კომისიის დადგენილებაც შეუსრულებელი რჩება. ასეთ მდგომარეობას არ შეიძლება შევურივდეთ. საჭიროა გაიზარდოს დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული კომისიების დადგენილების შეუსრულებლობისათვის უდავო წესით ჯარიმების გადახდევინების შესახებ. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ ჯარიმების თანხები საკავშირო ბიუჯეტის ნაცვლად ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში შევა. ჯარიმა არ წარმოადგენს ადმინისტრაციული კომისიების მიერ გამოყენებულ ზემოქმედების ძირითად სახეს. იგი არ წარმოადგენს ქონებრივი თუ მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი თვლის¹. ჯარიმა წარმოადგენს აღზრდის საშუალებას, ბოროტ დამრღვევთა იძულების საშუალებას, რაც აღზრდას ისახავს მიზნად. ადმინისტრაციული კომისიების მუშაობაში ზემოქმედების ძირითად საშუალებებს წარმოადგენენ: დამრღვევის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული გადაცდომისა და მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების მიწოდება საზოგადოებრიობისათვის სამუშაო, სწავლის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იგაფრთხილება და საზოგადოებრივი გაკიცხვა ჯარიმის გადახდის ნაცვლად, საქმის ამხანაურ სსამართლოზე გადაცემა და სხვ.

¹ В. И. Игитов, О природе мер воздействия, применяемых общественностью в области охраны общественного порядка, ж. «Советское государство и право», № 11, 1963, зб. 112.



ადმინისტრაციული კომისიების მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო მუშაობის გაუმჯობესებას და ორგანოთა ფუნქციების გამიჯვნას. იშვიათი როდია, როდესაც გადაწყვეტილებებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ იღებს არა საბჭოები, არამედ მათი აღმასრულებელი კომიტეტები. რესპუბლიკის ადმინისტრაციული კომისიები იძულებული არიან განიხილონ საქმეები სასაზღვრო რეჟიმის წესების დარღვევის შესახებ სასაზღვრო დაცვის ორგანოთა მიერ შედგენილი აქტების საფუძველზე, რაც მილიციის ორგანოებმა უნდა გააკეთონ¹, ადმინისტრაციული კომისიები ნაკლებად იცნობენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ მოქმედ კანონმდებლობას, რომლის ზოგიერთი დებულება საიდუმლო აქტსაც კი წარმოადგენს (მაგ., დებულება პასპორტების შესახებ). საჭირო იქნება ადმინისტრაციული კოდექსების (მატერიალური, პროცესუალური) შემუშავება და მიღება, რაც გაუმჯობესებს და გააადვილებს ადმინისტრაციული კომისიების მუშაობას. გარდა ამისა, საჭიროა რესპუბლიკის ადმინისტრაციული კომისიების პრაქტიკის განზოგადება და მათი მუშაობის გამოცდილებათა პრესაში გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის წარმართვას სწორი გზით. ადმინისტრაციული კომისიების მუშაობას საბჭოთა სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მათი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა არ უნდა შეეანელოთ.

სახელმწიფო სამართლის კათედრა

(რედაქციას მოუვიდა 3. 3. 1964 წ.)

В. А. ЛОРИЯ

АДМИНИСТРАТИВНЫЕ КОМИССИИ И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ АДМИНИСТРАТИВНОЙ ОТВЕТСТВЕННОСТИ

(Резюме)

Указ Президиума Верховного Совета СССР от 21 июня 1961 г. «О дальнейшем ограничении применения штрафов, налагаемых в административном порядке», явился важнейшим актом, внесшим существенные изменения в порядок установления и несения административной ответственности. Исходя из содержания указанного акта, можно сделать вывод о том, что административные комиссии являются основными органами, рассматривающими дела об административных проступках. Эти комиссии представляют собой общественно-государственные функциональные органы управления, основная функция которых состоит в ох-

¹ «Ведомости Верховного Совета СССР», 1962, № 39, стр. 402.

ране общественного порядка. Особенность административных комиссий состоит в том, что их деятельность особенно характеризуется административно-процессуальными формами. Но их нельзя считать органами административной юстиции, т. к. кроме рассмотрения административных дел, эти комиссии ведут большую организационную работу по охране общественного порядка; кроме того, административным комиссиям подведомственны не все дела о проступках.

При рассмотрении дел в административных комиссиях, нередко возникают спорные вопросы, требующие уточнения и разрешения в законодательном порядке. Это в первую очередь касается вопроса применения аналогии в административном праве. В практике деятельности административных комиссий Грузинской ССР встречаются случаи применения норм административного права по аналогии. В административном законодательстве нет четкого ответа на данный вопрос. Мы не разделяем мнения П. Е. Недбайло и считаем, что в административном праве аналогия не применима. Это исходит из того, что административные проступки лишены общественно опасного характера и Советское государство считает нужным воздействовать при помощи права только на такие нарушения, которые наиболее ощутимы, которые приносят наиболее заметный вред, а не на всякие нарушения, возможные в обществе.

В сфере административного процесса аналогия так же не допустима потому, что это даст повод органам управления по своему усмотрению решать конкретные дела, будет способствовать нарушению законности в государственном управлении. Что касается норм ГПК, которые регулируют действия судебных органов при разрешении ими административных дел, то эти нормы регулируют судебный процесс и не являются нормами административного процесса. Поэтому установленные ГПК правила применения аналогии в процессе разрешения отдельных административных дел в суде, не могут распространяться на административный процесс.

ბ. ე რ მ რ ვ ი

აჭარის ასსრ კონსტიტუციის უმუშავეების შესახებ

აჭარის ასსრ საქართველოს სსრ-ში შემავალი სახელმწიფოებრივი ერთეულია. 1921 წლის 16 ივლისს საქართველოს სსრ რევკომმა მიიღო № 54 დეკრეტი „აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოწყობის შესახებ“. უფრო ადრე, 1921 წლის 18 მარტს, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს, საქართველოს რევკომმა აჭარის მშრომელებისადმი გაგზავნილ დეპეშაში ჩაწერა, რომ „აჭარელ ხალხს ენიჭება სრული ავტონომია და ხელშეუხებლობა“¹. ყოველივე ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ აჭარელი სხვა ერის წარმომადგენელია. აჭარელი ქართველია, აჭარა — საქართველოს განუყოფელი ნაწილი. აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ჯერ კიდევ არსებული სპეციფიკა და თავისებურება განვლილი ისტორიული პირობების შედეგია.

აჭარის ეკონომიკისა და კულტურის აყვავება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა.

აჭარის ასსრ უფლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და თავით აჭარის ასსრ კანონმდებლობით. აჭარის ასსრ-ს გააჩნია თავისი კონსტიტუცია, იგი გამომდინარეობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებით დადგენილი უფლებებიდან.

*

* * *

აჭარის ასსრ-ს მოქმედი კონსტიტუციის დამტკიცებისას აჭარის ასსრ საბჭოების საგანგებო XII ყრილობის მუშაობის ირგვლივ გამოქვეყნებულ საინფორმაციო ცნობაში ნათქვამია, რომ „ყრილობამ მიიღო აჭარის ახალი კონსტიტუცია (1937 წ. 25/X)“². ასევე პ. პეტრბსკი და ნ. გელბაკი ნაშრომში „აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ (1938 წ.) აღნიშნავენ, რომ „1937 წლის 25 ოქტომბერი აჭარის ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი დღე; ამ დღეს აჭარის მშრომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ აჭარის ასსრ საბჭოების საგანგებო XII ყრილობაზე და მიიღეს აჭარის ასსრ ახალი კონსტიტუცია“ (გვ. 32-33, ხაზი ჩვენია — გ. ე.). იგივე გამოთქმა მეორდება იმავე შრომის 36-ე და 37-ე გვერდებზე. ეს კონსტიტუცია ახალ კონსტიტუციად არის წოდებული დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში³ და იმ პერიოდის მთელ რიგ ჟურნალებში და გაზეთებშიც.

¹ ვაზ. „Правда Грузии“, 1921 წ. № 16, 17 მარტი.

² იხ. ვაზ. „საბჭოთა აჭარა“ № 246 (4849), 1937 წ. 26/X.

³ БСЭ, т. I, Аджарская АССР, გვ. 403.



ნათქვამიდან ასეთი ლოგიკური დასკვნა გამოდინარეობს: თუ აჭარის ასსრ-ს 1937 წლის კონსტიტუცია მიჩნეულ იქნა ახალ კონსტიტუციად, ეს იმას ნიშნავს, რომ მანამდე უნდა არსებულებოდა აჭარის ასსრ-ს სხვა (ძველი) კონსტიტუცია. ქვემოთ ჩვენ შევჩერდებით იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ეს ნათქვამი სინამდვილეს.

საქართველოს სსრ 1921 წლის 16 ივლისის ზემოდასახელებულ № 54 დეკრეტის მეორე მუხლში ჩაწერილია, რომ აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ორგანოებად ჩაითვალოს: მეჯლისი, სახალხო კომისართა საბჭო და ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც არჩეული უნდა იქნენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ მაშინ არ არსებობდა არა მარტო აჭარის ასსრ-ს, არამედ თვით საქართველოს სსრ-ს კონსტიტუცია. საკითხავია, თუ აჭარის ასსრ კონსტიტუციის მიღებაც იყო გათვალისწინებული, რატომ არ ჩაიწერა დეკრეტში არაფერი იმის შესახებ, რომ ამ ორგანოთა არჩევნები მოხდებოდა საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების საფუძველზე?

საქართველოს სსრ პირველი (1922 წლის) კონსტიტუციის პირველი მუხლის შენიშვნაში ჩაწერილია, რომ „საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა; უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას — ამ რესპუბლიკათა შორის დადებული განსაკუთრებული საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე“.

რამდენადაც აფხაზეთის სსრ 1921 წლის 16 დეკემბრის განსაკუთრებული ხელშეკრულების საფუძველზე უკავშირდებოდა საქართველოს სსრ-ს, იმდენად აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის თავისი კონსტიტუციის შემუშავება აუცილებელიც იყო. არც საქართველოს სსრ კონსტიტუციით და არც თვით აფხაზეთის პირველი (1926 წ.) კონსტიტუციით გათვალისწინებული არ იყო აფხაზეთის სსრ კონსტიტუციის წარდგენა საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წინაშე დასამტკიცებლად. აფხაზეთი დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკა არ ყოფილა, იგი 1931 წლამდე საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ხელშეკრულების საფუძველზე შემავალი სოციალისტური რესპუბლიკა იყო, რის მეშვეობითაც იგი შედიოდა ამიერკავკასიის სფსრ-ში და ამ უკანასკნელის მეშვეობით კი — სსრ კავშირში; 1931 წლის თებერვლიდან კი აფხაზეთი საქართველოს სსრ-ში შემავალი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა.

აჭარის ასსრ უფლებრივ მდგომარეობას და მისი კონსტიტუციის მიღებას არ ითვალისწინებს საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია. მისგან განსხვავებით, საქართველოს სსრ მეორე (1927 წ.) კონსტიტუცია ზუსტად განსაზღვრავს რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური ერთეულების უფლებრივ მდგომარეობას. დასახელებული კონსტიტუციის IV თავია — „ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკები და ოლქები“, ხოლო V თავი კი — „მოკავშირე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“.

ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის უფლებების გან-

საზღვრისას კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ „ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებსა და ავტონომიური ოლქების დებულებებს მიიღებენ მათი საბჭოთა ყრილობანი, დასამტკიცებლად წარუდგენენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო საბოლოოდ დასამტკიცებლად — სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას“ (მუხ. 75). დაახლოებით იგივე შინაარსია ჩაწერილი მე-19 მუხლში, რომლის მიხედვითაც „მარტოოდენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის გამგებლობას ეკუთვნის... ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციების და ავტონომიური ოლქების დებულებათა, აგრეთვე მათი შეცვლისა და შეცვლების საბოლოოდ დამტკიცება“. ანალოგიური შინაარსია დაკანონებული კონსტიტუციის მე-20 მუხლის „გ“ პუნქტითაც.

ამ ამონაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოს სსრ მეორე (1927 წ.) კონსტიტუციით ავტონომიურ რესპუბლიკას უნდა ჰქონოდა კონსტიტუცია, რომელსაც თვითონ ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების ყრილობა დებულობდა, რასაც საბოლოოდ ამტკიცებდა საქართველოს სსრ ცაკ-ი და საქართველოს სსრ საბჭოების ყრილობა. რაც შეეხება აფხაზეთს, საქართველოს სსრ-ს იმავე კონსტიტუციის V თავის მიხედვით, აფხაზეთის სსრ-ს ჰქონდა თავისი კონსტიტუცია, რომელსაც მხოლოდ აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ამტკიცებდნენ. იქვე მითითებული იყო იმის შესახებ, რომ „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი, აგრეთვე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მოეწყობიან აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველთა მიხედვით“ (მუხლი 86).

საქართველოს სსრ მეორე კონსტიტუციის მიღებისას სრულიად საქართველოს III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიამ 1926 წლის 5 ივლისის დადგენილებაში ჩაწერა: „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამა სესიის მიერ მიღებული საქართველოს სსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტი საბოლოოდ დამტკიცებისათვის წარედგინოს სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას.

აფხაზეთის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გადაამუშავებს აფხაზეთის სსრ კონსტიტუციას იმ პრინციპების მიხედვით, რაც საფუძველად დაედო საქართველოს სსრ კონსტიტუციას“¹.

ამით უდავოდ მტკიცდება, რომ ამ პერიოდისათვის (1926 წ.) აჭარის ასსრ რესპუბლიკას თავისი კონსტიტუცია არ ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე დადგენილებაში აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსაც მისცემდნენ ანალოგიურ მითითებას.

ამ საკითხზე მუშაობამ, აჭარის ასსრ საბჭოების ყრილობებისა და ცაკ-ის მასალების, აგრეთვე საარქივო მასალების დამუშავებამ დაგვარწმუნა, რომ აჭარის ასსრ-ს კონსტიტუცია 1937 წლამდე დამტკიცებული და გამოქვეყნებული არ ყოფილა. კონსტიტუციის რამდენიმე ძველი პროექტი აღმოვაჩინეთ აჭარის

¹ იხ. საქართველოს სსრ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1932 წ., გვ. 4 („დადგენილება სსრ. საქართველოს საბჭოთა მე-3 მოწვევის ცაკ-ის მე-3 სესიისა“).



ასსრ სახელმწიფო და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივებში, რომელთა განხილვაც გათვალისწინებული იყო საბჭოების ყრილობებზე, მაგრამ ამ ყრილობათა სტენოგრაფიულ ანგარიშებში ამის შესახებ არაფერი გვხვდება. ზოგჯერ ისეთ აქტებსაც ვხვდებით, რომლებიც აჭარის ასსრ კონსტიტუციაზეა დამყარებული და რომლებშიც კონსტიტუციის მუხლებიც არის მითითებული, მაგრამ თვითონ ის კონსტიტუცია არ ჩანს, ან მხოლოდ მისი პროექტია, რომელიც დამტკიცებული არ ყოფილა. ფაქტების ახსნისას ბევრია შინაგანი წინააღმდეგობა. შევეცდებით, სისტემაში მოვიყვანოთ აჭარის ასსრ პირველი კონსტიტუციის შემუშავებასთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტები და ამის მიხედვით გავაკეთოთ უპრეტენზიო დასკვნები.

არსებობს დოკუმენტი — „ზოგადი დებულება აჭარის ასსრ სახალხო კომისარიატების შესახებ“; იგი დათარიღებულია 1923 წლის 8 აპრილით და შედგება 5 თავისა და 17 მუხლისაგან. საინტერესოა მისი მე-8 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ აჭარის ასსრ ყოველი სახალხო კომისარიატის სათავეში, კონსტიტუციით დადგენილი წესით (მუხლი 27, 28 და 34) დგას არჩეული სახალხო კომისარი, რომლის გაწვევაც შესაძლებელია¹. ამ შემთხვევაში აქ მითითებული არ არის, თუ რომელ კონსტიტუციას ემყარება კანონმდებელი. ხოლო რადგან აჭარის კონსტიტუციის არსებობა იმ პერიოდისათვის საეჭვოა, მაშინ აქ საქართველოს სსრ 1922 წლის კონსტიტუცია უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ დასახელებული მუხლები ამ კონსტიტუციაში სრულიად სხვა საკითხებს ეხება. სამაგიეროდ, ჩვენს მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში და აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივში აღმოჩენილია დოკუმენტი — „ავტონომიური აჭარისტანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია“. არის მისი ქართული ტექსტი (ბათუმში) და რუსული ტექსტი (თბილისში). ეს კონსტიტუცია ქართულადაც და რუსულადაც საწერ მანქანაზეა დაბეჭდილი. არ არის მითითებული, თუ როდის და რომელმა ორგანომ დაამტკიცა იგი, მაგრამ საგულისხმოა, რომ მას აწერია არა „პროექტი კონსტიტუციისა“, არამედ „კონსტიტუცია“. აჭარის სახელმწიფო არქივში არსებულ ამ დოკუმენტს უბრალო ფანქრით აწერია „1-№ 62“.

დასახელებული „კონსტიტუცია“ შედგება 8 თავისა და 51 მუხლისაგან. უკანასკნელი, მე-8 თავის მხოლოდ სათაურია ჩაწერილი — „ღერბისა და დროშის შესახებ“, მუხლები კი აქ მოცემული არ არის; 23-ე მუხლში აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობა ჩაწერილი არ არის, ღიადაა დატოვებული².

დასახელებული კონსტიტუცია საბჭოთა ტიპის სავესებით დახვეწილი დოკუმენტია, იგი უდავოდ ითვალისწინებს საქართველოს სსრ პირველი (1922 წ.) კონსტიტუციის პრინციპებს. დამახასიათებელია, რომ აჭარის ასსრ-ს ამ კონსტიტუციის მეორე თავია — „ავტონომიური აჭარისტანის სს რესპუბლიკის სსრ კავშირსა და ა/კ სფს რესპუბლიკასთან ურთიერთობათა შესახებ“. ეს იმას ნიშ-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 14, ს. 1013, ფურც. 5-8.

² აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. P-2, ს. 647, ფურც. 62; მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტ. არქივი, ფ. 14, ს. 1013, ფურც. 1-4.

ნავს, რომ ამ კონსტიტუციის ტექსტის შედგენისას შექმნილი იყო ამიერკავკასიის ფედერაცია (1922 წ. 13/XII) და სსრ კავშირიც (1922 წ. 30/XII).

სწორედ ამ კონსტიტუციის 27-ე, 28-ე და 34-ე მუხლები შეესაბამება შინა-არსით ზემოდასახელებული აქტის — აჭარის ასსრ სახალხო კომისარიატების ზოგადი დებულებები — კონსტიტუციურ საფუძვლებს.

„აჭარის ასსრ სახალხო კომისარიატების შესახებ“ ზემოდასახელებული დებულების მეორე მუხლში ჩაწერილია, რომ აჭარის ასსრ სახალხო კომისარიატები გაატარებენ ზემდგომ ორგანოთა დებულებებს თანახმად კონსტიტუციის 7-11-ე მუხლებისაო. დასახელებული კონსტიტუციის ეს მუხლებიც სწორად არის მითითებული და გამოყენებული კანონმდებლის მიერ. ამ მუხლებში ფიქსირებულია აჭარის ასსრ-ს ურთიერთობა სსრ კავშირსა და ამიერკავკასიის სფსრ-სთან. ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ თუ 1923 წლის 8 აპრილს დამტკიცებული დოკუმენტი ემყარება აჭარის ასსრ კონსტიტუციის მუხლებს. ასეთი შედარებებით მისი სისწორე უდავო ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდისათვის აჭარის ასსრ-ს უეჭველად უნდა ჰქონოდა თავისი კონსტიტუცია.

მოვიყვანოთ ფაქტები ამ დებულების დასამტკიცებლად.

1923 წლის აპრილში დამტკიცებულია დებულება „აჭარის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ“. იგი 11 მუხლისგან შედგება¹.

ამ დებულების მე-3 მუხლში ლაპარაკია აჭარის ასსრ-ს სახკომსაბჭოს უფლებამოსილებაზე, კერძოდ, ამ მუხლის 3-ს მიხედვით აჭარის ასსრ-ს სახკომსაბჭოს ეხება „...Рассмотрение и утверждение декретов и постановлений по вопросам государственного управления в пределах, предусмотренных Конституцией АССР Аджаристана и положением о Центральном Исполнительном Комитете Республики Аджаристана и его Президиума“ (ხაზი ჩვენია — გ. ე.). აჭარის ასსრ კონსტიტუციის შესახებ ასევეა მითითებული მე-3 მუხლის § B-ში.

ის ფაქტი, რომ აჭარის შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოები აჭარის ასსრ-ს კონსტიტუციაზე დაყრდნობით საჭირო აქტებს დებულობენ, ბადებს ეჭვს, რომ აჭარის ასსრ-ს მაშინ ჰქონდა კონსტიტუცია, რომელიც დამტკიცებულიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნაბეჭდი გამრავლებული სახით გამოქვეყნებული არ ყოფილა.

როდის უნდა დამტკიცებულიყო ეს კონსტიტუცია? უნდა დამტკიცებულიყო ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის შექმნის შემდეგ (რამდენადაც მათი არსებობა ასახულია დასახელებული კონსტიტუციის ტექსტში), ე. ი. დაწყებული 1923 წლის იანვრის პირველი რიცხვებიდან, არა უგვიანეს იმავე წლის 7 აპრილისა (რამდენადაც 8 აპრილს დამტკიცებულ დოკუმენტში მოხსენიებულია აჭარის ასსრ-ს დასახელებული კონსტიტუცია).

რომელი ორგანოს მიერ უნდა დამტკიცებულიყო ეს კონსტიტუცია? ამაზე პასუხობს იმავე კონსტიტუციის 35-ე მუხლი, სა-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტ. არქივი, ფ. 14, ს. 1013, ფურც. 11-12.



დაც ნათქვამია: „აჭარისტანის ასსრ საბჭოთა ყრილობის და ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში შედის საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის ყველა საკითხი, მაგალითად, ა) დამტკიცება, შეცვლა და დამატება ავტონომიური აჭარისტანის ასსრ კონსტიტუციისა“...

სამწუხაროდ, ის ფაქტი, რომ აჭარის საბჭოების ყრილობას დამტკიცებინოს იგი, ან აჭარის ცაკ-ს—ჩვენ მიერ ჯერ კიდევ არ არის მიკვლეული. იგი სახელმწიფო არქივის შესაბამის ფონდებში არ აღმოჩნდა; ამის შესახებ არავითარი მასალა არ მოიპოვება არც აჭარის ასსრ საოლქო კომიტეტის პარტარქივში. ამაში გვარწმუნებს აჭარის ასსრ საბჭოების ყრილობათა მუშაობის შედეგებიც.

აჭარის ასსრ საბჭოების I ყრილობას (1922 წ. 10-14/I), ბუნებრივია, არ შეეძლო კონსტიტუციის მიღება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქართველოს ასსრ კონსტიტუცია ამ დროისათვის მიღებული არ იყო, ამასთანავე, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ამიერკავკასიის სფსრ და ასსრ კავშირი, აჭარის დასახელებულ კონსტიტუციაში კი გათვალისწინებულია როგორც საქართველოს ასსრ პირველი კონსტიტუცია, ისე ა/კ სფსრ-სი და ასსრ კავშირის არსებობა. აჭარის ასსრ საბჭოების პირველმა ყრილობამ განიხილა საკითხები საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანების შესახებ: ა/კ სფსრ შექმნის სამზადისის, აჭარის ასსრ რევკომის მუშაობის, აჭარის მთავრობის მიწის პოლიტიკის, განათლებისა და კოოპერაციის შესახებ. ყრილობამ 14 იანვარს იირჩია აჭარის ასსრ ცაკ-ი¹.

გაზეთ „კომუნისტი“ 1922 წლის 21 იანვრის ნომრის მოწინავეა „საბჭოთა აჭარა“; აქ შეჯამებულია აჭარის ასსრ საბჭოების პირველი ყრილობის მუშაობა და აჭარის კონსტიტუციაზე არაფერია ნათქვამი.

აჭარის ასსრ საბჭოების II ყრილობა ჩატარდა 1922 წლის 3-5 დეკემბერს. ყრილობაზე განიხილეს ა/კ სფსრ-სი და ასსრ კავშირის შექმნის საკითხი. ყრილობამ მოითხოვა აჭარის ასსრ სახალხო კომისარიატების რეორგანიზაცია და დაადგინა, რომ გაუქმდეს შრომის, სასურსათო საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარიატები და მუშათა და გლეხთა ინსპექცია. ყრილობამ მოითხოვა ამ სახალხო კომისარიატების ნაცვლად დაინიშნონ რწმუნებულები ან შეიქმნას განყოფილებები. რწმუნებულის ან განყოფილების გამგის კანდიდატურა დასამტკიცებლად ცენტრში უნდა წარედგინა აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ამავე დროს, ყრილობამ მოითხოვა აჭარის ასსრ-ში შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედების, იუსტიციის, ჯანმრთელობის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების არსებობა. რეზოლუციის მე-5 მუხლში ამ საკითხთან დაკავშირებით ჩაწერილია, რომ „დასახელებული კომისარიატების დატოვება ცენტრალმასკომისა და სახკომსაბჭოს განმგებლობაში შექმნის თვითმოქმედების ხელსაყრელ პირობებს ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ფართო ეროვნულ-კულტურული განვითარებისათვის“².

¹ იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 15, 1922 წ. 19 იანვარი; № 16, 1922 წ. 21 იანვარი. აჭარის ასსრ საბჭოების პირველი ყრილობის მასალები იხ. Съезды Советов в документах 1917—1936, 1960, გვ. 445-451.

² აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი 16, არქივი 15, სრულიად აჭარისტანის საბჭოების მეორე ყრილობა, გვ. 20. იხ. აგრეთვე Съезды Советов в документах 1917-1936, 1960, გვ. 451-452.



აჭარის ასსრ საბჭოების II ყრილობაზე აჭარის ასსრ კონსტიტუციის პროექტის განხილვა-დამტკიცების შესახებ საკითხი არ დასმულა.

უფრო მოსალოდნელია, რომ აჭარის ასსრ კონსტიტუცია დაემტკიცებინა აჭარის ასსრ საბჭოების III ყრილობას, რომელიც ჩატარდა 1923 წლის 24-29 იანვარს. ყრილობაზე მოისმინეს აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, აგრეთვე ცალკეული სახალხო კომისარიატების ანგარიშები; აჭარის ასსრ კონსტიტუციის შესახებ კი ყრილობაზე არაფერი არ თქმულა.

ყრილობის გახსნის დღეს გაზეთში „Трудовой Батум“ გამოქვეყნდა მოწინავე წერილი—„საბჭოების მესამე ყრილობა“, რომელშიც ჩაწერილია: „Сегодня открывается 3-й съезд Советов. Год прошел с того момента когда аджарские трудовые массы заложили фундамент под советское строительство в Аджарии и через своих представителей оформили конституцию республики“¹ (ხაზი ჩვენია—გ. ე.).

ვფიქრობთ, აქ ლაპარაკია სახელმწიფოს მატერიალურ და არა იურიდიულ კონსტიტუციაზე.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოცემულ მასალებში ერთგვარი წინააღმდეგობაა. 1923 წელს გამოქვეყნებულ საკანონმდებლო დოკუმენტებში მოხსენიებულია აჭარის ასსრ კონსტიტუცია, არქივში დაცულია თითქმის სრულყოფილად შედგენილი ასეთი კონსტიტუცია, მაგრამ იგი არც გამოქვეყნებულა და არც მისი დამტკიცების შესახებ მოგვეპოვება რაიმე ცნობა.


ცნობილია, რომ სანამ სსრ კავშირის პირველ კონსტიტუციას დაამტკიცებდა სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობა (1924 წ. 31/I), იგი დაამტკიცა სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1923 წლის 6 ივლისს და ამ დღიდან კონსტიტუცია ძალაში ითვლებოდა. ასევე, საქართველოს სსრ მეორე კონსტიტუციის დამტკიცებამდე საქართველოს სსრ საბჭოების IV ყრილობაზე, იგი 1926 წლის 5 ივლისს დაამტკიცა საქართველოს მესამე მოწვევის ცაკ-ის მესამე სესიამ და ა. შ. აქედან გამომდინარე, თუ აჭარის ასსრ საბჭოების ყრილობაზე დასამტკიცებლად არ გაუტანიათ აჭარის ასსრ კონსტიტუციის პროექტი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი დაამტკიცა აჭარის ასსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და ამის გამო საკანონმდებლო ორგანოები უფლებამოსილი იყვნენ დამყარებოდნენ ასეთ კონსტიტუციას. სამწუხაროდ, აჭარის ასსრ კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ არც აჭარის ასსრ ცაკ-ის მასალებშია რაიმე დოკუმენტი.

ამრიგად, „ავტონომიური აჭარისტანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია“, როგორც დოკუმენტი, დაცულია თბილისისა და ბათუმის არქივებში, მაგრამ მისი დამტკიცების თარიღი და დამამტკიცებელი ორგანოს დადგენა შეუძლებელი ხდება.

როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენ ფაქტების თანმიმდევრულად გადმოცემის პრინციპს ვიცავთ.

აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს ანგარიშში ვკითხულობთ: „მუშათა და გლეხთა

¹ „Трудовой Батум“ № 16 (641), 1923, 24/I (ცნობები აჭარის ასსრ საბჭოების I, II, III, IV, V ყრილობათა შესახებ მოცემული აქვს ლ. დავითაძეს ნაშრომში „საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯები აჭარაში“, იხ. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აჭარაში, 1958 წ., გვ. 96-98.



ხელისუფლების აღმასრულებელმა ორგანომ, აჭარისტანის სახკომსაბჭომ, მიმდინარე (1924, — გ. ე.) წელს გადაუდებლად განსახორციელებლად სცნო: ... ე) აჭარისტანის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება. სასამართლოების ტიპის შესწავლა¹.

არქივში ვხვდებით აგრეთვე ამავე პერიოდის შემდეგ დოკუმენტს:

„სახკომსაბჭოს იურისკონსულტს ამხ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს .

ცენტრალმასკომის თავმჯდომარის ამხ. ო. მოწყობილის დავალებით, ამასთანავე გაცნობებთ, რომ იქნას თქვენს მიერ შედგენილი პროექტი აჭარისტანის რესპუბლიკის კონსტიტუციისა რაც შეიძლება დაჩქარებით.

ცენტრალმასკომის საქმეთა მმართველი (დავლიანიძე)

საქმის მწარმოებელი (ჩხატარაშვილი).

8/X—1924 წ. № 43/1749²

საკითხავია, თუ 1923 წელს აჭარის ასსრ-ს გააჩნდა თავისი კონსტიტუცია, რაღა საჭირო იყო 1924 წელს მისი პროექტის შემუშავება?

1925 წელს აჭარაში მუშაობდა საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს კომისია (7 კაცის შემადგენლობით) აჭარის ასსრ-ს საკითხებზე. მისი პირველი სხდომა შედგა 1925 წლის 31 ოქტომბერს. ამ სხდომაზე მოისმინეს მოხსენება „აჭარის ასსრ კონსტიტუციის შესახებ“. დადგენილებაში ჩაწერილია: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ აჭარის ასსრ საქართველოს სსრ-ს შემადგენელი ავტონომიური ნაწილია, საჭიროდ ჩაითვალოს აჭარის ასსრ კონსტიტუციის შემუშავება საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე.

დაევალოს აჭარის ასსრ ცაკ-ს სასწრაფოდ შეიმუშაოს კონსტიტუციის პროექტი და დასამტკიცებლად წარმოადგინოს საქართველოს სსრ ცაკ-ში. აჭარის ასსრ კონსტიტუცია გატანილ იქნას აჭარის საბჭოების მომავალ ყრილობაზე³.

იმავე წლის 23 ნოემბერს აჭარის ასსრ საოლქო კომიტეტის პლენუმზე (ოქმი № 1) მოისმინეს საკითხი „აჭარის ასსრ კონსტიტუციის შესახებ“. პლენუმმა საჭიროდ ცნო აჭარის ასსრ კონსტიტუციის შემუშავება. დადგენილებაში ჩაწერილია: „შედგეს კომისია ხ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, წევრებით: ჩხიკვაძე-სვირსკი, ხვედელიძე, ბრეგაძე და მოწყობილი. კომისიამ მუშაობის დამთავრების შემდეგ მოახსენოს პრეზიდიუმს“⁴.

საოლქო კომიტეტის დადგენილების სარეალიზაციოდ 1925 წლის 25 ნოემბერს ჩატარდა აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზი-

¹ აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს ანგარიში, 1921-1924 წ. წ., 1925 წ., გვ. 8-9 (იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა № F3-2240). იხ. აგრეთვე აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. P-2, ს. 167, აღწერილობა 1, ფურც. 7-8.

² აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 4, ს. 70, ფურც. 11.

³ აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 16 (P-4), არქივი 107, აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, საერთო განყოფილება, ფურც. 3.

⁴ საქართველოს კომპარტიის აჭარის ასსრ საოლქო კომიტეტის პარტარქივი, ფ. 1, აღწერილობა 1, ს. 495, ფურც. 25 (იგივე დოკუმენტი იხ. აჭარის ასსრ სახელმწ. არქივი, ფ. 16, არქივი 107, ფ. 4).

დიუმის სხდომა (ოქმი № 19), სადაც მოისმინეს „აჭარისტანის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ“ (მომხს. გარაყანიძე). დადგენილებაში ჩაწერილია: „აჭარის ასსრ კონსტიტუციის შემუშავებისათვის შედგეს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ხ. ლორთქიფანიძის (სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) თავმჯდომარეობით. წევრები: ჩხიკვაძე-სვირსკი (პარტკომის ინსტრუქტორი), 2. ხვედელიძე (პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მდივანი), 3. ბრეგაძე (შინსახკომი), 4. მოწყობილი (ჯანსახკომი). კომისიის მოწვევა დაევალოს ლორთქიფანიძეს“¹.

იგულისხმება, რომ კომისია შეუდგებოდა მუშაობას.

1926 წლის 1 თებერვალს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ კონსტიტუციის პროექტი დაუგზავნა საკონსტიტუციო კომისიის წევრებსა და პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ პირთ:

„აჭარის პარტკომის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. თ. ჟღენტს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ხ. ლორთქიფანიძის დავალებით, ამასთანავე ერთად გაახლებთ ავტონომიური აჭარისტანის კონსტიტუციის პროექტის რუსულ-ქართულ ტექსტს გასაცნობად და საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის მიერ გამოცემულ დეკრეტს № 54-ის ასლს.

დანართი ხსენებული,

საქმის მმართველი გარაყანიძე“².

იმავე დღეს 3018 ნომრით ანალოგიური მიმართვა ეგზავნება აჭარის ცაკ-ის თავმჯდომარეს — მ. სურმანიძეს, აგრეთვე საკონსტიტუციო კომისიის წევრთ: თ. მოწყობილს, ხვედელიძეს, ჩხიკვაძე-სვირსკის და ბრეგაძეს³, საკონსტიტუციო კომისიის წევრთ ეგზავნებათ მხოლოდ კონსტიტუციის პროექტი.

1926 წლის 31 მარტს შედგა აჭარის ასსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის სხდომა (ოქმი № 2). სხდომაზე განიხილეს საკითხი აჭარის ასსრ სახელმწიფო დროშის პროექტის შესახებ. დადგენილებაში ჩაწერილია: „გადაეცეს აჭარისტანის კონსტიტუციის გამომმუშავებელ კომისიას, რომელმაც კონსტიტუციასთან შეფარდებით წარმოადგინოს ღერბისა და დროშის პროექტი შემდეგ სხდომაზე“⁴.

ეს იმას ნიშნავს, რომ 1926 წლის მარტის ბოლოსათვის აჭარის ასსრ კონსტიტუციის პროექტი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ ყოფილა დაზუსტებული, საკონსტიტუციო კომისია კი განაგრძობდა მუშაობას.

ჩვენ ზემოთ შევეხეთ აჭარის ასსრ საბჭოების I, II და III ყრილობათა მუშაობას.

აჭარის ასსრ საბჭოების IV ყრილობა ჩატარდა 1924 წლის მარტში, V ყრილობა — 1925 წლის 23-28 მარტს, ხოლო VI ყრილობა — 1926 წლის 18-20 მარტს. ამრიგად, საბჭოების VI ყრილობამ მუშაობა დაამთავრა 1926 წლის 20 მარტს, ხოლო იმავე წლის 31 მარტს აჭარის ცაკ-ის პრეზიდიუმმა ახალი დავა-

¹ აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 16, არქივი 107, ფ. 1.

² აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. P-2, აღწერილობა — I, ს. 536, ფურც. 2.

³ იქვე, ფურც. 1-4 (დაგზავნილი კონსტიტუციის პროექტის ასლები ქართულ და რუსულ ვარიანტში ინახება ამავე ფონდში, ფურც. 5-18).

⁴ აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 16 (P-4), ს. 145, ფურც. 1.



ლება მისცა საკონსტიტუციო კომისიას. მაშასადამე, პროექტის შედგენის შემასხვევაში მისი დამტკიცება მოუწევდა აჭარის ასსრ VII ყრილობას.

აჭარის ასსრ არქივში აღმოჩნდა აჭარის ასსრ კონსტიტუციის პროექტის რუსული ეგზემპლარი — „Основной закон (Конституция) Автономной Социалистической Советской Республики Аджаристана. Проект, 15-го января 1927 года“, რომელიც გათვალისწინებული იყო აჭარის ასსრ საბჭოების VII ყრილობაზე გასატანად. კონსტიტუციის პროექტი შედგება 6 თავისა და 104 მუხლისგან.

დასახელებული პროექტის პირველ მუხლში ჩაწერილია, რომ აჭარის ასსრ კონსტიტუცია მიღებულია აჭარის ასსრ საბჭოების VII ყრილობის მიერ საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლის საფუძველზე, გამომდინარე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად აღიარებული პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპებიდან, იგი თავის ამოცანად ისახავს გარანტირებული გახადოს ეს დიქტატურა, საბოლოოდ დათრგუნულ იქნეს ბურჟუაზია, მოსპობილ იქნეს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და აგებულ იქნეს კომუნინიზმი, რომლის დროსაც აღარ იარსებებს არც კლასებად დაყოფა, არც სახელმწიფო ხელისუფლება.

საქართველოს სსრ მეორე კონსტიტუციის 75-ე მუხლში ჩაწერილია, რომ „ავტონომიური სს რესპუბლიკების კონსტიტუციებს... მიიღებენ მათი საბჭოთა ყრილობანი, დასამტკიცებლად წარუდგენენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო საბოლოოდ დასამტკიცებლად — სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ მეორე კონსტიტუცია დამტკიცებულ იქნა 1927 წლის 4 აპრილს, აჭარის ასსრ კონსტიტუციის პროექტი კი დათარიღებული იყო 1927 წლის 15 იანვრით. საქართველოს სსრ მეორე კონსტიტუცია დაამტკიცა საქართველოს ცაკ-მა 1926 წლის ივლისში, ამიტომ აჭარის კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისას საფსებით შესაძლებელი იყო საფუძვლად აედოთ საქართველოს სსრ დასახელებული (მეორე) კონსტიტუცია.

აჭარის ასსრ დასახელებული კონსტიტუციის პროექტი საფსებით სწორად ითვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკის ადგილს მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და მისი მეშვეობით ამიერკავკასიის სფსრ-სა და სსრ კავშირში. პროექტი აკანონებს საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოთა სისტემას, ამ ორგანოთა შექმნის წესსა და ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ ორგანოთა უფლებრივ მდგომარეობას¹.

დასახელებული კონსტიტუციის პროექტი სამ ეგზემპლარად მოითხოვა ამიერკავკასიის ცაკ-მა.

აჭარის ასსრ საბჭოების VII ყრილობა შედგა 1927 წლის 18-22 მარტს. ყრილობაზე 6 საკითხი იქნა განხილული, მაგრამ აჭარის ასსრ კონსტიტუციის პროექტი დასამტკიცებლად არ გაუტანიათ². ეს პროექტი არც სხვა ორგანოს

¹ აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 16, P-4, ს. 348, გვ. 12-24.

² ვაზ. „საბჭოთა აჭარისტანია“ № 66 (1646), 1947 წ., 25 მარტი; იხ. აგრეთვე, აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 4, ს. 237, ფ. 3.

(ცაკ-ისა ან მისი პრეზიდიუმის) მიერ არის განხილულა და დამტკიცებულია. საინტერესოა თვით ფაქტი: აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მეშვეობით 1925 წლის ნოემბერს საკონსტიტუციო კომისია გამოიყო, კომისიამ გარკვეული მუშაობა გასწია და კონსტიტუციის პროექტიც შემუშავებულ იქნა. 1926 წლის 1 თებერვალს იგი დაეგზავნა საკონსტიტუციო კომისიის წევრთ და აჭარის ასსრ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს; ამავე დროს, ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციების შემუშავება საქიროდ იყო ცნობილი საქართველოს სსრ მეორე (1927 წ.) კონსტიტუციითაც (მუხლი 75), საკონსტიტუციო კომისიამ მუშაობა შემიღვევიც განაგრძო, კონსტიტუციის პროექტი სრულყოფილად იქნა შემუშავებული, ოფიციალურად აღიარებული იყო, რომ იგი უნდა გატანილიყო დასამტკიცებლად აჭარის ასსრ საბჭოების VII ყრილობაზე, ამის შესახებ ჩაწერილია 1927 წლის 15 იანვრით დათარიღებული კონსტიტუციის პროექტის პირველ მუხლშიც. მართლაც, VII ყრილობის მუშაობა ნორმალურად ჩატარდა, კონსტიტუციის პროექტი კი, მიუხედავად მთელი რიგი ჩატარებული დონისძიებებისა, როგორც ზემოთ ითქვა, მაინც არ გაუტანიათ დასამტკიცებლად. არ ჩანს, თუ რამ შეუშალა ამას ხელი.

აჭარის ასსრ საბჭოების VII ყრილობის მუშაობაზე დაწვრილებითი მასალები გამოქვეყნებულია გაზეთ „ფუნარაში“ 1927 წლის 20-25 მარტს. 26 მარტს № 67 (1647) კი იგივე გაზეთის მოწინავედ დაბეჭდილია „რა სთქვა აჭარისტანის საბჭოთა მეშვიდე ყრილობამ“, მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი აჭარის კონსტიტუციის განხილვა-დამტკიცებაზე.

იმავე პერიოდში (1927 წ. მარტში) აჭარის სახკომსაბჭომ დაამტკიცა დებულება აჭარის ასსრ მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის შესახებ (იგი შედგებოდა 67 მუხლისგან) ¹; 1927 წლის 31 დეკემბერს აჭარის ასსრ ცაკ-მა მიიღო № 18 დადგენილება — „1928 წელს აჭარის საბჭოების არჩევნების და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ“, ამის საფუძველზე კი შემუშავებულ იქნა ცირკულარი № 1 „საბჭოთა არჩევნების შესახებ“ ², მაგრამ არც დებულებაში, არც დადგენილებაში და ცირკულარში და არც სხვა რაიმე საკანონმდებლო აქტში აჭარის ასსრ კონსტიტუციაზე მითითება არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში აჭარის ასსრ-ს არ ჰქონდა თავისი კონსტიტუცია.

საგულისხმოა, რომ აჭარის ასსრ-ს, მიუხედავად თავისი კონსტიტუციის უქონლობისა, 1928 წლის 1 მაისამდე გააჩნდა ავტონომიური მნიშვნელობის კოდექსები.

საქართველოს სსრ კოდექსები, რომლებიც 1922-1923 წლებში გამოქვეყნდა, სავალდებულო იყო საქართველოში შემავალი აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი ერთეულებისათვის. აჭარის ასსრ მაშინდელმა ხელმძღვანელობამ კი, როგორც ჩანს, ეს არ მიიჩნია საქიროდ. ამასთან დაკავშირებით 1926 წლის 30 ივნისს საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმმა გამოყო სპეციალური კომისია „აჭარის ასსრ სასამართლო ორგანოების საქმიანობის გაცნობის შესახებ“. კომისიის გამორკვევის შედეგებში აღნიშნულია, რომ აჭარის ასსრ-მ გადააჭარბა უფლებებს, გადაბეჭდა საქართველოს სსრ კოდექს-

¹ აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 4, ს. 149, ფურც. 18-25.

² იქვე, ფ. 4, ს. 280, ფურც. 59.



სები, შეიტანა მასში თავისი შენიშვნები და საქართველოს ცაკ-თან ერთად გამოაქვეყნა, როგორც აჭარის ასსრ კოდექსები¹.

1928 წლის 3 აგვისტოს აჭარის ცაკ-ის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „დაწესებულებათჳ, ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბაირალით სარგებლობის წესის შესახებ“, ამით ფაქტიურად აღიარებულ იქნა, რომ აჭარის ასსრ დროშა არის საქართველოს სსრ დროშა². ამ დროისათვის აჭარის ასსრ-ს რომ კონსტიტუცია ჰქონოდა, აჭარის ცაკ-ის პრეზიდიუმს აღარ დასჭირდებოდა აღნიშნული დადგენილების მიღება, რადგან სახელმწიფო დროშის, ისევე როგორც სახელმწიფო გერბის საკითხი კონსტიტუციური მნიშვნელობისაა და იგი აჭარის ასსრ კონსტიტუციაში იქნებოდა შეტანილი.

აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივში დაცულია საქმე წარწერით — „კონსტიტუციის პროექტი“. მასში ორი პროექტია მოთავსებული, ერთს აწერია 1927 წლის 15 იანვარი, რაზეც ჩვენ ზემოთ შევჩერდით, ხოლო მეორე დათარიღებულია 1930 წლის თებერვლით. ორიოდ სიტყვით შევვხვით ამ უკანასკნელსაც.

რომელმაც კომისიამ შეიმუშავა ეს პროექტი და რომელი ორგანოს დავალებით, ეს არ ჩანს. კონსტიტუციის პროექტის ტექსტი მანქანაზე დაბეჭდილია რუსულ ენაზე, მას ზედ ერთვის მიმართვა ამიერკავკასიის ცაკ-ის სამდივნოს სახელზე № 1211, ს-85 და დათარიღებულია 1930 წლის 22 თებერვლით. მიმართვაში ჩაწერილია, რომ „...Проект этот не подвергался рассмотрению и не был утвержден правительством Аджаристана“.

პროექტი შედგება 6 თავისა და 83 მუხლისგან, ემყარება საქართველოს სსრ მეორე კონსტიტუციას, აგრეთვე ა/კ სფსრ და სსრ კავშირის კონსტიტუციებს. პროექტი ითვალისწინებს პროლეტარიატის დიქტატურის ყველა პრინციპს³.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ აჭარის ასსრ საბჭოების მუშაობა VII ყრილობის ჩათვლით. VIII ყრილობა ჩატარდა 1929 წლის 4-9 აპრილს. დღის წესრიგში საკითხი კონსტიტუციის პროექტის განხილვა-დამტკიცების შესახებ შეტანილი არ ყოფილა⁴.

აჭარის ასსრ საბჭოების IX ყრილობა ჩატარდა 1930 წლის 18-22 მარტს⁵, X ყრილობა 1931 წლის 7-12 თებერვალს⁶, XI ყრილობა კი — 1935 წლის 5-7 იანვარს⁷, არც ერთ ამ ყრილობაზე კონსტიტუციის პროექტი არ განუხილავთ, არ დაუმტკიცებიათ.

ჩვენ განვიხილეთ აჭარის ასსრ კონსტიტუციის სამი პროექტი — 1923, 1927 და 1930 წლებისა. ყოველ მათგანში ნათქვამია, რომ აჭარის ასსრ კონსტიტუციის დამტკიცება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეუძლია მხოლოდ აჭარის ასსრ საბჭოების ყრილობას. აჭარის ასსრ საბჭოების I ყრილობა

¹ აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 4, აღწერილობა 1, ს. 255, ფურც. 16-22.

² იქვე, ფ. 4, ს. 264, ფ. 3, 11.

³ აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 16 (P-4), არქივი 348, საქმე 85.

⁴ აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 16 (P-4). არქივი 334, ფურც. 5. (იქვე, ფონდი 4, ს. 327, ფურც. 1-40).

⁵ იქვე, P-2, არქივი 839, ფურც. 1-2.

⁶ იქვე, ფ. 16 (P-4), არქივი 549 (აჭარის ასსრ საბჭოების X ყრილობა).

⁷ იქვე, არქივი 806 (აჭარის ასსრ XI ყრილობის მასალები).

ბიდან დაწყებული XI ყრილობის ჩათვლით, მასალები გულდასმით შევისწავლეთ და დავრწმუნდით, რომ არც ერთ მათგანში არა თუ აჭარის კონსტიტუციის დამტკიცების, არამედ აჭარის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის არც ერთი შემთხვევაც კი არ არის განხილული. აჭარის ასსრ კონსტიტუცია რომ მიღებული ყოფილიყო, აჭარის ასსრ საბჭოების რომელიმე ყრილობაზე უსათუოდ საჭირო გახდებოდა მასში ცვლილებათა შეტანა, ის ფაქტი, რომ ასეთი ცვლილებების შეტანის არც ერთ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი, ავრთვევ იმის დამადასტურებელია, რომ აჭარის ასსრ-ს 1937 წლამდე არ ჰქონდა თავისი კონსტიტუცია.

ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, რომ 1937 წლის კონსტიტუციის დამტკიცებისას, აჭარის ასსრ საბჭოების საგანგებო XII ყრილობაზე კონსტიტუციის პროექტის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. რ. ჯინჯარაძემ განაცხადა: „აჭარის ასსრ არსებობის მანძილზე ეს პირველი კონსტიტუცია არის, რომელიც მიღებული იქნება მე-12 ყრილობაზე“¹. მიუხედავად დიდი მონდომებისა, დღემდე შეუძლებელი გახდა ამ დებულების საწინააღმდეგო ფაქტების დადგენა, ამიტომ ჩვენც ამავე აზრს ვიცავთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ფრიად საყურადღებო ნაშრომი აჭარის შესახებ—„აჭარის ბიბლიოგრაფია“, შედგენილი ხარიტონ ახვლედიანის მიერ 1951 წ.

ბიბლიოგრაფიაში 3897-ე ნომრით ჩაწერილია: „კონსტიტუცია (ქართულ ენაზე). აჭარის უმაღლესი საბჭო (ბათუმი, 1935 წ., 1000 ტირ.)“, ხოლო 2385-ე ნომრით კი — «Конституция (Основной Закон) Аджарской Советской Республики, г. Батуми, 1936 г., стр. 24, цена 40 к., тираж 1000».

ამ ჩანაწერებმა დაბადეს ეჭვი: თუ 1935 წელს ქართულად, ხოლო 1936 წელს რუსულად გამოიცა აჭარის ასსრ კონსტიტუცია, ეს იმას ნიშნავს, რომ 1937 წლის 25 ოქტომბრის კონსტიტუციამდე აჭარის ასსრ-ს ჰქონია სხვა კონსტიტუცია. მაგრამ ასეთი კონსტიტუცია ვერც ქართულად და ვერც რუსულად ვერ აღმოვაჩინეთ, იმიტომ, რომ თურმე ასეთი კონსტიტუცია არც კი არსებობს.

მაშინ ჩვენ, საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილის ამხ. ს. მაღლაკელიძის დახმარებით, წერილობით მივმართეთ ამხ. ხ. ახვლედიანს, რათა გავრკვეულიყავით „აჭარის ბიბლიოგრაფიაში“ მოცემულ ცნობებში. 1951 წლის 27 სექტემბერს აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ამხ. ხ. ახვლედიანი ოფიციალურ მომართვას (№ 273) აგზავნის ამხ. ს. მაღლაკელიძის სახელზე, რომელშიც იტყობინება: „რაც შეეხება ჩემს ბიბლიოგრაფიას, მოცემული ცნობები კონსტიტუციის შესახებ არ არის სწორი ქართული 3897, რუსული 2385, იმის გამო, რომ სტამბაში კორექტორებმა წელი შეცდომით აღნიშნეს“...².

¹ აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 16 (P-4), 909, ფურც. 111.

² აღნიშნული მომართვა ჩემთან ინახება. ვსარგებლობ რა შემთხვევით, მაღლობით მიწამოვიხსენიო ამხანაგები: ს. მაღლაკელიძე და ხ. ახვლედიანი, რომლებიც დიდი მონდომებით შეეცადნენ გაეწიათ ჩემთვის დახმარება ამ შრომასთან დაკავშირებული საკითხების მიკვლევაში.



ეს ფაქტიც იგივეს ასაბუთებს; აჭარის ასსრ-ს მოქმედ (1937 წელს) კონსტიტუციამდე სხვა კონსტიტუცია არ ჰქონია, თუმცა ასეთის შექმნას იქ რამოდენიმეჯერ ცდილან.

სახელმწიფო სამართლის კათედრა

(რედაქციას მოუვიდა 5. 1. 1964 წ.)

Г. А. ЕРЕМОВ

О РАЗРАБОТКЕ КОНСТИТУЦИИ АДЖАРСКОЙ АССР

(Резюме)

В информационном сообщении об утверждении действующей Конституции (1937 г.) Аджарской АССР было сказано, что Чрезвычайным XII съездом Советов Аджарской АССР «принята новая Конституция Аджарской АССР».¹ Логически это значит, что в Аджарской АССР до 1937 г. существовала другая (первая) конституция. В действительности же материалы съездов Советов и ЦИК-а Аджарской АССР, а также архивные материалы, показывают, что до 1937 года в Аджарской АССР не было утвержденной и опубликованной Конституции.

В государственном архиве Аджарской АССР и в архиве грузинского филиала Института марксизма-ленинизма нами обнаружено несколько проектов Конституции Аджарской АССР, обсуждение которых было предусмотрено на съездах Советов. Но в стенографических отчетах съездов об этом ничего не сказано.

В упомянутых архивах нами обнаружен документ — «Конституция Советской Автономной Социалистической Республики Аджаристана». Ее грузинский текст (в Батуми) и русский текст (в Тбилиси). Оба текста отпечатаны на пишущей машинке. На документе не указано когда и какой орган его утвердил, но он, как видно из подписи, представляет собой не «Проект Конституции», а «Конституцию». На экземпляре, хранившемся в государственном архиве Аджарской АССР, простым карандашом сделана надпись — «1-№ 62».

Названная «Конституция» состоит из 8 глав и 51 статьи.² Эта Конституция представляет собой совершенно отшлифованный документ советского типа, она, бесспорно, предусматривает принципы первой Конституции ГССР (1922 г.). Характерно, что второй главой этой Конституции Аджарской АССР является глава «О взаимоотношениях Автономной Советской Социалистической Республики Аджаристана с СССР и ЗСФСР». Это значит, что ко времени составления текста этой конституции были созданы и ЗСФСР (13. XII-1922 г.) и СССР (30. XII-1922 г.).

¹ См. газ. «Сабчота Аджара», 1937 г., 26. X, № 246 (4849) (на груз. языке), БСЭ, т. 1, Аджарская АССР, стр. 403.

² Государственный архив Аджарской АССР, ф. р-2, д. 647, л. 62, Партархив грузинского филиала Института марксизма-ленинизма, ф. 14, д. 1013, лл. 1-4.

В государственном архиве Аджарской АССР нами также найден русский текст проекта Конституции Аджарской АССР — «Основной закон (Конституция) Автономной Советской Социалистической Республики Аджаристана, 15 января 1927 года», рассмотрение которого было предусмотрено на VII съезде Советов Аджарской АССР. Проект Конституции состоит из 6 глав и 104 статей.¹

И, наконец, в государственном архиве Аджарской АССР хранится проект Конституции Аджарии, датированный февралем 1930 г. Текст проекта Конституции отпечатан на пишущей машинке на русском языке. К нему прилагается обращение на имя Секретариата ЦИК-а ЗСФСР № 1211, с-85 от 22 февраля 1930 г. В обращении говорится, что «... проект этот не подвергался рассмотрению и не был утвержден правительством Аджаристана».

Проект состоит из 6 глав и 83 статей, он основывается на Конституции ГССР, ЗСФСР и СССР. Проект предусматривает все принципы диктатуры пролетариата.²

Таким образом, налицо три проекта Конституции Аджарской АССР (1923 г., 1927 и 1930 гг.), ни один из которых не был утвержден соответствующими высшими органами и не вошел в силу. Отсюда именно и следует, что Конституция Аджарской АССР 1937 года является первой Конституцией Советской Аджарии.

¹ Государственный архив Аджарской АССР, ф. 16, (Р-4), д. 348, лл. 12-24.

² Государственный архив Аджарской АССР, ф. 16, (Р-4), архив 348, дело 85.

ბ. ხარაზიშვილი

საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გახსნის მეთოდოლოგია

საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა გათვალისწინებულია როგორც სამართლებრივი, ისე მორალის ნორმებით. არ იწვევს დავას ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი უშიშროების შესახებ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის პირობით. საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება თავის მხრივ, რა თქმა უნდა, გულისხმობს საზოგადოებრივ უშიშროებასაც. სწორედ ამიტომ სისხლის სამართლის მეცნიერება და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედობებს ერთ ჯგუფში ათავსებენ და ურთიერთთან ორგანულ კავშირში განიხილავენ. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ დანაშაულთა ადგილი სხვა დანაშაულთა სისტემაში დღემდე სადავოა (როგორც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის, ისე ცალკეული კრიმინალისტების ნაშრომების მიხედვით). მაგალითად, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მეთავე თავში საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გვერდით განხილულია აგრეთვე მოსახლეობის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და სხვ. სამართლიანად მიგვაჩნია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია, როდესაც იგი მკვლელობის ან სხეულის მძიმე დაზიანების მუქარას განიხილავს იმ თავში, სადაც განხილულია პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გახსნის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ხულიგნობას, აზარტულ თამაშს, ელექტროტრანსპორტისა და ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობის უშიშროებისა და ექსპლოატაციის, სამშენებლო და სამთო სამუშაოთა წარმოების წესების დარღვევას და სხვა მძიმე დანაშაულს.

ხულიგნობა, როგორც ცნობილია, ისეთ მოქმედებას წარმოადგენს, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას გამოხატავს (საქ. სსრ სსკ 228 მუხ.).

ხულიგნობის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზს უმთავრე-



სად წარმოადგენს მოქალაქის (დაზარალებულის) განცხადება ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულებისა და თანამდებობის პირის მიერ მოწოდებული ცნობა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საბაზითაც მოხდეს საქმის აღძვრა, თუ წინასწარი შემოწმებით მოპოვებული იქნება საკმაო მონაცემები, რომლებიც დანაშაულის ნიშნებზე მიუთითებენ.

გამოძიების პროცესში უპირველეს ყოვლისა დასადგენია ამ დანაშაულის ობიექტი — საზოგადოებრივი წესრიგი. მაგრამ გამოძიების თვალსაზრისით საინტერესოა, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება საზოგადოებრივი წესრიგის დანაშაულებრივი დარღვევა, უფრო სწორად, როგორ არის ქმედობა მიმართული საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ.

საზოგადოებრივი წესრიგის ცნება, როგორც ცნობილია, მოიცავს როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი უშიშროების დაცვას; ამიტომ ხულიგნობის შემთხვევაში შესაძლებელია ობიექტის მიმართ ხელყოფა გამოიხატოს ქონებრივი ზიანის მიყენებით, ჯანმრთელობის შერყევით, დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოს ნორმალური მუშაობის მოშლით და სხვ.

რამდენადაც ხულიგნობა მხოლოდ აქტიური მოქმედებით შეიძლება გამოიხატოს, ამიტომ როდესაც ამ დანაშაულის ობიექტური მხარის დამახასიათებელ ნიშნებს შევისწავლით, საჭიროა განისაზღვროს მოქმედების ხასიათი მისი ფიზიკური გამოვლინების თვალსაზრისით; ხულიგნური მოქმედება ამ მხრივ მრავალნაირია. იგი შეიძლება გამოიხატოს ჩხუბით, ცემით, ქონების დამსხვრევა-დაზიანებით, მწვანე ნარგავების განადგურებით, ლანძღვით, ტანის მოძრაობით, მიმიკით და სხვ.

დანაშაულის ობიექტური მხარის დადგენის თვალსაზრისით, გამოძიებელმა საჭიროა გამოარკვიოს, თუ როდის და სად ჰქონდა ადგილი ხულიგნურ მოქმედებას (კლუბში, თეატრში, ქუჩაში, საერთო საცხოვრებელში და სხვ.). ხომ არ ჰქონია მას ადგილი იქ, სადაც სუბიექტს არ შეეძლო საზოგადოებისადმი უპატივცემულობის გამოხატვა; რაში გამოიხატება სახელდობრ ეს მოქმედება, რა შედეგი მოჰყვა მას. ამ უკანასკნელ გარემოებას უფრო იმეტომ უნდა ვაეცხვას ხაზი, რომ ხულიგნური მოქმედების შედეგი სხვა შემადგენლობებშიც არის გათვალისწინებული (მაგალითად, განზრახ მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით, ხულიგნური ქვენაგრძნობით სახელმწიფო და საზოგადო ქონების განადგურება ან გაფუჭება, სხულის მძიმე დაზიანება და პირადი ქონების განადგურება ან გაფუჭება).

დანაშაულის სუბიექტური მხარის დადგენის დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოების აშკარა უპატივცემულობა არის დამნაშავის ხულიგნური ქცევის მოტივი და ამავე დროს ხულიგნობის აუცილებელი ნიშანი. თუ ხულიგნობა ობიექტური მხრივ ფორმალურ დანაშაულს წარმოადგენს ე. ი. არ არის სავალდებულო რომ ქმედობას მოჰყვეს მატერიალური შედეგი, ამ დანაშაულის სუბიექტური მხარისათვის აუცილებელია საზოგადოების აშკარა უპატივცემულობის არსებობა.

გამოძიების თვალსაზრისით, დამნაშავის ქცევის მოტივთან ერთად საჭიროა დადგინდეს აგრეთვე ქცევის მიზანი, რაც ხშირად გამოიხატება „ვაჟაკობის“ გამოჩენაში, რაიმე ღონისძიების ჩაშლაში და სხვ.

ხულიგნობის შესახებ აღძრული საქმის გამოძიების დროს პირველად დაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებას წარმოადგენს: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დაზარალებულის საექიმო შემოწმება (სხეულის დაზიანების შემთხვევაში), დაზარალებულის დაკითხვა, მოწმე-მნახველების დაკითხვა, დაკითხვა მილიციის ან საზოგადოებრივი ორგანოების წარმომადგენლისა, რომლებმაც შემთხვევის ადგილზე დააკავეს ხულიგანი.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზანია უპირველეს ყოვლისა იმის გამორკვევა, თუ სახელდობრ სად ჰქონდა ადგილი დანაშაულებრივ ქმედობას. შემთხვევის ადგილზე გამომძიებელი დანაშაულის ვითარების ორიენტირებას ახდენს. დათვალიერებით შესაძლებელია აღმოჩენილ იქნეს ის ნივთიერი ნიშნები, რომლებიც დამნაშავის ან მისი მოქმედების დახასიათებისათვის გამოგვადგება. შემთხვევის ადგილის დათვალიერების მნიშვნელობა განსაკუთრებით უფრო მაშინ არის თვალსაჩინო, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირი მიმალულია. ამ შემთხვევაში დათვალიერების შედეგად ზოგჯერ შესაძლებელია გამოავლინოთ დამნაშავის მიერ დატოვებული მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო ნიშნები, თუ შემთხვევის ადგილზე არ იქნენ ისინი განადგურებულნი.

ზოგჯერ საგამომძიებლო პრაქტიკაში იმის გამო, რომ მაგალითად, ცნობილია ხოლმე საზოგადოებრივი სანახაობისა თუ საზოგადოების თავმოყრის ადგილი, აღარ მიმართავენ შემთხვევის ადგილის დათვალიერებას და კმაყოფილებიან მხოლოდ დაკავების შესახებ ოქმის შედგენით. ამ პრაქტიკის საწინააღმდეგოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაკავების ოქმში ხშირად არ ჩანს, თუ სახელდობრ რა ვითარებაში იქნა ჩამდენი ქმედობა, სახელდობრ სად იმყოფებოდა დამნაშავე, როცა ხულიგნური მოქმედება წამოიწყო და სხვა.

ხულიგნობის შემთხვევაში, ისე როგორც სხვა დანაშაულის გამოძიების დროს, შემთხვევის ადგილის დათვალიერებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ საგამომძიებლო მოქმედების ჩატარებით ჩვენ უზრუნველყოფთ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების გამოვლენასა და მათ პროცესუალურ დამაგრებას. სხვანაირად ამ ფაქტებს დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ, ვერ შევადგასებთ სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით, თუ ჩამდენად არიან ისინი დაკავშირებული საქმის სხვა გარემოებასთან, სარწმუნონი არიან თუ არა დანაშაულის შემადგენლობის დადგენისა თუ პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრისათვის.

ხულიგნობის საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებით არანაკლები მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის საექიმო შემოწმებას, როდესაც ხულიგნური მოქმედებით მიყენებული იყო სხეულის დაზიანება. ამ მოქმედების შესრულებას დაზარალებულისადმი საექიმო დახმარების აღმოჩენის გარდა ის მნიშვნელობაც აქვს, რომ მისი მეშვეობით გვიადვილდება გავარკვიოთ თვით ხულიგნური მოქმედების გამოვლინების ხასიათი. მართლაც, უმეტეს შემთხვევაში ხულიგნობის ჩამდენი პირის შლევიანობა, მისი საშიშროება სწორედ იმის მიხედვით განისაზღვრება ხოლმე, თუ როგორი დაზიანება მიაყენა მან დაზარალებულს (ან დაზარალებულებს), რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამ გარემოების გამორკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით დანაშაულის კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ გარემოებათა დადგენის თვალსაზრისით. დაზა-



რალებულის საექიმო შემოწმების გარდა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია თვით დამნაშავე პირის (ხულიგნის) საექიმო შემოწმებაც. ეს იმ დროს, როდესაც თვით დამნაშავის სხეულზეც აღინიშნება ძალადობის ნიშნები (წინააღმდეგობის გაწვევის შედეგად, როცა მას აკავებდნენ მაგალითად, და სხვ.). ამ მიმართულებით შემოწმებას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ზოგჯერ დამნაშავედ შეცდომის შედეგად იმ პირსაც მიიჩნევენ ხოლმე, რომელიც ფაქტიურად დაზარალებულს წარმოადგენს. აქ საგულისხმოა ისეთი შემთხვევა, როდესაც ხულიგნობის ჩამდენი პირი მიიმალა და აღელვებულ დაზარალებულს, რომელიც დაზიანებას მიყენების გამო ლანძღვა-გინებას მიმართავს, აკავებენ, როგორც ხულიგანს.

ხულიგნობის საქმეებთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოწმეების დაკითხვას. მოწმის სახით შეიძლება დაიკითხონ როგორც უშუალოდ დანაშაულის შემსწრენი (მნახველები), ისე ის პირები, რომლებიც იცნობენ დამნაშავის პიროვნებას მასთან სამსახურებრივი თუ სხვაგვარი ურთიერთობის გამო. მოწმეებად უნდა დაიკითხონ აგრეთვე მილიციის ან საზოგადოებრივი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებმაც შემთხვევის ადგილზე დააკავეს ხულიგანი.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ხულიგნობის საქმეებზე გამოძიების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს არა მარტო დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები, არამედ პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი გარემოებებიც. ამ მხრივ საყურადღებოა ხულიგნობის ჩადენის ობიექტური პირობები: კერძოდ, საზოგადოებრივი თავმოყრისა თუ სანახაობათა ადგილებზე წესრიგის დაცვის უქონლობა ან სისუსტე. არ უნდა იწვევდეს დავას ის გარემოება, რომ იქ, სადაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოები არ ახორციელებენ კონტროლს (უყურადღებოდ ტოვებენ ქუჩებს, თეატრებს თუ საზოგადოების თავმოყრის სხვა ადგილებს), მორალურად უწონასწორო ელემენტებში ადვილად იჩენს თავს საზოგადოებისადმი უპატივცემულობის გრძნობა და ეს უკანასკნელი მათთვის ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს. ობიექტური პირობების შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმის დადგენას, თუ რა პირობებში უხდება ცხოვრება ხულიგნობის ჩამდენ პირს, როგორ აღიზარდა იგი. ვისთან უხდება ურთიერთობა და სხვ. ისევე, როგორც სხვა დანაშაულის შემთხვევაში, ხულიგნობის მოტივი არ გამოირიცხავს მიზეზს. უფრო სწორედ მიზეზი, როგორც ობიექტური ხასიათის მოვლენა, უშუალოდ კი არ განაპირობებს ამ კონკრეტულ დანაშაულს, არამედ იგი გვევლინება, როგორც ობიექტური წინამძღვარი, რომელიც ხელს უწყობს მოტივის ფორმირებას.

თუ იმპულსურ ქცევას აღძრავს მიზეზი, რამდენადაც მოთხოვნილება ნებისყოფაზე არ არის დამოკიდებული და თვით იმპულსური ქცევაც ნებისყოფის გარეშე მიმდინარე ქცევაა, ნებისმიერი ქცევა ყოველთვის მოტივით განისაზღვრება და ამ ქცევის ობიექტური წინამძღვრები მხოლოდ პირობების როლს ასრულებენ. სწორედ ამიტომ პრაქტიკულადაც შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის ობიექტური პირობების შესწავლა პიროვნების სუბიექტური თვისებებისა, ქცევის მოტივისა და მიზნის შესწავლის გვერდით.

საქ. სსრ სსკ 255 მუხლის შესაბამისად, აზარტული თამაშისათვის ბუნაგის მოწყობა (ბანქოს, ზარისა და სხვა ამგვარი) ისჯება სისხლის სამართლის წესით. სასამართლო-საგამომძიებლო პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება ამ სახის და-

ნაშაულთა გამოვლენის შემთხვევები. არ იწვევს დავას ის გარემოებები, რომლებიც ახარტული თამაშის, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედების, სრული ლიკვიდაცია სამართლის მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ახარტული თამაშისათვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზს უფრო შესაძლებელია მოქალაქის (მოქალაქეთა) განცხადება წარმოადგენდეს. ამ კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე დიდი მნიშვნელობა აქვს სამძებრო-ოპერატიულ მოქმედებებს, სახელდობრ, ამ გზით მოწმდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძვლიანობა.

ამ დანაშაულის გამოძიებაც, როგორც წესი, შემთხვევის ადგილის დათვალიერებით უნდა დაიწყოს. შემთხვევის ადგილის დათვალიერებით უნდა დადგინდეს ახარტული თამაშის ბუნაგის მოწყობის ხასიათი. რას წარმოადგენს იგი (საცხოვრებელ ბინას, კაბინეტს, პარკს თუ სხვ.), როგორაა მოწყობილი და სხვ.

მოწმეთა დაკითხვით უნდა გადაწყდეს: როდის გახდა ცნობილი ახარტული თამაშისათვის ბუნაგის მოწყობა, როგორ გაიგეს, რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად ახარტული თამაშის მიზანი, რა შედეგი მოჰყვა ამ თამაშს, ხომ არ ატარებდა თამაში სისტემატურ ხასიათს. ამავე საკითხების დაზუსტება შეიძლება აგრეთვე ბრალდებულის დაკითხვითაც.

ახარტული თამაშის საქმეების გამოძიებისას მნიშვნელოვან საგამომძიებლო მოქმედებას წარმოადგენს აგრეთვე დამნაშავის პირადი ჩხრეკა და ჩხრეკა მისი საცხოვრებელი ბინისა, როდესაც სავარაუდოა, რომ აღმოჩენილი იქნება ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები — მოგებული ფულის სახით და სხვა. ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები შესაძლოა აღმოჩენილ იქნეს დათვალიერების პროცესშიც.

გამომძიების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: ხომ არ აქვს ადგილი მცირეწლოვანთა ან არასრულწლოვანთა ჩაბმას ახარტულ თამაშში. თუ ადგილი აქვს ახარტულ თამაშში მცირეწლოვანთა და არასრულწლოვანთა ჩაბმას, საჭიროა დადგინდეს, თუ როდის და რა გზით ჰქონდა ამას ადგილი, როგორია ახარტულ თამაშში ჩაბმულთა ცხოვრების პირობები, როგორი იყო მათი აღზრდა და სხვა.

გამომძიების თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე გარყვნილების ბუდის მოწყობა, მაჭანკლობა ანგარების მიზნით, ქალების მიზიდვა გარყვნილებისათვის და ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობა.

აღნიშნული დანაშაულიც პრაქტიკაში იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ საზოგადოებრივად მეტად საშიშია.

ამ კატეგორიის დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, როგორც წესი, წინ უსწრებს წინასწარი მასალების ოპერატიული შესწავლა და დამუშავება.

ანგარების მიზნით მაჭანკლობის გარდა, დანაშაულის ყველა ამ შემადგენლობის პრაქტიკულად გამორკვევისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს ჩხრეკა. ჩხრეკა უნდა მოხდეს როგორც გარყვნილების ბუდის მოწყობის ადგილისა, ისე ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგისა. ჩხრეკის გარდა მნიშვნელობა აქვს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას; დათვალიერების შედეგად შესაძ-



ლებელია აღმოვაჩინოთ ის საიდენტიფიკაციო ნიშნები, რომლებსაც სავარაუდოა რომ დაგვიტოვებდა ეჭვმიტანილი.

მოწმეთა დაკითხვითა და სხვა საგამომძიებლო მოქმედებების ჩატარებით უნდა დადგინდეს: როდის, სად, რა ხერხით, ვისი მონაწილეობით მოხდა გარყვნილების ბუდის მოწყობა, მაჭანკლობა ანგარების მიზნით, ქალების მიზიდვა გარყვნილებისათვის ან ნარკოტიკების მოხმარების ბუნების მოწყობა; რა შედეგი მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა ამ სახის ქმედობას (გარყვნილების ბუდის მოწყობის გამო ხომ არ ჰქონია ადგილი ვენეროული სენით დაავადების შემთხვევებს და სხვ.). მაჭანკლობის შემთხვევაში უნდა დადგინდეს ანგარების მოტივი; სახელდობრ, თუ რა სახის ფასეულობა მიიღო დამნაშავემ მაჭანკლობაში.

ცალკე ყურადღების ღირსია საკითხი, ხომ არ ჰქონდა ადგილი მცირეწლოვანთა ან არასრულწლოვანთა ჩაბმას გარყვნილებაში ან ნარკოტიკების მოხმარებაში.

საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე პორნოგრაფიული ნაწარმოებების, ნაბეჭდი გამოცემების, გამოსახულებების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვაგვარი საგნების დამზადება, გავრცელება ან რეკლამირება, აგრეთვე ვაჭრობა ამ საგნებით ან მათი შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით.

ამ კატეგორიის საქმეებზე პირვანდელ მასალას წარმოადგენს პორნოგრაფიული საგნის (საგნების) დაკაფების ფაქტი. ფადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებად ჩაითვლება ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) პირადი ჩხრეკა. ჩხრეკა უნდა ჩატარდეს აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც სავარაუდოა აღმოჩნდეს პორნოგრაფიული საგნები. მოწმეების, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაკითხვით და სხვა საგამომძიებლო მოქმედებების ჩატარებით, უნდა დადგინდეს: სად, როდის, რა პირობებში და ვისი მონაწილეობით მოხდა პორნოგრაფიული ნაწარმოებების, ნაბეჭდი გამოცემების, გამოსახულებების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვაგვარი საგნების დამზადება, გავრცელება ან რეკლამირება, აგრეთვე ვაჭრობა ამ ნივთებით, ან მათი შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ პორნოგრაფიული ხასიათის სურათების დამზადება შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა ფოტოსურათების კომბინირების წესითაც. ამ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, მაგალითად, ქალის დამცირების მოტივი, ან მისდამი სამაგიეროს მიზნად და სხვ. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივად ფოტოსურათზე „ნიშანში ამოღებული“ ქალის სახეა გამოხატული, რომელიც დაკავშირებულია ისეთ ფოტოსურათთან, სადაც ნაჩვენებია სქესობრივი აქტი ან სხვა სახის პორნოგრაფია. დაზარალებულის დაკითხვას ამ კატეგორიის საქმეებზე ის მნიშვნელობა აქვს, რომ ზოგჯერ შესაძლებელია ამ გზით მივაღწიოთ ეჭვმიტანილის დადგენას, დამნაშავეს მიერ საპორნოგრაფიოდ გამოყენებული სურათის აღმოჩენას და სხვ.

პორნოგრაფიული ხასიათის საგნების დამზადების, გასაღებისა თუ სხვა ამგვარი დანაშაულებრივი ქმედობის საქმეებზე ზოგჯერ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფიზიკური (ფოტოგრაფიული) ექსპერტიზის ჩატარებას.

გამომძიების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ელექტროტრანსპორტი-

სა და ავტო-მოტოტრანსპორტის მოძრაობის უშიშროებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევა ტრანსპორტის მუშაკის ან ისეთი პირის მიერ, რომელიც არ არის ავტო-მოტოტრანსპორტის მუშაკი, თუ ეს დარღვევა დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ქმნიდა ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზულ საფრთხეს; ქმედობა, რომელსაც მოჰყვა სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, ან მნიშვნელოვანი ქონებრივი ზარალი; ქმედობა, რომელსაც მოჰყვა სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება.

ასეთი კატეგორიის საქმეების გამოძიების დროს პირველ რიგში საჭიროა მოხდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერება. შემთხვევის ადგილის დათვალიერებით უნდა დადგინდეს, თუ როგორ მოხდა შემთხვევა, რა ობიექტური ნიშნები მოიპოვება, რომლებიც საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა გარკვევაში დაგვეხმარებინან. დათვალიერებაში სასურველია მონაწილეობას ლეზულობდეს ელექტროტრანსპორტისა და ავტო-მოტოტრანსპორტის სპეციალისტი, რომელიც დახმარებას გაუწევს გამოძიებელს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენის საქმეში (სპეციალური ცოდნის გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში). დათვალიერების ოქმის თანმიმდევრულად შედგენასთან ერთად (სტატიკური და დინამიკური სტადიების ჩვენებით), განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის დანართების სათანადოდ გაფორმებასაც. აქ იგულისხმება როგორც სასამართლო—ოპერატიული თვალსაზრისით ფოტოგადაღებების, ისე ცალკეული გეგმებისა და სქემების სათანადოდ შედგენა.

ელექტროტრანსპორტისა და ავტო-მოტოტრანსპორტის მოძრაობის უშიშროებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევის საქმეებზე პირვანდელ საგამომძიებლო მოქმედებას ეკუთვნის აგრეთვე შემთხვევის მნახველ მოწმეთა დაკითხვა. ასეთი მოწმეების წრე განისაზღვრება როგორც უშუალოდ მგზავრებით (რომლებსაც არ მიუღიათ დაზიანება), ისე შემთხვევის ადგილზე მყოფი სხვა გარეშე პირებით, რომლებსაც შეუძლიათ დაგვიდასტურონ საინტერესო გარემოებანი შემთხვევასთან დაკავშირებით. მოწმეებად შეიძლება დაიკითხონ აგრეთვე ის პირებიც, რომლებსაც თუმცა არ შეუძლიათ დაგვიდასტურონ რაიმე, შემთხვევასთან დაკავშირებით, მაგრამ შეუძლიათ მოგვაწოდონ ცნობა ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის პიროვნების შესახებ. ცხადია, ასეთი მოწმეების დაკითხვა არ წარმოადგენს გადაუღებელ საგამომძიებლო მოქმედებას.

გამომძიების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის დაკითხვასაც. უპირველეს ყოვლისა, მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულს (დაზარალებულებს) აღმოვუჩინოთ სამედიცინო დახმარება და მხოლოდ მკურნალი ექიმის თანხმობით მოხდეს მათი დაკითხვა საქმისათვის მნიშვნელოვან ძირითად საკითხებზე, თუ მათ მიღებულ აქვთ სხეულის დაზიანება (სამედიცინო დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ აგრეთვე თვით ეჭვმიტანილსაც).

ამ კატეგორიის საქმეებზე, როგორც წესი, შემდეგი სახის ექსპერტიზები ჩატარდება ხოლმე: ავტო-ტექნიკური, კრიმინალისტიკური (ტრანსოლოგიური) და სასამართლო-სამედიცინო. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ საქმის კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით საჭირო გახდეს, მაგალითად, ფსიქიატრიული თუ სხვა სახის ექსპერტიზის ჩატარებაც. ელექტროტრანსპორტისა და



ავტო-მოტოტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევის საქმეებზე გამოძიებით უნდა დადგინდეს: როდის, სად, რა ვითარებაში და ვისი მონაწილეობით ჰქონდა ადგილი შემთხვევას. წესების დარღვევა დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ქმნიდა თუ არა ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზულ საფრთხეს. რა სახის დაზიანება აქვს მიყენებული დაზარალებულს (დაზარალებულებს). ქონებრივი ზარალის შემთხვევაში რას უღრის მისი ოდენობა. ხომ არ ჰქონდა ადგილი სიკვდილს მოძრაობის უშიშროებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევის შედეგად.


გამოძიების პროცესში საჭიროა დადგინდეს აგრეთვე ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევის ხელშემწყობი პირობები.

ცალკე ყურადღების ღირსია სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს მშენებლობის, ხანძარსაწინააღმდეგო — სანიტარული წესების, აგრეთვე სამშენებლო მექანიზმების ექსპლოატაციის წესების დარღვევა, თუ მას მძიმე შედეგი (სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება) მოჰყვა.

ჩვენი სახელმწიფოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა დღის წესრიგში დგას მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აღმავლობის საკითხი, სულ უფრო და უფრო იზრდება სამშენებლო სამუშაოთა წარმოება. ამ პირობებში, თავისთავად ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისას მშენებლობის, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული წესების, სამშენებლო მექანიზმების ექსპლოატაციის წესების დაცვას. სამწუხაროდ, საგამომძიებლო პრაქტიკაში გვხვდება აღნიშნული წესების დანაშაულებრივი დარღვევების შემთხვევებიც, რაც დიდ ზიანს აყენებს როგორც სახელმწიფოს, ისე ცალკეულ მოქალაქეებსა და მათ ინტერესებს; სწორედ ამიტომ საჭიროა, რომ ასეთი კატეგორიის საქმეები რაც შეიძლება დაჩქარებით იქნეს გამოძიებული და შეიქმნას პირობები მსგავსი დანაშაულებების შემდგომი აღკვეთისათვის.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს მშენებლობის, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული წესების, სამშენებლო მექანიზმების ექსპლოატაციის წესების დარღვევის საქმეებზე გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებას წარმოადგენს შემთხვევის ადგილის დათვალიერება. შემთხვევის ადგილის დათვალიერების გარდა, საჭიროა დაკითხული იქნენ შემთხვევის მნახველი მოწმეები და ექიმის ნებართვით — დაზარალებულები (თუ დაკითხვა უარყოფითად არ იმოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე).

გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულების გარდა, შემდგომ ყურადღებას იპყრობს სხვა მოქმედებანიც. კერძოდ, მოწმის სახით შეიძლება დაიკითხონ ის თანამდებობის პირები, რომლებიც სამსახურის გამო დაკავშირებული არიან მშენებლობის, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული წესების, სამშენებლო მექანიზმების ექსპლოატაციის წესების დაცვის საქმესთან. ამ პირების დაკითხვის დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ მათი ერთობ დაუდევარი მუშაობის გამო აქვს ხოლმე ადგილი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომას. აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი გარემოება, როდესაც დანაშაულებრივი ფაქტის მიხედვით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დადგენილი კონკრეტული დამნაშავე პირი (პირები) ან როცა არ არის გამოვლენილი ყველა დამნაშავე. ამ კატეგორი-



ის საქმეების მიმართ საყურადღებოა აგრეთვე სხვადასხვა სახის ექსპერტიზების ჩატარების ორგანიზაცია. უდავოა, რომ გამოძიების პროცესში წამოიჭრება ისეთი სპეციალური საკითხები, რომელთა გადაწყვეტა გამომძიებელს არ ძალუძს მართოდენ საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულებით. ამ მხრივ აღსანიშნავია როგორც სააღმშენებლო ტექნიკის, ისე სხვა სპეციალობის მიხედვით მონაცემების გამოყენების აუცილებლობა.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს მშენებლობის, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული წესების, სამშენებლო მექანიზმების ექსპლუატაციის წესების დარღვევის საქმეებზე შესაძლებელია ჩატარებულ იქნეს შემდეგი სახის ექსპერტიზები: სამშენებლო ექსპერტიზა, სახანძრო-ტექნიკური და სანიტარული ექსპერტიზები. არ არის გამორიცხული, რომ საქმის კონკრეტული ვითარების შესაბამისად საჭირო გახდეს სასამართლო-სამედიცინო, კრიმინალისტიკური, საბუღალტრო და სხვა სახის ექსპერტიზების ჩატარებაც.

სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარებით, მაგალითად, შეიძლება დადგინდეს: სად, როდის და სახელდობრ მშენებლობისა და სამშენებლო ტექნიკური ექსპლუატაციის რომელი წესების დარღვევას ჰქონდა ადგილი. კონკრეტულად რა მიზეზებით იყო გაპირობებული ეს დარღვევები, ვის ევალებოდა წესების დაცვაზე მეთვალყურეობა თუ ზედამხედველობა, რა შედეგი მოჰყვა დარღვევას.

სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებით უნდა დადგინდეს, როგორც ხანძრის გამომწვევი უშუალო მიზეზები, ისე ხანძრის მოქმედების სიძლიერე და მისი შედეგები.

სანიტარული ექსპერტიზის მეშვეობით შესაძლებელია გავარკვიოთ სანიტარული წესების დარღვევის მიზეზები და მისი შედეგები.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას იმ შემთხვევაში მივმართავთ, როდესაც სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს მშენებლობის, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული წესების, სამშენებლო მექანიზმების ექსპლუატაციის წესების დარღვევას შედეგად მოჰყვა ადამიანის დაზარალება ან სიკვდილი. ასეთ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, თუ კონკრეტულად რით არის გამოწვეული სხეულის დაზიანება ან სიკვდილი, რა ხარისხისაა დაზიანება, სხეულის რა ნაწილზე და რით არის მიყენებული.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზებიდან შეიძლება ჩატარდეს: ტრასოლოგიური, თუ მაგალითად, საჭირო გახდა დავადგინოთ კონკრეტულად მოცემული პირის მიერ არის თუ არა დატოვებული კვალი (მაგალითად, შეეხო თუ არა იმ საგანს, რომლისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი), დოკუმენტების ტექნიკური გამოკვლევა (თუ სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს დადგენილი წესების დარღვევა დაკავშირებულია აგრეთვე დოკუმენტების გაყალბებასთან).

საბუღალტრო ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი დანაშაულის გარდა ადგილი აქვს აგრეთვე მითვისების ან გაფლანგვის შემთხვევებს, როცა ამ უკანასკნელ გარემოებათა გამორკვევისათვის საჭიროა საბუღალტრო დარგის მონაცემების გამოყენება.

არ არის გამორიცხული, რომ ზოგჯერ საქმეზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებაც მოგვიხდეს იმ შემთხვევაში, თუ საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ დაზარალებულის, ექვმიტანილის ან ბრალდებულის (ზოგჯერ მოწმის) ფსიქიკური დავადება.



გამოძიების პროცესში ყველა სახის საგამომძიებლო მოქმედების შედეგების დროს, მხედველობაში გვაქვს კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, რომლებიც დამაჯერებლად უნდა დადგინდეს; ცხადია, არ შეიძლება ამ ნიშნების დადგენის დროს შემოვიფარგლოთ ზოგადი მონაცემებით; მაგალითად, როცა დანაშაულის სუბიექტურ მხარეს ვეხებით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ სახის დანაშაული უმეტეს შემთხვევაში გაუფრთხილებლობით შეიძლება იქნეს ჩადენილი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეს დანაშაული განზრახვაც იყოს ჩადენილი და სახელდობრ პირდაპირი განზრახვითაც (მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში, როცა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს დადგენილი წესების დარღვევა გვევლინება როგორც მკვლელობის ჩადენის საშუალება).

ამ გარემოებას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ, მაგალითად, სამშენებლო მასალის ორი მეტრისა და მეტი სიმალიდან ჩამოყრას (ვთქვათ, მშენებლობის დაშვების შემდეგ) შეიძლება მოჰყვეს საზოგადოებრივად საშიში შედეგი, როგორც გაუფრთხილებელი ბრალით, ისე განზრახვით და ამასთან პირდაპირი განზრახვითაც; ასევე ითქმის ძლიერი ქარის დროს მშენებლობის შეუწყვეტლობაზე და სხვ.

გამოძიების პროცესში გამოძიებელმა გულმოდგინედ უნდა შეისწავლოს ის აქტები, რომლებითაც რეგულირდება სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს მშენებლობის, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული წესების, სამშენებლო მექანიზმების ექსპლოატაციის წესების დაცვა. ასეთ აქტებს წარმოადგენენ, მაგალითად, მანქანათმშენებლობისათვის — ტექნიკური უშიშროებისა და საწარმოო სანიტარიის წესები, რომლებიც დამტკიცებული იქნა 1958 წლის 29 სექტემბერს; სასკოლო და სასკოლო-საწარმოო სახელოსნოებისათვის — ტექნიკური უშიშროებისა და საწარმოო სანიტარიის წესები, დამტკიცებული 1959 წლის 3 ოქტომბერს და სხვა სპეციალური აქტები.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს მშენებლობის, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული წესების, სამშენებლო მექანიზმების ექსპლოატაციის წესების დარღვევის საქმეების გამოძიების ანალოგიურია საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარება ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როგორიცაა: სამთო სამუშაოთა უშიშროების დადგენილი წესების დარღვევა, თუ მას მძიმე შედეგი, სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვა; დარღვევა საწარმოო-ტექნიკური დისციპლინისა ან წესებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების უშიშროებას აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და სამქროებში, თუ იგი ჩადენილია ასეთივე დარღვევისათვის დისციპლინური სასჯელის დადების შემდეგ, იგივე ქმედობა, თუ მას აფეთქება, ხანძარი ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა; ფეთქად ან რადიოაქტიურ ნივთიერებათა შენახვის, გამოყენების, აღრიცხვის ან გადაზიდვის დადგენილი წესების დარღვევა, აგრეთვე ამ ნივთიერებათა უკანონო გადაგზავნა ფოსტით ან ბაგაჟით, თუ ამ მოქმედებას შეიძლებოდა მძიმე შედეგი მოჰყოლოდა, ან თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა. მაგრამ, თავისთავად ცხადია, გამოძიების დროს გასათვალისწინებელია ის თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებს დანაშაულის ამ შემადგენლობებს.

სისხლის სამართლის წესით მკაცრად ისჯება (ერთიდან ხუთ წლამდე) ექიმობა, რასაც პროფესიის სახით ეწევა პირი, რომელსაც არა აქვს სათანადო სამე-

დიცინო განათლება და ამას შედეგად მოჰყვება სიკვდილი, ან სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება.

ასეთი კატეგორიის დანაშაულის ფაქტის გამო, სისხლის სამართლის საქმე შესაძლებელია აღიძრას დაინტერესებული პირის განცხადებით.

პირგანდელ, ვადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებას წარმოადგენს ეჭვმიტანილის (ან ბრალდებულის) ბინის ჩხრეკა, დათვალიერება და იმ დაზარალებულების დაკითხვა, რომლებმაც ექიმობის შედეგად მიიღეს სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია დადგენილ და მოწმეების სახით დაკითხულ იქნენ ის პირებიც, რომლებიც უშუალოდ შეესწრნენ დანაშაულებრივ ქმედობას.

გამომძიებით უნდა დადგინდეს: სად, როდის, როგორ პირობებში ჰქონდა ადგილი მკურნალობას. პროფესიის სახით ეწეოდა თუ არა პირი ექიმობას და კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს. რა საერთო და სპეციალური განათლება აქვს ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს, სად და რაზე უხდებოდა მუშაობა დანაშაულის ჩადენამდე, ვინ ამარაგებდა მედიკამენტებით; თუ თვითონ ამზადებდა მედიკამენტებს — რისგან და რა პირობებში.

როგორ იქნა აღმოჩენილი, რომ მკურნალობას შედეგად მოჰყვა სიკვდილი ან სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რა დრომ განვლო მკურნალობიდან მძიმე შედეგის დადგომამდე, სად და როგორ პირობებში უხდებოდა დაზარალებულს ყოფნა მკურნალობის დღიდან მძიმე შედეგის დადგომამდე, ხომ არ შეიძლებოდა ამ შედეგის სხვა, მკურნალობის გარეშე, მიზეზით გამოწვევა. რა გამოჩენას ღებულობდა ექიმობაში პირი, რაში გამოიხატება კონკრეტულად მისი ბრალი.

ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ბინის ჩხრეკის გზით შესაძლებელია აღმოჩენილ იქნეს როგორც ექიმობისათვის გამოსაყენებელი იარაღები, ისე მედიკამენტები და მატერიალური ფასეულობა (ან ფული), რომელიც გასამრჯელოს სახით მიღებული ჰქონდა დამნაშავეს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებით გამოვარკვევთ შემთხვევის ადგილის ვითარებას, დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენის კვალს და სხვანიშნებს, რომლებიც დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობისა არიან.

დაზარალებულის დაკითხვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ გარემოებათა გამორკვევას, როგორებიცაა: როგორ მოხდა იგი პირველად სამკურნალოდ ისეთ პირთან, რომელსაც არა აქვს სათანადო სამედიცინო განათლება; ვისი რეკომენდაციით მივიდა დანიშნულ ადგილზე; სად, როგორ და რამდენჯერ ჩაუტარდა მკურნალობა; როგორ გრძნობდა თავს მკურნალობის ჩატარების შედეგად; ვისი დახმარებით მიდიოდა საექიმოდ, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თვითონ არ შეეძლო დანიშნულ ადგილზე მისვლა; რა სახის გასამრჯელო გადაუხადა და სხვ.

მოწმის სახით შეიძლება დაკითხულ იქნენ მეზობლები იქიდან, სადაც ექიმობას ეწეოდა პირი; ექიმობის დროს შემსწრენი; ის პირები, რომლებიც ადრე მკურნალობდნენ მასთან ან უნდა ემკურნალათ, მაგრამ გარკვეული მიზეზის გამო არ დაიწყეს და სხვ.

ამ კატეგორიის საქმეების მიმართ დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სახის ექსპერტიზების ჩატარებასაც. მაგალითად, აუცილებელია ჩატარდეს სასამარ-



თლო-სამედიცინო ექსპერტიზა სიკვდილის, სხეულის მიძიმე ან ნაკლებად მიძიმე დაზიანების ფაქტისა და მიზეზების დასადგენად; ფარმაცევტულ-ქიმიური გამოკვლევით უნდა დადგინდეს ექვმიტანილის ან ბრალდებულის ბინაში აღმოჩენილი მედიკამენტების დამზადების წესი და ქიმიური შემადგენლობა.

საქმის კონკრეტული შინაარსის მიხედვით შესაძლებელია საჭირო გახდეს სხვა სახის ექსპერტიზებისა და საგამომძიებლო მოქმედებების ჩატარება.

საზოგადოებრივად მეტად საშიშია ეპიდემიურ და სხვა გადამდებ დაავადებათა თავიდან აცილების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით დადგენილი სავალდებულო წესების დარღვევა, თუ ამას მოჰყვა გადამდებ დაავადებათა გავრცელება.

ამ კატეგორიის საქმეების გამოძიებით უნდა დადგინდეს: სად, როდის და სახელდობრ რაში გამოიხატება ეპიდემიური და სხვა გადამდებ დაავადებათა თავიდან აცილების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით დადგენილი სავალდებულო წესების დარღვევა, სახელდობრ ვისი მონაწილეობით ჰქონდა ადგილი ამ წესების დარღვევას, რა ბრალი მიუძღვით დამნაშავე პირებს სავალდებულო წესების დარღვევაში, სახელდობრ რომელ გადამდებ დაავადებათა გავრცელებას ჰქონდა ადგილი; რა უწყობდა ხელს სავალდებულო წესების დარღვევას, რა ზომები იქნა მიღებული შემთხვევის გამოვლინების შემდეგ ეპიდემიურ და სხვა გადამდებ დაავადებათა თავიდან აცილების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით დადგენილი სავალდებულო წესების დარღვევის სალიკვიდაციოდ.

დანაშაულის გამოძიების პროცესში საგამომძიებლო მოქმედებებს წარმოადგენენ: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დაზარალებულის (დაზარალებულების), მოწმეების, ექვმიტანილის (ექვმიტანილების) ან ბრალდებულის (ბრალდებულების) დაკითხვა, სასამართლო-სანიტარული, ქიმიურ-ბიოლოგიური და სხვა სახის ექსპერტიზებისა და საგამომძიებლო მოქმედებების ჩატარება.

საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე კულტურული ძეგლების, ან სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განზრახ განადგურება, დანგრევა და დაზიანება.

სათანადო ორგანოების მიერ მიღებული სპეციალური დადგენილების შესაბამისად, სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლები, რომელთაც აქვთ მეცნიერული, ისტორიული ან მხატვრული მნიშვნელობა, წარმოადგენს ხელშეუხებელ საერთო სახალხო საკუთრებას და ექვემდებარება სახელმწიფოს დაცვას.

სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტებია: საკურორტო ადგილები, ტყეები, ცხოველების სამყარო და სხვ.

გამოძიებით უნდა დადგინდეს: სად, როდის და სახელდობრ რა ხერხებითა და საშუალებებით ჰქონდა ადგილი კულტურული ძეგლების ან სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განზრახ განადგურებას, დანგრევასა და დაზიანებას, რა ღირებულება ჰქონდა ძეგლსა თუ ბუნების ობიექტს, როგორია დანაშაულის კონკრეტული შედეგი, ვინ მონაწილეობდა აღნიშნულ ქმედებაში, დამნაშავე მოქმედებდა პირდაპირი თუ ევენტუალური განზრახვით, ხომ არ იყო დაკავშირებული პირის ქმედობა ხულიგნურ მოტივთან (როცა პირი ეძლევა პასუხისმგებლობას ხულიგნობისთვისაც) ან ანგარებასთან.

ამ კატეგორიის საქმეებზე უნდა ჩატარდეს შემდეგი სახის საგამომძიებლო მოქმედებანი: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, მოწმეების დაკითხვა (როგორც შემთხვევასთან დაკავშირებით, ისე დამნაშავე პირის საქმიანობის შესახებ), დაზარალებულის (ან მისი წარმომადგენლის), ეჭვმიტანილის თუ ბრალდებულის დაკითხვა, სატყეო დარგისა თუ სხვა სახის ექსპერტიზები და საგამომძიებლო მოქმედებები¹.

სისხლის სამართლის კათედრა

(რედაქციას მოუვიდა 5. 1. 1964 წ.)

Б. В. ХАРАЗИШВИЛИ

РАССЛЕДОВАНИЕ ПРЕСТУПНЫХ НАРУШЕНИЙ ОБЩЕСТВЕННОЙ БЕЗОПАСНОСТИ, ОБЩЕСТВЕННОГО ПОРЯДКА И ЗДОРОВЬЯ НАСЕЛЕНИЯ


(Резюме)

В работе дается общее понятие о видах преступлений против общественной безопасности, общественного порядка и здоровья населения. Затем излагаются обстоятельства, подлежащие установлению, при расследовании дел данной категории.

В работе показывается особенность проведения некоторых следственных действий.

Сделаны соответствующие выводы.

¹ ზოგიერთ დასმულ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: Митричев С. Л., Методика расследования поджогов и преступных нарушений правил пожарной безопасности. М., 1959; Яблоков Н. П., Методика расследования автотранспортных происшествий, М., 1959; Яблоков Н., Захаров С., Расследование несчастных случаев, связанных с производством, М., 1965, და სხვ.



ლ. ალექსიძე

მოზარდთა შრომის სამართლებრივი მოწესრიგების ზომებით საკითხი სსრ კავშირში

შრომის უფლებით სარგებლობის ნებაყოფლობითი პრინციპის განხორციელება სხვადასხვა ფორმით ხდება. მოზარდებისათვის ეს ფორმებია:

- 1) საწარმოს (დაწესებულების, ორგანიზაციის) ადმინისტრაციასთან უშუალო მოლაპარაკება და შრომის ხელშეკრულების ან მოწაფეობის ხელშეკრულების დადება;
- 2) საზოგადოებრივი გაწვევა — კომკავშირული საგზურებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სამუშაოდ წასვლა;
- 3) ადმინისტრაციული აქტი;
- 4) მოზარდთა ჯავშანი.

როგორც პირველი, ისე მომდევნო სამი ფორმით მოზარდის ჩაბმა შრომაში ხელშეკრულების დადებით მთავრდება. ხელშეკრულება შეიძლება იყოს შრომის ან მოწაფეობის. ადმინისტრაციული აქტით შრომაში ჩაბმისას არ შეიძლება მოწაფეობის ხელშეკრულების დადება, რადგან ამ შემთხვევაში მუშაობის დამწყებს კვალიფიკაცია მიღებული აქვს და მხოლოდ შრომის ხელშეკრულების მეშვეობით ახორციელებს შრომის უფლებას. აქ ჩვენ მხოლოდ მოზარდთა ჯავშანს შევხებით.

სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში მოზარდი თაობის დროული და ორგანიზებული ჩაბმის საქმეში თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი წამყვანი როლი უჭირავს ახალგაზრდობისა და მოზარდთა ჯავშნის ინსტიტუტს. ეს ინსტიტუტი იმ სახით, როგორც ამჟამად მოქმედებს, შემოღებულ იქნა სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 12 სექტემბრის ერთობლივი დადგენილებით „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაბმის შესახებ“. ამ დადგენილების შემდგომ განვითარებას წარმოადგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდათა სწავლების გაფართოების და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის დონისძიებათა შესახებ“. აღნიშნულ დადგენილებათა თანახმად საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობის და მოზარდთა წარმოებაში ჩაბმის მიზნით, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა

1 СП СССР, № 13, გვ. 123, 1957.



დეპუტატების სამხარეო, საოლქო და საქალაქო საბჭოს აღმასკომებს ევალებოდა შრომითი რეზერვების ადგილობრივ სამმართველოებთან ერთად დააწესონ ზემოაღნიშნულ პირთა სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე მიღების ჯავშანი ყველა საწარმოს, მშენებლობის და ორგანიზაციისათვის შრომის გეგმის ფარგლებში; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალიშვილთა შრომით მოწყობას. მიმართვას, რომლის ძალითაც საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე მიიღონ ახალგაზრდები, იძლევა ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის ქალაქის ან რაიონული კომისიები. ამრიგად, დადგენილებით დაწესებულია როგორც მოზარდთა, ე. ი. 18 წლამდე პირთა, ისე საშუალო სკოლადამთავრებულთა ჯავშანი. უნდა ვიფიქროთ, რომ დადგენილებები ითვალისწინებენ არა მარტო იმ ახალგაზრდების ჯავშანს, რომლებმაც ეს-ეს არის დაამთავრეს საშუალო სკოლა, არამედ იმათსაც, ვინც, ვთქვათ, 1-2 წლის წინ დაამთავრეს სკოლა და შრომით მოწყობას საჭიროებენ. ამრიგად, ჩვენ ლაბარაკი გვექნება ერთ მთლიან ინსტიტუტზე — ახალგაზრდობის და მოზარდთა ჯავშანზე.

აღნიშნულ დადგენილებებში მხედველობაში მიღებულია არა მარტო სამუშაოზე მიღების, არამედ აგრეთვე საწარმოო სწავლების ჯავშანიც. ამიტომ ამ ინსტიტუტის სრული სახელწოდება იქნება საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობისა და მოზარდთა სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე მიღების ჯავშანი. დადგენილებათა შინაარსიდან გამომდინარე ამ ინსტიტუტს შეიძლება ასეთი განმარტება მივცეთ: საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობისა და მოზარდთა ჯავშანი არის სოციალისტურ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის გეგმის ფარგლებში სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე საშუალო სკოლადამთავრებულთა და მოზარდთა სავალდებულო რაოდენობით მიღების საკანონმდებლო წესით განმტკიცება. იგი სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში ახალგაზრდობის დროული და ორგანიზებული ჩაბმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა.

მოზარდი თაობის წარმოებაში ჩაბმის ანალოგიური ფორმა ჩვენს ქვეყანაში არსებობდა 20-30-იან წლებში. მაგრამ მაშინდელ და დღევანდელ ჯავშნის ინსტიტუტთა შორის ძირეული განსხვავებაა როგორც მიზეზ-მიზეხანთა, ისე რეალიზაციის ფორმათა შორის. არსებითი სხვაობა ძველ და ახალ ჯავშანს შორის მდგომარეობს მათი წარმოშობის მიზეხთა და მიზეხანთა შორის არსებულ განსხვავებაში. 20-30-იან წლებში არსებული ჯავშანი (მაშინ მხოლოდ მოზარდთა ჯავშანი იყო) გამოწვეული იყო იმ პერიოდში არსებული უმუშევრობით საერთოდ და მოზარდთა უმუშევრობით, კერძოდ, უმუშევრობას, რაც იმ პერიოდში ომმა წარმოშვა, განსაკუთრებით მოზარდები განიცდიდნენ. მათ არა მარტო არ ღებულობდნენ სამუშაოზე, არამედ პირველ რიგში ათავისუფლებდნენ ფაბრიკა-ქარხნებიდან კერძო მეწარმენიც და სოციალისტურ საწარმოთა საქმოსურად განწყობილი ხელმძღვანელებიც. აუცილებელი ვახდა ისეთი ღონისძიების გატარება, რომელიც პირველ რიგში უზრუნველყოფდა მოზარდთა შენარჩუნებას წარმოებაში და ამავე დროს ხელს შეუწყობდა მათ ჩაბმას საფაბრიკო-საქარხნო შრომაში. ასეთი ღონისძიება იყო რსფსრ ცაკის მიერ 1922 წლის მაისში მიღებული დადგენილებით მოზარდთა ჯავშნის შემოღება. ჯავშნის მიზეხანი იყო მოზარდთა უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ამჟამად მოქმედი ახალგაზრდობისა და მოზარდთა ჯავშნის შემოღების მიზნით შეიქმნა არა მხოლოდ ახალგაზრდობისა და მოზარდთა უმუშევრობა. როგორც ცნობილია, 30-იან წლებში ჩვენში სამუდამოდ მოისპო უმუშევრობა. ახალგაზრდობისა და მოზარდთა ჯავშნის ინსტიტუტის შემოღების მიზნით თანამედროვე ეტაპზე გახდა ის ნაკლოვანებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მოზარდი თაობის წარმოებაში და საწარმოო სწავლებაში ჩაბმის საქმეში და რაც იმაში გამოიხატა, რომ ზოგიერთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები უსაფუძვლოდ არიდებდნენ თავს ახალგაზრდობის, განსაკუთრებით 18 წლამდე პირთა სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე მიღებას. ამ მიზეზის მიზეზი თავის მხრივ ის გარემოება გახდა, რომ ცალკეული საწარმოს ხელმძღვანელთა მხრივ თავი იჩინა ახალგაზრდობის, განსაკუთრებით, მოზარდთა შრომისადმი ეკონომიური ეფექტის მიღების თვალსაზრისით მიდგომის არასწორმა პრაქტიკამ. ასეთ ხელმძღვანელებს არ სურდათ გაეგოთ იმ შეღავათების ნამდვილი მნიშვნელობა, რითაც არასრულწლოვანი სარგებლობს წარმოებაში (შემოკლებული სამუშაო დღე, ხანგრძლივი შვებულება და სხვ.). ეკონომიური ეფექტის მიღებისადმი გამოდევნების ეს პრაქტიკა დაბრკოლებად იქცა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდათა სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე მიღებაში. საქმე იმაშია, რომ იმ პერიოდში, როდესაც ახალგაზრდობისა და მოზარდთა ჯავშანი იქნა შემოღებული (1957 წ.), საშუალო სკოლას ამთავრებდა ახალგაზრდობა, რომელიც არ იყო მომზადებული პრაქტიკული მუშაობისათვის, არ ჰქონდა არავითარი საწარმოო კვალიფიკაცია. ასეთ პირთა წარმოებაში მიღება ეკონომიური სარგებლობის მიღების თვალსაზრისით თითქოს მართლაც გაუმართლებელია. მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ ერთი შეხედვით და ერთის მხრივია ასე. იმ ახალგაზრდის შრომა, რომელმაც საშუალო სკოლა დაამთავრა და რაიმე კვალიფიკაცია არა აქვს, ეკონომიურად ნაკლებად ხელსაყრელია პირველ ხანებში. მაგრამ ის გარემოება, რომ მას საშუალო ცოდნა აქვს, წარმოადგენს მის მიერ უმოკლეს დროში კვალიფიკაციის მიღებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის უმნიშვნელოვანეს საწინდარს.

ამჟამად მოქმედი ჯავშნის ინსტიტუტის მიზნებია:


1) სოციალისტურ საწარმოთა და ორგანიზაციათა ცალკეული ხელმძღვანელების იმ არასწორ მოქმედებათა აღკვეთა, რაც გამოიხატა მოზარდი თაობის სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე მიუღებლობაში;

2) საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდებისა და მოზარდთა დროული ჩაბმა სახალხო მეურნეობაში;

3) ამ ჩაბმის ორგანიზებულად განხორციელება.

ნათქვამიდან ჩანს, თუ რა განსხვავებაა 20-30-იანი წლების და ამჟამად მოქმედ ჯავშანთა შორის მიზეზ-მიზანთა თვალსაზრისით.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ წინათ ჯავშანი მხოლოდ მოზარდებზე ვრცელდებოდა, ახლა იგი საშუალო სკოლადამთავრებულ და პროფ-ტექნიკურ სასწავლებელთა კურსდამთავრებულებისთვისაც არსებობს. წინათ ჯავშნის მოქმედების მინიმალური ასაკი 14 წელი იყო, ახლა კი 15 წელზე ნაკლები ასაკის მქონე პირს არ შეიძლება ჯავშანი შეეხოს, რადგან 15 წლამდე ასაკის პირის წარმოებაში მიღება კატეგორიულად აკრძალულია.



ახალგაზრდობისა და მოზარდთა ჯავშანი მრეწველობის ყველა კვანძში მოქმედებს, 20-30-იან წლებში კი მოზარდთა ჯავშანი მხოლოდ საწარმოთა კვანძში კვეთს რიცხვს ეხებოდა.

იმ პერიოდში წარმოებაში მოზარდის მიღება მხოლოდ ჯავშნის მეშვეობით ხდებოდა¹, ახლა კი ახალგაზრდობისა და მოზარდთა სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე მიღება ჯავშნის გარეშეც წარმოებს.

ჯავშნის ანგარიშზე მიმართვის გამცემ ორგანოს მაშინ შრომის ბირჟა წარმოადგენდა, ახლა კი ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიები. სამხარეთო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შექმნილია შრომითი მოწყობის კომისიები, რომლებიც უშუალოდ განაგებენ ან საქმეს (დანიტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე თვითეული საწარმოსათვის დადგენილი ჯავშნის ფარგლებში აძლევენ მიმართვას ამა თუ იმ საწარმოში სამუშაოზე ან საწარმოო სწავლებაზე მოსაწყობად).

ამჟამად მოქმედი ჯავშანი ვრცელდება საშუალო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებსა, მოზარდებსა (რომელთაც არასრული საშუალო განათლება აქვთ) და პროფ-ტექნიკურ სასწავლებელთა კურსდამთავრებულებზე. იმის გამო, რომ აღნიშნულ ჯგუფებში შემავალი პირები სხვადასხვა ასაკისა არიან, ისმება საკითხი იმის შესახებ: საჭიროა თუ არა იმ მინიმალური და მაქსიმალური ასაკის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც მიზანშეწონილია ჯავშნის მოქმედება. ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში უკვე გამოითქვა აზრი. ო. ვ. სმირნოვი აღნიშნავს, რომ ჯავშნის ანგარიშზე მიღების მინიმალური ასაკი არ უნდა იყოს 15 წელზე ნაკლები². ცხადია, როდესაც ავტორი მინიმალურ ასაკად 15 წელს ასახელებს, იგი ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც კრძალავს 15 წლამდე ასაკის მოზარდთა წარმოებაში მიღებას.

იმის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ ჯავშნის ანგარიშზე წარმოებაში მიღების მინიმალური ასაკი 15 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს, ჰვენი აზრით, აუცილებელია შემდეგი გარემოების გამო. სკოლის გარდაქმნის შესახებ კანონის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ 7-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობის მიერ საშუალო განათლების მიღება დაკავშირებული იქნეს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ 7-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ყველა ახალგაზრდას შეუძლია მოეწყოს წარმოებაში? არა. როგორც ცნობილია, 1 კლასში მიიღება ის ახალგაზრდა, რომელსაც 7 წელი 1 სექტემბრისათვის შესრულებული აქვს. რადგან სასწავლო წელი გაზაფხულის დამლევს მთავრდება, გამოდის, რომ ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი 7-წლიან სკოლას 15 წლამდე ასაკში ამთავრებს. იმის გამო, რომ 15

1 არ შეიძლება ითქვას, რომ 20-30-იან წლებში მოქმედი ზეჯავშანი ჯავშნის ინსტიტუტისაგან განსხვავებულ რაიმე სხვა ინსტიტუტს წარმოადგენდა. ამიტომ ვამბობთ, რომ მოზარდის წარმოებაში მიღება ჯავშნის გარეშე არ ხდებოდა. ზეჯავშნის არსებობა ავალბდა საწარმოს ხელმძღვანელს, თუ საშუალება იყო, ჯავშნით დადგენილ რიცხვს ზევით მიეღო მოზარდი წარმოებაში.

2 О. В. Смирнов, Правовые вопросы трудоустройства молодежи, в книге «Трудовое право в свете решений XXI съезда КПСС» (сборник статей), М., стр. 161, 1960.

წლამდე ასაკის პირის მწარმოებლურ შრომაში რეგულარული მონაწილეობის ფიზიკურ და სულიერ სრულყოფას ხელს უშლის, არ შეიძლება რაიმე გამონაკლისი დაწესდეს 7-წლიან სკოლადამთავრებული იმ ახალგაზრდობის ნაწილისათვის, რომელთაც 15 წლისათვის არ მიუღწევიათ. ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ 7-წლიან სკოლადამთავრებული ყოველი ახალგაზრდა შეიძლება მიღებულ იქნეს წარმოებაში. ამიტომაცაა სკოლის გარდაქმნის შესახებ კანონში (მუხ. 3) მითითებული ის ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგ (15-16 წელი) ახალგაზრდობა უნდა ჩაებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. აი რატომცაა აუცილებელი იმის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ ჯავშნის ანგარიშზე წარმოებაში მიღების მინიმალური ასაკი არ შეიძლება 15 წელზე ნაკლები იყოს.

მაქსიმალური ასაკი, რომელზეც ჯავშანი ვრცელდება, მოქმედი კანონმდებლობით არაა დადგენილი. აქ მხედველობაში გვაქვს საშუალო სკოლადამთავრებულთა ჯავშანი. რაც შეეხება მოზარდთა ჯავშანს, აქ ორი აზრი არ უნდა არსებობდეს. იგი ეხება მხოლოდ 18 წლამდე ასაკის პირებს, რადგან მოზარდებად ითვლებიან 18 წლამდე პირები. ამიტომ ჩვენ ზედმეტად გვეჩვენება ო. ვ. სმირნოვის წინადადება იმის შესახებ, რომ იმ მოზარდების ასაკი, რომლებსაც საშუალო სკოლა არ დაუმთავრებიათ და ჯავშნის ანგარიშზე უნდა იქნენ სამუშაოზე მიღებული, განისაზღვროს 18-მდე წლით¹.

ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულმა დადგენილებებმა არ განსაზღვრეს საშუალო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდათა ის ასაკი, რომლის ფარგლებშიც ჯავშანი იმოქმედებდა, ჩვენი აზრით, სავსებით გამართლებულია იმიტომ, რომ ზოგიერთ ზელმძღვანელთა არასწორი მოქმედების შედეგად წარმოებაში ჩაუბმელი რჩებოდა არა მარტო იმ ახალგაზრდათა ერთი ნაწილი, რომლებმაც ესესა დაამთავრეს საშუალო სკოლა, არამედ ზოგჯერ ისინიც კი, ვინც ერთი, ზოგჯერ ორი წლის წინ მიიღო სიმწიფის ატესტატი. გარდა ამისა, საშუალო სკოლას ახალგაზრდობა ხომ სხვადასხვა ასაკში ამთავრებს.

რაც შეეხება ჯავშნის მეშვეობით წარმოებაში ჩაბმის უფლების მოქმედების ვადას, ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: მოზარდები 18 წლის ასაკის მიღწევამდე ყოველთვის სარგებლობენ სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე მიღების ჯავშნის უფლებით. საშუალო სკოლადამთავრებულთა მიერ ჯავშნის გამოყენების ვადა არ შეიძლება ჯავშნის შემოღებისთანავე დაწყებულიყო საკანონმდებლო წესით იმის გამო, რომ საჭირო იყო ამ კატეგორიის პირთა შედარებით დიდი რიცხვის ჩაბმა წარმოებაში. ეს შეუძლებელია ამჟამადაც, რადგან 1966 წ. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლის ვადის ერთი წლით შემცირებასთან დაკავშირებით ერთსა და იმავე დროს ამთავრებენ საშუალო სკოლას მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლეები და საჭიროა სახალხო მეურნეობაში თითქმის ორჯერ მეტი ახალგაზრდობის ჩაბმა, ვიდრე წინა წლებში. მომავალში კი შეიძლება დაისვას საკითხი საშუალო სკოლადამთავრებულთათვის ჯავშნის გამოყენების ვადის განსაზღვრის შესახებ. მომავლის თვალსაზრისით სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ო. ვ. სმირნოვის წინადადება იმის შესახებ, რომ საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობისათვის საჭიროა დადგინდეს გარკვეული ვადა, რომლის განმავლობაში ახალგაზრდებს

¹ იხ. დასახელებული კრებული, გვ. 160-161.



შეუძლიათ შევიდნენ წარმოებაში დადგენილი ჯავშნის მიხედვით. სმინაშვილი აზრით ეს ვადა შეიძლება განისაზღვროს 6 თვით¹.

ერთ-ერთი საინტერესო საკითხი, რაც ჯავშნის რეალიზაციის დროს წარმოიშობა, არის საკითხი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიის მიერ მიმართვის გაცემამდე ახალგაზრდის სამედიცინო შემოწმება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი შემოწმება 18 წლამდე ასაკის პირებისა აუცილებელია, რადგან მოქმედი კანონმდებლობით წინასწარი სამედიცინო შემოწმების გარეშე მათი წარმოებაში მიღება აკრძალულია. წინასწარი სამედიცინო შემოწმების გარეშე მოზარდებისათვის მიმართვის გაცემას შეიძლება მოჰყვეს ასეთი უხერხულობა: შრომითი მოწყობის კომისიის მიმართვით მოზარდი მიდის ფაბრიკაში (ქარხანაში), ადმინისტრაცია მას გზავნის სამედიცინო შემოწმების გასავლელად, სამედიცინო შემოწმებით ირკვევა, რომ 1) ამ მოზარდის მუშაობა მოცემულ ფაბრიკაში (ქარხანაში) არ შეიძლება, ან 2) საერთოდ მისი ჯანმრთელობა ისე სუსტია, რომ მას არ შეუძლია რეგულარულად მუშაობა (ან საწარმოო სწავლების გავლა).

პირველ შემთხვევაში საჭირო ხდება მიმართვის შეცვლა ახალი მიმართვით, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი უქმდება საერთოდ. ასეთ გართულებებს რომ არ ჰქონდეს ადგილი, აუცილებელია მოზარდის წინასწარი (მიმართვის გაცემამდე) სამედიცინო შემოწმება. წინასწარი სამედიცინო შემოწმება ხელს უწყობს მოზარდის დაუბრკოლებელ მოწყობას წარმოებაში, ამალღებს შრომითი მოწყობის კომისიის მიერ გაცემული მიმართვის ავტორიტეტს და საერთოდ სრულყოფს ჯავშნის რეალიზაციას.

ახალგაზრდობისა და მოზარდთა ჯავშნის რეალიზაციის დროს თავი იჩინა ხაკლმა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადმინისტრაცია თავისი ინიციატივით სათანადო ორგანოთა (ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიების) მიმართვისა და ნებართვის გარეშე ჯავშნის ანგარიშზე იღებს სამუშაოზე ახალგაზრდებს. ასეთი პრაქტიკის გავრცელების მიზანშეწონილობის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებანი. ერთთა აზრით ასეთი პრაქტიკა არაფრით არაა გამართლებული და კატეგორიულად უნდა აღიკვეთოს, როგორც მოქმედი კანონმდებლობის საწინააღმდეგო². მეორეთა აზრით ასეთი პრაქტიკა გამართლებულია და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. უკანასკნელ პოზიციაზე დგას ო. ვ. სმირნოვი. ამ აზრის გამამართლებელ გარემოებად იგი თვლის იმას, რომ ახლანდელ პერიოდში, როდესაც უმუშევრობა ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია მოსპობილია, ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიების მოვალეობა პრაქტიკულად წარმოიშობება მხოლოდ მაშინ, როდესაც გვხვდება რაიმე შემთხვევითი გართულებანი ახალგაზრდობისა და მოზარდთა სამუშაოზე ან საწარმოო სწავლებაზე მიღებისას³. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი გამამართლებელი საფუძვლის მონახვა ამ შემთხვევაში არ შეიძლება შემდეგ გარემოებათა გამო: ჯერ ერთი, ფაქტია, რომ ახალგაზრდობისა და

¹ იხ. დასახელებული კრებული გვ. 160.

² В. Андреев, Ю. Орловский, Для тех кто работает и учится, Профиздат, 1960, зб. 26.


³ Трудовое право в свете решений XXI съезда КПСС (сборник статей), 1960, зб. 158—159.

მოზარდთა ჯავშნის შემოღების ერთერთი მიზეზი გახდა არა ის, რომ ახალგაზრდობის სამუშაოზე ან საწარმოო სწავლებაზე მიღებისას ზოგჯერ რაიმე შემთხვევით გართულებებს ჰქონდა ადგილი, არამედ იმიტომ, რომ ასეთი გართულებები ცოტად თუ ბევრად მასობრივ ხასიათს იღებდა. ეს ნათლად ჩანს პარტიისა და მთავრობის 1957 წლის 12 სექტემბრის ერთობლივი დადგენილების შესავალი ნაწილიდან, სადაც ნათქვამია, რომ „რიგ საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელები **ხშირად** (ხაზი ჩვენია—ლ. ა.) უსაფუძვლოდ ეუბნებიან უარს საშუალო სკოლადამთავრებულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, განსაკუთრებით 18 წლის ასაკს მიუღწეველ და შემოკლებული სამუშაო დღის უფლების მქონე პირებს სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე მიღებაში“¹. მეორეც, შრომითი მოწყობის კომისიათა მეშვეობით ახალგაზრდობის წარმოებაში გაგზავნა მხოლოდ იმიტომ კი არაა დაწესებული, რომ თავიდან იქნეს აცილებული საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელთა მხრივ ახალგაზრდობის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევები, არამედ იმიტომაც, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მოზარდი თაობის ორგანიზებული ჩაბმა სახალხო მეურნეობაში. თუ ადმინისტრაციას უფლება მიეცემა ჯავშნის ანგარიშზე მიიღოს ახალგაზრდები თავისი ინიციატივით, მაშინ ჯავშნის ინსტიტუტს ჩამოშორდება ორგანიზებულობის ნიშანი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ წარმოებაში ჯავშნის ანგარიშზე ადმინისტრაციის ინიციატივით ახალგაზრდათა მიღების პრაქტიკაში არ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ დადგენილი ჯავშნის რა ნაწილის რეალიზაცია შეუძლია დამოუკიდებლად ადმინისტრაციას. ამიტომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც ყველა დაჯავშნული ადგილი ადმინისტრაციამ თავისი ინიციატივით მიღებული ახალგაზრდებით შეავსო.

ო. ვ. სპირნოვი აღნიშნავს, რომ ჯავშნის რეალიზაციის შექმნილი პრაქტიკა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და იგი, ჯერ ერთი, უპასუხებს ახალგაზრდობისა და მოზარდთა შრომის უფლების უკეთესად განხორციელების ინტერესებს და, მეორეც, ადმინისტრაციას აძლევს ფართო ინიციატივას ახალგაზრდა კადრების შერჩევაში. ჩვენი აზრით, აღნიშნული პრაქტიკის გამართლება არ შეიძლება. გაუგებარია, რატომ წარმოადგენს ასეთი პრაქტიკა ახალგაზრდობისა და მოზარდთა შრომის უფლების უკეთეს განხორციელებას. პირიქით, იგი მისი შრომითი მოწყობის ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული, რადგან ადმინისტრაციას მართლაც შეუძლია შეარჩიოს წარმოებაში შესვლის მსურველი ახალგაზრდები, ე. ი. ზოგიერთი უარით გაისტუმროს უკან. ამრიგად, ჯავშნის ინსტიტუტი ამ შემთხვევაში თავის საპირისპირო დაწესებულებად იქცევა. კარი ედება იმავე პრაქტიკას, რის წინააღმდეგაცაა მიმართული ჯავშნის ინსტიტუტი და იკარგება ის მიზანი, რასაც იგი ემსახურება. აქედან ჩანს ისიც, რომ არ შეიძლება ადმინისტრაციას მივცეთ დადგენილი ჯავშნის თუნდაც გარკვეული პროცენტების ფარგლებში თავისი ინიციატივით დაკომპლექტების უფლება. ამრიგად, არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ ჯავშნის ანგარიშზე ადმინისტრაციის ინიციატივით წარმოებაში ახალგაზრდების მიღების პრაქტიკა.

18 წლამდე ასაკის პირები წარმოებაში დიდი შეღავათებით სარგებლობენ (შემოკლებული სამუშაო დღე და კვირა, გახანგრძლივებული შვებულება და

¹ ЦП СССР, № 13, გვ. 123, 1957.



სხვ.). ამან შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთ საწარმოს ხელმძღვანელთა ახალგაზრდის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევები¹. ასეთ შემთხვევათა თავიდან აცილებისა და მოზარდთა წარმოებაში დროულად და ორგანიზებულად ჩაბმის მიზნით, თანამედროვე ეტაპზე და გარკვეული პერიოდის მანძილზე მომავალშიც (რისი განსაზღვრა წლებით ზუსტად არ შეიძლება) აუცილებელია მოზარდთა წარმოებაში ჩაბმის ჯავშნის ინსტიტუტის შენარჩუნება.

მოზარდის ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებანი მოითხოვს, რომ მისი წარმოებაში მიღება დაკავშირებულ იქნეს გარკვეულ პირობებთან. საბჭოთა კანონმდებლობით ზუსტადაა რეგლამენტირებული ეს პირობები. ერთ-ერთ ასეთ პირობას წარმოადგენს გარკვეული ასაკის მიღწევა.

რა ასაკის მიღწევას უკავშირებს საბჭოთა კანონმდებლობა შრომის უფლებამდელნარიანობის წარმოშობას?


არსებობს საკანონმდებლო აქტები, რომელთა ანალიზი სხვადასხვა დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა. შრომის კანონთა მოქმედი კოდექსის 135-ე მუხლისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულების თანახმად, საერთო წესით მოზარდის სამუშაოზე მიღება დაიშვება 16 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, გამონაკლის შემთხვევაში კი პროფკავშირული ორგანოების თანხმობით, — 15 წლიდან. სკოლის გარდაქმნის შესახებ კანონის მე-3 მუხლის თანახმად 15-16 წლის ახალგაზრდობა საშუალო განათლების მიღებას უკავშირებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. აქედან ჩვენი აზრით იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ 16 წელი აუცილებელი არაა იმისათვის, რომ მოზარდი მიღებულ იქნეს სამუშაოზე. საკმარისია პირმა 15 წელს მიაღწიოს, რომ იგი დაუბრკოლებლად იქნეს მიღებული წარმოებაში. სხვა საკითხია ის, რომ 15-დან 16 წლამდე ასაკის ახალგაზრდები პირველად წარმოებაში მოწადის სახით უნდა იქნენ მიღებული.

მოქმედი კანონმდებლობით 15-დან 16 წლამდე ასაკის პირთა წარმოებაში მიღება ადმინისტრაციის მიერ უნდა მოხდეს პროფკავშირთა ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით. არის თუ არა ამჟამად ამ წესის შენარჩუნება მიზანშეწონილი? ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. როგორც აღნიშნული იყო, კანონი სკოლის გარდაქმნის შესახებ ითვალისწინებს, რომ 15-16 წლის ასაკში მთელი ახალგაზრდობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში უნდა ჩაება. ზემოაღნიშნული წესი კი გათვალისწინებული იყო გამონაკლისი შემთხვევებისათვის. რადგან ასეთ გამონაკლისებზე ამჟამად არ შეიძლება ლაპარაკი, ამიტომ ამ წესის შენარჩუნებაც არ შეიძლება.

წარმოებაში მოზარდის მიღების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მოქმედი კანონმდებლობა თვლის მოზარდის წინასწარ სავალდებულო სამედიცინო შემოწმებას.

მოზარდის სამუშაოზე მიღების აუცილებელ პირობად წინასწარი სამედი-

¹ რადგან ეკონომიური ეფექტის მიღება ასეთი ახალგაზრდისაგან პირველ ხანებში არ შეიძლება.



ცინო შემოწმების წესის არსებობა გამოწვეულია მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებული ზრუნვის აუცილებლობით.

მოზარდთა სამედიცინო შემოწმების ერთ-ერთ მიზნად უნდა ჩაითვალოს ის, რომ თავიდანვე იქნეს გარკვეული — სახალხო მეურნეობის რომელ დარგში იქნება მიზანშეწონილი მოზარდის გაგზავნა.

ჯავშნის წესით მოზარდთა წარმოებაში შესვლისას ადმინისტრაციის მოვალეობად არ შეიძლება ჩაითვალოს მოზარდისაგან წინასწარი სამედიცინო შემოწმების საბუთის მოთხოვნა, რადგან მათი სამედიცინო შემოწმება აუცილებლად წარმოებაში გაგზავნამდე უნდა მოხდეს.

ამრიგად, მოზარდის სამუშაოზე მიღების აუცილებელ წინასწარ პირობას გარკვეული ასაკის მიღწევასთან ერთად წარმოადგენს სამედიცინო შემოწმებაც. ჩვენი აზრით, ეს ორი პირობა საკმარისია იმისათვის, რომ მოზარდი სამუშაოზე იქნეს მიღებული.

მოზარდთა წარმოებაში მიღების წინასწარ პირობათა დაწესებისას სოციალისტური სახელმწიფო გამოდის ანალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვის, სავალდებულო განათლების მიღების და შრომისა და სწავლის დაკავშირების საუკეთესო პირობათა შექმნის ამოცანებიდან¹. ამავე ამოცანებიდან გამოდის სოციალისტური სახელმწიფო, ზოგიერთი (მძიმე და მავნე პირობებიანი) სახის სამუშაოზე მოზარდთა შრომის გამოყენების აკრძალვის, მათთვის სიმძიმეთა გადატანის მცირე ნორმების, პერიოდული სამედიცინო შემოწმების დაწესებისა და სხვა განსაკუთრებული წესების დადგენისას.

მოზარდთა შრომის პირობების შესაებ არსებული ნორმები დღევანდელ ეტაპზე ზოგიერთ ცვლილება-დამატებებს მოითხოვს.

მოზარდთა მიერ სიმძიმეთა გადატანის და გადაადგილების ზღვრულ ნორმათა შესახებ რსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1921 წლის 4 მარტის სავალდებულო დადგენილება ერთგვარ შესწორებას საჭიროებს. საესებით გაუმართლებელია თანამედროვე ეტაპზე სიმძიმეთა გადატანის ისეთი წონითი ნორმების შენარჩუნება, როგორიცაა 4,1 კგ., 6,4 კგ., 10,25 კგ და ა. შ. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული დადგენილების მიღების პერიოდში ხმარებაში იყო ისეთი წონითი სიდიდე, როგორიცაა გირვანქა, ფუთი და სხვ. კილოგრამის, როგორც წონითი სიდიდის შემოღებამ გამოიწვია დადგენილებით დაწესებული ნორმების მთელ რიცხვებსა და ათწილადებში გამოსახვის აუცილებლობა. საჭირო იყო ცვლილებების დროულად შეტანა აღნიშნულ დადგენილებაში. მაგრამ ეს არ ვაკეთებულა. ჩვენი აზრით, ამ შესწორების შეტანა აუცილებელია, რადგან პრაქტიკულად მოუხერხებელია ასე დაწილადებული წონითი ნორმების გამოყენება. საჭიროა ამ ნორმების დამრგვალება, მაგალითად, ასე: 4,1 კგ-ის ნაცვლად 4 კგ., 16,4 კგ. ნაცვლად 16 კგ., 114,8 კგ. ნაცვლად 115 კგ და ა. შ. დადგენილებით გათვალისწინებული ნორმები, უნდა ვიფიქროთ, არასდროს ზუსტად არ

¹ სოციალისტური სახელმწიფო არასრულწლოვანთა შრომისაგან ეკონომიური ეფექტის მიღებით არაა დაინტერესებული. ეს რომ ასე იყოს, მაშინ იგი მცირეწლოვანებს დაუშვებდა წარმოებაში და მათ ნაკლებ ხელფასს მისცემდა (როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში) და არ დააწესებდა იმ დიდ შეღავათებს, რითაც მოზარდი სარგებლობს შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში.



ხორციელდება, ზოგჯერ კი შეიძლება ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ განხორციელებულ იქნეს ზედმეტი ნორმის ფაქტიურად დაწესების მიზნით.

მოზარდთა სამუშაო დღის ხანგრძლიობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია შემდეგი მომენტები: 1) მოზარდთა შრომის აღმზარდლობითი მნიშვნელობა, 2) მოზარდის ჯანმრთელობის განსაკუთრებული დაცვა, 3) შრომისა და სწავლის შეთავსება, 4) მოზარდის მატერიალური უზრუნველყოფის დონე, 5) საზოგადოებრივი პროდუქციის შექმნაში მოზარდის მიერ გარკვეული წვლილის შეტანა. ამრიგად, მოზარდთა სამუშაო დღის ხანგრძლიობა განპირობებულია ფიზიოლოგიური, სოციალური და ეკონომიური საფუძვლებით, რომელთაგან წამყვან როლს ფიზიოლოგიური საფუძვლები ასრულებს.

მოზარდთა სამუშაო დღის ხანგრძლიობის მარეგულირებელი ნორმები იმპერატიული ხასიათისაა — კანონმდებლობით ზუსტადაა განსაზღვრული, რომ 15-დან 16 წლამდე ასაკის პირების სამუშაო დღის ხანგრძლიობა შეადგენს 4 საათს, ხოლო 16-დან 18 წლამდე მოზარდებისა — 6 საათს. ამ ნორმების გადიდების ან შემცირების უფლება წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელს არა აქვს.

არასრულწლოვანთა სამუშაო დღის ხანგრძლიობის განმსაზღვრელი ფაქტორები საფუძვლად უდევს აგრეთვე იმასაც, რომ მოზარდები არაერთაზრად შემთხვევაში არ იქნენ გამოყენებული საზეგანაკვეთო სამუშაოთა შესასრულებლად, ხოლო მათი სამუშაო დღის შეჯამებითი აღრიცხვა დაშვებულ იქნეს სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში მხოლოდ იშვიათად, სპეციალური ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განსაკუთრებული წესების დაცვით. მოზარდების სამუშაო დროის შეჯამებითი აღრიცხვა საერთო წესით არ უნდა იქნეს დაშვებული არც იმ საწარმოებში, რომლებიც ხუთდღიან სამუშაო კვირაზე არიან გადასული.

მოზარდთა შრომის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, მათი მუშაობა სასაბუღალტრო შესვენების გარეშე არ შეიძლება. ამიტომ იმ საწარმოებში და ორგანიზაციებში, სადაც უქმეებისა და დღესასწაულების წინა დღეებში მუშაობა სასაბუღალტრო შესვენების გარეშე წარმოებს, საჭიროა მოზარდებისათვის სამუშაო დღის სხვაგვარი რეჟიმი იქნეს შემოღებული. ყოველ შემთხვევაში, ადგილი არ უნდა ექნეს მოზარდის მუშაობას ექვსი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ. ამ გარემოების გათვალისწინებლობა გამოიწვევდა მოზარდთა შრომის პირობების გაუარესებას. ჩვენი აზრით სამუშაო დღის განმავლობაში სასაბუღალტრო შესვენების გარეშე არ შეიძლება იმუშაონ იმ მოზარდებმაც, რომლებსაც სწავლასთან დაკავშირებული შედეგების გამო სამუშაო დღე შემცირებული აქვთ (16 წლამდე ასაკის პირებს — 3 ს. და 20 წუთი, 16-დან 18 წლამდე ასაკის პირებს — 5 საათი).

მოზარდთა სამუშაო დღის რეჟიმთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მომავალმა კანონმდებლობამ გათვალისწინოს ნორმა, რომლის თანახმად წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელს პროფკავშირთა ადგილობრივ ორგანოსთან შეთანხმებით შეუძლია მოზარდთა სამუშაო დღის დაწყების მომენტი არ დაუკავშიროს სრულწლოვანთა სამუშაო დღის დაწყების დროს. მოზარდთა სამუშაო დღე შეიძლება დაწყებულ იქნეს უფრო გვიან,

ოღონდ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არასრულწლოვნებისათვის დამსახურებული სამუშაო დროის შესრულება.

16-დან 18 წლამდე მოზარდთა ყოველკვირეული უწყვეტი დასვენების ხანგრძლიობა ისეთივეა, როგორც სრულწლოვნებისა, რადგან დასვენების წინა დღეებში უკანასკნელთა სამუშაო დღის ხანგრძლიობა 6 საათია. 15-დან 16 წლამდე მოზარდების ყოველკვირეული დასვენება 2 საათით უფრო ხანგრძლივია, ვიდრე 16 წელზე მეტი ასაკის პირებისა. 18 წლამდე პირთა ყოველკვირეული დასვენების თავისებურებანი იმაში მდგომარეობს, რომ იგი: 1) უცვლელია, ე. ი. არ შეიძლება ყოველკვირეულად არ მიეცეს მოზარდს, 2) არ შეიძლება იყოს 40 საათზე ნაკლები, რადგან მოზარდის შრომის გამოყენება საზეგანაკვეთო სამუშაოზე აკრძალულია; 3) ხანგრძლიობით შეიძლება სრულწლოვანთა ყოველკვირეული დასვენების ხანგრძლიობაზე ნაკლები იყოს, რადგან მოზარდს დასვენების წინა დღესაც უნდა მიეცეს სასადილო შესვენება.

მოზარდთა ყოველწლიური შვებულებების შესახებ მოქმედი განსაკუთრებული წესები ითვალისწინებს: 1) შვებულების მიცემას ზაფხულობით¹,

2) შვებულების აუცილებლად ნატურით გამოყენებას,

3) შვებულებათა შეჯამების აკრძალვას.

მოზარდებისათვის შვებულებათა მიცემის ასეთ წესებს საფუძვლად უდევს ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვისათვის განსაკუთრებული ზრუნვა.

მოზარდს უფლება აქვს შვებულებით ისარგებლოს არა ზაფხულის პერიოდშიც. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობთ, საჭიროა ადმინისტრაციამ მიიღოს პროფკავშირთა ადგილობრივი ორგანოს თანხმობა.

თუ დავიცავთ წესს, რომლის თანახმად 18 წლამდე პირებს საერთოდ შვებულება ზაფხულობით უნდა მიეცეს (ეს კი აუცილებელია), მაშინ არ შეიძლება მოზარდთა შვებულების უფლების პირველად წარმოშობა დაკავშირებულ იქნეს მუშაობის 11 თვის უწყვეტი სტაჟის არსებობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ზაფხულის პერიოდში შვებულებით ისარგებლებენ მხოლოდ ის მოზარდები, რომლებიც სამუშაოზე მიღებული იყვნენ 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე².

ჩვენი აზრით, მოზარდებს მუშაობის დაწყებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ უნდა მიეცეთ შვებულების უფლება. რადგან მოზარდთა შვებულების ხანგრძლიობა სამუშაო წლისათვის ერთ კალენდარულ თვეს შეადგენს, ყოველი თვის მუშაობისათვის მათ უნდა მიეცეთ შვებულება 2,5 კალენდარული დღის ანგარიშით.

ამრიგად, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, შემოღებულ იქნეს მოზარდებისათვის შვებულების პროპორციულად მიცემის წესი.

მოქმედი წესების თანახმად მოზარდების შვებულების ხანგრძლიობა ერთ კალენდარულ თვეს შეადგენს. ამ წესის დაცვა ნიშნავს, რომ მოზარდების შვე-

¹ მიზანშეწონილად ვთვლით მომავალ კანონმდებლობაში დაზუსტდეს, თუ რომელი თვეები აქვს მხედველობაში კანონმდებელს, როცა ზაფხულობით შვებულების გამოყენებაზეა ლაპარაკი.

² თუ კანონმდებლობით განსაზღვრული იქნება, რომ ზაფხულის პერიოდი არის დრო 1 მაისიდან 1 ოქტომბრამდე, მაშინ ზაფხულში შვებულებით ისარგებლებენ ის მოზარდები, რომლებიც სამუშაოზე მიღებული იყვნენ 1 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე.



ბუღება შეიძლება იყოს 31, 30, 29 ან 28 დღე. პრაქტიკაში მოზარდებს ვეცდებით დარული ან 24 სამუშაო დღის ხანგრძლიობის შევებულებას აძლევენ. ზოგიერთი ავტორის აზრით მოზარდთა შევებულების ხანგრძლიობა შეადგენს 24 სამუშაო დღეს. თუ რა უხერხულობა შეიძლება მოჰყვეს ასეთი აზრისათვის მხარდაჭერას, დავინახავთ შემდეგი მაგალითიდან: 1964 წლის მაისში ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასული საწარმოებისათვის სამუშაო დღეთა რაოდენობა იყო 20. თუ მოზარდი 1 მაისიდან წავიდოდა შევებულებაში და მას მიეცემოდა 24 სამუშაო დღის ხანგრძლიობის შევებულება, იგი სამუშაოზე უნდა გამოცხადებულიყო 5 ივნისს. ხოლო ისეთ საწარმოებში, სადაც 6 დღიანი სამუშაო კვირაა, იმავე წლის 1 ივნისიდან შევებულებაში წასული მოზარდი სამუშაოზე უნდა გამოცხადებულიყო 28 ივნისს. ამრიგად, პირველ შემთხვევაში მოზარდი დაისვენებდა 34 კალენდარულ დღეს, მეორე შემთხვევაში—28 დღეს. აქედან ჩანს, რომ მოზარდს არ შეიძლება შევებულება სამუშაო დღეთა ანგარიშით მიეცეს. ამავე დროს არ შეიძლება სრულყოფილად იქნეს მიჩნეული მოქმედი წესი, რომლის თანახმად მოზარდის შევებულების ხანგრძლიობა განისაზღვრება ერთი კალენდარული თვით. საჭიროა კანონმდებლობაში ზუსტად იქნეს განსაზღვრული, თუ რამდენი კალენდარული დღის ხანგრძლიობის შევებულება ეძლევა მოზარდებს.

დამატებითი შევებულება მოზარდს იმავე ხანგრძლიობით უნდა მიეცეს, როგორც სრულწლოვანს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთი და იმავე სახის სამუშაოზე მუშაობენ.

სამოქალაქო სამართლის
კათედრა

(რედაქციის მოუვიდა 20.1. 1965 წ.)

Л. Н. АДЕИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПРАВОВОГО РЕГУЛИРОВАНИЯ ТРУДА ПОДРОСТКОВ В СССР

(Резюме)

Целью института брони приема подростков на работу является своевременное и организованное вовлечение молодежи в народное хозяйство.

Необходимо установить правило, согласно которому до направления на работу в счет брони, подростки должны проходить предварительное медицинское освидетельствование.

По нашему мнению, неправильна практика приема подростков на работу по инициативе администрации в счет брони.

Анализ действующего законодательства показывает, что минимальным возрастом приема на работу подростков надо считать 15 лет.



Действующее постановление о предельных нормах переноски и передвижения тяжестей подростками нуждается в поправке, в смысле округления весовых единиц.

При определении продолжительности рабочего дня подростков предусмотрены физиологические, социальные и экономические моменты, из которых решающим является физиологический момент.

Ни в коем случае нельзя допустить бесперерывную работу подростков в возрасте 16-18 лет в течение рабочего дня (6 часов).

Моменты начала рабочего дня подростка и совершеннолетних могут не совпадать.

Считаем целесообразным установить правило, согласно которому подросткам первый отпуск предоставляется пропорционально стажу работы, без требования 11-месячного непрерывного стажа.

Подросткам отпуск должен предоставляться не по рабочим, а по календарным дням, количество календарных дней отпуска необходимо точно определить законом.

9. 60100

შრომის დისციპლინის ინსტიტუტის მნიშვნელობის შესახებ საბჭოთა შრომის სამართალში

შრომის დისციპლინის დანერგვისა და განმტკიცების მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ნათელყოფს:

ა) ამ საკითხზე ვ. ი. ლენინის მიერ ოთხნახევარ ათეულზე მეტ ნაშრომში გამოთქმული პრინციპული მითითებანი; ბ) ზემდგომი პარტიული ორგანოების დირექტიული გადაწყვეტილებანი; გ) პროფკავშირული ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებრიობის (საერთო კრებების, საწარმოო თათბირების და სხვ.) დადგენილებანი; დ) საბჭოთა მთავრობისა და მმართველობის სხვა ხელმძღვანელ ორგანოთა მიერ მიღებული აქტები და ღონისძიებანი.

შრომითი ურთიერთობის სფეროში ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემის გაშუქებასა და ამასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნულ მასალის განზოგადებას ემსახურება საბჭოთა შრომის სამართლის მეცნიერება.

შრომის სამართლის თეორიის ამოცანას შეადგენს, რაც შეიძლება სრულყოფილი სახით ჩამოაყალიბოს შრომის დისციპლინის ინსტიტუტი (მისი არსი, განმტკიცების გზები და მეთოდები, მარეგულირებელი წყაროები, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის სახეები და ფორმები და ა. შ.). ამასთან ერთად გარკვეული და გამოკვეთილი უნდა იქნეს ისიც, თუ რა ადგილი უჭირავს სამართლის ამ დარგის სისტემაში შრომის დისციპლინის ინსტიტუტს, სახელდობრ, როგორ არის იგი ურთიერთდაკავშირებული შრომის სამართლის დანარჩენ ინსტიტუტებთან და სხვ.

1. სოციალიზმის გამარჯვებისა და წინსვლის ქვაკუთხედად ლენინს მიაჩნია მტკიცე შრომის დისციპლინა. ამის გამო იგი წერდა, რომ „...საერთოდ მუშათა კლასის დიქტატურის ამოცანებთან დაკავშირებულმა გარემოებამ გვაიძულა... რომ მთელი ყურადღება მივუქცია შრომის დისციპლინის საკითხებისათვის, დისციპლინისა, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის არსს შეადგენს, პროლეტარიატის ჩვენი გავების საფუძველია“¹.

ამ ამოცანის გადაჭრა ლენინს იოლ საქმედ არ მიაჩნდა. შრომის ახალი დისციპლინის აგებას, შრომაში აღამიანთა ჩაბმის ახალი ფორმებისა და ხერხების შექმნას, იგი მრავალი ათეული წლების სამუშაოდ თვლიდა. „ეს ყველაზე უფრო მადლიანი და უკეთილშობილესი სამუშაოა“, — დასძენდა ლენინი².

სოციალისტური დისციპლინა, ასახავს რა ახალ საზოგადოებრივ ურთიერ-

¹ ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 615.

² იქვე, გვ. 632.



თობას, წარმოადგენს შეგნებულ დისციპლინას იმ გაერთიანებულ მუშაკებისა, რომლებიც არ განიცდიან არავითარ ძალაუფლებას, გარდა თავიანთი საკუთარი გაერთიანებისა, რასაც თავისთავად შეუბოვარი, მტკიცე და დარაზმული ხასიათიც აქვს.¹

განსაკუთრებულ მნიშვნელობას შრომის დისციპლინის დანერგვასა და განმტკიცებაში ლენინი აკუთვნებდა სწორად აგებულ შრომის ორგანიზაციას, სოციალისტურ შეჯიბრებას², პროფკავშირებს, პრესას, სასამართლო ორგანოებსა და ამხანაგურ (დისციპლინარულ) სასამართლოებს.

ამგვარად, ლენინი შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში დიდ როლს ანიჭებდა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად საზოგადოებრიობას და მის სათანადო რგოლებს.

ლენინი, თვლიდა რა საბჭოთა სასამართლოს სახელმწიფოს იძულების განმხორციელებელ ორგანოდ, ამავე დროს აკისრებდა მას შრომის დისციპლინისათვის მოსახლეობის აღზრდის უდიდეს ამოცანას³.

სტატიის—„საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“—პირველდარწყებით ვარიანტში ლენინი აღნიშნავდა, რომ პროფესიული კავშირების მოწინავე ხელმძღვანელთა შორის სავსებით მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ გამოუმუშავდეს სისტემატური ზომები მშრომელთა თვითდისციპლინის ამაღლებისათვის⁴.

ლენინს აუცილებლად და გადაუდებლად მიაჩნდა, ყოვლად უღმობელი ზომები ყოფილიყო მიღებული ქაოსის, უწყესრიგობისა და უსაქმობის წინააღმდეგ საბრძოლველად, უაღრესად გადამწყვეტი ზომები ყოფილიყო გამოყენებული მშრომელთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის ასამაღლებლად⁵.

მკაცრი შრომითი დისციპლინის შექმნის ინტერესებისათვის, ლენინი საჭიროდ ცნობდა შინაგანაწესის შემოღებას ბრიანსკის ლითონის ქარხნის წესების ტიპისამებრ (რაც მიღებული იყო 1918 წ. 9 მაისს ქარხნის პროფორგანიზაციისა და ადმინისტრაციის ხელმოწერით დროებითი წესების სახით).

შრომის დისციპლინის დარღვევათა შორის ლენინს არასაპატიო მიზეზით დაშვებული გაცდენები მიაჩნდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთ შემაფერხებელ გარემოებად, იგი შეუწელებელ ყურადღებას აქცევდა შრომითი დისციპლინის ამაღლების ზერხებს. ამის გამო იგი ამბობდა, რომ „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომის დისციპლინის საკითხი. სავალდებულოა ანგარიშები გაცდენათა რაოდენობის შესახებ. იმ საწარმოთა შედარება, სადაც დაბალი და მაღალი შრომითი დისციპლინა“⁶.

ერთ-ერთ ქმედით საშუალებას, რომელიც მიმართულია შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, წარმოადგენს საბჭოთა პრესა.

„ჩვენი პრესა — აღნიშნავდა ლენინი, — უნდა გახდეს ჩამორჩენილთა წახალისების, მუშაობის, შრომითი დისციპლინის, ორგანიზაციის დანერგვის იარა-

¹ ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 493.

² იხ. გ. ნეიძე, სოციალისტური შრომის დისციპლინა, სახელგამი, 1956, გვ. 13-28, 32-36.

³ ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 255.

⁴ იხ., «Правда», 28. IX. Новый документ В. И. Ленина.

⁵ ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 380, 381.

⁶ ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 500.

ლი¹. პრესა უნდა ამყლავნებდეს სამეურნეო ცხოვრების ნაკლოვანებებს, დაუნდობლად გამოხდეს მათ, პირდაპირ უნდა ააშკარავებდეს სამეურნეო ცხოვრების ყველა წყლულს და ამნაირად, მშრომელთა საზოგადოებრივ აზრს უნდა მიმართავდეს ამ წყლულთა განსაკურნებლად².

პროფკავშირებს თავისი სამოქმედო წესდებით მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. შრომის დისციპლინის განმტკიცების სხვა საშუალებებთან ერთად პროფესიული კავშირები თავის მუშაობაში ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდნენ ამხანაგური სასამართლოების ზემოქმედების ძალასა და შედეგიანობას.

როგორც ლენინი მოითხოვდა, პროფკავშირებმა „უნდა აიღონ თავიანთ ხელში შრომის დეზერტირობის ცალკეულ სახეებთან (გაცდენა, დაგვიანება და ა. შ.) ბრძოლის საქმე. დისციპლინარული სასამართლოები, რომლებსაც აქამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, უნდა გადავაქციოთ პროლეტარული შრომითი დისციპლინის დარღვევებთან ბრძოლის ნამდვილ საშუალებად“³

ამ სასამართლოების ორგანიზებასა და მუშაობაში ლენინი უმნიშვნელოვანეს როლს აკუთვნებდა პროფკავშირებს. ამასთან დაკავშირებით მას აინტერესებდა, თუ როდის და რამდენი ამხანაგური სასამართლო იყო შემოღებული, მათ მიერ გარჩეულ საქმეთა რაოდენობა და საერთოდ მათი მუშაობის შედეგები⁴.

2. ლენინურმა იდეამ, მისმა მითითებებმა შრომითი ურთიერთობის სფეროში შრომის თვითდისციპლინის დამყარების აუცილებლობისა და შემდგომი განმტკიცების შესახებ თავისი უშუალო ასახვა პოვა სკკპ, როგორც პროგრამულ, ისე მთელ რიგ დირექტიული ხასიათის დოკუმენტებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ ჩვენი სახელმწიფო „მოწოდებულია მოაწყოს კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური ურთიერთობის გარდაქმნა კომუნისტურ ურთიერთობად, განახორციელოს კონტროლი შრომის ზომისა და მოხმარების ზომისადმი, უზრუნველყოს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, დაიცვას საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი და თავისუფლებანი, სოციალისტური მართლწესრიგი და სოციალისტური საკუთრება, აღზარდოს ხალხის მასები შეგნებული დისციპლინის და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით...“⁵.

პარტიის ის პროგრამაც, რომელიც მიღებულ იქნა ზემოაღნიშნულ პროგრამამდე ორმოცდაორი წლით ადრე (1919 წლის მარტში) ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა.

„შრომის კაპიტალისტური ორგანიზაციის დაშლის პირობებში — აღნიშნულია მასში, — ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა აღდგენა და განვითარება, ხოლო წარმოების სოციალისტური წესის განმტკიცება შეიძლება მხოლოდ მშრომელთა ამხანაგური დისციპლინის, მათი მაქსიმალური თვითმოქმედების, პასუხისმგებ-

¹ ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 153.

² ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 233.

³ ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 29.

⁴ ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 31, 500.

⁵ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 112.



ლობის შეგნებისა და შრომის ნაყოფიერებაზე უსასტიკესი ურთიერთკონტროლის მოწყობის საფუძველზე“¹

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შრომის დისციპლინის დონის ამაღლების თაობაზე საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მიღებული აქვს არაერთი სახელმძღვანელო მნიშვნელობის დოკუმენტი; მათ შორის — დირექტიული წერილი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი², დადგენილება³ (მათთან ერთად ერთობლივი დადგენილებანიც მთავრობისა ზემდგომ პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად) და რეზოლუცია⁴.

განსაკუთრებული მნიშვნელობა სსრ კავშირში შრომის დისციპლინის არსის გაგებისათვის და მისი შემდგომი განმტკიცებისათვის თანამედროვე ეტაპზე, ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სრულიად საკავშირო პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ერთობლივ წერილს 1956 წლის 16 მაისის თარიღით, „შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებსა და მშენებლობებზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში“.

ეს წერილი, რომელიც მიმართულია ყველა მუშა-ამოსამსახურისადმი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, სამინისტროს, უწყების, საწარმოს, მშენებლობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელისადმი, ძირითად გეზსა და მიმართულებას იძლევა შრომის დისციპლინის დონის შემდგომი განმტკიცებისა და ამაღლებისათვის სოციალისტური შრომითი ურთიერთობის სფეროში.

3. შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს დაკისრებული პროფესიულ კავშირებს და მათი უშუალო ხელმძღვანელობით მოქმედ რგოლებს (მუდმივად მოქმედ საწარმოო თათბირებს, ამხანაგურ სასამართლოებს და სხვ.).

„კომუნისმის გაწლილი მშენებლობის პერიოდში — ნათქვამია სკკპ პროფ-

¹ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი 1, თბილისი, 1954, გვ. 538.

² მაგ., 1919 წლის ნოემბრის წერილი (საბოთბის კრიზისის ბრძოლასთან დაკავშირებით): 1929 წლის 21 თებერვლის წერილი შრომის დისციპლინის ამაღლების შესახებ (იხ. Директивы КПСС и Советского правительства по хозяйственным вопросам (сборник документов) т. 1 Москва, 1957, გვ. 141; т. 2, გვ. 12-17).

³ მაგ. 1929 წ. 17 იანვრის დადგენილება დონბასის ქვანახშირის მრეწველობის ამოცანათა შესახებ; 1929 წლის 5 სექტემბრის დადგენილება წარმოების მმართველობის მოწესრიგების ზომებისა და ერთმმართველობის დაწესების შესახებ (იხ. იქვე, გვ. 12, 120).

⁴ მაგ. 1931 წ. 15 ივნისის თარიღით სკკპ ცკ პლენუმის რეზოლუცია (რკინიგზის ტრანსპორტი და მისი მორიგი ამოცანები), 1932 წ. 1 ოქტომბრის თარიღით; სკკპ ცკ პლენუმის რეზოლუცია (ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შესახებ); 1932 წ. 2 ოქტომბრის თარიღით; სკკპ ცკ პლენუმის რეზოლუცია (შავი მეტალურგიის შესახებ); სკკპ. XVIII ყრილობის 1939 წლის 20 მარტის რეზოლუცია (სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ); სკკპ XVIII კონფერენციის 1941 წლის 18 თებერვლის რეზოლუცია (პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში), და შემდგომი დროის მთელ რიგ პარტიულ დოკუმენტებში (იხ. Директивы КПСС и Советского пвательства по хозяйственным вопросам, 1957, т. 2, გვ. 275-290, 352-354, 357-360, 562-584, 631).

რამაში.—იზრდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი. განსაკუთრებით იზრდება პროფესიული კავშირების, როგორც მმართველობის სკოლის, მეურნეობის გაძღოლის სკოლის, კომუნისმის სკოლის მნიშვნელობა¹. პროფესიულ კავშირებს, რომლებიც 68 მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებენ თანამედროვე ეტაპზე ერთობ დიდი და საბასუსისმგებლო ამოცანები აქვთ დაკისრებული სახალხო მეურნეობის მართვისათვის მასების მოსამზადებლად, მათ აღსაზრდელად მაღალი ორგანიზებულობის, შეგნებული დისციპლინისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულსკვეთებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1957 წლის დეკემბრის პლენუმმა, თავისი დადგენილებით დაავალდებულა პროფკავშირული ორგანოები, რომ მათ უფრო მეტად იზრუნონ შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის; შრომის დისციპლინის დარღვევებთან ბრძოლაში ფართოდ გამოიყენონ საზოგადოებრივი აზრისა და ზემოქმედების ძალა².

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების წესდება (დამტკიცებული 1963 წლის 1 ნოემბერს) პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებს ამოცანად უსახავს, მობილიზაცია გაუკეთოს საწარმოთა მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობათა, დაწესებულებათა ყველა მუშასა და მოსამსახურეს სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომის მოძრაობის განვითარებისათვის³.

თუ განვიხილავთ დებულებას რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პროფკავშირთა საბჭოს შესახებ, დავინახავთ, რომ ამ საფეხურის პროფკავშირულ ორგანოებსაც ევალებათ მუშაობის ორგანიზება შრომისა და საწარმოო დისციპლინის განსამტკიცებლად⁴.

რომელი საფეხურის პროფკავშირული ორგანიზაციაც არ უნდა დავასახელოთ, ზემდგომი თუ პირველადი, მათ ძირეულ საბრძოლო ამოცანას შეადგენს შრომის დისციპლინის დონის ამაღლებისათვის ზრუნვა და შესაბამის დონისძიებათა გამოწვევა ამ დისციპლინის დამრღვევთა მიმართ. ეს მტკიცდება არა მარტო ზემოხსენებული, არამედ სხვა წყაროებიდანაც.

პროფკავშირის პირველადი ორგანიზაციები რომ ჯერ კიდევ 1917-18 წლებში თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას აქტიურად მოქმედებდნენ შრომის ნაყოფიერებისა და შრომის დისციპლინის დონის ამაღლებისათვის, ამაზე მიუთითებს ლენინგრადის საწარმოთა ადგილობრივი პროფორგანიზაციების გამოცდილება: ა) 1917 წლის 27 ნოემბერს პუტილოვის ქარხნის ქარხკომმა პეტერგოფის რაისაბჭოს წარმომადგენლებთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მუშებს, რომლებსაც არ ჰქონდათ სამუშაო თავისი სპეციალობის მიხედვით და იღებდნენ ხელფასის $\frac{2}{3}$ -ს, ჩამორთმეოდნენ ეს ანაზღაურებაც, იმ შემთხვევაში, თუ უარს განაცხადებდნენ ქარხკომის ან საამქრო კომიტეტის მიერ დავალებულ დროებით სამუშაოზე სათ-

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 118.

2 იხ. Сборник законодательных актов о труде, Москва, გვ. 29, 1961.

3 იხ., «Труд», 13. XI. 1963.

4 იხ., Организационно-массовая работа профсоюзов (сборник руководящих материалов), профиздат, 1962, გვ. 70.



ბობის დატვირთვა-განტვირთვაზე ან სხვა სამუშაოზე ქარხნის ეზოს¹ საექსპლუატაციო რეჟიმში; ამასთანავე, ქარხნოში გაფრთხილებას აძლევდა მათ, რომ ამ სამუშაოზე განმეორებითი უარისათვის მუშა დათხოვილი იქნებოდა სამუშაოდან გასასვლელი დახმარების გაცემის გარეშე, როგორც „საერთო საქმეში რეზორგანიზაციის შემტანი“ პირი; ბ) რადიოტელეგრაფის ქარხნის ქარხნოში 1918 წლის 31 იანვარს მუშაჟი დაითხოვა სამუშაოდან ხანგრძლივი გაცდენის გამო და გააფრთხილა მუშები, რომ თუ საყვირის ხმამდე ქარხნიდან ვინმე ადრე გავიდოდა, ქარხნოში ამის ჩამდენ ბრალეულ პირს ერთი კვირის ვადით სამუშაოდან გადააყენებდა².

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 18 იანვრის დადგენილებიდან ჩანს, რომ იაროსლავის ოლქის პროფკავშირულ ორგანიზაციებში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა შრომის დისციპლინის დარღვევებთან ბრძოლის საქმეს. თვით სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენიც კი სისტემატურად არ ასრულებდნენ საწარმოო გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს, არასაპატიო მიზეზით აცდენდნენ სამუშაოს და ა. შ. მაგალითად, სინთეზური კაუჩუკის ქარხანაში ერთი წლის განმავლობაში სამუშაოდან დათხოვნილი იყო უფრო მეტი მუშაჟი, ვიდრე მიღებული იქნა სამუშაოზე. 200-მდე მუშას დაედო დისციპლინური სასჯელი, ჩამოერთვა პრემია, ჩამოქვეითებული იქნა თანამდებობიდან. ამ ოლქის ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაცია სუსტად იყენებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებს და სუსტად ხელმძღვანელობს ამხანაგურ სასამართლოებს და სხვ.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ დასახული იქნა შესაბამისი ღონისძიებანი³.

პროფკავშირთა კონფერენციებსა და ყრილობებზე განსახილველ საკითხთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხს რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, ამის საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება მოვიყვანოთ შემდეგი:

1920 წლის ნოემბერში მოსკოვში შედგა სრულიად რუსეთის პროფკავშირების მეხუთე კონფერენცია, რომელმაც განიხილა პროფკავშირთა საწარმოო ამოცანები. მოხსენებაში (მოხსენებელი რუჰტუტაჟი) წამოყენებული იყო შრომის დისციპლინისა და შრომის ნაყოფიერების დონის ამაღლებისათვის კონკრეტული ზომები (მუშათა მორალური და მატერიალური წახალისება ერთის მხრივ და საზოგადოებრივი გაკაცხვა მეორე მხრივ, იმ პირებისა, ვინც შრომის დისციპლინას არღვევს). გამოთქმული იყო მოსაზრება დისციპლინურ სასამართლოთა ეფექტურობის თაობაზე⁴.

პროფკავშირთა XIII ყრილობაზე საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის

¹ იხ. А. В. Венедиктов, Организация государственной промышленности в СССР, т. I, 1957, гл. 120.

² Сборник постановлений ВЦСПС, январь-март 1963 года, Профиздат, 1963, гл. 107-112.

³ Л. И. Петрова, Советские профсоюзы в восстановительный период 1921-1925 гг., профиздат, 1962, гл. 8.

ვ. ვ. გრიშინის მოხსენებაში — სსრ კავშირის პროფკავშირების ამოცანებს შესახებ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, აღნიშნული იყო, რომ საჭიროა კვლავაც გავზარდოთ მუშათა კრებების, საწარმოო თათბირების, ამხანაგური სასამართლოების აღმზრდელი როლი, უკეთ გამოვიყენოთ უმწიკვლო მუშაობისათვის მუშა-მოსამსახურეთა წახალისების ღონისძიებანი და ამასთანავე მტკიცედ ვიბრძოლოთ მუქთახორების, გამცდენების, ზარმაცების, ლოთებისა და ხულიგნების წინააღმდეგ. საკავშირო პროფსაბჭო სხვა ორგანოებთან და უწყებებთან ერთად შეიძულება და მთავრობას წარუდგინა წინადადებანი ხანგრძლივი, უმწიკვლო მუშაობისათვის მუშებისა და მოსამსახურეების წახალისების შესახებ, აგრეთვე იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიმართულია დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. კერძოდ, გათვალისწინებულია გამცდენთა შვებულება შემცირდეს გაცდენის დღეთა რაოდენობით¹.

4. სკკპ ხელმძღვანელ ზემდგომ ორგანოთა მიზანდასახულებანი შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მოწესრიგების სფეროში თავის კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და მმართველობის ორგანოთა სხვადასხვა დროს მიღებული ნორმატიული ხასიათის აქტებში.

საბჭოთა კავშირში შრომის დისციპლინის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები ძირითადად, ჩვენ აზრით, შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს: ა) ზოგადი აქტები, რომლებიც მიმართულია შრომის დისციპლინის რეგულირებისაგან — საყოველთაოდ სავალდებულო ნორმებისა და დებულებათა სახით; ბ) შრომის კანონთა კოდექსის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებენ მუშა-მოსამსახურეთა მიერ შრომის დისციპლინის კონკრეტულ მოთხოვნათა დაცვას; გ) სპეციალური აქტები, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ითვალისწინებენ არასაპატიო მიზეზით გამოწვეულ გაცდენებთან ბრძოლის შესაბამის სამართლებრივ ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, რომ შრომის დისციპლინის სამართლებრივი მოწესრიგების საქმეს წარსულში ემსახურებოდა და ახლაც ემსახურება არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების ადრეული პერიოდის დეკრეტები, საკავშირო მთავრობის დადგენილებები, სსრ კავშირის საკანონმდებლო ორგანოთა აქტები (კანონები, დადგენილებანი, ბრძანებულებანი), არამედ სხვა ხელმძღვანელ ორგანოთა აქტებიც².

პირველი ჯგუფის აქტებს უწინარეს ყოვლისა მიეკუთვნება სსრ კავშირის კონსტიტუცია, რომლის 130-ე მუხლიც სსრ კავშირის თვითუფლებო მოქალაქეს ავალდებულებს დაიცვას შრომის დისციპლინა.

ამ ჯგუფის აქტების შედარებით დიდ წრეს შეადგენს შრომის დისციპლინის რეგულირების მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი

¹ იხ. В. В. Гришин, Отчет о работе ВЦСПС и задачи профсоюзов СССР в период развернутого строительства коммунистического общества, профиздат, 1963, გვ. 49.

² მაგ. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1929 წლის 2 აგვისტოს დადგენილება — ფერადი ლითონის მრეწველობის განვითარების პერაპექტივების შესახებ (იხ. Директивы КПСС и Советского правительства по хозяйственным вопросам, т. 2, 1957, გვ. 90, 91).



და მმართველობის ორგანოთა მიერ გამოცემული, როგორც ამჟამად „ქვეყნული ისტორიული მნიშვნელობის მქონე აქტები“.

შრომის კანონთა კოდექსი შეიცავს ზოგიერთ ისეთ ნორმას, რომელიც შრომის დისციპლინის რეგულირების მიზნებს ემსახურება. ასეთ ნორმებს წარმოადგენს შრომის კანონთა კოდექსის შემდეგი მუხლები: 37¹, 47 მუხლის „დ“ პუნქტი (მუშაკთა გადაყვანასა და დათხოვნასთან დაკავშირებით), 50—55 (შრომის შინაგანაწესის შესახებ).

უკანასკნელი გვუფის აქტებს, რომელთა სპეციალურ მოთხოვნასაც შეადგენს სათანადოდ დადგენილი ზომების მიღება არასაპატიო მიზეზით დაშვებული გაცდენებისათვის — წარმოადგენს: ა) ამჟამად მოქმედი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 25 აპრილის ბრძანებულება „საწარმოებიდან და დაწესებულებიდან თვითნებური წასვლისათვის და საპატიო მიზეზის გარეშე გაცდენისათვის მუშებისა და მოსამსახურეების სასამართლო პასუხისმგებლობის გაუქმების შესახებ“, 1957 წლის 12 იანვარს დამტკიცებული „შრომის ტიპობრივი შინაგანაწესი სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის“; დარგობრივი წესდებანი დისციპლინის შესახებ (რკინიგზის, სამოქალაქო საჰაერო, სამდინარო ტრანსპორტისა და სხვ.); დებულება ამხანაგური სასამართლოს შესახებ; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 4 თებერვლის დადგენილება საწარმოებში კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 22 აგვისტოს დადგენილება სამუშაო დღის რეჟიმის შესახებ. ბ) სავსებით გაუქმებული — 1920 წლის 27 აპრილის, 1932 წლის 15 ნოემბრის (სქოლიოში დაწვრილებით) მითითებული აქტები, გ) ნაწილობრივ გაუქმებული — 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილება, 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება².

შრომის დისციპლინისა და შრომის ნაყოფიერების სათანადო დონეს ამცირებს სხვადასხვა უარყოფითი ხასიათის მიზეზი, რასაც ჯერ კიდევ ვხვდებით საწარმოებში. შრომითი რეჟიმის მნიშვნელოვან დარღვევას იწვევს: ა) არასაპატიო მიზეზებით გამოწვეული გაცდენები; ბ) წუნისა და მოცდენის შემთხვევე-

¹ მაგ. შრომის დისციპლინის რეგულირების საქმეში, საბჭოთა შრომის სამართლის ისტორიაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს: სახალხო კომისართა 1920 წლის 27 აპრილის დეკრეტს გაცდენებთან ბრძოლის შესახებ; სსრ კავშირის საბჭოების IV ყრილობის დადგენილებას (1927 წლის 26 აპრილის თარიღით) სსრ კავშირში მრეწველობის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ; სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1929 წ. 6 მარტის დადგენილებას სახელმწიფო საწარმოებში შრომის დისციპლინის განმტკიცების ზომების შესახებ; სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1932 წლის 15 ნოემბრის დადგენილება სამუშაოდან დათხოვნის შესახებ არასაპატიო მიზეზებით 1 დღის გაცდენისათვის; სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, ს.კ. კ (ბ) ცკ-ისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებას შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებას — რეასათიან სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის, საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშებისა და მოსამსახურეების თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ, და სხვა ნორმატიულ აქტებს.

² დასახელებული აქტების მიხედვით ძალაშია შვებულების უფლების წარმოშობის, იძულებით განაცდენი დროის ანაზღაურებისა და შვიდდღიანი სამუშაო კვირის საკითხები.



ბი; გ) მუშაკთა არასწორად შერჩევა-განაწილება და მათი დენადობა; დ) შექმნილი ქვიანელი თანამდებობის პირთა განკარგულების შეუსრულებლობა; ე) დაგვიანება სამუშაოზე, და სამსახურებრივ ფუნქციათა უგულებელყოფისა თუ ზერელედ შესრულების გამომხატველი სხვადასხვა გადაცდომები.

თუ შევეხებით მარტოოდენ არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე გამოუცხადებლობასთან, სამუშაო დროის უნაყოფოდ ფლანგვასთან ანუ გაცდენებთან ბრძოლის ღონისძიებებსა და მათ ისტორიულ ტრანსფორმაციას, დავინახავთ, რომ ასეთი უმიზეზო გაცდენების წინააღმდეგ ყოველთვის იყო და ამჟამადაცაა მიმართული ჩვენი პრესის, მთელი საზოგადოებრიობის, პროფესიული კავშირების, ამხანაგური ზემოქმედებისა და საბჭოთა კანონმდებლობის მახვილი.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, მის კონკრეტულ ისტორიულ გარემო პირობებში არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე გამოუცხადებლობა ანუ სამუშაოს გაცდენა თუ მეტწილად წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს დისციპლინური ხასიათის გადაცდომას, იგი (გარკვეულ პერიოდში) განიხილებოდა, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. თუ 1932 წლის 15 ნოემბრის კანონი, 1938 წლის 28 დეკემბრის ერთობლივი დადგენილება და 1956 წლის 25 აპრილის ბრძანებულება გაცდენას განსაზღვრავენ როგორც სამსახურებრივ გადაცდომას, სამაგიეროდ 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება მთლიანად, ხოლო 1920 წლის 27 აპრილის დეკრეტი ნაწილობრივ, გაცდენებისათვის აწესებდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

აღნიშნული ნორმატიული აქტების მიხედვით სხვადასხვანაირი იყო არა თუ შრომის დისციპლინის ამ დარღვევის ხასიათი და შედგენილობა, მისი ცნების განსაზღვრა, არამედ სასჯელის ზომებიც. დღევანდელი ვაგებით არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენა ნიშნავს როგორც ერთი სამუშაო დღის განმავლობაში პატივსაცემი მოტივების გარეშე მუშა-მოსამსახურის გამოუცხადებლობას, ისე მის სამუშაოზე ყოფნასაც არაფხიზელ მდგომარეობაში.

სამუშაოს ამ სახით გამცდენ მუშას ან მოსამსახურეს შეიძლება შეეფარდოს ესა თუ ის დისციპლინური სასჯელი. ასევე, სამუშაოს გამცდენი მუშა-მოსამსახურე შეიძლება წარდგეს ამხანაგური სასამართლოს წინაშე მის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების სათანადო ზომის მისაღებად, ან სამუშაოდან იქნეს იგი განთავისუფლებული საწარმოს თუ დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ პროფკავშირის ადგილობრივ პირველად ორგანოსთან შეთანხმებით.

საბჭოთა სახელმწიფოს ამ აქტების ანალიზი, მისი განვითარების ყველა ფაზაში, გვიჩვენებს, რომ ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლება სოციალისტური შრომის დისციპლინისათვის ბრძოლის ამოცანას ყოველთვის აყენებდა უდიდეს პრინციპულ სიმაღლეზე, რითაც იცავდა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს იმ დარღვევებისაგან, რომლებსაც არაკეთილსინდისიერი და ჩამორჩენილი ელემენტები ჩადიან.

კანონმდებლობაში ცხოვრების კონკრეტული გარემო პირობებით ნაკარნახევი ცვალებადობა ლენინს მიზანშეწონილად მიაჩნდა და ამბობდა, რომ „ზოგჯერ გვიხდება რამოდენიმეჯერ გადავაკეთოთ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მმართველობის ტიპები, წესდებანი, ორგანოები... მაგრამ თუ ოდნავ მაინც ვანვაყენებთ თავს დეკრეტების მეტისმეტად ხშირი გადაკეთების უშუალო უსიამოვნებისაგან და თუ ცოტა უფრო ღრმად და შორს ვავხედავთ ამ ვიგან-



ტურ, მსოფლიო ისტორიულ საქმეს. გასაგები გახდება, რომ აუცილებელია, რად უფრო ხშირი გადაკეთებანი, გამოცდილების მიხედვით მმართველობის სხვადასხვა სისტემის, დისციპლინის მოგვარების სხვადასხვა ნორმის გამოცდა, რომ ასეთ გიგანტურ საქმეში ჩვენ ვერასოდეს ვერ განვაცხადებდით პრეტენზიას და არც ერთ გონიერ სოციალისტს, რომელსაც კი მომავლის პერსპექტივაზე რაიმე დაუწერია, არასდროს აზრადაც არ მოსვლია, რომ ჩვენ რაიმე წინასწარ მოცემული მითითებით შეგვეძლო ერთბაშად ჩამოგვეყალიბებინა და ერთი დაკვრით შეგვედგინა ახალი საზოგადოების ორგანიზაციის ფორმები¹.

სოციალისტური შრომის დისციპლინის დარღვევის ყოველი შემთხვევა, იქნება ეს დისციპლინური გადაცდომა თუ სამსახურებრივი ხასიათის დანაშაულები, იწვევს მისი ჩამდენის შესაბამის პასუხისმგებლობას, რაც საბჭოთა კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. ზოგ შემთხვევაში საკმარისია შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტი მხოლოდ საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი გახდეს, სხვა შემთხვევებში კი კანონით გათვალისწინებულია, რომ სამსახურებრივი გადაცდომა ექვემდებარებოდეს საწარმოს, დაწესებულების, უწყებისა ან კოოპერაციული გაერთიანების ხელმძღვანელი თანამდებობის პირების ან მათი მმართველი ორგანოების დისციპლინურ ზემოქმედებას. გარდა ამისა, ჩვენი მოქმედი კანონმდებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის განსაზღვრავს აგრეთვე მატერიალურს² და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას³.

5. შეგნებული თვითდისციპლინის აღზრდის საქმეს მშრომელთა კოლექტივებში აქტიურად უნდა ემსახურებოდნენ საწარმოთა და დაწესებულებათა (მეურნეობათა) ამხანაგური სასამართლოები.

ამხანაგურ სასამართლოთა მოქმედების ფარგლებსა და კომპეტენციას განსაზღვრავს სათანადო ნორმატიული აქტები. ამხანაგური სასამართლოები მოწოდებული არიან, იბრძოლონ საბჭოთა საზოგადოების ნორმათა დარღვევის წინააღმდეგ და შეიტანონ თავიანთი წვლილი სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამოქმედოდ 1961 წლის 10 ნოემბერს მიღებულ იქნა დებულება ამხანაგური სასამართლოების შესახებ. მის ქვემდებარეობას მთელ რიგ სხვა საქმეებთან ერთად პირველ რიგში მიეკუთვნება საქმეები შრომის დისციპლინის დარღვევის შესახებ, მათ შორის—საქმეები არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის, სამუშაოზე დავგიანებით გამოცხადებისა ან სამუშაოდან ნაადრევად წასვლის შესახებ და ა. შ.

ზემოდასახელებული დებულების საფუძველზე ამხანაგური სასამართლო უფლებამოსილია საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვადასხვა ზომების (ამხანაგური გაფრთხილების, საზოგადოებრივი გაკიცხვისა, საზოგადოებრივი საყვედურის გამოცხადება პრესაში გამოქვეყნებით ან უამისოდ და სხვ.) გარდა შესაბამისად ბრალულ პირს შეუფარდოს შედარებით უფრო მძიმე ხასიათის ზომებიც (დააჯარიმოს ფულადი თანხით; იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი გადაცდომა დაკავშირებული არ არის შრომის დისციპლინის დარღვევასთან, აღ-

¹ ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 497, 498.

² იხ. შრომის კანონთა კოდექსის 83-ე მუხლი.

³ მაგ., საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე მუხლი.

მინისტრაციის წინაშე დააყენოს საკითხი დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის ან თანამდებობიდან დაქვეითების შესახებ ვადით არა უმეტეს სამი თვისა, იმავე სახის სამუშაოს ფარგლებში¹.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის ბრძანებულებით, ამხანაგური სასამართლოების დებულებაში შეტანილი იქნა ცვლილებანი და დამატებანი.

ამ ცვლილება-დამატებათა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

ა) ამხანაგურ სასამართლოთა შექმნა დასაშვებია ისეთ კოლექტივებში, სადაც არა ნაკლებ 30 კაცია;

ბ) ამხანაგური სასამართლოს განხილვას ექვემდებარება: პირველად ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობა, წვრილმანი სპეკულაცია, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცება, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი საკუთრების მოხმარებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მცირე ღირებულების საგნების პირველად ჩადენილი ქურდობა, იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე და დაზარალებული ერთი კოლექტივის წევრები არიან. საზოგადოებრივ ადგილებში და სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება და უღირსი საქციელი; არყის და სხვა მავარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა, თუ ეს ჩადენილია პირველად, გამოხდილია მცირე რაოდენობით და მისი გასაღება მიზნად არ ყოფილა დასახული

გ) ამხანაგური სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციის წინაშე დასევს საკითხი: 1) დადგენილი წესით იმ პირის დათხოვნის შესახებ, რომელიც ასრულებს არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობის აღზრდასთან დაკავშირებულ სამუშაოს ან სამუშაოს, რომელიც დაკავშირებულია მატერიალური ფასეულობის გამგებლობასა და შენახვასთან, თუ ამხანაგური სასამართლო ამ პირის მიერ დაშვებული დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით შეუძლებლად ჩათვლის შემდგომში მისთვის ამ სამუშაოს მინდობას; 2) იმის შესახებ, რომ ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს წვრილმანი ხულიგნობა, სპეკულაცია, ზემოაღნიშნული ქონების წვრილმანი დატაცება და ასევე ზემონაჩვენები საგნების ქურდობა; რომლებმაც ვინმეს სცემეს, მიაყენეს სხელის მძიმე დაზიანება, — გაიგზავნონ იმავე საწარმოში (დაწესებულებაში) არაკვალიფიციურ ფიზიკურ სამუშაოზე ვადით 15 დღემდე და აუნაზღაურდეთ შესრულებული სამუშაოს ღირებულება².

ამგვარად, ამხანაგური სასამართლოების განსახილველ საქმეთა წრეც გაფართოვდა და ზემოქმედების არსებულ ზომებს დაემატა: ადმინისტრაციის წინაშე საკითხის დაყენება განსაზღვრული კატეგორიის მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნის შესახებ და არაკვალიფიციური ფიზიკური ხასიათის სამუშაოებზე განსაზღვრული ვადით გაგზავნის შესახებ (რაც 1961 წლის დებულებით გათვალისწინებული არ იყო)³.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის

¹ იხ. დებულება ამხანაგური სასამართლოს შესახებ, თბილისი, 1964, გვ. 7, 12, 13.

² იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964, № 4, მუხ. 79.

³ ანალოგიური ცვლილებებისა და დამატებების შესახებ მითითებულია რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებულებაში (იხ. „Советская Юстиция“, 1963, № 23, გვ. 5, 6).



ბრძანებულება „ამხანაგური სასამართლოების დებულებაში ცვლილებების დამატებათა შეტანის შესახებ“, ახლებურად წყვეტს ამხანაგური სასამართლოების ორგანიზაციისა და მოქმედების სხვა საკითხებსაც. მაგალითად, ამხანაგური სასამართლოების რწმუნებულების ვადა აღნიშნული ბრძანებულებით გაგრძელებულია კიდევ ერთი წლით, და ამგვარად ეს ვადა განისაზღვრება ორი წლით.

6. შრომის დისციპლინის როლი საბჭოთა კავშირში შრომითი ურთიერთობის განვითარების მთელ სფეროში ფრიად მნიშვნელოვანია. შრომის დისციპლინის საკითხებს ვხვდებით საბჭოთა შრომის სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტში. სპეციალურ ლიტერატურაში შრომის დისციპლინის საკითხი აღიარებულია ძირეულ და წამყვანი ხასიათის ცნებად, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული შრომითი ურთიერთობის საკითხთა ფართო წრესთან.

პროფ. ნ. ალექსანდროვი შრომითი ურთიერთობის განმასხვავებელ ნიშნად თვლის შრომის დისციპლინას, რომელიც თავს უყრის რიგ ვალდებულებებს (სამუშაოზე დროულად გამოცხადებას, ვალდებულებას — დაცულ იქნეს სამუშაო დღის დაწესებული ხანგრძლიობა, შესრულებულ იქნეს ადმინისტრაციის მითითებანი და ა. შ.), „სახელდობრ შრომის დისციპლინის ცნება — წერს იგი, — ყველაზე უკეთ ახასიათებს იმ პირის ჯგოროვან ქცევას, რომელსაც შრომითი უფლებრივი ურთიერთობის გამო ეკისრება შრომა, თვით შრომის პროცესში და ამავე პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით“¹. ამავე ავტორის სხვა სიტყვებით — საბჭოთა სამართლის ცენტრალურ ამოცანას შეადგენს სოციალისტური შრომის დისციპლინის აღზრდისა და განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა².


საბჭოთა შრომის სამართლის განვითარების ძირითად მიმართულებათა განხილვისას პროფ. ს. კარინსკი შრომის დისციპლინის ცნებას აგრეთვე ხნის, „ფართოდ, როგორც მშრომელთა ვალდებულებას — დაცვან შრომის სამართლის ნორმებით მათზე დაკისრებულ ყველა მოთხოვნის ერთობლიობა“³.

შრომის დისციპლინის ინსტიტუტი რომ საბჭოთა შრომის სამართლის წამყვან ინსტიტუტს წარმოადგენს, ამას ნათელყოფს აგრეთვე პროფ. ს. ბრატუსის შემდეგი მოსაზრებაც: შრომის სამართალში ორგანიზაციული ურთიერთობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ადმინისტრაციული ურთიერთობებისაგან განსხვავებით, იგი, ვითარდება რა შინაგანაწესის ჩარჩოებში, ეხება თვით შრომის პროცესს, რის გამოც შრომის ხელშეკრულების ორივე მხარე ამ შინაგანაწესსვე ემორჩილება. მუშაკის მნიშვნელოვანი ვალდებულებაა შრომის დისციპლინის დაცვა. შრომის დისციპლინის შინაარსი მოიცავს სოციალისტური ქონებისადმი სიფრთხილით მოპყრობის მოვალეობასაც. შრომის უფლებრივ ურთიერთობაში — აღნიშნავს იგი, — მხარეთა თანასწორობა შერწყმულია შრომის შინაგანაწესისადმი მუშაკის დაქვემდებარებასთან. შრომის დისციპლინის დარღვევა იწვევს სპეციფიკურ სანქციებს — დისციპლინურ პასუხისმგებ-

¹ Н. Г. Александров, Трудовое правоотношение, Москва, 1948, зб. 125, 126.

² Н. Г. Александров, Отличительные признаки трудового правоотношения, («Вопросы, трудового права», Москва, 1948, зб. 44).

³ С. С. Коринский, Основные направления в развитии Советского трудового права, («Вопросы советского социалистического права», Москва, 1958, зб. 170).



ლობას¹. ამის მიხედვით, ავტორი გვაძლევს შრომის დისციპლინის, შრომითი ურთიერთობის (შრომის ხელშეკრულებისა და შრომის შინაგანაწესის) ურთიერთგადაჯვარედინებულსა და მკაფიოდ გამოკვეთილ, ჩვენთვის საინტერესო დებულებას.

შრომის დისციპლინის საკითხი, წარმოადგენს რა საბჭოთა საზოგადოებისა და მისი ეკონომიკის განვითარების საკვანძო პრობლემას, გადამწყვეტ გავლენას ახდენს საბჭოთა კავშირში შრომითი ურთიერთობის განვითარების მთელ პროცესზე და ამავდროს განაპირობებს ამ ურთიერთობის ხარისხობრივ დონესა და არსსაც.

ამგვარადვე უნდა წარმოვიდგინოთ შრომის დისციპლინის ინსტიტუტის როლი და დანიშნულება საბჭოთა შრომის სამართლის სისტემაში.

რიგი იმ კონკრეტული საკითხებისა, რომლებიც დასმულია საბჭოთა შრომის სამართლის ცალკეული ინსტიტუტების წინაშე, განიხილება შრომის დისციპლინის ძირთაღ მოთხოვნათა თვალსაზრისით. ასეთი ხაზი ვლინდება საბჭოთა შრომის სამართლის თითქმის ყველა ინსტიტუტში.

შრომის დისციპლინის სამართლებრივი რეგულირების ინსტიტუტის შინაარსი განსაზღვრავს და მოიცავს საბჭოთა შრომის სამართლის მეცნიერების, როგორც ზოგადი, ისე განსაკუთრებული ნაწილის დანარჩენი ინსტიტუტების მთელ სისტემას. სოციალისტური საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, სსრ კავშირში შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები, პროფკავშირთა უფლებები, კოლექტიურ ხელშეკრულებათა და შრომის ინდივიდუალურ ხელშეკრულებათა დადება, სამუშაო დღისა და დასვენების დროის რეჟიმის განხორციელება, შრომის ანაზღაურება, შრომის დაცვის წესების შესრულება, შრომითი დავების განხილვის წესების დაცვა, და აგრეთვე სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესების უზრუნველყოფაც — გარკვეული სახით შრომის დისციპლინის არსებით მოთხოვნებს ექვემდებარება².

სამოქალაქო სამართლის კათედრა

(რედაქციის მოუვიდა 15/I, 1964 წ.)

¹ С. Н. Братусь, Предмет и система Советского гражданского права, Москва, 1963, гл. 106, 107.

² იხ. მეგალითად, შესაბამისი თავი შრომის დისციპლინის შესახებ კოლექტიურ ხელშეკრულებაში; შრომის კანონთა კოდექსის 371 მუხლის ბოლო ნაწილი (საწარმო აუცილებლობის გამო გადაყვანაზე მუშაკის უარი საპატიო მიზეზის გარეშე); შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის „დ“ პ. და აგრეთვე 1956 წლის 25 აპრილის ბრძანებულების მე-7 მუხლის „გ“ პ. (შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, იმ მუშაკებისათვის პრემიების სრული ან ნაწილობრივი ჩამორთმევა, რომლებმაც დაუშვეს გადაცდომები და საწარმოო ხასიათის ხელშეშვება, შრომითი დავების განხილვის წესი დათხოვნის ან სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ, აგრეთვე დისციპლინური ზემოქმედების გასაჩივრების წესი (1957 წ. 31 იანვრის დებულება შრომითი დავების განხილვის წესის შესახებ და სხვ. აქტები); დახმარების ჩამორთმევა იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებიც თავის ჯანმრთელობას განზრახ აყენებენ ვნებას სამუშაოს ან სხვა მოვალეობის თავის არიდების მიზნით, ან თავს მოიავადმყოფებენ (სიმულიანტები) — იხ. 1955 წლის 22 იანვრის დებულება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარების დანიშნისა და გაცემის წესის შესახებ, და ა. შ.



Е. Г. НЕИДЗЕ

О ЗНАЧЕНИИ ИНСТИТУТА ДИСЦИПЛИНЫ ТРУДА В СОВЕТСКОМ ТРУДОВОМ ПРАВЕ

(Резюме)

О решающем значении внедрения и укрепления дисциплины труда в деле развития народного хозяйства СССР указывается: а) в целом ряде трудов В. И. Ленина; б) в директивных решениях и программных документах вышестоящих партийных органов; в) в постановлениях профсоюзных организаций и общественности (общих собраний, производственных совещаний и т. д.); г) в нормативных актах и мероприятиях высших органов государственной власти и органов государственного управления.

Правовые акты, направленные на регулирование дисциплины труда в Советском Союзе, могут быть представлены, по нашему мнению, в виде: 1) общеобязательных актов (положений); 2) отдельных норм КЗОТ, обязательных для рабочих и служащих в области соблюдения конкретных требований трудовой дисциплины; 3) специальных актов по борьбе с прогулами без уважительных причин.

За исключением отдельных актов (1920, 1940 гг.), прогул без уважительных причин признается дисциплинарным проступком. Действующее законодательство за этот вид нарушения дисциплины труда устанавливает, как дисциплинарную, так и общественную ответственность.

Одну из важнейших задач товарищеских судов предприятий и учреждений, составляет борьба с прогулами без уважительных причин, а также с иными нарушениями трудовой дисциплины.

Роль трудовой дисциплины в развитии и регулировании трудовых отношений в СССР весьма значительна. Вопросы трудовой дисциплины рассматриваются в различных институтах Советского трудового права.

В специальной литературе понятие дисциплины труда признается основным, так как это понятие по существу в целом непосредственно связано с обширным кругом вопросов трудового правоотношения.

Дисциплина труда, являясь узловым институтом Советского трудового права, оказывает решающее влияние на весь процесс развития трудовых отношений в СССР, предопределяет качественный уровень и сущность этих отношений.

Ряд конкретных задач, поставленных в отдельных институтах Советского трудового права, рассматривается в аспекте соблюдения основных требований дисциплины труда. Такая линия проявляется почти во всех институтах Советского трудового права.

Анализ отдельных вопросов науки Советского трудового права показывает, что основные принципы социалистической организации труда, нормативные акты по регулированию трудовых отношений в СССР, права профсоюзов, обязательства по коллективному договору, содержание трудового договора, осуществление режима рабочего времени, применение поощрительных форм вознаграждения за труд, соблюдение правил по охране труда и порядка рассмотрения трудовых споров, а также осуществление задач в области государственного социального страхования, — в известной степени подчинены существенным требованиям дисциплины труда.

Г. Р. НАДИРАДЗЕ

О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ОБЪЕКТИВНОЙ СТОРОНЫ ПО ВАЛЮТНЫМ ПРЕСТУПЛЕНИЯМ

Нарушения правил о валютных операциях в настоящее время предусмотрены статьей 89 УК ГССР и соответствующими статьями УК других союзных республик.

Объективная сторона нарушения правил о валютных операциях, в соответствии с диспозицией рассматриваемого преступления, имеет две формы или охватывает два состава: а) нарушение правил о валютных операциях, б) спекуляция валютными ценностями или ценными бумагами.

Второй состав или вторая форма объективной стороны рассматриваемого преступления не содержалась в ст. 58-27 УК ГССР и соответствующих статьях УК других союзных республик, предусматривавших нарушения правил о валютных операциях. Это обстоятельство приводило к противоречивой судебной практике при квалификации случаев спекуляции валютными ценностями или ценными бумагами. Поэтому, учитывая это обстоятельство как пробел в действующем законе, новое уголовное законодательство установило ответственность как за нарушение правил о валютных операциях, так и за спекуляцию валютными ценностями или ценными бумагами, и тем самым восполнило существовавший до декабря 1958 года пробел.

Следовательно, рассматриваемое ныне преступление содержит два различных, но близких и тесно связанных между собой состава; различие же между ними заключается как в объективной, так и в субъективной стороне и предмете преступления.

В целях уточнения как общих, так и разграничивающих элементов, характеризующих эти два состава преступления, целесообразно рассматривать их отдельно.

А) **Нарушение правил о валютных операциях.** Ст. 89 УК ГССР и соответствующие статьи УК других союзных республик не указывают, в чем конкретно могут заключаться эти нарушения, так как диспозиция этих статей является бланкетной.

Для того, чтобы судить, "какого рода общественно опасные деяния могут образовать состав рассматриваемого преступления, необходимо обращаться к действующему законодательству, регулиющему производство валютных операций в СССР, в частности, к Уставу Государственного банка СССР.

В соответствии с этим уставом, к рассматриваемому преступлению должны быть отнесены, например, такие деяния, как скупка и продажа золотых монет дореволюционной чеканки, скупка и продажа иностранной валюты (французских франков, английских фунтов, американских



долларов и т. п.), скупка и продажа золота в слитках, в песке, обмен Советской валюты на иностранную валюту помимо Государственного банка СССР.¹

Нарушение правил о валютных операциях, с объективной стороны, может выражаться, **во-первых**, в совершении купли-продажи, предметом которых могут являться валютные ценности: золото, платина, металлы платиновой группы в сыром виде, слитках, ломе и монетах; иностранная валюта, как наличная, так и в платежных документах, а также иностранные фондовые ценности.

Осужденные Верховным Судом Грузии за нарушение правил о валютных операциях К а к и а ш в и л и, К а ц о ш в и л и, Н а н а з и а ш в и л и и другие, в период с 1958 по 1960 год систематически скупали и продавали как бумажную, так и золотую валюту, золотые монеты царской чеканки, платиновый и золотой лом, а также другие валютные ценности. В результате их преступной деятельности были изъяты из государственного оборота крупные суммы денег и валютные ценности. Только один К а к и а ш в и л и совершил куплю и продажу валюты и валютных ценностей с общим оборотом на сумму двух с половиной миллионов рублей (в старом масштабе денег).²

Сделки с советской валютой, в частности скупку в целях хранения и переплавки разменной монеты, либо скупку серебряных монет советской чеканки достоинством в один рубль, 50, 20, 15 и 10 копеек, а также продажу их по повышенной против номинала цене с целью наживы, также следует рассматривать, как нарушение правил о валютных операциях.

Несмотря на то, что Уставы Государственного банка СССР, как 1949, так и 1960 годов, считают монополией Госбанка только куплю и продажу валюты и валютных ценностей, многие ученые-юристы, как например, авторы комментария к Уголовному Кодексу РСФСР 1960 года под редакцией т. т. М. Д. Шаргородского и Н. А. Беляевой, считают, что в настоящее время все сделки (купля, продажа, дарение, залог, обмен и др.) с валютными ценностями могут совершаться только через Госбанк СССР и нарушение этого порядка образует состав преступления, предусмотренного ст. 88 УК РСФСР и соответствующими статьями УК других союзных республик.³

Определенная же группа ученых-юристов, в частности и тов. М. Корпушин, справедливо высказывает обратное мнение и считает, что запрещенными являются только те сделки, о которых говорится в нормативных актах как о запрещенных, а другие сделки, разумеется, должны быть свободными.

Тут, кроме того, что Устав Госбанка СССР обходит все сделки, за исключением купли и продажи, которые на самом деле являются наиболее опасными и часто встречающимися сделками в преступной деятельности валютчиков, нет законного основания считать другие сделки нарушением правил о валютных операциях, если не считаться с установившейся практикой, а практика же в этом отношении, как нам пред-

¹ Советское уголовное право. Часть Особен., изд. 1964 г. Московского Университета, стр. 84.

² «Вечерний Тбилиси», 1 декабря 1961 года.

³ Комментарий к уголовному кодексу РСФСР 1960 года, изд. Ленинградского университета, 1962, стр. 183.

ставляется, не располагает какими-либо фактами, заслуживающими внимания. Например, в результате ознакомления с материалами нескольких десятков уголовных дел на валютчиков, было установлено, что в числе других преступных сделок осужденный за нарушение правил о валютных операциях один только Каминер занимался, наряду с куплей-продажей и обменом валюты. Он переправлял московскому валютчику Рабиновичу золотые десятки царской чеканки и получал от последнего американские доллары, английские фунты стерлингов и платину. Что же касается сделок «дарение» и «залог», то они являются почти не встречающимися сделками в практике борьбы с валютчиками.

Нарушение правил о валютных операциях, **во-вторых**, может выражаться в незаконной пересылке, переводе, провозе валюты и валютных ценностей за границу и из-за границы в СССР помимо Государственного банка СССР, Банка для внешней торговли СССР или почтовых учреждений СССР.

Например, известно, что у многих валютчиков имеются родственники за рубежом и очень часто эти связи используются ими для незаконных валютных сделок. В подтверждение этого можно сослаться на спекулянтку Керелене-Зисманович, проживающую в Литве, которая через курию Тельшяйского епископата непосредственно передавала Павилонису советскую валюту, оплачивая по спекулятивной цене доллары, врученные за океаном ее знакомым и родным.¹

По делу осужденного крупного спекулянта-валютчика Биллера было установлено, что он занимался пересылкой валюты за границу, используя при этом два способа пересылки: один способ — провоз валюты лично, а другой — использование тех, кто отправляется за границу в командировки или туристические поездки.²

В-третьих, нарушение правил о валютных операциях может выражаться в производстве и приеме платежей в иностранной валюте, за исключением случаев, разрешенных Законом.

Изготовление частными лицами зубных протезов из драгоценных металлов, приобретенных ими незаконным путем, и все, связанные с таким незаконным протезированием, операции следует квалифицировать как нарушение правил о валютных операциях, так как зубным врачам и техникам соответствующей инструкцией запрещено заниматься частной практикой по протезированию зубов из драгоценных металлов. Такие операции могут производить государственные стоматологические учреждения, при условии соблюдения соответствующих правил.

По Закону одно лишь хранение валютных ценностей не образует состав рассматриваемого преступления, если не установлен преступный характер их приобретения.

Например, из хранящихся наследованных от умершего отца золотых монет царской чеканки Манукян в одном случае взял два десятка и отнес их к зубному технику для того, чтобы он сделал ему из них золотые зубы, а в другом случае, желая частично реализовать золотые монеты, взял пять золотых монет десятирублевого достоинства и продал их неизвестному гражданину, получив за каждый десяток 90 рублей, всего 450 рублей. В первом случае Манукян совершил

¹ «Советская Литва», 24 января 1962 г.

² См. «Живое ископаемое», «Ленинское знамя», 15 июня 1961 г.



правомерное действие, а во втором — рассматриваемое нами преступление.

Совершение сделок с золотом, серебром и платиной в изделиях, которые могут быть предметом гражданского оборота, с соблюдением правил пробирного надзора, при условии отсутствия спекулятивных целей, нельзя рассматривать, как нарушение правил о валютных операциях.

15 мая 1964 года Погосов Армен купил золотое обручальное кольцо в магазине ювелирторга за 45 рублей. В связи с тем, что кольцо оказалось неподходящим по размеру, оно было продано им соседу — Погосову Сергею за 45 рублей. В июне того же года Погосов Сергей, купивший кольцо не для себя, а с целью наживы, продал его за 70 рублей неизвестному лицу. Погосов а Сергея правильно привлекли к уголовной ответственности за спекуляцию, а Армена только допросили как свидетеля по делу.

Ответственность за приготовление и покушение на совершение рассматриваемого преступления должна наступать в соответствии со ст. 17 УК ГССР и соответствующих статей УК других союзных республик.

Например, 24 сентября 1962 года спекулянт-валютчик Азнавурян в городе Тбилиси обратился к неизвестному гражданину с предложением купить у него английские фунты стерлингов, заявив, что он продает по-дешевке. Неизвестный отказался купить у него золотые монеты, а Азнавурян при этом был задержан работниками милиции, при обыске у него было изъято 100 штук золотых монет.

Нарушение правил о валютных операциях является оконченным с момента совершения сделки купли-продажи или осуществления перевода, пересылки, производства и приема платежа в иностранной валюте.

Б) Спекуляция валютными ценностями или ценными бумагами. Вторым составом диспозиции ст. 89 УК ГССР и соответствующих статей УК других союзных республик, является спекуляция валютными ценностями и ценными бумагами. Так как диспозиция рассматриваемой статьи является бланкетной, она не указывает на конкретные признаки состава этого преступления, для их установления надо обратиться к законодательным материалам других отраслей права. В частности, к Постановлению ЦИК и СНК СССР от 7 января 1937 года, Постановлениям Совета Министров СССР от 25 октября 1948 года и от 30 декабря 1949 года, Уставу Госбанка СССР 1960 года, Инструкциям, издаваемым Министерством финансов СССР и т. д.

Скупка и перепродажа с целью наживы, как облигаций государственных займов, так и золотых монет и драгоценных камней, либо платежных документов в иностранной валюте, также составляют рассматриваемые преступления.

Спекуляция валютными ценностями состоит в скупке валютных ценностей и перепродаже их с целью наживы по повышенной цене. Предметом спекуляции может быть как советская, так и иностранная валюта, так же и ценные бумаги, как советские, так и иностранные.

Хранение валютных ценностей и ценных бумаг с целью сбыта является приготовлением к спекуляции валютными ценностями.

Говоря о сходстве и различии между спекуляцией валютными ценностями или ценными бумагами с одной стороны, и обычной спекуляцией — с другой, Ю. В. Солопанов утверждает, что «Если при обычной спекуляции лицо стремится получить нетрудовой доход путем перепродажи скупленного с этой целью товара по повышенной цене, что пред-

полагает наличие двух действий — скупку и продажу, то при спекуляции некоторыми валютными ценностями создается возможность извлечения нетрудового дохода посредством совершения только скупки этих ценностей».¹

В подтверждение сказанного приводится пример со спекулянтом Т., который был признан виновным в том, что систематически скупал облигации государственных займов и извлекал значительный нетрудовой доход, в результате получения по ним выигрышей и оплаты облигаций, вышедших в тиражи погашения. Далее Ю. В. Солопанов приведением другого примера доказывает правильность изложенного им положения. «Равным образом, — говорит он, — спекуляция иностранной валютой может выразиться в разовой ее продаже. Если иностранный гражданин продает в СССР иностранную валюту помимо государственного банка и выше официального обменного курса с тем, чтобы приобрести в СССР большое количество тех или иных товаров потребления, он подлежит ответственности по ст. 25 Закона».

Резюмируя сказанное, Ю. В. Солопанов указывает: «Таким образом, оконченным преступлением спекуляция валютными ценностями или ценными бумагами должна считаться при совершении хотя бы одного действия: как скупки, так и продажи, с целью извлечения нетрудового дохода».

С приведенными доводами нельзя согласиться, так как по своему составу спекуляция охватывает как скупку, так и продажу и цель наживы вместе взятых. Следовательно, одной только скупкой облигаций государственных займов или одной только продажей иностранной валюты не образуется оконченный состав спекуляции.

Спекуляция не потому предусматривается двумя разными статьями — 89 и 165 УК ГССР и соответствующими статьями УК других союзных республик, что между ними имеется разница в их понятии, — нет. Понятие спекуляции как таковой одинаковое, но в силу разных объекта и предмета посягательства они в разной степени представляют опасность для Советского государства и поэтому в системе советского уголовного законодательства занимают разное место.

Если же анализировать приведенные примеры в подтверждение указанных Ю. В. Солопановым доводов, то они не выдерживают критики. Скупка облигаций, если даже они не предназначались для продажи другим лицам, разве не предполагала их продажу государству по более повышенной цене, чем они были скуплены? Во-первых, государство погашает облигации, которые не вышли в тиражи выигрышей, по их нарицательной стоимости. А нарицательная стоимость облигаций, видимо, всегда выше, чем за них было уплачено спекулянтом. Погашение же облигаций есть их выкуп государством. Во-вторых, если на облигацию выпал выигрыш, то ее владелец получает не только выигрыш, но и стоимость облигации. Государство и в этом случае выкупает облигацию.

Только лишь скупка облигации по пониженной цене, как было сказано выше, рассматривается, как покушение на спекуляцию валютными ценностями.

Что же касается другого примера продажи иностранцем привезенной им иностранной валюты по цене, выше официального курса, то тут

¹ Государственное преступление. М. Изд. Высшая школа. 1961 г. Глава 19 — Преступления, посягающие на советскую денежную и кредитную систему.



имеется нарушение правил о валютных операциях, а не спекуляция валютными ценностями, так как эту валюту иностранец не скупал, а привез с собой.

«Не может дать состава рассматриваемого преступления совершение тех или иных сделок с различного рода изделиями из золота, серебра и платины (например, золотое кольцо, серебряные портсигары, платиновые броши), которые могут быть предметом оборота, с соблюдением правил пробирного надзора.

Скупка и перепродажа в целях наживы изделий из золота, серебра, платины и иных драгоценных металлов, должна квалифицироваться, как спекуляция, по ст. 154 УК».¹

Тут авторы учебника обходят важный вопрос — как рассматривается с точки зрения уголовного законодательства скупка и перепродажа в целях наживы изделий из золота, серебра, платины и иных драгоценных металлов, с нарушением правил пробирного надзора?

Как известно, изделия из драгоценных металлов, драгоценные камни и изделия из них, являются валютной ценностью. А валютная ценность может являться предметом спекуляции, предусмотренным ст. 89 УК ГССР и соответствующими статьями УК других союзных республик.

Когда изделия из драгоценных металлов являются предметом скупки и перепродажи с целью наживы, с соблюдением правил пробирного надзора, преступные деяния квалифицируются, как обычная спекуляция по ст. 165 УК ГССР и соответствующими статьями УК других союзных республик. В таком случае соблюдением правил пробирного надзора обеспечивается выполнение законом установленного порядка и монопольного права государства на валюту и валютные ценности. Кроме того, в результате соблюдения указанных правил в доход государства поступает часть советской валюты.

Когда изделия из драгоценных металлов и камней становятся предметом спекуляции с нарушением правил пробирного надзора, в таких случаях преступные деяния должны быть квалифицированы по ст. 89 УК ГССР и соответствующими статьями УК других союзных республик. Это является закономерным, так как производство изделий из драгоценных металлов, находящихся в ведении государства и пуск их в оборот без соответствующего разрешения последнего, нельзя не рассматривать, как нарушение государственной монополии на валюту и валютные ценности.

Предметы спекуляции, так же как и предметы нарушения правил о валютных операциях, могут появляться на черном рынке различными путями. Они могут быть проданы лицами, правомерно владеющими ими; привезены из-за границы контрабандным путем; путем сбыта в скупочных магазинах ювелирторга и т. д.

Не часто встречаются предметы спекуляции, купленные в скупочных магазинах ювелирторга. Среди таких ценностей встречались как платиновые изделия, так и изделия из других драгоценных металлов и камней. Например, спекулянт-валютчик Михаил Швили Моше скупал в магазинах ювелирторга в Москве золотые часы, цепочки и браслеты для часов, привозил в город Тбилиси и продавал их известным валютчикам, в том числе и Какишвили Мордеху.

¹ Советское уголовное право. Часть Особен. изд. 1964 г. Московского университета, стр. 85.

Как предметы спекуляции, чаще всего встречаются бумажная валюта и золотые монеты. Это положение находит свое подтверждение по любому уголовному делу, возникшему не только за последнее время борьбы с валютчиками, но даже и по делам первых лет установления Советской власти в нашей стране. Например, еще 21 июня 1926 года был привлечен к уголовной ответственности за нарушение правил о валютных операциях Микрופуло Иван Иванович, который спекулировал английскими фунтами, американскими долларами и турецкими лирами. В 1928 году был задержан Давидов Керим Давидович при скупке им 20 штук английских фунтов и 10 штук турецких лир.

Спекулянт валютными ценностями — он же подчас и спекулянт другими товарами. Например: осужденный Верховным судом Грузии валютчик Хананашвили занимался спекуляцией дефицитными товарами. Купив в Москве пианино, он переслал его в Тбилиси, с намерением продать по спекулятивной цене. Кроме того, при задержании, у него в кармане обнаружили флакон ауреомицина. Хананашвили пытался тут же уверить, что ауреомицин он не продает, а принимает сам, и даже проглотил на глазах у всех одну пилюлю, забыв в попыхах о том, что ему, пожилому человеку, вредно глотать без нужды сильно действующие антибиотики.¹

Лица, укрывающие валюту и валютные ценности, заранее обещавшие скрыть преступным путем найденное, должны быть привлечены к уголовной ответственности, как соучастники преступления по ст. ст. 19 и 89 УК ГССР и соответствующим статьям Ук других союзных республик.

(Поступило в редакцию 16. II. 1966 г.)

¹ См. «Заря Востока» от 30 ноября 1961 года.

შ. ფაფიაშვილი

მექრთამეობის საფაფაზე ჩასატარებელ საგამომძიებლო მოქმედებათა ჯოგინათი ტაქტიკური თავისებურება

მექრთამეობის გახსნისა და თავიდან აცილებისათვის საჭიროა ჩატარდეს მთელი რიგი საგამომძიებლო მოქმედებანი სათანადო პროცესუალური ნორმების დაცვით. ამავე დროს საჭიროა სწორად შეირჩეს და განისაზღვროს მექრთამეობის საქმეებზე ჩასატარებელ საგამომძიებლო მოქმედებათა წრე და მათი ჩატარების თანმიმდევრობა.

მექრთამეობის გახსნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს და დადგინდეს პირველდაწყებით გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებათა ხასიათი და მათი ჩატარების სავალდებულო თანმიმდევრობა მექრთამეობის ყველა კონკრეტულ საქმეზე.

ამა თუ იმ სახის პირველდაწყებით გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულება მექრთამეობის ყოველ კონკრეტულ საქმეზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფაქტიური მონაცემები გახდა მოცემული სახის დანაშაულის აღძვრის საფუძველი და, მათთანამე, თუ რა ფაქტიური მონაცემები აქვს გამოძიებელს საქმის წარმოებაში მიღების მომენტისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზია მოქალაქის განცხადება ქრთამის გამოძალვის შესახებ, მაშინ, ცხადია, არ შეიძლება პირველ რიგში მივმართოთ სხვა რომელიმე საგამომძიებლო მოქმედების ჩატარებას თუ არა განმცხადებლის დაკითხვას. ხოლო თუ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა უშუალოდ მოკვლევის ორგანოს, საგამომძიებლის ან პროკურორის მიერ დანაშაულის ნიშნების გამოძალვების საფუძველზე, მაშინ, შესაძლოა, პირველად გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებათა სახით აუცილებელი გახდეს ქრთამის მიმცემის, ქრთამის ამლებისა და მექრთამეობაში შუამავალ პირთა საცნობარებელ ბინაზე ჩხრეკის ერთდროულად ჩატარება ან დოკუმენტების საგამომძიებლო დათვალიერება.

როგორც საგამომძიებლო პრაქტიკა გვიჩვენებს, მექრთამეობის გახსნის თავისებურებებიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში, პირველად საგამომძიებლო მოქმედებად აუცილებელია ჩატარებული იქნეს მოწმის დაკითხვა. ეს უკანასკნელი გამომდინარეობს იქიდან, რომ მექრთამეობის საქმეების უდიდესი უმრავლესობის აღძვრის საბაზი ხდება სწორედ მოქალაქეთა განცხადებები. აღნიშნულის შესაბამისად, ცხადია, განმცხადებლის დაკითხვის გარეშე შეუძლებელია ქრთამის მიცემა-აღების ფაქტზე ან თვით ქრთამის საგანზე რაიმე სარწმუნო ცნობის მიღება და გამოძიების სწორი მიმართულებით წარმართვა.



თვითეული საგამომძიებლო მოქმედების წარმოების პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს მექრთამეობის ხელშემწყობი პირობებისა და მიზეზების გამორკვევას, ამავე დროს, გამოძიების ნებისმიერ სტადიაზე, როცა კი აუცილებელი იქნება, გამომძიებელი ვალდებულია მექრთამეობის თავიდან ასაცილებლად მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება.

როგორც საგამომძიებლო პრაქტიკა გვიჩვენებს, მექრთამეობის გახსნისათვის, უმეტეს შემთხვევაში, საჭიროა ჩატარდეს შემდეგი სახის ძირითადი საგამომძიებლო მოქმედებანი: განმცხადებლის, მოწმის, უკვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა; ჩხრეკა და ამოღება: ექსპერტიზის დანიშვნა; საგამომძიებლო ექსპერიმენტი და ჩვენების ადგილზე შემოწმება; დაპირისპირება.

მოწმის დაკითხვა. მექრთამეობის საქმეებზე, ისევე, როგორც ყველა სხვა სახის სისხლის სამართლის დანაშაულზე, მოწმის ჩვენება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამამტკიცებელი საბუთის წყარო. საქმეზე შეკრებილ ყველა დამამტკიცებელ საბუთს შორის იგი არის სრული, ტოლფასოვანი მნიშვნელობის. ამიტომ არ შეიძლება გავიზიაროთ ნ. სერგეევის მოსაზრება, რომ თანამდებობრივი სახის დანაშაულზე მოწმის ჩვენება თავისი ღირებულებით თითქოს ადგილს უთმობს ისეთი სახის დამამტკიცებელ საბუთებს, როგორცაა: დოკუმენტები, რევიზიის აქტები და ექსპერტის დასკვნა¹.

მოწმის დაკითხვა ურთულესი საგამომძიებლო მოქმედებაა. იგი გამომძიებლისაგან განსაკუთრებულ მომზადებას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეები მექრთამეობის ჩადენას აწარმოებენ განსაკუთრებული სიფრთხილით, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ყოველგვარ მოწმეთა დასწრების გარეშე, მექრთამეობის ესა თუ ის ფაქტი, ესა თუ ის გარემოება არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს სხვა ისეთი რომელიმე პირისათვის, რომელიც მომხდარი მექრთამეობის ფაქტის დაფარვით არ არის დაინტერესებული. ასეთ პირთა მოძებნა გამოძიებისათვის პირველხანებში გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მაგრამ მათი მოძებნა და დაკითხვა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დასადგენ გარემოებათა შესახებ — აუცილებელია. ამავე დროს, როგორც საგამომძიებლო პრაქტიკა გვიჩვენებს, გამორიცხული არაა ისიც, რომ მოწმედ მოგვევლინოს თვით მექრთამეობაში მონაწილე რომელიმე პირი (მაგალითად, ქრთამის მიმცემი ნებაყოფლობითი განცხადების შემთხვევაში).

ასევე, შესაძლოა საჭირო გახდეს ისეთი პირის დაკითხვაც, რომელმაც მართალია არაფერი იცის მექრთამეობის ფაქტის შესახებ, მაგრამ შეუძლია დაადასტუროს თანამდებობის პირის მიერ შესრულებული ამა თუ იმ სახის მოქმედება ან უმოქმედობა, ან დაადასტუროს ქრთამის მიმცემისა და ქრთამის ამღების ნაცნობობის ფაქტი, ან მოგვცეს მნიშვნელოვანი ჩვენება მექრთამეობაში მონაწილე პირთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობის და სხვა მისთ. შესახებ.

მოწმეთა აღნიშნული მრავალფეროვნების მიუხედავად მექრთამეობის საქმეებზე მოწმის სახით დასაკითხ პირთა წრე შეიძლება პირობითად დავყოთ ოთხ ძირითად ჯგუფად:

¹ იხ. Н Сергеев, Оценка и проверка свидетельских показаний в должностных преступлениях, «Социалистическая законность», № 1, 1937, зб. 42.

1. პირები, რომელთა მიმართაც ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძიებას ასეთის მცდელობას, ან უშუალოდ ადრე თვითონ იყვნენ მოცემული დანაშაულის მონაწილენი, მაგრამ თავიანთი გულწრფელი, ნებაყოფლობითი აღიარებით სურთ ხელი შეუწყონ ჩადენილი დანაშაულის გახსნასა და თავიდან აცილებას;

2. პირები, რომლებმაც სხვადასხვა გზითა და საშუალებებით შეიტყეს ქრთამის მიცემა-აღების, ან მექრთამეობაში შუამავლობის ფაქტის ან ასეთის მზადების შესახებ, თვითონ არავითარი კავშირი არა აქვთ მასთან და გულწრფელად სურთ წინასწარი გამოძიების ორგანოებს დაეხმარონ დანაშაულის გახსნასა და თავიდან აცილებაში;

3. პირები, რომლებმაც მართალია არაფერი იციან მომხდარი მექრთამეობის ფაქტის შესახებ, მაგრამ შეუძლიათ დაადსტურონ ან უარყონ საქმეზე გამოძიებით დასადგენი რაიმე მნიშვნელოვანი გარემოება (მაგალითად, ბრალდებულის პიროვნების შესახებ დასადგენი გარემოებების, მექრთამეობაში მონაწილე პირთა ურთიერთდამოკიდებულების, თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობის ფაქტის და სხვა მისთ. დასადგენად);

4. პირები, რომლებმაც მართალია იციან მექრთამეობის ფაქტის ან მის ირგვლივ გამოძიებით დასადგენი გარემოების შესახებ, მაგრამ, მექრთამეობაში მონაწილე პირებთან კარგი დამოკიდებულების (ნათესაური, მეგობრული, სამსახურებრივად მასზე დამოკიდებული და სხვა მისთ.) გამო არ სურთ მისცენ სწორი ჩვენება და ცდილობენ ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავებას ან მათთვის ცნობილი ფაქტების დამახინჯებით გადმოცემას.

მოწმეთა აღნიშნული სახის კლასიფიკაცია თავისი პრაქტიკული მნიშვნელობით, ფიქტობით, ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად საჭირო დასაკითხ პირთა მოძებნას და მათი დაკითხვის ტაქტიკურად სწორი თანმიმდევრობის განსაზღვრას, დაკითხვის პროცესში ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების სწორ შერჩევას და გამოძიებლის მიერ მათგან მიღებული ჩვენების სწორად შეფასებას.

მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით, მექრთამეობის საქმეზე გამოძიებლის საქმიანობა შეიძლება შემდეგ საფეხურებად დაიყოს: ა) საქმეში არსებული პირველადი მონაცემებით დასაკითხ პირთა წრის განსაზღვრა; ბ) დაკითხვის მომზადება; გ) დაკითხვა; დ) დაკითხვის შედეგების ფიქსირება; ე) მოწმისაგან მიღებული ჩვენების შეფასება.

პირველ რიგში დასაკითხად მიზანშეწონილია შეიჩრჩეს ისეთი პირები, რომლებსაც შეუძლიათ სწორი ჩვენება მისცენ გამოძიებით დასადგენი მთავარი ფაქტის — ქრთამის მიცემა-აღების შესახებ. შემდეგ კი — დანარჩენი პირები. მოწმეთა დაკითხვის ასეთი თანმიმდევრობის განსაზღვრისას საჭიროა გამოძიებელმა გაითვალისწინოს: 1) მოწმისა და ბრალდებულის ურთიერთდამოკიდებულება; 2) მოწმეთა ურთიერთდამოკიდებულება; 3) გამოძიებით დასადგენი ამა თუ იმ გარემოების შესახებ როგორი ჩვენების მოცემა შეუძლია მოწმეს, წინასწარი სავარაუდო მონაცემებით.



საჭიროა გვახსოვდეს, რომ მოწმეთა დაკითხვის სწორი თანამდებობის განსაზღვრა მექრთამეობის ფაქტის საუკეთესო საწინდარია.

იმ შემთხვევაში, თუ მოწმე აშკარად ცრუ ჩვენებას იძლევა, მიზანშეწონილი არაა მისი თხრობის შეწყვეტა. საჭიროა მხოლოდ მოვახდინოთ მისი ჩვენების ფიქსირება იმავე სახით, მოვაწერინოთ მასზე ხელი და შემდეგ, საქმეზე შეკრებილი სხვა მასალების გამოყენებითა და დაკითხვის დეტალიზაციით, მივაღწიოთ მისგან სწორი ჩვენების მიღებას.

გამომძიებელმა მოწმის ჩვენების შეფასება უნდა აწარმოოს არა მარტო დაკითხვის შემდეგ, არამედ თვით დაკითხვის პროცესშიც — საკონტროლო, დამაზუსტებელი, მომაგონებელი და შემაგსებელი კითხვების დასმითა და მათზე მიღებული პასუხებით. ხოლო მიღებული ჩვენების სისწორე, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება შემოწმდეს სხვა ისეთი საგამომძიებლო მოქმედების ჩატარებით, როგორცაა: მოწმეების, მოწმისა და ბრალდებულის დაპირისპირება და ამოცნობა, ჩვენების ადგილზე შემოწმება და სხვ.

ჩვენ მიერ მოცემული ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის შესაბამისად, პირველი ჯგუფის მოწმეთა დაკითხვისას, როცა განმცხადებელი აცხადებს, რომ თანამდებობის პირის მიერ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას ან ასეთის მცდელობას, ძირითადი ყურადღება გამახვილებული უნდა იქნეს შემდეგი სახის გარემოებათა დადგენაზე:

- 1) სად, როდის, რა გარემოებაში, რამდენჯერ და რა სახის სამსახურებრივი მოქმედების (ან უმოქმედობის) შესრულებისათვის მოითხოვა თანამდებობის პირმა ქრთამი;
- 2) რა სახის და რა რაოდენობის მატერიალურ ღირებულებას მოითხოვდა ქრთამად თანამდებობის პირი;
- 3) რა სახის მოქმედების (ან უმოქმედობის) შესრულებით აშინებდა თანამდებობის პირი ქრთამის მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში;
- 4) შესარულა თუ არა თანამდებობის პირმა ქრთამის მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში (თუკი ასეთ გარემოებას ადგილი ჰქონდა) თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მოცემული პირის ინტერესების საწინააღმდეგოდ რაიმე მოქმედება;
- 5) რა იყო, ან რა უნდა ყოფილიყო ქრთამის უშუალო საგანი და რა ინდივიდუალური ნიშნებით ხასიათდებოდა იგი;
- 6) სად, როდის, რა გარემოებაში მოხდა ან უნდა მოხდეს ქრთამის გადაცემა;
- 7) რა იყო ქრთამის მიცემის მიზანი და მოტივი;
- 8) უშუალოდ რა ფორმაში გამოიხატა თანამდებობის პირის მოთხოვნა ქრთამის მიცემაზე და რით შეიძლება დადასტურდეს ქრთამის გამოძალვის მცდელობის ფაქტი;
- 9) სად, როდის, რა გარემოებაში გაიცნო ქრთამის ამღები (ქრთამის გამომძალველი) თანამდებობის პირი და როგორი ურთიერთდამოკიდებულება იყო მათ შორის ქრთამის აღების, ან ასეთის მცდელობის ფაქტამდე და მის შემდეგ;
- 10) მის გარდა ვის შეუძლია დადასტუროს მოცემული თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღების, ქრთამის გამოძალვის ან ასეთის მცდელობის ფაქტი და ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის.

11) კონკრეტულ შემთხვევაში რამ გამოიწვია და რა გარემოებებში შეტყუება ხელი მექრთამეობას.

მოწმეთა მეორე ჯგუფის დაკითხვისას უნდა შევეცადოთ სრულყოფილი ჩვენება მივიღოთ საქმეში არსებული პირველადი მონაცემებით დასადგენი ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, კერძოდ:

ა) დაზუსტდეს, თუ მისთვის სად, როდის, ვისგან და რა გარემოებაში გახდა ცნობილი თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა ან მექრთამეობაში შუამავლობა;

ბ) რა იცის ქრთამის საგნის შესახებ. ნახა თუ არა იგი პირადად და თუ ნახა, კონკრეტულად რა ნიშნებით ხასიათდება იგი;

გ) შეძლებს თუ არა ქრთამის საგნის ამოცნობას მის მიერ აღწერილი ნიშნებით;

დ) შეუძლია თუ არა დასახელოს ისეთი პირები, რომლებიც დაადასტურებენ მის ჩვენებას, ან რომელთათვისაც შეიძლება ცნობილი გამხდარიყო თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა ან მექრთამეობაში შუამავლობის ფაქტი;

ე) იცნობს თუ არა უშუალოდ ქრთამის ამღებ თანამდებობის პირს, ქრთამის მიმცემს, მექრთამეობაში შუამავალს და თუ იცნობს — საიდან, როგორ და რა ურთიერთდამოკიდებულებაშია მათთან;

ვ) როგორ ურთიერთდამოკიდებულებაშია ქრთამის აღებაში ინკრინინირებული თანამდებობის პირი მათთან მომუშავე მოსამსახურე პირებთან;

ზ) როგორ ურთიერთდამოკიდებულებაში იყო ადრე ქრთამის მიმცემი და მექრთამეობაში შუამავალი ქრთამის ამღებ თანამდებობის პირთან;

თ) იცნობს თუ არა იგი ქრთამის ამღები თანამდებობის პირის ამხანაგებისა და მეგობრების წრეს; როგორ ცხოვრებას ეწევიან ქრთამის ამღები, ქრთამის მიმცემი და მექრთამეობაში შუამავალი, ვისთან და როგორ ატარებენ ისინი თავისუფალ დროს სამუშაო საათების შემდეგ.

აღნიშნული სახის გარემოებათა გამორკვევა ორივე კატეგორიის მოწმეთა დაკითხვისათვის ამომწურავი არაა და იგი ცალკეული კონკრეტული დანაშაულის შესაბამისად შეიძლება გაიზარდოს.

ყოველთვის, როცა კი ეს შესაძლებელი იქნება საქმის პირველადი მონაცემებით, ტაქტიკური თვალსაზრისით პირველ რიგში მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს პირველი და მეორე აღნიშნული ჯგუფების მოწმეთა დეტალური დაკითხვა, რადგან მათგან მიღებულ ჩვენებაზე ბევრადაა დამოკიდებული მექრთამეობის გახსნა და გამოძიების სწორი მიმართულებით წარმართვა.

ტაქტიკურად უფრო სწორი და გამართლებული იქნება, თუ საქმის ცალკეული გარემოებების დასადგენად მესამე და მეოთხე ჯგუფის მოწმეებს დაკითხვით ზემოაღნიშნული პირებისაგან ჩვენებების მიღების შემდეგ.

განსაკუთრებულ მომზადებასა და ჩვენების კრიტიკულ შეფასებას მოითხოვს მეოთხე ჯგუფის მოწმეთა დაკითხვა. აღნიშნულ პირთა დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელს ხელთ უნდა ჰქონდეს საკმაო მონაცემები მათ მიერ ცრუ ჩვენების მიცემის გამოსამჟღავნებლად (თუკი ისინი შეეცდებიან ასეთი ჩვენების მიცემას) ასეთ შემთხვევაში, მათთან ფსიქოლოგიურად სწორი კონტაქტის დასამყარებლად, მიზანშეწონილია, რომ გამოძიებელმა ისინი ჯერ დაკით-



ხოს ისეთი ფაქტების შესახებ, რომლებიც გამომძიებლისათვის წინასწარ დადგინებული ბილია და საქმეზე შეკრებილი მასალებით უკვე მტკიცდება დადგენილი. ასეთი გზით მოწმის დაკითხვის დაწყება დასაკითხი პირის ფსიქოლოგიური განწყობის (განზრახული აქვს თუ არა მისცეს სწორი ჩვენება) ნიადაგის მოსინჯვის კარგი საშუალებაა. თუ დავრწმუნდებით, რომ ამა თუ იმ გარემოების შესახებ იგი ცრუ ჩვენებას იძლევა, არ უნდა შევაწყვეტინოთ ჩვენების მიცემა. დაკითხვა უნდა განვაგრძოთ ჩვეულებრივი ტონით, მისი ჩვენებისადმი რაიმე უნდობლობის გამოხატვის გარეშე. საშუალება მივცეთ დაამთავროს თავისი ჩვენება დასაკითხი გარემოების ირგვლივ, მოვახდინოთ მისი ჩვენების ზუსტი ფიქსირება დაკითხვის ოქმში (საჭირო შემთხვევაში მოვაწერინოთ მასზე ხელი) და მხოლოდ ამის შემდეგ ვამხილოთ ცრუ ჩვენებაში სათანადო დამამტკიცებელი საბუთების წარდგენით. შემდეგ დაკითხვა განვაგრძოთ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების ირგვლივ კითხვების სწორი, თანმიმდევრული დასმით. ცრუ ჩვენებაში ასეთმა მოულოდნელმა მხილებამ არ შეიძლება მის ფსიქოლოგიურ განწყობაში სათანადო გარდატეხა არ მოახდინოს.

დაკითხვის ასეთი, ერთი შეხედვით იმეტად მარტივი, მაგრამ საქმოდ დიდი მნიშვნელობის მქონე ტაქტიკური ხერხის გამოყენება, უდავოდ ხელს შეუწყობს მოწმესა და გამომძიებელს შორის მჭიდრო კონტაქტის დამყარებასა და დასაკითხი პირისაგან სწორი ჩვენების მიღებას.

ჩხრეკა და ამოღება. მექრთამეობის საქმეზე ჩხრეკის წარმოება ერთ-ერთი აუცილებელი რთული საგამომძიებლო მოქმედებაა. მის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე ბევრად და მოკიდებული მექრთამეობის გახსნა და საქმის ყოველმხრივი, სრული, ობიექტური გამოკვლევა.

ჩხრეკის წარმოებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩხრეკის ობიექტისა და მოსაძებნი საგნის თავისებურებანი¹.

მექრთამეობის საქმეზე ჩხრეკის ობიექტი შეიძლება იყოს თვით ქრთამის ამღები, ქრთამის მიმცემი ან მექრთამეობაში შუამავალი პირი (პირადი ჩხრეკა), მათი საცხოვრებელი ბინები და სამსახურებრივი სამუშაო ოთახები. ხოლო ჩხრეკის საგანი კი შეიძლება იყოს:

1) ქრთამის საგანი ან ქრთამის საგნის საფუთავი;

2) მექრთამეობის ფაქტსა და ქრთამის მოკულობაზე (ბლოკნოტში გაკეთებული პირობითი ციფრობრივი და სხვა სახის ჩანიშვნები) მიმითითებელი დოკუმენტები;

3) თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის შესრულებული (კანონზომიერი ან არაკანონზომიერი) მოქმედების ან უმოქმედობის დამადასტურებელი მასალები;

¹ ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი ჩხრეკის საგანსა და ობიექტს ერთიმეორესთან აიგივებს და ჩხრეკის ობიექტად მიიჩნევს ყველა იმ საგანს, რომელიც დანაშაულის ჩადენის იარაღად იყო გამოყენებული ან რომელსაც შერჩა დანაშაულის კვალი ან თვითონ იყო დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტი. (იხ. მაგალითად: В. П. Попов, Обыск и выемка. — М., 1948, გვ. 16-17; Б. Шавер, Тактика обыска. — В книге: „Криминалистика“. Учебник. М., 1949, გვ. 156; И. Н. Якимов, Обыск и выемка. В книге: „Криминалистика“. Учебник. М., 1950, გვ. 254-255). ასეთი მოსაზრება არასწორი და მიუღებელია.

4) ქრთამის ამღების, ქრთამის მიმცემის ან მექრთამეობაში პირის ურთიერთკავშირზე მიმთითებელი მასალები;

5) ობიექტები, რომლებიც მიუთითებენ მექრთამეობის ჩადენის მაკვალი-ფიცირებელ გარემოებებზე (არაერთჯერ ქრთამის მიცემა-აღებაზე, მის სისტე-მატიურ ჩასიათზე და სხვა მისთ.) ან მასში მონაწილე სხვა პირებზე;

6) ფული ან სხვა ისეთი ფასეულობა, რომელიც მართალია ქრთამის საგა-ნი არ იყო, მაგრამ შეძენილია დანაშაულებრივი გზით და შესაძლოა კონფის-კაცია ეყოს სასამართლოს მიერ.

ჩხრეკა, სასურველია შეძლებისდაგვარად ჩატარებული იქნეს მექრთამეო-ბაში მონაწილე ყველა პირთან ერთდროულად, მოულოდნელად.

ჩხრეკის დროს გამომძიებელმა თან უნდა იქონიოს სამეცნიერო-ტექნიკუ-რი საშუალებანი, როგორცაა: საგამომძიებლო ჩემოდანი, ცეცები, მაგნიტური მძებნელი და რენტგენის აპარატი.

საგამომძიებლო პრაქტიკაში ცნობილია მრავალი ისეთი შემთხვევა, როცა რენტგენის აპარატს დიდი დახმარება გაუწევია ჩხრეკით დასაძებნი საგნის აღ-მოჩენაში. ასე, მაგალითად: რენტგენის აპარატის გამოყენებით ქრთამის მიმცემი იუშკოვის სახლის ქვით ნაგებ საძირკველში აღმოჩენილ იქნა სამალი, რომელ-შიც შენახული იყო დიდი რაოდენობით ბრილიანტები და ოქრო¹.

ჩხრეკის წარმოება ერთ-ერთი რთული, შრომატევადი პროცესია. ჩხრეკი-ა დაწინაურებული მიზნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამომძიე-ბელს აქვს მოცემული სახის საგამომძიებლო მოქმედების ჩატარების პრაქტიკუ-ლი გამოცდილება, თუ იგი კარგად იცნობს კრიმინალისტიკური ტექნიკის მიერ შემუშავებულ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს და შეუძლია ჩხრეკის ტექნიკური ხერხების სწორი გამოყენება. აგრეთვე, თუ იგი მოქმედებს წინასწარ კარგად გააზრებული გეგმის მიხედვით. თუ იგი გამოამყვანებს განსაკუთრე-ბულ ყურადღებრიანობას, დაკვირვებულობას, ნებისყოფის სიმტკიცეს, შექმნილი მდგომარეობის მიხედვით სწორი ორიენტირების უნარს და სწორად გამოიყენებს ოპერატიული გზით მიღებულ მონაცემებს.

გამომძიებელმა ჩხრეკის პროცესში თვალყური უნდა ადევნოს მექრთამეო-ბაში მხილებული პირების (თუკი ჩხრეკა მათი თანდასწრებით წარმოებეს) ან გასაჩხრეკი ობიექტის მფლობელთა და დაინტერესებულ პირთა ფსიქოლოგიურ განწყობას; დაკვირვება აწარმოოს მათ ფსიქოლოგიურ განწყობილებაზე და მხედველობიდან არ გამოტოვოს ის გარემოება, თუ როგორ რეაქციას გამოიწ-ვევს მათში ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი ესა თუ ის საგანი, ან ამა თუ იმ ობი-ექტზე ჩხრეკის დაწყება, ამ უკანასკნელის განხორციელება საჭიროა იმიტომ, რომ ზოგჯერ ისინი უნებურად ამხელენ დასაძებნი საგნის ადგილსამყოფელს.

ჩხრეკის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ხშირად დამნაშავეები ძვირფასი ნივთების გადასამალად აწყობენ სპეციალურ სამალებს, რომელთა აღმოჩენა დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელებებთან. ასეთ საშუალებად ისინი იყენებენ როგორც თავიანთ, ისე ნათესავებისა და მეზობ-ლების არა მარტო საცხოვრებელ ბინებს, არამედ ოთახის დამხმარე სათავსო-ებს, მოწყობილობებს, ავეჯს, ტანსაცმელს, პირადი მოხმარების ნივთებს და ზოგ-

¹ იხ. Следственная практика, Вып. 60, М., 1963, გვ. 44.



ჯერ ოთახის გარშემო მდებარე ტერიტორიასაც. ამიტომ საჭიროა განიხილოთ არა მარტო საცხოვრებელი ბინები, არამედ მათ გარშემო მდებარე ადგილებიც; ოთახის ყველა დამხმარე სათავსო, ცალკეული საოჯახო ნივთები და პირადი მოხმარების საგნები. ჩხრეკის დროს საჭიროა აგრეთვე გათვალისწინებულ იქნეს დამნაშავე პირთა პროფესია, მათი სპეციალობა. რადგან ჩხრეკის საგნის დასამალად დამნაშავეები ხშირად იყენებენ თავიანთ პროფესიას სპეციალური სამაღების მოწყობისათვის (მაგალითად, მექრთამეობაში მხილებული ცაპლერის ბინაში პირველად ჩატარებულმა ჩხრეკამ შედეგი ვერ გამოიღო. განმეორებითი ჩხრეკის დროს კი გამომძიებელმა გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ მიღებული ცნობებით ცაპლერი თავისუფალ დროს სახლში ზოგჯერ ღურგლობას ეწეოდა, დერეფანში მდგომი ძველი ზანდუკისათვის ფეხების მაგიერ მიკრულ ორ განიერ კალაპოტში აღმოაჩინა ჭრილი, რომელშიც მოთავსებული იყო 10000 მანეთი. ხოლო აფიცრული ფანჯრის ახლოს ფხვიერ მიწაში აღმოჩენილ კალაპოტში — 17 000 მანეთი. მესამედ ჩატარებული ჩხრეკით კი სარკესა და ჩარჩოს შორის ვიწრო ხვრელში აღმოჩნდა შემნახველი სალაროს წიგნაკი 7000 მანეთის შენატანზე (ფულის ძველი მასშტაბით)¹. მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ხშირად მექრთამე დამნაშავეები ქრთამის საგნისა და ძვირფასი ნივთების დასამალად არა მარტო სპეციალურად მოწყობილ სამაღებს იყენებენ, არამედ მას ათავსებენ ისეთ ადგილებზეც, რომელზეც მათი აზრით ნაკლებად მოსალოდნელია გამომძიებელმა ყურადღება გაამახვილოს. დარწმუნებულნი, რომ გამომძიებელი ყურადღებას მიაქცევს სპეციალური სამაღების აღმოჩენას, მექრთამეები ძვირფასეულობას ათავსებენ შედარებით ღია ადგილებზე იმ იმედით, რომ გამომძიებელს იგი შეუძინეველი დარჩება.

ასე, მაგალითად, კუხნეცოვის ბინის ჩხრეკისას, ზანდუკის ქვეშ, ჭუჭყიან ქაღალდებს შორის აღმოჩნდა 4000 მანეთი, მაგიდის უჯრაში წიგნებსა და რვეულებს შორის — შემნახველი სალაროს ოთხი წიგნაკი 88000 მანეთის შენატანზე. საკუჭნაოში, თიხის გატეხილ ქოთანში, რომელიც სასხვათაშორისოდ ეგდო სხვადასხვა სახის ძველმანებს შორის, აღმოჩენილ იქნა სამი ოქროს საათი, ოქროს ორი დიდი ბეჭედი, ოქროს სამაჯური და 2000 მანეთი (ფულის ძველი მასშტაბით), ხოლო წიგნებს შორის კი ავტომანქანა „ვოლგა“-ს და ორი მოტოციკლის პასპორტი².

მექრთამეობის საქმეებზე ჩხრეკის წარმოებისას მატერიალური ფასეულობის გარდა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ყოველგვარი სახის ჩანაწერებს. ზოგჯერ ერთი შეხედვით უბრალო, მარტივმა ან პირიქით, გაუგებარი სახის ჩანაწერმა შესაძლოა დიდი როლი შეასრულოს დანაშაულის განხილვა და მექრთამეობის მონაწილე პირთა გამოძიებას სექციის საქმეში. ასე, მაგალითად, ქრთამის აღებაში მხილებული სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრის ასისტენტის, რომან მოსეს ძე კოზაჩინსკის ბინაზე ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა 2000 მანეთი და შემნახველი სალაროს 7 წიგნაკი წარმოდგენზე 9771 მანეთის რაოდენობით (ფულის ახალი მასშტაბით). შემნახველ სალაროს №16870 წიგნაკში, სადაც 1000 მანეთის შენატანი იყო აღნიშნული, აღ-

1 იხ. Следственная практика, Вып. 38, зб. 13-14.

მაგრამ სამეფო ხელისუფლება ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საშუალებით მოწინააღმდეგეთა სამხედრო დათრგუნვასთან ერთად არსებული პოლიტიკური რეჟიმის სამართლიანობისა და მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად იდეოლოგიურ ზემოქმედებასაც ახდენდა ქვეშევრდომთა მართლშეგნებაზე. ამ მიზნით სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგია ახდენს ე. წ. „მართალი სამართლის“ მოძღვრების გადამუშავებასა და განვითარებას, რაც, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობს, ფართოდ იყო გავრცელებული ფეოდალურ საქართველოში.

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური იდეოლოგიის გამომხატველი უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყარო, მრავალ საგულისხმო ცნობას შეიცავს ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნისა და განმტკიცების პერიოდში შემუშავებული სამართლებრივი იდეოლოგიის სხვადასხვა მხარეს შესახებ. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს „ვეფხისტყაოსანში“ შოთა რუსთაველის მიერ მოცემული „მართალი სამართლის“ მოძღვრება, რომელიც გადმოცემულია შემდეგ სტროფებში:

„მიბრძანა, თუ „ხამს დიაცი დიკურად, საქმე — დედლად,
დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ; ვერ ვიქმნები შუა კვლად:
რა მოვიდეს სიძე მოკალ, მისთა სპათა აუწყველად, —
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელად“.
(542)

„რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად;
ცან სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად;
შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყვიარად,
ვირე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატირლად და სატკივარად“.
(308)

„მართალი სამართლის“ მოძღვრების თავისებურებათა გასაგებად განსაკუთრებით საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის“ 542-ე სტროფი, რომელშიც

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I; თბილისი, 1955, გვ. 325.

² იქვე.

„მართალი სამართლის“ მოძღვრების პოზიციებიდან გამომდინარე ტარდისა და ნესტანის გადაწყვეტილება ინდოეთის მეფის ფარსადანის მიერ ზედსიძედ მოწვეული ხვარაზმშას შვილის მოკვლის შესახებ. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ხვარაზმშას შვილის მოკვლის გეგმა დასაბუთებულია XI—XII საუკუნეებში სამეფო ხელისუფლების მიერ საგანგებოდ შემუშავებული მოძღვრებით, რომელიც გამომდინარეობს სამართლებრივ აფორიზმში — „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. გარკვეული კლასობრივი შინაარსის მქონე ეს პროგრესული სამართლებრივი აფორიზმი, რამდენადაც იგი უმთავრესად ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების პოლიტიკას გამოხატავს მართლმსაჯულების განხორციელების დარგში, იმ იურიდიული კაზუსის გადაწყვეტის საშუალებას გვაძლევს, რომელიც კონკრეტულ გარემოებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს შორის და, მეორე მხრივ, ინდოეთის მეფეს ფარსადანსა და ზედსიძედ მოწვეულ ხვარაზმშას შვილს შორის. ამასთან, „მართალი სამართლის“ არგუმენტაციით ხვარაზმშას შვილის მკვლელობის გამართლება საკმაოდ საფუძველს გვაძლევს პოემის ტექსტის ამ ნაწილის შემდეგი ინტერპრეტაციისათვის: ინდოეთი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოა; აქ დიდი ხანია დაძლეულია ფეოდალური დაქუცმაცებულობა. მას შემდეგ, რაც ტარიელის მამამ სარიდანმა ინდოეთის უკანასკნელი დამოუკიდებელი სამეფო ნებაყოფლობით შეუერთა ფარსადანის ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, ინდოეთის პოლიტიკური გაერთიანება დასრულდა. პოლიტიკურად გაერთიანებულ ინდოეთის სამეფოში, რომელიც ძლიერი და გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური მნიშვნელობის ალტერნატიულ პარალელს უნდა წარმოადგენდეს, იდეალური წესრიგია, რამდენადაც პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პერიოდისაგან განსხვავებით საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება ხდება ღმერთის ნების შესაბამისი „მართალი სამართლით“, რომელსაც ახორციელებს ღვთაებრივი წარმოშობის სამეფო ხელისუფლება. ღმერთის ნების გამომხატველი „მართალი სამართალი“ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგს უნდა ეხებოდეს და განსაკუთრებით — ტახტის მემკვიდრეობის საკითხს, რამდენადაც „მართალი სამართალში“ გამოხატული ღმერთის ნება, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავს, თუ ვინ იქნება ღმერთის მოადგილე ამ ქვეყნად, მისი ნება-სურვილის განხორციელებელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ინდოეთის მონარქიულ სახელმწიფოში „მართალი სამართლის“ ნორმების შესაბამისად ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ტარიელია. ამის შესახებ ტარიელი სავსებით გარკვევით სწერს ფარსადანს მას შემდეგ, რაც იგი ნესტან-დარეჯანის რჩევითა და წაქეზებით კლავს ხვარაზმშას შვილს:

„იცი, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია!
ერთილა მე ვარ მემკვიდრე, თქვენი მონობის მნდომია, —
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ მოგხდომია;
სამართლით ტახტი უჩემოდ არავის მისახდომია!“

(564)

გარდა ამისა, სამეფო ტახტის მემკვიდრედ უცხოელი ხვარაზმშას შვილის ზედსიძედ შემოყვანა ინდოეთის სამეფოში, არღვევს მონარქიულ-ცენტრალის-



ტური სახელმწიფოს „მართალი სამართლის“ ნორმებს, რამდენადაც ეფუძნებოდა პოლიტიკური მნიშვნელობის ეს აქტი დიდი ინდოეთის სახელმწიფოს ეროვნული ღირსების შემლახველია, მას შედეგად ინდოელებზე სპარსთა „გასასება“ მოჰყვება. ნესტან-დარეჯანი კარგად ხედავს, თუ რა პოლიტიკურ ცვლილებებს გამოიწვევს ხვარაზმშას შვილის ზედსიძედ შემოსვლა ინდოეთში.

„კვლა თუ სიძე შემოეშვა, მე შემირთოს, იყოს ასდენ, ერთმანერთსა გავეყარნეთ, ძოწუღლინ გავგიფლასდენ, მათ მორჭმულთა მოივლინონ, ჩვენ პატიჟინ გავგიასდენ, — ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გავგიხასდენ“

(540)

ამრიგად, „მართალი სამართლის“ ნორმების მიხედვით ხვარაზმშას შვილუნდა დაისაჯოს, რადგან იგი ბრალეულია, ხოლო ლაშქარი, რომელიც თან ახლავს ხვარაზმშას შვილს, არის უბრალო. ნესტან-დარეჯანი აქეზებს ტარიელს:

„ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გპირთაო, მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო, მისთა სპასთაცა ნუ დაჰხოც, ზროხათა, ვითა ვინთაო, — სისხლი კაცისა უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო?“

(543)

ცალკე უნდა აღვნიშნოთ სამართლებრივი ტერმინების — „ბრალისა“ და „უბრალოს“ შესახებ. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობს, ძველ ქართულ სამართალში, კერძოდ მე-12 საუკუნეში, ტერმინი „დანაშაულო“ არ არსებობდა და მის ნაცვლად ამ სამართლებრივ ცნებას გამოხატავდა „ბრალი“¹. აქედან გამომდინარე, ტერმინი „უბრალო“ ნიშნავს უდანაშაულოს, „ბრალეული“ კი — „დამნაშავეს“².

„მართალი სამართლის“ ცნების დადგენისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ვადაწყვეტილებას ხვარაზმშას შვილის, როგორც „ბრალის“, ე. ი. დანაშაულის მქონე პირის მოკვლის დასაშვებად, ხოლო ხვარაზმშას შვილის თანმხლები ლაშქრის, როგორც „უბრალო“, ე. ი. უდანაშაულო ხალხის ამოწყვეტის დაუშვებლად მიჩნევის შესახებ. „ვეფხისტყაოსანში“ შოთა რუსთაველის მიერ გადმოცემული იურიდიული კანონი და მისი ვადაწყვეტა იმაზე მიუთითებს, რომ მე-12 საუკუნის ფეოდალურ საქართველოში გაბატონებული „მართალი სამართლის“ მოძღვრების უმთავრესი მოთხოვნა მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედობის ჩამდენი პირის დასჯას გულისხმობდა.

ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების ამოცანებთან არის დაკავშირებული „მართალი სამართლის“

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, 290¹⁶, 322², 32⁶, 105¹⁴ და სხვ.; Ф. Жордания, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шно-Мгвимской лавре в 1123 г., Тифлис, 1895, გვ. 12; სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928 წ., გვ. 2; Н. А. Заозерский, А. С. Хаханов, Номоканон Иоанна Постника, М., 1902, გვ. 44—46; ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1948—1949 წწ., გვ. 65 და სხვ.

² ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, ტფილისი, 1929 წ., გვ. 258.

ცნება „ვეფხისტყაოსნის“ 1308-ე სტროფშიც. როგორც ცნობილია, ტარიელისა და ნესტანის სამშობლოდან განდევნა-გადახვეწის შემდეგ ინდოეთის ოდესღაც ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო დიდ გასაჭირში ჩავარდა. ინდოეთის მეფეს, ფარსადანს, ყოველგნით ავიწროებენ მტრები და მისი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო დაშლის პირას არის მისული. ინდოეთის ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი ურთიერთობანი „მართალი სამართლის“ მიხედვით წესრიგდებოდა, მაგრამ ქვეყნის დეცენტრალიზაციის საფრთხემ შეასუსტა „მართალი სამართლის“ მოქმედება. სწორედ ამიტომ ქაჯთა ტყვეობაში მყოფი სასოწარკვეთილი ნესტან-დარეჯანი სწერს ტარიელს:

„წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპურობელსა“

(1307)

„რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად;
ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად:“

(1308)

„ვეფხისტყაოსანში“ მოცემული „მართალი სამართლის“ ცნების ამგვარი გაგების სისწორეს საკმაო სიზუსტით ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული როგორც საერო, ისე სასულიერო მნიშვნელობის სხვა ისტორიული წყაროებიც. რომლებმაც შემოგვინახეს მე-11—მე-12 საუკუნეებში ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული „მართალი სამართლის“ მოძღვრება. ამ წყაროებში არაპირდაპირი გამოხატულება პოვა XII საუკუნის საქართველოს იმ დიდმა სამართლებრივმა დოქტრინამ, რომელიც ადამიანთა მართლშეგნებაზე შემოქმედების მოსახდენად და ქვეყნის შიგნით მართლწესრიგის განსამტკიცებლად მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილი ქვეყის წესების „მართალ სამართლად“ წარმოდგენას. უპირველეს ყოვლისა ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ი. შავთელის „აბდულმესიანის“ 21-ე სტროფი, რომელშიც ნათქვამია:

„ესა მართალი: ე სამართალი
ხეს შეიქმს კმელსა წყალმომდინარედ“.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ პერიოდში მტკიცედ ჩამოყალიბდა „აბდულმესიანის“ ამ სტროფის ამგვარი პუნქტუაციური კონსტრუქცია და სწორედ ამიტომ პოემის შემოადინიშნული სტროფი ტრადიციულად ასე იკითხება: „ეს არის მართალი (=სწორი): სამართალი გამხმარ ხეს გაანედლებს (=წყალმომდინარედ აქცევს)“¹. მაგრამ ჩვენი აზრით „აბდულმესიანის“ 21-ე სტროფის ამგვარი წაკითხვა საესებით უგულებელყოფს XI—XII სს. ფეოდალურ საქართველოში გავრცელებულ სამართლებრივ დოქტრინას „მართალი სამართლის“ შესახებ და აგრეთვე „აბდულმესიანის“ ადრინდელი პერიოდის მკვლევართა მოსაზრებებს შემოადინიშნული სტროფის შესახებ.

„აბდულმესიანის“ 21-ე სტროფის მართებული წაკითხვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს XI—XII სს. ფეოდალურ საქართველოში სახელმწიფო-

¹ ძველი ქართველი მეზობენი, II, იოანე შავთელი, „აბდულმესიანი“, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი ღურთო ივ. ლოლაშვილმა, თბილისი, 1964, გვ. 180.




ებრივი ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის მიერ ფართოდ გავრცელებულ სამართლებრივ დოქტრინას „მართალი სამართლის“ შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილი და სანქციონირებული სამართლებრივი ნორმების ავტორიტეტის ამაღლებას და საზოგადოების წევრთა შორის იმ აზრის განმტკიცებას, რომ ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში არსებული სამართლებრივი პარტიკულარიზმის საწინააღმდეგოდ მხოლოდ სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილ სავალდებულო ქცევის წესებს, ე. წ. „მართალ სამართალს“ შეუძლია მოაწესრიგოს გონივრულ საწყისებზე საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

მართლაც, „აბდულმესიანში“, როგორც გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური იდეოლოგიის გამომხატველ ნაწარმოებში, შეიძლება არსებობდეს მსჯელობა საერთოდ არა იმ სამართალზე და სამართლებრივ წესრიგზე, რომელიც საქართველოში ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს არსებობდა მისთვის დამახასიათებელი პარტიკულარიზმითა და ცალკეულ ფეოდალთა თვითნებობით, არამედ მხოლოდ „მართალი სამართლის“ შესახებ, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნისა და სამართლებრივი პარტიკულარიზმის აღმოფხვრის შემდეგ. ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში არსებული სამართალი ცალკეულ ფეოდალთა ნებას გამონათავდა და სწორედ ამიტომ მათ თვითნებობაზე და ძალადობაზე იყო დამყარებული. სამეფო ხელისუფლება ქვეყნის დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციის შედეგად შექმნილ ძლიერი სახელმწიფოებრივობით დადგენილ სამართალს, რომელიც ნაწილობრივ ფეოდალთა თვითნებობისა და ურჩობის აღმოფხვრასაც ისახავდა მიზნად, მისი ნების გამომხატველ სამართალს, ქვეყანაში ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს არსებული სამართლისაგან განსხვავებით, „მართალ სამართალს“ უწოდებს. ამდენად, XI—XII სს. ფეოდალურ საქართველოში სამეფო ხელისუფლების მიერ გავრცელებული სამართლებრივი მოძღვრების შესაბამისად „აბდულმესიანის“ 21-ე სტროფი წაკითხულ უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ ამგვარად: „ეს არის მართალი სამართალი, გამხმარ ხეს (რომ) გაანედლებს (წყალმომდინარედ აქცევს)“.

„აბდულმესიანის“ 21-ე სტროფის ამგვარი წაკითხვის სისწორეს სავსებით ადასტურებს ის ლოგიკური კავშირი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო სტროფს გააჩნია აზრობრივად სხვა, უახლოეს სტროფებთან. ამ მხრივ საყურადღებოა „აბდულმესიანის“ მე-20 სტროფი:

1. აღძვრნა ბაგენი, ბრგვნილად მაგენი
გულისხმის-ყოფით შესხმად ქებისა.
2. მალისა, მკნისა, ბრძენთა სეხნისა;
აღმოთქმად ვიწყო ნეტა რებისა?
3. გოლებრ მწთოლვარე, არად მკმოლვარე,
სამართლად ღირსი ნეტარებისა.
4. არა სთნავს რისხვა. გესმის? — არი სხვა:
ნამდვილ ჩვეული მოწყალებისა“.

ამ სტროფში მხატვრული ფორმებით გადმოცემულია „მართალი სამართლის“ ქმნის, ე. ი. მართლმსაჯულების განხორციელების ის ვაგება, რომელიც ჩამოყალიბდა ფეოდალურ საქართველოში ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწი-



ფეობრივი ხელისუფლების ჩამოყალიბების შემდეგ. XII საუკუნეში, და, განსაკუთრებით, თამარ მეფის ეპოქაში, მართლმსაჯულების შესახებ გაბატონებული შეხედულებების შესაბამისად ამ სტროფში ლაპარაკია იმაზე, რომ მაღალი სულის მქონე, მხნე და ბრძენი მეფე საზოგადოების წევრთათვის ბედნიერებისა და ნეტარების მომნიჭებელია თაფლის ფიჭასავით და „მას არ მოსწონს რისხვა, გესმის? — ის არის სხვა, ნამდვილად მოწყალეებს ჩვეული“¹. ი. შავთელი, როგორც ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის წარმომადგენელი, შესანიშნავად ახასიათებს აქ გაერთიანებული საქართველოს ამ ეპოქის მართლმსაჯულების ამოცანებს ე. წ. „მართალი სამართლის“ მოძღვრების პოზიციებიდან. მართლაც, ამ სტროფში ხაზგასმულია ჰუმანური სამართლებრივი პოლიტიკა, რომელსაც თამარ მეფე ქვეყნის შიგნით ახორციელებდა.

„აბდულმესიანის“ 21-ე სტროფის „მართალი სამართლის“ მოძღვრების მიხედვით წაკითხვას ადასტურებს აგრეთვე მომდევნო, 22-ე სტროფიც, რომელიც ლოგიკურად დამთავრებულ აზრს გვაძლევს საზოგადოებრივი ურთიერთობების მხოლოდ „მართალი სამართლის“ ნორმებით მოწესრიგების შესახებ.

- „1. აქვს სასოება მას, სათნობა.
სარწმუნოება სიყვრულითა.
- 2. მადლთა ტალანტი, სავსედ ბალანტი
შეუკრებიეს თვით სურვილითა.
- 3. ქველის საქმიითა ვკვირობ აქ მითა,
რაც ოდენ მესმის იღუმალითა.
- 4. უსხეულონი ზეცისა ძალნი
მისთვის იშვებენ სიხარულითა“.

როგორც ჩანს, აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ თამარს „... იმედი, სათნოება (=სიკეთე) და სარწმუნოება სიყვარულით აქვს (მოპოვებული). 2. ის მადლთა ტალანტია, მისით სავსე ბალანტი (= საფულე ქისა), რომელსაც (საღმრთო) მადლი თვითონვე შემოუკრებიდა (თავისი) სურვილით. 3. რაც მხოლოდ აქ მესმის, იმ იღუმალი ქველი საქმიების გამო გაკვირვებული ვარ?“. ი. შავთელი, როგორც სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიის მომხრე, ქება-დიდებას არ იშურებს ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევის შემდეგ შექმნილი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მეთაურის — მეფის მიმართ, რომელიც ფეოდალიზმის ეპოქაში გაბატონებული შეხედულებებით ღმერთის ნების განმხორციელებელია ამ ქვეყნად.

ოფიციალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მიერ სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლება, პირველ ყოვლისა, მიზნად ისახავს ქვეშევრდომთა შორის იმ აზრის განმტკიცებას, რომ ღმერთის ნების განმხორციელებელი სამეფო ხელისუფლება უმაღლესია ქვეყანაში და იგი მოწოდებულია „მართალი სამართლით“ მოაწესრიგოს საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ამის საჭი-

¹ ძველი ქართველი მეხოტბენი, II, იოანე შავთელი, „აბდულმესიანი“, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბილისი, 1964, გვ. 179.

² ძველი ქართველი მეხოტბენი, II, თბილისი, 1964, გვ. 181.



როება კი იგრძნობოდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი სუფლების შექმნისა და ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციის შემდეგაც, რადგანაც „მეტად დიდი და მძიმე იყო ძალადობა — უსამართლობა ფეოდალურ საქართველოში... დიდი აზნაური თავისი სახლისკაცებით, დიდმოხელე-ერისთავი თავისი აგენტებით, მეკობრეები, იჯარადარ-ხარკის ამკრეფნი, მეზვერე-მებაჟენი და სხვა ათასი ასეთი „მძლავრობდა“ და „აჭირვებდა“, ვისაც კი მოახლებდა.

დაჩაგრულ-მომძლავრებულნი ხმამაღლა ჩიოდნენ და „მართალ სამართალს“ ეძებდნენ¹ მეფესთან.

„აბდულუმესიანი“, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანი“, თამარ მეფის ეპოქის მხატვრული ნაწარმოებია და, რა თქმა უნდა, სამეფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ხოტბას შეიცავს. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ XI—XII სს. ფართოდ გავრცელებული „მართალი სამართლის“ მოძღვრებამ თავისი გამოხატულება პოვა როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ისე „აბდულუმესიანშიც“. სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს ჩვენს ლიტერატურაში² გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს იოანე შავთელის „აბდულუმესიანის“ გავლენით შექმნარუსთაველმა სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. უფრო საფიქრებელია, რომ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური იდეოლოგია, სამთავროებზე ამაღლებული სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილი სამართლის ნორმების უპირატესობა რომ დაასაბუთოს ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში არსებულ სამართლებრივ პარტიკულარიზმთან შედარებით, სრულყოფს და ავითარებს „მართალი სამართლის“ მოძღვრებას. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ „მართალი სამართლის“ შესახებ მოძღვრება გვხვდება არა მარტო „აბდულუმესიანში“ და „ვეფხისტყაოსანში“, არამედ ფეოდალური საქართველოს ისტორიულ წყაროებშიც.

„აბდულუმესიანის“ სტროფის „ესა მართალი: ე სამართალი, ხეს შეიქმს კმელსა წყალმომდინარედ“ ამჟამად გაბატონებული არასწორი აზრობრივი გაგება, რომელიც ამ სტროფის თვითნებური პუნქტუაციური კონსტრუქციიდან გამომდინარეობს, უგულებელყოფს პოემის ადრინდელი პერიოდის მკვლევართა მოსაზრებებს. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, საინტერესოა „აბდულუმესიანის“ ერთ-ერთი პირველი მკვლევრის პ. იოსელიანის მიერ ჩვენთვის საინტერესო სტროფის რამდენადმე განსხვავებული გაგება. პ. იოსელიანს, რომლის მიერ გამოცემული „აბდულუმესიანი“ XVIII საუკუნიდან ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებთან ყველაზე ახლოსაა³, პოემის 21-ე სტროფი ასე აქვს გადმოცემული:

¹ საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დისასრულამდე), თბილისი, 1958, გვ. 164.

² იხ. Н. Я. Марр, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV, С.—Петербург, 1902, გვ. 14; კ. ვეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1958, გვ. 143 და სხვ.

³ იხ. Н. Я. Марр, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV, С.—Петербург, 1902, გვ. 3.

„ესამართალი, ესამართალი, ხეს შეიქმს კმელსა წყალმომდინარედ“¹. სიტყვიერებაში მივიღებთ ი. შავთელის მიერ „აბდულმესიანის“ სიტყვიერი გამოცემის თავისებურებებს, რაც ძალიან ხშირად სიტყვების ვერსიფიკატორულ თამაშს ემყარება და მისი ნამდვილი შინაარსის დადგენა დამოკიდებულია ომონიმურ-მაჯამური სტროფების სწორ წაკითხვაზე, მაშინ პ. იოსელიანის მიერ პოემის 21-ე სტროფის პუნქტუაციური კონსტრუქცია სავსებით მართებულად უნდა მივიჩნიოთ. ამ სტროფის სხვანაირი გაგება ეწინააღმდეგება პოემის შინაარსის გამოცემის შავთელისეულ მეთოდს — სიტყვების ვერსიფიკატორულ თამაშსა და ნაწარმოების ტექსტის ომონიმურ-მაჯამური სტროფებით გამოცემას. სიტყვების ვერსიფიკატორულ თამაშზე აგებული ი. შავთელის პოემის სტროფი „ესამართალი, ესამართალი, ხეს შეიქმს კმელსა წყალმომდინარედ“ პლ. იოსელიანის გამოცემის მიხედვით, შეიცავს მითითებას არა საერთოდ სამართლის შესახებ, არამედ მხოლოდ „მართალი სამართლის“ შესახებ, რომელიც „ხეს შეიქმს კმელსა წყალმომდინარედ“ სწორედ იმის გამო, რომ იგი მართალი სამართალია.

ზემოთ აღნიშნული ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს „აბდულმესიანის“ 21-ე სტროფის შინაარსის ის გაგებაც, რომელიც ძველ ქართველ მეხოტბეთა შესანიშნავ მკვლევარს აკად. ნ. მარს ეკუთვნის. „აბდულმესიანის“ ტექსტის რთული კონსტრუქციიდან გამომდინარე მისი სხვადასხვანაირი წაკითხვის შესაძლებლობის მიუხედავად, აკად. ნ. მარმა განსაკუთრებული გონებამახვილობით დაადგინა ი. შავთელის პოემისა და „ვეფხისტყაოსნის“ მთელი რიგი სტროფების აზრობრივი და შინაარსობრივი მსგავსება². ამგვარ მსგავსებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის საინტერესო „აბდულმესიანის“ 21-ე სტროფი. აკად. ნ. მარის აზრით შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ „...есть места сильно напоминающие целые стихи певца „Абдулмессии“... Значение имеют следующие строфы:


- | | |
|-------------------|--|
| 1) ესა მართალი: | ქმნა მართლისა სამართლისა |
| ე სამართალი | ხესა შეიქმს კმელსა ნედლად ³ |
| ხეს შეიქმს კმელსა | |
| წყალმომდინარედ | |

მართალია, პუნქტუაციური კონსტრუქციის მიხედვით „აბდულმესიანის“ ჩვენთვის საინტერესო სტროფი აკად. ნ. მარს თითქმის მთლიანად ისე აქვს გაგებული, როგორც თანამედროვე გამოცემებშია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ სტროფის შინაარსის სწორი გაგებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის ზოგად მითითებას იმის შესახებ, რომ „აბდულმესიანის“ და „ვეფხისტყაოსნის“ მთელ რიგ სტროფებსა და მათ შორის ზემოთ აღნიშნულ სტროფებს შორისაც არსებობს აზრობრივი და შინაარსობრივი მსგავსება. სწორედ ამიტომ უნდა ვი-

¹ თამარ მეფასი და მეუღლისა მისის, დავით მეფისა შესხმა, თქმული ლექსად აბდულმესია შავთელისაგან, წელთა ქრისტესით 1192-სა აღბეჭდილ პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისა მიერ, ტფილისი, 1838, გვ. 16.

² იხ. Н. Я. Марр, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV, С.—Петербург, 1902, გვ. 14—15.

³ იქვე, გვ. 14.



ფიქროთ, რომ აკად. ნ. მარს „აბდულმესიანის“ 21-ე სტროფი აქვს არა ისე, როგორც ეს თანამედროვე ლიტერატურაში არის გაგებული, არამედ მხოლოდ იმ აზრით, როგორც ეს „ვეფხისტყაოსნის“ ანალოგიურ სტროფშია ჩამოყალიბებული, ე. ი. როგორც „მართალი სამართალი“, რომელსაც შეუძლია ხმელი ხის განედლება.

უნდა ვიფიქროთ, რომ მოსაზრებანი „მართალი სამართლის“ შესახებ, რომლებიც შემოგვინახა ისეთმა მხატვრულმა ნაწარმოებებმა, როგორებიცაა „ვეფხისტყაოსანი“ და „აბდულმესიანი“, არ წარმოადგენს XI—XII სს. ფეოდალური საქართველოს მარტოოდენ პოეტურ-მხატვრული აზროვნების შედეგს. მოძღვრება „მართალი სამართლის“ შესახებ რომ ამ ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტი იყო, ამას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ოფიციალური ისტორიული წყაროებიც ადასტურებს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1263 წლის საეკლესიო კრების დადგენილება, რომელიც შეიცავს ეკლესიებისა და მონასტრების ულტიმატუმს სამეფო ხელისუფლებისადმი. საეკლესიო კრების დადგენილება მიზნად ისახავს სამეფო ხელისუფლების მიერ ეკლესიებისა და მონასტრებისათვის შეწირული მიწების დაცვას უკანონო დატაცებისა და მითვისებისაგან, რასაც, როგორც წყაროები მოწმობს, ფართო ხასიათი მიუღია XIII საუკუნეში. ეკლესიებისა და მონასტრების კუთვნილი მიწების უკანონო დატაცების შემთხვევების აღსაკვეთად მოწვეული ყოფილა „საეკლესიო კრება, რომელმაც შექმნილი მდგომარეობის შესახებ მსჯელობის შემდგომ გადასწყვიტა მეფისა, მთავრობისათვის და საყოველთაოდ ეცნობებინათ, რომ ეკლესიის მოთმინების ფილა აივსო და, თუ მისი შელახული უფლებები აღდგენილი არ იქნებოდა, მას, უკიდურესი საშუალებების მიმართვის გარდა, სხვა გზა აღარ დარჩენია“¹.

ეკლესიები და მონასტრები სამეფო ხელისუფლებას სთხოვენ მიწების უკანონო დატაცებათა აღსაკვეთად გამოიყენოს „მართალი სამართალი“. 1263 წლის საეკლესიო კრების დადგენილებაში ამის შესახებ ნათქვამია: „(გვედრებით და ვრევთ კარსა მოწყალებისა თქვენისასა მოიწყინეთ ჰრტინვა) ჩუენი და სიგლახაკე და უქონებელი... და ობლად დასხმულნი ეკლესიანი ღვთისანი შეიწყალებით, განშიშულებანი (სამართ)ლით შემოსენით, იწენით დაწუნებულნი, უსაჯეთ სამართალი მართალი რაჲთა მართალთა თანა დაეწესნ-ებისაგან მწარისა. ვითარცა იტყუის წინასწარმეტყველისა პირთა უფლი საბოთ ღთი წდაჲ ისრაჲლისაჲ“².

„მართალი სამართლის“ ცნების გასარკვევად არ კმარა მარტო იმის მითითება, რომ ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციის შედეგად სამართლებრივი პარტიკულარიზმის მოსპობასთან ერთად, სამეფო ხელისუფლება, რომლის ძლიერება უკვე ვრცელდება წინათ დაქსაქსულად არსებულ სამთავროებზე, მის მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების ავტორიტეტის ასამაღლებად, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობს, X საუკუნიდან მოყოლებული „მართალი სამართლის“ მოძღვრების ფართო პროპაგანდას ეწევა. „მარ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი V, თბილისი, 1953, გვ. 156.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი V, თბილისი, 1953, გვ. 157; თ. ჟორდანი, ქრონიკები და სხვა მასალები..., II, გვ. 163.

თალი სამართლის“ ცნების შინაარსის სწორი გაგებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მტკიცედ ჩამოყალიბებულ აზრს იმის შესახებ, რომ ფეოდალიზმის ეპოქის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებებში მოცემული მხატვრული სახეების, პოლიტიკური ფორმულების, სამართლებრივი დებულებებისა და განსაზღვრებების საფუძველი ბიბლია და, საერთოდ, საეკლესიო-ქრისტიანული მწერლობაა.¹ მართლაც, ფეოდალიზმის ეპოქის გაბატონებულ იდეოლოგიას წარმოადგენს რელიგია, რომელიც სხვადასხვა ფორმით განუყოფლად ბატონობს ადამიანთა გონებაზე. შუა საუკუნეებში ადამიანთა სულიერი ცხოვრების თითქმის ვერც ერთი დარგი ვერ ასცდა რელიგიურ თხზულებათა ზეგავლენას. ამ გარემოებას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ფეოდალიზმის ეპოქის პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის უმთავრესი ძეგლების შინაარსის დადგენისათვის. „მართალი სამართლის“ ცნების შემცველი ისტორიული წყაროების ამ მიმართულებით ძიებასაც შეუძლია ერთადერთი სწორი წარმოდგენა მოგვცეს მისი შინაარსის შესახებ.

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის ერთ-ერთი უძველესი წყარო, რომელიც შეიცავს მოძღვრებას „მართალი სამართლის“ შესახებ, ქართული ოთხთავია, რომლის ორ უძველეს რედაქციაში დაცულია მითითება შუა საუკუნეებში „მართალი სამართლის“, ამ მეტად საინტერესო ცნების შესახებ. „მართალი სამართლის“ მოძღვრების შინაარსის გაგებისათვის მნიშვნელობა აქვს ოთხთავის შემდეგ ორ ადგილს: პირველი, სწავლებას იმის შესახებ, რომ „ნუ თუალთ-ხუმით შჯით, არამედ მართალი საშჯელი შაჯეთ“². მაგრამ „მართალი სამართლის“ ცნების შინაარსის დასადგენად უფრო მნიშვნელოვანია მეორე სწავლება, რომელიც ამბობს: „არა ჯელ-მეწიფების მე თავით ჩემით არარაჲ, არამედ ვითარცა მესმის, ვსჯი, და სასჯელი ჩე(მი) მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისა“.³

სანამ ოთხთავის ამ სამართლებრივი შეხედულების ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროა ტექსტის სწორი გაგებისათვის გავითვალისწინოთ მთელი რიგი განმარტებანი. ქართულ ოთხთავში, როგორც პროფ. ივ. იმნაიშვილმა დაადგინა, „სასჯელი, საშჯელი“ გვხვდება „სამართლის“ მნიშვნელობით⁴. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ოთხთავის მიხედვით, ვინც საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას ხელმძღვანელობს „მართალი სამართლით“, იგი იწოდება მართლმსაჯულად. „უკუეთუ ზევს ღმერთი არს, უკუე ძლიერ ვიდრემე არს და არა უკმს მას მსახურება თქუენებრთა უსამართლოჲსა მყოფელთაჲ, რამეთუ

¹ იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, თბილისი, 1957, გვ. 69; გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსნის ბარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში (ლიტერატურული ძიებანი, II, თბილისი, 1945, გვ. 199—216) და სხვ.

² იოვ. 7, 24: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945 წ.

³ იოვ. 5,30: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945 წ.

⁴ იხ. ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1948—1949 წწ., გვ. 65.



ჯერ-არს, რაფათა იყოს იგი მართლ-მსაჯულ, ბოროტის-მოძულე და მრუშებისა არა მოყუარე, და რომელნი ცოდვენ დასა თანა, მათა ფრიად მოძაგე, და ბრძოლისა და შფოთვისა არა მაწუეველ, არამედ მშჯდობისა და მყუდროებისა მოქმედ და მახრახებელ¹“.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, არა მარტო ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში, არამედ XI—XII საუკუნეების ისტორიულ ძეგლებშიც მართლმსაჯულება ყველგან მართალ სამართალთან არის დაკავშირებული. ს. ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონში, რომელიც დართული აქვს „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომს, ნათქვამია: „მართლმსაჯულება მართალი სამართლის მქნელი“². მართლაც, „ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანის“ ანონიმური ავტორის ცნობა გიორგი მესამის შესახებ, რომ „... მეფე აგარას მყოფი აღვიდა და მოადგა ლორესა. მუნიდალმან წარსულ იყვენეს სპარსეთს ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჩინიბეთ-უხუცესი ქავთარ ივანეს ძე, რომელნი — ესე გიორგისგანვე იყვენეს კელისუფალნი, და ანანია დვინელი; ზოგნი შაჰარმენისა, ზოგნი ელდაგუზის ძეთასა, დაღაცათუ უშველეს და მოჰყვეს, ეგრეთვე უქმადვე უკუნ აქცია მართლმსაჯულობამან ქრისტესმან“³, სხვან არაფერს ნიშნავს, თუ არა ღვთაებრივი, მართალი სამართლის განხორციელებას. ასეთივე აზრით აქვს გამოყენებული ტერმინი „მართლმსაჯულება“ იმავე ავტორს სხვაგან. „მაშინ უბრძანა ამირსპასალარსა გამრეკელსა და ოთხთა მკარგრძელთა და სხუათა თორელთა, ზემოთა და ქუემოთა, წასვლა და მიგებება წინა ქუეყანასა ჯავახეთისასა და მუნვე ცნობა ძალისა მათისა, უფროსლა ცნობა მართლმსაჯულობისა ღმრთისასა“⁴.

ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში მოცემული ზემოაღნიშნული სამართლებრივი ტერმინების გარკვევის შემდეგ XI—XII სს. საქართველოს სამართლებრივი იდეოლოგიის თავისებურებათა გასაგებად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს „მართალ სამართალს“, რომლის შინაარსი ქართული სამართლის ისტორიაში სრულიად შეუსწავლელია რამდენადაც „მართალი სამართლის“ ცნება უმთავრესად მხატვრულ ნაწარმოებებში გვხვდება. ამდენად ხშირად მას მხოლოდ სამართლის ცნებისაგან წარმომდგარ მხატვრულ-ჰიპერბოლურ მნიშვნელობას ანიჭებენ და „მართალი სამართლის“ ცნება არ მიაჩნიათ კონკრეტული სამართლებრივი შინაარსის შემცველი მოძღვრების გამოხატულებად. მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებებს გარდა ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროებიც ხადყოფს, რომ „მართალი სამართლის“ ცნება ემყარება განსაკუთრებულ სამართლებრივ მოძღვრებას, რომელსაც დიდი გულმოდგინებით ამუშავებენ ფეოდალიზმის ეპოქის იდეოლოგები.

„მართალი სამართლის“ ცნების ნამდვილი შინაარსის დადგენისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ოთხთავის ჩვენთვის უკვე ცნობილი ადგილი, რომელიც ამბობს „არა კელ-მეწიფების მე თავით ჩემით არარაჲ, არა

¹ ივ. იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ხნაში, II, თბილისი, 1966, გვ. 77.

² ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959 წ., გვ. 573.

³ იქვე, გვ. 19—20.

⁴ იქვე, გვ. 51.

მედ ვითარცა მესმის, ვსჯი და სასჯელი ჩე(მი) მართალ არს, რამეთუ არა ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა“. თანამედროვე ქართულით ოთხთავის ზემოთ აღნიშნული ადგილი ნიშნავს: „არ შემიძლია (= უფლება არა მაქვს) ჩემით (= ჩემი შეხედულებით) მოვაწესრიგო საზოგადოებრივი ურთიერთობანი, არამედ როგორც მესმის, ისე ვსჯი (= გამომაქვს მსჯავრი) და ის სამართალი, რომლითაც მე ვხელმძღვანელობ საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას მართალი არის, რადგანაც იგი გამოხატავს არა ჩემს ნებას, არამედ ჩემი მომავლინებელის (= ღმერთის) ნებას“.

„მართალი სამართლის“ ცნების სრული შინაარსის დადგენის საშუალებას გვაძლევს ქართული ოთხთავიდან ჩვენ მიერ ციტირებული ტექსტის უკანასკნელი ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ „სასჯელი ჩე(მი) მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელსა ჩემისასა“. ამ სტრიქონებში უკვე მოცემული გვაქვს „მართალი სამართლის“ ცნების პირდაპირი განმარტება. ამ ძეგლში ერთმანეთისაგან განსხვავებულია ორი სახის სამართალი, კერძოდ, სამართალი, რომლის შინაარსი განსაზღვრულია ადამიანთა ნება-სურვილით და სამართალი, რომლის ნორმები გამოხატავენ „ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა“, ე. ი. ღმერთის ნებას.

ამ განმარტებიდან ჩანს, რომ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში „მართალი სამართლის“ ცნება გულისხმობს არა ცალკეულ პირთა ნება-სურვილის გამოხატველ სავალდებულო ქცევის წესებს, არამედ მხოლოდ ღმერთის ნების გამოხატველ ნორმებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სამართლის ნორმის შემფარდებელმა საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას. როგორც ვხედავთ, ფეოდალური საქართველოს სამართლებრივი იდეოლოგია, რომელიც „მართალი სამართლის“ მოძღვრებას ემყარება, იყენებს თეოლოგიური ხასიათის არგუმენტებს, და სწორედ იმის გამო, რომ შუა საუკუნეებში რელიგია გაბატონებულ იდეოლოგიას წარმოადგენდა ყველაზე მართალ და ჭეშმარიტ სამართალად ამ იდეოლოგიის მიხედვით მიჩნეულია არა ადამიანთა ნების მიხედვით დადგენილი სამართლებრივი ნორმები, არამედ ღმერთის მიერ დადგენილი სამართალი, რომელიც არ არის დამოკიდებული არავის ნებაზე და მხოლოდ ღმერთის უცვლელი და მუდმივი ხასიათის ნებით განისაზღვრება¹.

„მართალი სამართლის“ ცნება თავდაპირველად რელიგიურ თხზულებებშია მოცემული და ამიტომაც, ჩვენი აზრით, „მართალი სამართლის“, როგორც ღმერთის ნების შესაბამისი მოძღვრების ზემოაღნიშნული გაგებისათვის შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს აგრეთვე სიტყვა „მართლის“ აზრის რელიგიური მოძღვრების მიხედვით გარკვევასაც. რამდენადაც ქართული ოთხთავი, რომელ-

¹ საგანგებო შესწავლას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, თუ რა კავშირშია „მართალი სამართლის“ ცნება ბუნებითი სამართლის მოძღვრებასთან. ადგილი შესაძლებელია „მართალი სამართლის“ ცნება, რომელიც XI—XII სს. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული, ბუნებითი სამართლის აღრინდელი მოძღვრების სახესხვაობადაც იქნეს მიჩნეული, რამდენადაც „მართალი სამართალი“ ღმერთის უცვლელი და მუდმივი ნების გამოხატულებას წარმოადგენს ისტორიული წყაროების მიხედვით. ამ მოსაზრებას აძლიერებს ისიც, რომ XI—XII სს. ფეოდალური საქართველოს ინიციატივით შექმნილ საერთო-კავკასიურ სახელმწიფოში ბუნებითი სამართლის მოძღვრება ცნობილი იყო.



შიც პირველად გვხვდება „მართალი სამართლის“ ცნების განმარტება. კერძოდ, გიური თხზულებაა, ამდენად მასში გამოყენებულ სიტყვა „მართალს“ უნდა მივცეთ მხოლოდ ის აზრი, რომელიც რელიგიურ ლიტერატურაში გვხვდება. ამ მხრივ საყურადღებოა ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული განმარტებითურთ“, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს სიტყვა „მართლის“ ორგვარი — რელიგიური და საერთო გაგების შესახებ. ამ ლექსიკონში სიტყვა „მართალი“ ასეა განმარტებული: „მართალი კეთილმსახური, სათნოდ ღუთისა მცხოვრები (ლუკ. 1,6; ფსალ. 1,5 და შემდგომი), праведный, праведник || ნამდვილი, სწორე, ჭეშმარიტი, справедливый, истинный“¹.

სიტყვა „მართლის“ ამ განმარტებიდან ჩანს, რომ რელიგიურ თხზულებებში გამოყენებული მნიშვნელობით იგი ნიშნავს კეთილმსახურს, „სათნოდ ღუთისა მცხოვრებს“, ე. ი. ღვთაებრივს; რაც შეეხება ამ სიტყვის „ნამდვილ, სწორე, ჭეშმარიტ“ მნიშვნელობას, იგი შედარებით გვიანდელ პერიოდთან არის დაკავშირებული და უფრო მეტად სიტყვა „მართლის“ თანამედროვე გაგებას გულისხმობს.

სიტყვა „მართლის“ ამგვარ განმარტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ი. შავთელის „აბდულმესიანის“ 21-ე სტროფის სწორი გაგებისათვის. ამ სტროფის პირველი ნაწილის „ესე მართალი: ე სამართალის“ ტრადიციული წაკითხვა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ასეთია: „ეს არის მართალი (= სწორი), რომ სამართალი“... მაგრამ, რამდენადაც ჩვენი დაკვირვებით ცხადი გახდა, რომ „მართალი სამართლის“ ცნება თავდაპირველად რელიგიურ თხზულებებში იქნა შემუშავებული, ამდენად სიტყვა „მართალიც“ გაგებული უნდა იქნეს არა როგორც „ნამდვილი, სწორე, ჭეშმარიტი“ მნიშვნელობის მქონე, არამედ სწორედ ისე, როგორც იგი რელიგიურ თხზულებებში არის გაგებული. ნ. ჩუბინაშვილის ზემოაღნიშნულ ლექსიკონში კი, როგორც დავინახეთ, რელიგიური გაგებით სიტყვა „მართალი“ ნიშნავს „კეთილმსახურს, სათნოდ ღუთისა მცხოვრებს“, ე. ი. ღვთაებრივს. თუ სიტყვა „მართლის“ ამგვარ განმარტებას მივიჩნევთ სწორად, მაშინ „აბდულმესიანის“ 21-ე სტროფის პირველი ნაწილის ჩვენ მიერ ზემოთ დადგენილი ვარიანტით გათვალისწინებული „ესამართალი, ესამართალი“ უნდა ნიშნავდეს შემდეგს: „ეს არის კეთილმსახური, სათნოდ ღუთისა მცხოვრები (ღვთაებრივი) სამართალი“. სიტყვა „მართლის“ ასეთ გაგებას შეუძლია აგრეთვე ერთადერთი სწორი წარმოდგენა მოგვცეს შოთა რუსთაველის „გეფხისტყაოსნის“ სამართლებრივ აფორიზმზე: „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნელდად“. ი. შავთელის „აბდულმესიანის“ 21-ე სტროფის პირველი ნაწილის მსგავსად, „გეფხისტყაოსნის“ ეს აფორიზმიც იმაზე მიუთითებს, რომ არა ყველა სამართალს, არამედ მართალ, ე. ი. კეთილმსახურ, „სათნოდ ღუთისა მცხოვრებს“, ღვთაებრივ სამართალს შეუძლია ხმელი ხის განედლება.

ისტორიული წყაროები ცხადყოფს, რომ „მართალი სამართლის“, ე. ი. ღმერთის ნების შესაბამისი სამართლებრივი ნორმების შესახებ მოძღვრებამ ჯერ კიდევ ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების

¹ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული განმარტებითურთ, გამოსცა ა. ლლონტმა, თბილისი, 1961, გვ. 268.

შექმნამდე შემოადრწია რელიგიური თხზულებების სახით ფეოდალურ საქართველოში, მაგრამ „მართალი სამართლის“ დოქტრინამ ფართო განვითარება გამოიყენა პოვა ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისა და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ცენტრალიზაციის პერიოდში. გაერთიანებული საქართველოს სამართლებრივმა იდეოლოგიამ ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდის პოლიტიკური მოძღვრებიდან ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შესაბამისად მრავალი სამართლებრივი ცნება და ინსტიტუტი გადმოიღო, მაგრამ გაერთიანებულ საქართველოში ჩამოყალიბებული სამეფო ხელისუფლება ურჩ ფეოდალთა დათრგუნვისა და სამთავროებზე გაბატონების მიზნით ავითარებს მათ შემდგომ და ახდენს ამ სამართლებრივ ცნებათა და ინსტიტუტთა უნიფიკაციას განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური პირობების მიხედვით. მართლაც, ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში ბერძნულიდან ქართულად ითარგმნა ოთხთავი, რომელიც რელიგიურ მოძღვრებათა შესაბამისად ღმერთის ნების გამომხატველად მიიჩნევს მხოლოდ „მართალ სამართალს“, რითაც ყველა სამართალზე მალა აყენებს მას. ამავე დროს, რელიგიურ თხზულებებში მოცემული „მართალი სამართლის“ მოძღვრება შეიძლება ჩაითვალოს ახალი სამართლებრივი იდეოლოგიის ჩანასახადაც, რამდენადაც ამ მოძღვრების მიხედვით ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს ცალკეულ სამთავროებში არსებული შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავებული ნორმების ნაცვლად ღმერთის ნებით განსაზღვრული ერთიანი სამართალია აღიარებული. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევისა და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის შექმნის შემდეგ სამთავროებზე ამალღებული სამეფო ხელისუფლების იდეოლოგია ავითარებს „მართალი სამართლის“ მოძღვრებას და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ფართოდ ვრცელდება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ფეოდალური დაქუცმაცებულობის ეპოქაში „მართალი სამართლის“ მოძღვრება მხოლოდ რელიგიურ თხზულებებში გვხვდება, რამდენადაც ღმერთის ნებით განსაზღვრული „მართალი სამართლის“ ცნება ცენტრალისტური, ერთიანი ხელისუფლების იდეოლოგიაა და ერთადერთი ასეთი ძალა ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში მხოლოდ საეკლესიო ხელისუფლება იყო. მაგრამ მოგვიანებით, ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისა და ცალკეულ სამთავროთა იურისდიქციის შეზღუდვის შემდეგ, ერთიანი სამეფო ხელისუფლება დაქუცმაცებულ სამთავროებში არსებულ სამართლებრივ ნორმებთან შედარებით მის მიერ დადგენილი სამართლის უპირატესობა რომ ცხადყოს, ფართოდ იყენებს „მართალი სამართლის“ მოძღვრებას და ამით უნდა აიხსნას ამ პერიოდის საერო ლიტერატურაში „მართალი სამართლის“ მოხსენიება.

ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციის შემდეგ ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ღვთაებრივ საწყისებზე შემუშავებული „მართალი სამართლის“ ცნების ფართოდ გავრცელებას ხელი შეუწყობს გარემოებამ, რომ წინათ არსებულ დაქსაქსულ სამთავროებზე პოლიტიკური ბატონობისა და ზეგავლენის შენარჩუნების მიზნით გაერთიანებული საქართველოს ოფიციალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ავრცელებს სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის თეორიას. ამ იდეოლოგიის მიხედვით მე-



ფეხები სამეფო ტახტზე ადიან ღმერთების ნებით, „ქართლის ცხოვრების“ ანტიკონკრეტული რიკოსები, რომლებიც სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის წარმომადგენლები არიან, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ღმერთები ანიჭებენ ხალხებს მტერზე გამარჯვებას და ასევე ღმერთები მოუვლენენ მათ უბედურებებს ჩადენილი ცოდვების სანაცვლად. ძველი ქართული წყაროების მიხედვით მეფე ღმერთის ნების გამომხატველად არის მიჩნეული, რაც სამეფო ხელისუფლების სიგელ-გუჯრების აუცილებელ პრეამბულას წარმოადგენს. დავით აღმაშენებლის გუჯარში ნათქვამია: „ქ: სახელითა ღვთისათა დავითისაგან, ნებითა და ღთისათა აფხაზთა, ქართულთა, რანთა და კახთა მეფისა“.

სამეფო ხელისუფლება, რომელმაც გადამწყვეტ გამარჯვებას მიიღწია პოლიტიკურად დაქსაქსულ სამთავროებზე და შექმნა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო, ახლა უკვე ურჩი ფეოდალთა წინააღმდეგობის დასათრგუნად და ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში გამოდის ღმერთის ნების განმხორციელებლად. გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც მოწოდებულია გაამართლოს ცალკეული სამთავროების წინააღმდეგ ქვეყნის პოლიტიკური განმტკიცებისაკენ მიმართული სამეფო ხელისუფლების ღონისძიებანი, ქმნის და ავითარებს ახალ-ახალ მოძღვრებებს და სამეფო ხელისუფლების პოლიტიკურ საქმიანობას ღვთაებრივი შარავანდედით მოსავს. გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთ ასეთ მოძღვრებას წარმოადგენს „მართალი სამართლის“ შესახებ XI—XII სს. ისტორიულ წყაროებში გადმოცემული შეხედულებანი.

ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს ცალკეულ სამთავროებში არსებული პარტიკულარული სამართლისაგან განსხვავებით, ღვთაებრივი წარმოშობის სამეფო ხელისუფლების მიერ შემუშავებული სამართლებრივი ნორმები, ოფიციალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მიერ „მართალ სამართლად“ არის აღიარებული და ამით ხაზგასმულია ის უპირატესობა, რომელიც გააჩნია სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილ სამართლებრივ ნორმებს ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს ცალკეულ სამთავროებში არსებულ სამართალთან შედარებით. გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვით არა ცალკეულ დაქსაქსულ სამთავროთა ფეოდალების ხელისუფლება, არამედ მხოლოდ სამეფო ხელისუფლებამ ღვთაებრივი წარმოშობისა. სწორედ ამიტომ, სამთავროებზე ამაღლებული სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილი და სანქციონირებული სამართალი წარმოადგენს „მართალ სამართალს“, ე. ი. ღმერთის ნება-სურვილის გამომხატველ ქვეყნის სავალდებულო წესებს. ამ იდეოლოგიის მიხედვით, ღმერთის ნების შესაბამის „მართალ სამართალს“, რომელსაც სამეფო ხელისუფლება ახორციელებს, ყველა უნდა დაემორჩილოს, მათ შორის ურჩი ფეოდალებიც.

„მართალი სამართლის“ ცნება, როგორც ზემოთ დავინახეთ, წამოყენებულ იქნა ფეოდალური დაქუცმაცებულობის ეპოქაში საეკლესიო ხელისუფლების მიერ, მაგრამ ფაქტიურად „მართალი სამართლის“ ე. ი. ღმერთის ნების გამომხატველი სამართლის მოთხოვნათა განხორციელებას ამ დროს ხელს უშლიდა

1 თ. ქორდანი, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, თბილისი, 1896 წ., გვ. 10.

ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა. საქმე ის არის, რომ „მართალი სამართალი“ არა ცალკეულ ფეოდალთა ნების გამომხატველი სამართალია, არამედ იგი მხოლოდ ერთარსება ღმერთის ნების გამომხატველ სამართალად არის მიჩნეულია „მართალი სამართლის“ მოძღვრების მიხედვით. მაგრამ ერთი ღმერთის ნების შესაბამისი სამართლებრივი ნორმების განხორციელება ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს არ შეიძლებოდა სამართლებრივი პარტიკულარიზმის პირობებში. საქმე ის არის, რომ სხვადასხვა ფეოდალი სხვადასხვანაირად აწესრიგებდა თავიანთ სამფლობელოებში ერთსა და იმავე საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ფეოდალური დაქუცმაცებულობისა დაძლევა და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნამ ხელი შეუწყო „მართალი სამართლის“ მოძღვრების გავრცელებას და მის ფართოდ გამოყენებას საერო ხელისუფლების მიერაც. სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტი თანდათანობით მადლდება სამთავროთა პოლიტიკური უფლებამოსილების შეზღუდვასთან ერთად და მისი წარმოშობა ღვთაებრიობას უკავშირდება.

სამეფო ხელისუფლებას, რომელიც თავის ძალაუფლებას ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევის შემდეგ მთლიანად ავრცელებდა სამთავროებზე, უკვე ჰქონდა საკმაო საფუძველი, მის მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმები ღმერთის ნების გამომხატველად გამოეცხადებინა და გამოეყენებინა ჯერ კიდევ ცენტრალისტური ელემენტების მიერ ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს შემუშავებული მოძღვრება „მართალი სამართლის“, როგორც ღმერთის ნების გამომხატველი ქცევის სავალდებულო წესების შესახებ.

ფეოდალური დაქუცმაცებულობის იდეოლოგია არ შეიძლებოდა ყოფილიყო „მართალი სამართლის“ მოძღვრება. საქმე ის არის, რომ „მართალი სამართალი“, ამ მოძღვრების მიხედვით, მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს და არა რამდენიმე, რადგანაც ღმერთი ერთია და „მართალი სამართლის“ შინაარსს ერთარსება ღმერთის ნება განაპირობებს. მაგრამ ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს სამართლებრივი პარტიკულარიზმი სწორედ იმას გულისხმობს, რომ ყოველ სამთავროში მოქმედებს შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავებული სამართალი, რამდენადაც „მართალი სამართალი“ მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. გამოდის, რომ ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს ფაქტიურად არც კი შეიძლებოდა „მართალი სამართლის“ მიხედვით საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება და ამდენად, „მართალ სამართალზე“ დამყარებული სამართლებრივი იდეოლოგია შეიძლება მხოლოდ ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნის პერიოდისათვის დამახასიათებლად იქნეს მიჩნეული.

ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევისათან ერთად ლიკვიდირებულ იქნა სამართლებრივი პარტიკულარიზმი და ახლა სამეფო ხელისუფლება, რომელიც ადგენს ქცევის სავალდებულო წესებს მთელი ქვეყნისათვის, მის მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების ავტორიტეტი რომ აამაღლოს, ავითარებს შედგომ მოძღვრებას „მართალი სამართლის“ შესახებ და საქმეს ისე წარმოგვიდგენს, რომ სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილი სამართალი არის მართალი, რამდენადაც იგი დადგენილია მეფის ხელისუფლების მიერ, მეფისა, რომელიც ფეოდალურ ეპოქაში გაბატონებული იდეოლოგიის თანახმად ღმერთის ნების განმხორციელებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში.



ფეოდალური დაქუცმაცებულობის ეპოქაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ცენტრალისტური ელემენტების მიერ შემუშავებულმა „მართალი სამართლის“ მოძღვრებამ თავისი სრული განხორციელება პოვა სამართლებრივი პარტიკულარიზმის ლიკვიდაციისა და ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნის პერიოდში. სამეფო ხელისუფლება, ურჩ ფეოდალთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისა და აგრეთვე ქვეყანაში საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთნაირად მოწესრიგების მიზნით, მის მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების უბრატესობას რომ გაუსვას ხაზი ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს არსებულ უამრავ კუტიუმესთან შედარებით, ავითარებს და ნერგავს „მართალი სამართლის“ დოქტრინას, რომელსაც სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის თეორია უდევს საფუძვლად.

ამრიგად, „მართალი სამართლის“ ცნების შემუშავება ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევისა და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული. „მართალი სამართლის“ მოძღვრება სამეფო ხელისუფლებამ გადაამუშავა ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში ცალკეულ სამთავროებში არსებული სამართლებრივი პარტიკულარიზმის საწინააღმდეგოდ ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევის შემდეგ, სამეფო ხელისუფლება, რომელიც სამთავროებზე მაღლა დგას, ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს ერთნაირად აწესრიგებს მთელ ქვეყანაში. ამავე დროს, სამეფო ხელისუფლება, რომელიც ცდილობს აამაღლოს მის მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების ავტორიტეტი, ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში არსებული სამართლებრივი რეჟიმისაგან განსხვავებით, როდესაც ერთი და იგივე საზოგადოებრივი ურთიერთობანი სხვადასხვა სამთავროში სხვადასხვანაირად წესრიგდებოდა, მის მიერ დადგენილ სამართალს „მართალ სამართალს“ უწოდებს. გაერთიანებული საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ შემუშავებული „მართალი სამართლის“ მოძღვრებას, როგორც ფეოდალური დაქუცმაცებულობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნისა და განმტკიცების იდეოლოგიას, საფუძვლად რელიგიური თხზულებები უდევს. ფეოდალური დაქუცმაცებულობის ეპოქაში საეკლესიო ხელისუფლების მიერ რელიგიური შინაარსის თხზულებებში შემუშავებული „მართალი სამართლის“ მოძღვრება ღმერთის ნების გამომხატველ, ღვთაებრივ სამართალს ნიშნავს, რომელსაც საეკლესიო ხელისუფლება უნდა ახორციელებდეს. მაგრამ, ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისა და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ჩამოყალიბების შემდეგ, სამეფო ხელისუფლება, რომელიც არა მარტო თავის ძალაუფლებას ავრცელებს სამთავროებზე, არამედ ეკლესიასაც იმორჩილებს, ახდენს „მართალი სამართლის“ მოძღვრების გადამუშავებას. ერთი მხრივ, სამეფო ხელისუფლება თავის წარმოშობას ღმერთს უკავშირებს და ამით ხაზს უსვამს მის მიერ დადგენილი სამართლის შინაარსის ღვთაებრიობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს ცალკეულ

სამთავროებში გაბატონებულ სამართლებრივ პარტიკულარიზმთან შედარებით მის მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების ავტორიტეტი რომ აამაღლოს, ამ ნორმებს ღმერთის ნების გამომხატველ „მართალ სამართალს“ უწოდებს.

სახელმწიფოს და სამართლის
თეორიისა და ისტორიის
კათედრა.

(რედაქციას მოუვიდა 25. II. 1966 წ.)

В. В. АБАШМАДЗЕ

ПОНЯТИЕ «MARTALI SAMARTALI» В ПОЛИТИЧЕСКИХ УЧЕНИЯХ ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

(Резюме)

В историко-литературных памятниках феодальной Грузии XI — XII вв. часто встречается понятие «martali samartali», содержание которого пока еще не раскрыто. В результате тщательного анализа этих памятников выяснилось, что «martali samartali» специфическое правовое понятие, обозначающее божественное право. Поскольку в эпоху средневековья божественное право является разновидностью естественного права, то следует считать, что «martali samartali» специфический грузинский термин, означающий естественное право.

ს. ჯორჯენაძე

უნივერსიტეტის ისტორიიდან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი დეკლარაცია

ივანე ჯავახიშვილის წინამძღოლობით შექმნილი ქართული უნივერსიტეტი მთელი პირველი სემესტრი კერძო იურიდიული პირის უფლებით მოქმედებდა. სხვანაირად ქართული უნივერსიტეტი ვერც დაარსდებოდა. თვითმპყრობელობის დროს, ისევე როგორც დროებითი მთავრობის ხანმოკლე ბატონობის პერიოდში, სახელმწიფო უნივერსიტეტი აუცილებლად რუსული უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო. ცარიზმი ყოველთვის უფროსობდა უნივერსიტეტების — „კრამოლის ამ ცენტრების“ — გახსნას, მაგრამ განსაკუთრებით საშიშად მიაჩნდა ამგვარი ცენტრების შექმნა ინოვაციებისათვის და მათ დედა-ენაზე. ამიტომაც იყო, რომ არც ერთი უნივერსიტეტი არ არსებულა რევოლუციამდე, რომელიც ეროვნულ (არარუსულ) ენაზე იმორგავდა. ეს უდიდეს უკმაყოფილებას იწვევდა. ცარიზმი იძულებული გახდა ნაწილობრივ დათმობაზე წასულიყო. მეფის ხელისუფლებამ 1914 წლის 1 ივლისს მიიღო კანონი კერძო სასწავლებლების შესახებ.¹ ამ კანონის მიღებას დიდი სიხარულით შეხვდნენ ყველგან, სადაც უმაღლესი ეროვნული სკოლის გახსნაზე ოცნებობდნენ.

პროფ. იოსებ ყიფშიძის სიტყვებით „თითქოს ახალმა შუქმა, განათლების ახალმა შუქმა შეანათა წყვილიაღით მოცულ რუსეთში, როდესაც 1914 წლის 1 ივლისს გამოიცა კანონი კერძო სასწავლებლების დაარსების შესახებ.“

ამ კანონის ნაკლი ცნობილი იყო იმათთვის, ვინც ასეთ აღტაცებას გამოთქვამდა მისი მიღებისას, მაგრამ უმცირესი ბოროტება რა მოსატანია იქ, სადაც იდეენებოდა უკიდევანო ბოროტება და უგნურების წყვილიაღი.

ხანმოკლე აღმოჩნდა პატრიოტ მოღვაწეთა სიხარული. მეფის ხელისუფლებას შეეშინდა ეროვნულ ენაზე განათლების თუნდაც შეკვეცილი უფლება მიეცა ინოვაციებისათვის. სინამდვილის ფონზე ნაკლოვანი კანონი უდიდეს სიკეთედ მოჩანდა. პროფ. იოსებ ყიფშიძე ახლა წუხილით აღნიშნავდა, რომ ამ აქტის მიღების შემდეგ „არსებითად არაფერი შეცვლილა და ძველი დაბრკოლებანი, უმეტესად პოლიტიკური ხასიათისა, ისევ ძალაში დარჩნენ“.

¹ იხ. «Закон о частных учебных заведениях, классах и курсах Министерства Народного просвещения, не пользующихся правами правительственных учебных заведений». СПб, 1914.



ქართველი პატრიოტი მოღვაწენი უნივერსიტეტის გახსნისათვის ბრძოლაში ლეგალურ საფუძველად სწორედ 1914 წლის 1 ივლისის კანონს იყენებდნენ.

ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში შენახული ამ კანონის ტექსტიდან ჩანს, როგორ ხშირად მიმართავდა იგი მის მუხლებს დიდი ეროვნული საქმიანობის იურიდიული დასაბუთებისათვის.

მხოლოდ ლეგალურ ფარგლებში, კანონის მოთხოვნათა ზუსტი დაცვით შეიძლებოდა შექმნილიყო ქართული უნივერსიტეტი. სხვანაირად მოქმედება მკაცრ სანქციებს გამოიწვევდა. 1914 წლის 1 ივლისის კანონის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად გახსნილი კერძო სასწავლებელი სასამართლო განაჩენით იხურებოდა და დამრღვევი პირი ორასამდე მანეთით ჯარიმდებოდა. თუ დამნაშავე პირი სასამართლო განაჩენით დადგენილ დროში არ დახურავდა კერძო სასწავლებელს, მას დამატებით ოთხასამდე მანეთით აჯარიმებდნენ. ჯარიმის კიდევ უფრო დიდი თანხები იყო დადგენილი იმათთვის, ვინც კანონით დადგენილი პირობების დაცვის გარეშე ხელმძღვანელობდა ამ სკოლას, ანდა ეწეოდა მასში პედაგოგიურ საქმიანობას. ამასთან, კანონმდებლის ფარისევლობა იმაში გამოჩნდა, რომ ჯარიმის თანხები თითქოს უნდა გადასულიყო იმ კაპიტალში, რომელიც გამიზნული იყო კერძო სახლებში მოზარდთა სწავლებისათვის.

არსებობდა მთელი რიგი სხვა ნორმებისა, რომლებიც ზღუდავდნენ კერძო სასწავლებელთა საქმიანობას მშობლიურ ენაზე. კერძო უმაღლესი სასწავლებლის შექმნა სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით ხდებოდა. სამინისტრო განსაზღვრავდა აგრეთვე მამაკაცებისა და ქალების ერთად სწავლების შესაძლებლობას.

მართალია, ამ კერძო სასწავლებლის დამფუძნებლები განსაზღვრავდნენ. თუ რომელ ენაზე უნდა მომხდარიყო სწავლება, მაგრამ ამასთან ერთად დადგენილი იყო მთელი რიგი დისციპლინების სწავლება მარტოოდენ სახელმწიფო ენაზე. სასწავლო დისციპლინის ამორჩევაც მთავრობის ორგანოთა კონტროლით ხდებოდა. ეს ორგანოები უფლებამოსილი იყვნენ კერძო სასწავლებლები დაეხურათ „რაიმე მნიშვნელოვანი უწყსრიგობის აღმოჩენის დროს სასწავლო, აღმზრდელით ანდა ზნეობრივ დარგში ან მისი დაარსების დროს დაშვებულ დარღვევათა ვითარებაში“. დადგენილება კერძო სასწავლებლის დახურვის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებოდა ადგილობრივ პოლიციას მის აღსასრულებლად.

კერძო სასწავლებლის დამფუძნებლები და თანამშრომლები არ სარგებლობდნენ იმ უფლებებითა და უპირატესობებით, რაც მინიჭებული აქვს მთავრობის სასწავლებლის მოსამსახურეებს. მოწმობა მეცნიერების კურსის მოსმენის შესახებ ეძლეოდათ იმ კერძო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რომლებშიც მიღება ხდებოდა განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი პირობების მიხედვით და ამავე სამინისტროს ზედამხედველობით. გაცემული მოწმობა ამ შემთხვევაში უთანაბრდებოდა უნივერსიტეტის დამთავრების მოწმობას.

ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო კერძო ქართული უნივერსიტეტი რევოლუციამდე მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. კერძო უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ განათლების სამინისტროს თხოვნაზე პასუხი სამ თვეში უნდა გაეცა. დროებითი მთავრობა როდი იცავდა ამ წესს... იგი ისე

აფეთქდა, რომ ვერ მოასწრო პეტერბურგიდან თბილისში ეცნობებინა ქართული კერძო უნივერსიტეტის გახსნის შესაძლებლობა, რომელიც პირველ ეროვნულ უნივერსიტეტად უნდა დაარსებულიყო.

სამაგიეროდ დროებითი მთავრობა ადვილად ეთანხმებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას. როგორი უნდა ყოფილიყო იგი? ამ კითხვაზე პასუხისათვის მოკლედ მიმოვიხილოთ რევოლუციამდელი სახელმწიფო უნივერსიტეტების სტატუტი.

თებერვლის რევოლუციამდელ რუსეთში სულ ათი უნივერსიტეტი არსებობდა. ისინი საიმპერატორო უნივერსიტეტებად ითვლებოდნენ. ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა ერების ტერიტორიაზე მდებარეობდა. მაგრამ არც ერთი უნივერსიტეტი არ ყოფილა ამიტომ ეროვნული. ვარშავისა და კიევის უნივერსიტეტებიც მხოლოდ რუსული უნივერსიტეტები იყვნენ. მათ ეროვნული ნიშანთვისება მიკროსკოპულადაც არ გააჩნდათ.

ვარშავის საიმპერატორო უნივერსიტეტის (იგი 1869 წელს დაარსდა და 1915 წელს გადმოტანილ იქნა ღონის როსტოვში) წესდებაში პირდაპირ იყო აღნიშნული: როგორც სწავლება, ისე საზოგადოდ ყოველგვარი გამოცდები, საჯარო აქტები, საქმეთა წარმოება, რუსულ ენაზე მიმდინარეობს. არც ერთი კათედრა არ ყოფილა აქ ისეთი, რომელიც პოლონეთის მეცნიერებასთან იქნებოდა დაკავშირებული.

მარტოოდენ 1906 წელს რევოლუციური მოძრაობით დაშინებულმა მეფის მთავრობამ გაითვალისწინა „ეროვნული თავისებურება“: ერთი თანამდებობა პოლონური ენის ლექტორისათვის და ერთადერთი თანამდებობა სლავური ფილოლოგიის კათედრაზე ორდინარული პროფესორისა პოლონური ენის და პოლონური ლიტერატურის ისტორიის დარგში. ამით ამოწურებოდა ვარშავის საიმპერატორო უნივერსიტეტის ეროვნული სპეციფიკა. აქ სტუდენტს წარჩინებული შრომისათვის ოქროსა და ვერცხლის მედალს მხოლოდ მაშინ აძლევდნენ, თუ ეს შრომა რუსულ ენაზე იყო დაწერილი. მაღალ აკადემიურ მოსწრებასთან ერთად სტუდენტს რუსული ენის კარგი ცოდნაც უნდა გამოემყვანებინა, რათა სტიპენდია დაემსახურებინა. შეუფერებელი ყოფაქცევისათვის სტუდენტი სტიპენდიას კარგავდა. ამასთან უნივერსიტეტის საბჭოს და უნივერსიტეტის მზრუნველს უფლება ჰქონდათ დაეწესებინათ სტუდენტების მეცადინეობაზე კონტროლის ისეთი ფორმა, რომელიც ნაკარნახევი იქნებოდა „ადგილობრივი პირობებით“. სტუდენტთა მიერ აკადემიური ცხოვრების წესრიგის დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტის საბჭოს შეეძლო მოეთხოვა სწავლების შეწყვეტა სრულად ან ნაწილობრივ. წესდება ვარშაველ სტუდენტზე ფხიზელ კონტროლს უნივერსიტეტის გარეთაც ადგენდა.¹ ადვილად ასანსნეულია ყოველივე ამის შემდგომ ის ფაქტი, რომ პოლონელი სტუდენტები მასობრივად უარს ამბობდნენ ამ უნივერსიტეტში სწავლაზე.

კიევის, ხარკოვისა და ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტებს თავიანთი წესდებაც არა ჰქონიათ. საერთო საიმპერო უნივერსიტეტების წესდება მოქმედებდა აქაც.² ასე რომ გეოგრაფიულ ვარემოს ამ უნივერსიტეტებზე³ არა-

¹ Свод законов Российской Империи, кн. IV, т. XI, гл. I, §§. 70-80, 1913.

² იქვე, გვ. 45.

³ 1906 წელს პროფ. ალ. ხახანაშვილი აქვეყნებს სტატიას „ქართველ მასწავლებელთა მომზადების შესახებ“. მას ქართველ სტუდენტთა საქაო რიცხვის გამო შესაძლებლად მიაჩნდა



ვითარი ზეგავლენა არ მოუხდენია, ამ უნივერსიტეტთან არც ერთში არ ყოფილა ერთი საგანგებო შტატიც კი უკრაინული ენის ლექტორისა.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში 1500-მდე უკრაინელმა სტუდენტმა კიევის უნივერსიტეტის რექტორს პროფ. პ. პ. ციტოვიჩს მოსთხოვაოთხი უკრაინული კათედრის გახსნა და ზოგიერთ საგანში ლექციების უკრაინულად წაკითხვა. უცნაური პასუხი მიიღეს მათ რექტორისაგან: — კიევის უნივერსიტეტი რუსული უნივერსიტეტია, ინახება სახელმწიფო ხარჯზე და მამასადაძე სწავლაც რუსულად უნდა იყოსო.

სტუდენტთა იმ შესხენებაზე, რომ კიევის უნივერსიტეტი უკრაინის ტერიტორიაზეა და ხარჯსაც უკრაინელი ხალხი იხდისო, პროფესორი პ. პ. ციტოვიჩი სრულიად არადაამაჯერებელ პასუხს იძლეოდა: — შეუძლებელია ლექციების კითხვა სხვადასხვა ენაზეო.¹

როცა დროებითი მთავრობა 1918 წლიდან თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას ეთანხმებოდა, სწორედ უნივერსიტეტის ამგვარი მოდელი ჰქონდა მას მხედველობაში.

დროებითი მთავრობის აფეთქებით ოქტომბრის რევოლუციამ თავი წაპკვთა დიდმპყრობელური შოვინიზმის ჰიდრას.

ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლებს არა მარტო მწვავე უსახსრობა უნდა დაეძლიათ, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების აშკარა წინააღმდეგობაც. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ კერძო უნივერსიტეტის შექმნით შეიძლებაო.

ქართული უნივერსიტეტის შემქმნელებმა თავიდანვე გაითვალისწინეს აკადემიურ მოღვაწეობაში უნივერსიტეტის ფართო ავტონომია. როგორც ცნობილია, 1905-1907 წლების რევოლუციაში ბევრი მსხვერპლი იქნა გაღებული უნივერსიტეტების ავტონომიის მოპოვებისათვის. რეაქციის წლებში არა მარტო გაქრა ამ ავტონომიის ნიშანწყალი, არამედ ხელისუფლების ჩარევას უნივერსიტეტების შინაურ ცხოვრებაში საზღვარი აღარ ჰქონდა.

თვით ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების უფლება-მოვალეობა მარტოოდენ ქონებრივი სფეროთი იქნა განსაზღვრული.

უნივერსიტეტის დამაარსებლები დიდად უფროთხილდებოდნენ უნივერსიტეტის ავტონომიას. 1918 წლის 30 მაისს შედგა პროფესორთა საბჭოს სხდომა. მას ესწრებოდნენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, იუსტ. აბულაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე. განიხილეს საკითხი საქართველოს მთავრობასთან უნივერსიტეტის დამოკიდებულების შესახებ. საბჭომ დაადგინა: „უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს სრული ავტონო-

კიევისა და ოდესის უნივერსიტეტებში ქართული ლიტერატურისა და ისტორიის კათედრების დაარსება.

— ვიდრე ჩვენი უნივერსიტეტი გვექნება — ამაზეც ოცნება უსაფუძვლო არ არის — დარჩა ერთი გზა ქართველი მასწავლებლების მოზადებისა რუსულ უნივერსიტეტებში — წერდა იგი (იხ. გაზ. „მეგობარი“ 1906 5(17) ნოემბერი). პროფ. ალ. ხახანაშვილს რევოლუციური ვითარება აძლევდა ამ სითამამეს, სხვანაირად მას კარგად ესმოდა, რომ დასახლებულ უნივერსიტეტში ჭერ უკრაინული ლიტერატურისა და ისტორიის კათედრები უნდა დაარსებულიყო.

¹ გაზ. „მეგობარი“, 1906, № 77.

მია. მთავრობას უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება და კონტროლი, აგრეთვე საჭირო ქონებრივი სახსრების გამონახვა უნივერსიტეტისათვის“.¹

ახლად ფეხადგმული უნივერსიტეტისათვის ადვილი როდი იყო თვითრჩენის ვითარებაში არსებობა. სამეურნეო ნგრევა და სიღატაკე, ფულის გაუფასურება და შიმშილი არყევდა უნივერსიტეტის ფინანსურ ბაზას; ხალხის თავგანწირვით შეგროვებული თანხები მცირედადაც ვერ აკმაყოფილებდა უნივერსიტეტის მოთხოვნილებას. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტს არ ჰყოლია მილიონური მეცენატი კაპიტალისტები.

...უნივერსიტეტის შენარჩუნება მხოლოდ სახელმწიფოს საფინანსო მხარდაჭერით შეიძლებოდა. უპირველესად ამ მიზეზით იყო ნაკარნახევი უკვე მეორე სემესტრიდან ქართული უნივერსიტეტის გადაქცევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად. ამასთან დაკავშირებით დამტკიცდა პირველი დებულება, რომელიც 1918 წლის 3 სექტემბერს დაიბეჭდა სათაურით „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულება“.

მასში ყველაზე პრინციპული იყო სახელმწიფო ხელისუფლებისა და უნივერსიტეტის ავტონომიის დამოკიდებულების პრობლემა. თვითმმართველობის პოპულარული იდეისაგან გადახვევა უნივერსიტეტის შემქმნელებს არც ახლა დაუშვიათ.

დებულების პირველსავე მუხლში განსაზღვრულია, რომ „ტფილისის უნივერსიტეტი როგორც სამეცნიერო სასწავლო სფეროს მხრით, ისე საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაური მეურნეობის მხრითაც სრულეობით ავტონომიურია და ყველა ამ დარგის საქმეებს თვითვე განაგებს“.

სახალხო განათლების მინისტრს უფლება ჰქონდა უნივერსიტეტის მთავარ ორგანოთა მოქმედებაზე საერთო მეთვალყურეობა გაეწია. უნივერსიტეტის გამგეობა კმაყოფილდებოდა იმით, რომ ყოველწლიურად სახალხო განათლების მინისტრს უგზავნიდა ლექციების ნუსხას, ცნობებს პროფესორთა და მასწავლებელთა შემადგენლობის, მათი განათლებისა და სამეცნიერო ცენზის შესახებ. ფინანსური საშუალებები უნივერსიტეტისათვის მთავრობას უნდა მიეცა. უნივერსიტეტის ყოველწლიურ ხარჯთაღრიცხვას, შედგენილს პროფესორთა საბჭოსა და გამგეობის მიერ, ქონებრივი მხრით ამტკიცებდა განათლების მინისტრი. ამასთან, უნივერსიტეტის გამგეობა ვალდებული იყო გატანილი თანხების რაოდენობა და დანიშნულება ყოველთვიურად ეცნობებინა განათლების მინისტრისათვის.

უნივერსიტეტის მიმართ მენშევიკური მთავრობის ფინანსურ მხარდაჭერას ეკონომიური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება არ მოჰყოლია, ხოლო განათლების სამინისტროს ცდები—შეჭრილიყო უნივერსიტეტის თვითმმართველობის კომპეტენციაში, ყოველთვის ქარწყლდებოდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის აქტიური თავდაცვით².

¹ საქ. სსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 471, ან. 1, საქმე 2, გვ. 33.

² პროფესორთა საბჭო 1918 წლის 6 დეკემბერს იხილავს განათლების სამინისტროს მოწერილობას, რომ წინასწარ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს უნივერსიტეტისათვის ყოველთვიურად საჭირო ხარჯები. ამის საპასუხოდ პროფესორთა საბჭომ დაადგინა: „ეცნობოს სამი-



დებულებაში, როგორც უნივერსიტეტის მცირე კონსტიტუციაში, გათვალისწინებული იყო მისი თანდათანობითი განვითარების შესაძლებლობაც. ამიტომაც მე-6 მუხლში აღნიშნულია, რომ ტფილისის უნივერსიტეტი სრული უნივერსიტეტი და შეიცავს შემდეგ ფაკულტეტებს: 1. სიბრძნისმეტყველების, ანუ ფილოსოფიურ ფაკულტეტს, რომელშიაც საფილოსოფიო, საისტორიო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები შედის, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთისა და სამხრეთ-ჩრდილოეთ ქვეყნებისა და ერების შესახებ; 2. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს; 3. სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიულ ფაკულტეტს და 4. სამკურნალო ფაკულტეტს.

სრული უნივერსიტეტი სწორედ ამ ოთხი ფაკულტეტისაგან შემდგარ უნივერსიტეტს ეწოდებოდა. რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო მეტი ფაკულტეტის არსებობაც. მაგალითად, პეტერბურგის უნივერსიტეტში მეხუთე ფაკულტეტი იყო აღმოსავლური ენებისა, ტარტუს (იურიევის) უნივერსიტეტში მეხუთე—ღვთისმეტყველების ფაკულტეტიც არსებობდა¹. არასრულ უნივერსიტეტად ისეთი უნივერსიტეტი ითვლებოდა, სადაც ოთხზე ნაკლები ფაკულტეტი იყო, მაგალითად, ტომსკის უნივერსიტეტში ორი ფაკულტეტი იყო: იურიდიული და სამედიცინო, ხოლო სარატოვის უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი — სამედიცინო.

ლექციები, ისევე როგორც საქმიითი ვარჯიშობანი უნივერსიტეტში მხოლოდ ქართულად ტარდებოდა. არაქართულ ენაზე ლექციების წაითხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში პროფესორთა საბჭოს ნებართვით შეიძლებოდა.

უნივერსიტეტში ლექციების კითხვის უფლება ჰქონდათ პროფესორებს და კერძო დოცენტებს (პრივატ-დოცენტებს). მეცნიერი ხელმძღვანელები და ლექტორები საქმის ვარჯიშობაში წვრთნიდნენ მსმენელებს და ენებს ასწავლიდნენ. ლაბორანტები და ასისტენტები კი ლექციების კითხვასა და საქმიითი ვარჯიშობის მოწყობა-წარმოებაში ეხმარებოდნენ პროფესორებს.

მეცნიერული წოდებებისა და ხარისხების მიკუთვნება-დამტკიცება უნივერსიტეტშივე ხდებოდა.

მეცნიერ ხელმძღვანელს, ლექტორს, ლაბორანტს და ასისტენტს პროფესორის რეკომენდაციით სათანადო ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებდა.

პროფესორს კი ჯერ ფაკულტეტის საბჭო ირჩევდა, ხოლო ფაკულტეტის დასაბუთებული მოხსენების მოსმენის შემდეგ, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ამტკიცებდა. უადრესად აქტუალური მნიშვნელობისა იყო დებულებით განსაზღვრული წესი სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნებისა. უნივერსიტეტის ბევრ პროფესორს მეცნიერული ხარისხი რუსეთისა და დასავლეთ ევროპის

ნისტროს, რომ მთავრობას უნივერსიტეტის ხარჯების წინასწარი კონტროლის უფლება არა აქვს თანახმად უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულებისა“.

(იხ. საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქმე 2, ფ. 51, გვ. 2).

¹ უწმინდესი კათალიკოზ-პატრიარქი კირიონ 11, 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს ამბობდა:

„სულთა და გულით ვისურვებ, რომ ამ ჩვენ ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გახსნილიყოს ყველა განზრახული ფაკულტეტები და მიჰმატებოდეს მათ საღვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი“ (გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 30 იანვარი). უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა პრინციპულად უარყვეს ღვთისმეტყველების ფაკულტეტის შექმნის იდეა.

უმადლეს სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული. საჭირო იყო განსაზღვრულიყო თბილისის უნივერსიტეტის დამოკიდებულება ამ საქმისადმი. დებულების მე-10 მუხლით თბილისის უნივერსიტეტმა შემოიღო მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხარისხი — დოქტორისა, ანუ მოძღვართ-მოძღვრობისა. აქვე განისაზღვრა, რომ რუსეთის უნივერსიტეტების მაგისტრის ხარისხი, ხოლო დასავლეთ ევროპის დოქტორის ხარისხი მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხს უდრის.

უნივერსიტეტში პროფესორობა და კერძო დოცენტობა შეეძლო მხოლოდ იმ მეცნიერს, რომელსაც ან თბილისის უნივერსიტეტის მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი აქვს, ან უცხოეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის სამაგისტრო, გინდა სადოქტორო ხარისხი აქვს მინიჭებული.

უცხოეთის უმაღლესებში მიღებულ ხარისხს თბილისის უნივერსიტეტი ავტომატურად როდი აღიარებდა. უცხოეთში მიღებული დიპლომი და დისერტაცია სათანადო ფაკულტეტის მიერ უნდა განხილულიყო და მოწონებულიყო. დებულება ითვალისწინებდა ზოგიერთ გამონაკლისსაც. თუ რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში რომელსამე მეცნიერს უხარისხოდ პროფესორობა ან დოცენტობა ჰქონდა მოპოვებული, თბილისის უნივერსიტეტის გამგეობას და პროფესორთა საბჭოს განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლო ისინიც მიეწვია პროფესორად. ის პირები კი, რომლებსაც რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხისათვის მხოლოდ სამაგისტრო გამოცდა ჰქონდათ ჩაბარებული, დისერტაციის დაცვამდე პროფესორის მოადგილედ ან მოვალეობის აღმასრულებლად ითვლებოდნენ.

ნიჭიერსა და სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარის მქონე სწავლა-დამთავრებულ სტუდენტს სათანადო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო პროფესორთა შუამდგომლობით უნივერსიტეტთან ტოვებს ჯერ სამეცნიერო კვლევა-ძიებაში დასაწინაურებლად, ხოლო შემდეგ პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

უნივერსიტეტს უფლება ჰქონდა მოძღვართ-მოძღვრობის ანუ დოქტორობის სამეცნიერო ხარისხის მისაკუთვნებლად უნივერსიტეტში დატოვებული ან გარედან მოსული პირი წინასწარ გამოეცადა. სადოქტორო გამოცდა ზეპირად ხდებოდა. მას შემდეგ, როცა პირი შესატყვის ცოდნას გამოიჩინდა, დისერტაციის ფაკულტეტზევე განხილვისა და საჯარო დაცვის ღირსად ცნობის შემდეგ, უნივერსიტეტს შეეძლო მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭებინა.

პირველი სადოქტორო დაცვა უნივერსიტეტში 1920 წლის 9 მაისს შედგა. პირველი დისერტანტი იყო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი პროფესორი აკაკი შანიძე. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პროფესორთა საბჭომ თავისი სხდომის ოქმში ჩაწერა: „პაექრობის შემდგომ უნივერსიტეტის დებულების 24 მუხლის თანახმად, ფაკულტეტს მთელი შემადგენლობით ბჭობა ჰქონდა და დაადგინა: თხზულების დაცვა კმადსაყოფად ჩაითვალოს და პროფესორი აკაკი შანიძე ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხის ღირსად ცნობილ იქნეს“.

შესანიშნავი ქართველი მეცნიერის ნაშრომით დაიწყო უნივერსიტეტში დისერტაციების დაცვის უწყვეტი რივი.

დებულება უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს უფლებას აძლევს მეცნიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის გამო განთქმული მეცნიერისათვის



მოძღვრობით-მოძღვრობის ანუ დოქტორობის ხარისხი გამოუცდელად უდისერტაციოდ პატივისცემის ნიშნად, ე. ი. „ჰონორის კაუზად“ მიენიჭებინა. დებულების მიღებამდე უკვე ჰქონდა უნივერსიტეტს შემთხვევა „ჰონორის კაუზას“ გზით დოქტორის ხარისხის მინიჭებისა.

1918 წლის 21 მაისს პროფესორთა საბჭომ ივანე ჯავახიშვილის წინადადებითა და მისი მოხსენებით აღნიშნა ექვთიმე თაყაიშვილის დიდი ღვაწლი ქართული არქეოლოგიის დარგში, სადაც იგი 28 წელიწადია წარმატებით მუშაობს. ექვთიმე თაყაიშვილს მიეცა honoris causa ქართული არქეოლოგიის დოქტორის ხარისხი.¹

მთელი შემდეგდროინდელი შემოქმედებითაც ექვთიმე თაყაიშვილი ღირსეულად ამართლებდა არქეოლოგიის დოქტორის ხარისხს.

მართალია, მეოთხედი საუკუნით რომ არ მოწყვეტილიყო სამშობლოს, იგი ქართული წიადისეულის არქეოლოგიას კიდევ მეტს შესძენდა მაგრამ ამის მიუხედავად, დაგროვილი არქეოლოგიური მასალების მეცნიერული განზოგადება და ამ დარგში ღირსშესანიშნავი ნაშრომების გამოქვეყნება, ექვთიმე თაყაიშვილს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია.

უნივერსიტეტის არსებობის პირველი წლები უძიმეს და ურთულეს პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ამ პირობებში, როცა იმარჯვებდნენ რეაქციის ძალები, ხდებოდა ხოლმე, რომ უნივერსიტეტის საბჭოები მემარჯვენე პროფესორთა მოთხოვნით, თავის საპატიო წევრებადაც კი ირჩევდნენ უმსხვილეს რეაქციონერებს²

თბილისის უნივერსიტეტის შემქმნელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მძიმე დღეებისა, მათ არც ერთხელ არ უღალატნიათ მეცნიერული პრინციპულობისათვის და არც ერთხელ არ მოუხრიათ ქედი ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე. ამასთან ისინი დიდ პატივს სცემდნენ სხვა ერების მეცნიერებს და კულტურას და აღიარებდნენ მათ გამოჩენილ წარმომადგენლებს.

პირველი, ვინც თბილისის უნივერსიტეტის საპატიო წევრობა მიიღო, იყო რუსული მეცნიერების სახელგანთქმული წარმომადგენელი, აკადემიკოსი ნიკოლოზი პავლეს ძე კონდაკოვი (1844—1925 წწ.).

პროფ. ივ. ჯავახიშვილისა და პროფ. პ. მელიქიშვილის³ წარდგინებით იხი-

¹ საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 471 ან 1. საქმე 2. გვ. 32.

² ასე მაგალითად, ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტში საბჭოთა ხელისუფლების დროებითი დამარცხების შემდეგ, 1919 წლის ზაფხულის ბოლოდან რეაქციის ძალები თარეშობენ. სწორედ ამ დროს მემარჯვენე პროფესორთა დაჟინებით ოდესის უნივერსიტეტის საპატიო წევრად პროფესორთა საბჭო ირჩევს გენერალ დენიკინს. ეს სამარცხვინო და სახელის გამტეხი დადგენილება გაუქმდა 1920 წლის მარტში. ნოვოროსიის უნივერსიტეტის საპატიო წევრთა სიიდან ამოიშალა კაცი, რომელსაც არასდროს არ ჰქონია რაიმე საერთო საუნივერსიტეტო მეცნიერებასთან. (იხ. კრებული «Одесский университет за 75 лет» (1865—1940)—1940, გვ. 154 — 155).

³ პროფ. პეტრე მელიქიშვილი აღრვევ იცნობდა აკად. ნ. პ. კონდაკოვს და მის ღვაწლს მეცნიერებაში. იგი თავის მოგონებებში აღნიშნავს: „ოდესის უნივერსიტეტი მარტო თავის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტით არ იყო განთქმული; იგივე ითქმის ფილოლოგიურ ფაკულტეტზედაც. იმ დროს, რომელსაც შეეხება ჩემი მოგონება, იქ იყვნენ შესანიშნავი პროფესორები, როგორც კონდაკოვი, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის ხუროთმოძღვრების გამოკვლევა. თითქმის მისი ნახევარი შრომები შეეხება საქართველოს სიძველეთა შესწავლას“. (იხ. პ. გ. მელიქიშვილი, „ჩემი ცხოვრება“; კრებული „პეტრე მელიქიშვილი“ 1850—1927. 1942, გვ. XI—XII).

ლავს პროფესორთა საბჭო ნ. პ. კონდაკოვის უნივერსიტეტის საპატიო წევრად არჩევის საკითხს. ამ წარდგინებაში მოკლედ დახასიათებულია აკადემიკოს ნ. პ. კონდაკოვის დამსახურება¹. მასში აღნიშნულია, რომ აკადემიკოს ნიკოდიმე პავლეს ძე კონდაკოვის სახელი იმდენად „განთქმულია ხელოვნების ისტორიაში, რომ მისი სამეცნიერო ღვაწლის დაწვრილებით აღნუსხვა საჭირო არ არისო“. მითითებულია ნ. პ. კონდაკოვის ძირითად შრომებზე და დახასიათებულია ისინი. ეს შრომები აკად. ნ. პ. კონდაკოვის სამეცნიერო ღვაწლის სიღიადებზე მიუთითებენ და ადასტურებენ მისი, როგორც მკვლევრის, საერთაშორისო ავტორიტეტს. ამის გარდა, მეტად ძვირფასია იმის აღნიშვნა, რომ აკად. ნ. პ. კონდაკოვმა ქართული ხელოვნების ძეგლები „თავის კვლევის საგნად გაიხადა და ყოველთვის, როდესაც ეს შეიძლებოდა, ამ საგანს ეხებოდა ხოლმე. ჯერ კიდევ 1876 წელს მან დაწერა გამოკვლევა «Древняя архитектура Грузии». „რუსულ სიძველეთა“ IV წიგნში, როგორც ცნობილია, ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მოკლე ისტორიაა მოთავსებული და იმ დროისათვის ბევრ სრულებით ახალ ცნობებს შეიცავს. მასვე ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევა «Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии». Грузинские надписи прочтены и истолкованы — Д. Бакрадзе. СПб 1890.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კონდაკოვმა თავის განთქმულ შრომაში «Византийские эмали» ბევრი ისეთი ძეგლი გააჩნია, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა და ეკუთვნის. შეიძლება საზოგადოდ ითქვას, რომ თუ რუსეთში და ევროპაში ქართულ ხელოვნებისადმი ცხოველი ცნობისმოყვარეობა არსებობს, ამას ჩვენ აკად. ნ. პ. კონდაკოვს უნდა ვუმადლოდეთ.

ასეთი განსაკუთრებული ღვაწლის გამო საზოგადოდ ხელოვნების და ქართული ხელოვნების მეცნიერების წინაშე სრულებით სამართლიანი იქნება, რომ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ იგი ჩვენ ქართული უნივერსიტეტის საპატიო წევრად ავირჩიოთ².

1918 წლის მარტს პროფესორთა საბჭომ უნივერსიტეტის საპატიო წევრად ერთხმად აირჩია აკად. ნ. პ. კონდაკოვი.

ამ დადგენილებით ქართული უნივერსიტეტი არა მარტო ეროვნული კარჩაკეტილობის იდეას უარყოფდა, არამედ იგი, როგორც ცოდნის ტაძარი, აღიარებდა და პატივს სცემდა სხვა ერების გამოჩენილ მეცნიერთა საქმეებს.

სტუდენტად მიღების დემოკრატიული წესები თავისებური საზომია ხალხის ფართო წრეებთან საუნივერსიტეტო მეცნიერების კავშირისა.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტად გახდომა ორივე სქესის პირთ შეეძლოთ, რომელთაც საშუალო სკოლა ჰქონდათ დამთავრებული.

„საშუალო სკოლის“ კრებითი ცნება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრივ უაღრესად დემოკრატიულ და განვრცობით ახსნას ღებულობდა. ეს კი მეტად ღიდმნიშვნელოვანი ფაქტი იყო.

ცნობილია, რომ ბევრი ქვეყნის უნივერსიტეტებში შესვლა არ შეეძლოთ იმ პირებს, ვისაც კლასიკურ გიმნაზიებში არ უსწავლიათ და არ ყოფილან დაუ-

1 დაწვრილებით იხ. გიორგი ჩუბინაშვილი, ნიკოდიმე კონდაკოვი. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1926, VI, გვ. 136—151.

2 საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქმე 5, ფ. 8.



ფლებულნი ძველ ბერძნულსა და ლათინურს. ამას კი შემდგომ მრავალჯერადი კრიტიკული მკვლევარისათვის ზედმეტად გაურთულებია სიარული მეცნიერების ისედაც ეკლიან გზებზე.

თბილისის უნივერსიტეტის შემქმნელები განსაკუთრებული გულმოდგინებით ამუშავებდნენ უნივერსიტეტში მიღების პირობებს. ეს პირობები იმ დროს არსებული ვითარებისათვის უაღრესად დემოკრატიული იყო.¹

1917 წლის 17 და 19 დეკემბერს მოწვეული პროფესორთა საბჭოს წინასწარი სხდომები იხილავენ უნივერსიტეტში შემომსვლელთა ცენზის საკითხს.

დადგინდა, რომ უნივერსიტეტში მიიღებიან პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ: ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, რეალური სასწავლებელი, საკომერციო სასწავლებელი, წმინდა ნინოს დედათა სასწავლებელი, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), სომეხთა სასულიერო სემინარია, საეპარქიო სასწავლებელი, საოსტატო ინსტიტუტი, ქალთა ინსტიტუტი, კადეტთა კორპუსი და სხვა საშუალო განათლების სასწავლებელი. 19 დეკემბერს წინასწარ სხდომაზე პროფესორთა საბჭომ დაადგინა, რომ საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებულები მიიღებიან მხოლოდ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ დარგზე. აქვე აღინიშნა, რომ „ამასთანავე უნივერსიტეტს უფლება აქვს როგორც ამ პირთ (ე. ი. საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებულთ — ს. ჯ.), ისე საზოგადოდ ყველა სტუდენტს დამატებითი გამოცდები მოთხოვონ ამა თუ იმ საგანში დარგებისა და მიხედვით“.

1918 წლის 3 იანვარს პროფესორთა საბჭოს წინასწარი სხდომა ადგენს, ბოღბის მონასტერში არსებული სასწავლებლის კურსდამთავრებულები მიღებულ იქნენ საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებულთა მსგავსად².

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ზუსტად იცავდა სტუდენტად მიღების ამ წესს.

¹ რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო შემდგომი დემოკრატიზაცია სახელმწიფოს მხრივ ხელსაყრელი ეკონომიური მხარდაჭერის ვითარებაში. სწორედ ამას მოითხოვდნენ 1919 წელს თავის უაღრესად შინაარსიან წერილში „უნივერსიტეტის ძირითადი პრინციპები და ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ოდესის უნივერსიტეტის პრეზიდენტი ივ. ბერიტაშვილი. იმისათვის, რომ უნივერსიტეტი მისაწვდომი იყოს მშრომელთა უმრავლესობისათვის, დასკვნა ივ. ბერიტაშვილი: „1. პირველყოფლისა უნივერსიტეტი ქონებრივად სრულიად უზრუნველყოფილი უნდა იყვეს სახელმწიფოს მიერ, 2. უნივერსიტეტში მეცადინეობა მსურველთათვის ყოველ სფეროში უნდა იყოს უფასო, 3. ყველა ხელმოკლეს, საშუალო სასწავლებელში გადასახდისაგან განთავისუფლებულს უნდა ეძლეოდეს ადგილობრივ თვითმმართველობისაგან ნივთიერი დახმარება უნივერსიტეტში სწავლის დროს“.

ივ. ბერიტაშვილი მეტად მწვავედ აყენებს მშრომელთა წარმომადგენლების მოზიდვის საკითხს და აღნიშნავს მის კეთილმოყოფელ შედეგებს მეცნიერებისათვის. იგი წერს: „დღევანდელმდის მეცნიერებას ემსახურებოდა ხალხის უმცირესობა — უმთავრესად შეძლებულ ბურჟუაზიულ კლასებიდან. მომავალში კი, თუ ფართო საშუალება მიეცა ხალხის უმრავლესობას — მიწისა და ქარხნის მუშების შვილებს მეცნიერების შეთვისებისათვის, მეცნიერებას დაუწყებს სამსახურს მთელი ერი, მთელი ერი მისცემს მას თავის ნიჭიერ შვილებს. ამას უნდა მოჰყვეს მეცნიერების ისეთი სწრაფი განვითარება, როგორც არ ნახულა ჯერ არც ერთ კულტურულ სახელმწიფოში“.

ივ. ბერიტაშვილი, „უნივერსიტეტის ძირითადი პრინციპები და ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ჟურ. „შვიდი მნათობი“, 1919, № 2, გვ. 358.

² საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 38, გვ. 2.

³ საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 2, ფურც. 10, გვ. 2.

1818 წლის 12 ოქტომბერს განათლების სამინისტრო, შესული სიგნალების გამო, უნივერსიტეტში გზავნის წერილს: ნამდვილად არიან თუ არა ჩარიცხული პირები, რომელთაც არა აქვთ დასრულებული საშუალო სასწავლებელი (გიმნაზია, რეალური სასწავლებელი და სხვ.). უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილ პასუხში აღნიშნულია, რომ იმათ, ვისაც არა აქვთ დასრულებული საშუალო სასწავლებელი, იღებენ თავისუფალ მსმენლად. „გამონაკლისს შეადგენენ სამასწავლებლო სემინარიაში კურსდამთავრებულნი, რომელნიც ჩარიცხული არიან სტუდენტებად მარტო სიბერისმეტყველების ფაკულტეტზე. ფაკულტეტი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ სემინარიელები ეროვნულ უნივერსიტეტში კურსის დასრულების შემდეგ კვლავ მასწავლებლობას დაუბრუნდებიან და უფრო ნაყოფიერად განაგრძობენ სახალხო განათლების სარბიელზე მოღვაწეობას!“.

თავისუფალ მსმენელთა მიმართაც დადგინდა შემდგომ საშუალო განათლების აუცილებელი ცენზი. 1920 წლის 20 მარტს პროფესორთა საბჭო ადგენს: „თავისუფალ მსმენელად, ისე როგორც ნამდვილ სტუდენტებად, მიიღებიან მხოლოდ საშუალო განათლების მქონე პირები“.

თავისუფალ მსმენელს მხოლოდ სწავლის ქირის გადახდა ევალებოდა. ისინი არ იყვნენ ვალდებულნი სასწავლო რეჟიმს დამორჩილებოდნენ. მათ შეეძლოთ მოეთხოვათ შესაფერისი მოწმობა უნივერსიტეტში ლექციების მოსმენისა და გამოცდების ჩაბარებისა.

როცა უნივერსიტეტი გაიხსნა, მას არა მარტო სტუდენტობა, არამედ თავისუფალი მსმენელებიც მოაწყდნენ. დაარსებისთანავე უნივერსიტეტში 369 სტუდენტი და 89 თავისუფალი მსმენელი ჩაეწერა. თავისუფალ მსმენელებს შორის ბევრი იყო სხვა უნივერსიტეტების კურსდამთავრებული, რომლებსაც ახლა ქართულად სურდათ ლექციების მოსმენა. თავისუფალ მსმენელად მოეძალნენ მასწავლებლები, თავისუფალი პროფესიის პირნი, მოსამსახურენი, რომელთაც პატრიოტული გრძნობა იზიდავდა უნივერსიტეტისაკენ. შემდეგ მათი უმეტესი ნაწილი თანდათან ჩამოშორდა უნივერსიტეტს და როგორც შედარებით, ისე აბსოლუტურადაც შემცირდა თავისუფალ მსმენელთა რიცხვი. ასე, 1920 წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტუდენტთა რიცხვი 2729 იყო, ხოლო მსმენელთა-85.³

ძირითად დებულებაში აისახა ცალკეული ფაკულტეტის უფლება საჭიროების დროს წინასწარ მოეთხოვა უნივერსიტეტში შემომსვლელთაგან რომელიმე დამატებითი საგნის ცოდნა, ცხადია, ამის აუცილებლობა მაშინ გაჩნდებოდა, როცა შემომსვლელთა რიცხვი მეტად დიდი იყო. მათი გამოცდა რომელიმე საგანში არ ყოფილა ერთადერთი გამოსავალი აბიტურიენტთა კონტინენტის სიბრავლის დროს.

1919 წლის 1 სექტემბერს უნივერსიტეტის გამგეობა ადგენს: „იმ ფაკულტეტებზე, რომლებზედაც მოთხოვნელთა რიცხვი დადგენილ ნორმას აღემატება, მოხდეს ატესტატების კონკურსი“.

1 საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 471, ან. 1, საქმე 5, ფ. 68.

2 საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 471, ან. 1, საქ. 2, ფ. 103, გვ. 2.

3 საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი. 471, ან. 1, საქ. 7, ფ. 3.

4 საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 3, ფ. 75.



ამის საჭიროება უპირველესად სამკურნალო ფაკულტეტზე იყო. ჯერ კიდევ 1918 წლის 27 თებერვალს პროფესორთა საბჭო იხილავს სამკურნალო ფაკულტეტის გახსნის საკითხს. საბჭო აღნიშნავს: „სამკურნალო ფაკულტეტი აუცილებელია უნივერსიტეტისათვის, ამ ფაკულტეტზე ჩვენნი ხალხის შვილების ლტოლვა ყოველთვის ძლიერი იყო. მისი შექმნა ნიშნავდა დიდ გამარჯვებას ამ საქმისა“¹.

უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებული იყო დამორჩილებოდა სასწავლო გეგმებსა და გამოცდების წესებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არც ერთი სახელმწიფო (სახაზინო) სტიპენდია არ არსებულა. ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევდა² სტიპენდიების ფონდი კერძო ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა შემოწირულებით თუ შეიქმნებოდა. სტუდენტები ვალდებულნი იყვნენ სწავლის ფული შეეტანათ. დებულებით ისევე, როგორც უნივერსიტეტის წესდებით, არ იყო გათვალისწინებული მათი გათავისუფლება სწავლის ფულის გადახდისაგან (გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ უნივერსიტეტის თანამშრომელთა შვილები.)

მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის გამგეობას ხშირად უხდებოდა დადგენილების გამოტანა იმის თაობაზე, რომ ედროვოს სტუდენტებს კიდევ ერთი სემესტრით სწავლის ფულის გადახდა, შეწყნარებულ იქნეს თხოვნა სწავლის ფულისაგან გათავისუფლებაზე და ა. შ.

უნივერსიტეტის გამგეობა ყოველთვის ცდილობდა სწავლის ფულის შეუტანლობის გამო არ დაეკარვა ნიჭიერი სტუდენტობა.

1919 წლის 17 მაისს უნივერსიტეტის გამგეობა იხილავს „თხოვნას სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისა, დახმარება აღმოუჩინოს ნიჭიერ სტუდენტს ბ. ჩიქობავას, რომელიც ხელმოკლეობას განიცდის“³.

დაადგინეს „შეიკრიბოს დაწვრილებითი ცნობები ბ. ჩიქობავას ნივთიერი მდგომარეობის შესახებ და თუ მართლა მწვავე ხელმოკლეობას განიცდის, შეტანილი იქნას ერთი წლის სწავლის ფული“⁴.

ნიჭიერ სტუდენტებს სწავლის ფულისგან ათავისუფლებენ, მაგრამ ეს როდი ამსუბუქებდა მათ უმწურო ნივთიერ მდგომარეობას, სტიპენდიის დანიშვნა მიუწოდომელ ოცნებად რჩებოდა. უნდა ვენდოთ ავტორს, რომელიც ვაზეთ „სახალხო საქმის“ 1920 წლის 11 მაისის ნომერში აღწერს უნივერსიტეტის სტუდენტთა მდგომარეობას. მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნილი სტუდენტობა „შიმშილისაგან თავის დასაღწევად და „უნივერსიტეტის დასამ-

¹ საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი ფონდი 471, ან. 1, საქმე 2, ფ. 31, გვ. 2.

² ვაზეთ „სახალხო საქმის“ 1920 წლის 30 აპრილის ნომერში დ. კ-ლი წერდა: „ჩვენი სტუდენტობის 95 პროცენტი დღეს ცხოვრების მწვავე პირობების გამო სამსახურშია ჩათარეული და იქ, იმ სპეციალობის ნაცვლად, რომელიც მას ამოუჩივებია შესწავლისა და კვლევის საგნად, სრულიად შეუთავსებელ შრომაში ივარგება და იქსაქსება მისი გონებრივი და სულიერ-ფიზიკური ძალები. ცხადია ასეთ მდგომარეობაში მყოფს ჩვენ სტუდენტობას და ქართულ უნივერსიტეტს არ შეიძლება ექნეს დიდი მომავალი“...

ავტორი აკრიტიკებს მენშევიკურ მთავრობას და დაასკვნის: „ძველ მთავრობასაც კი ჰქონდა სტუდენტებისათვის რამდენიმე სტიპენდია და მით უფრო ეს უნდა ჰქონდეს ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას... ჩვენი აზრით მთავრობამ უნდა მოაწყოს ფართო მასშტაბით ღარიბ სტუდენტთა დახმარება. ეს არც ძვირი დაუჯდება და არც მინცდამინც გაუჭირდება“.

³ საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 4, გვ. 42.

თავრებლად“ დაძრწის დაწესებულებიდან დაწესებულებაში და ადგილს ეძებს, თუ გაუღიმა ბედმა და სადმე მოიკიდა ფეხი-ხომ კარგი; დამშვიდებული იწყებს „მეცადინეობას“. დღიური მუშაობით გამოფიტული მიდის ლექციების მოსასმენად და ნახევრად მშვიერი წიგნს იღებს ხელთ, ამნაირი მუშაობის შედეგის გამოცნობა ძნელი არ არის. უნივერსიტეტის „დასრულების“ შემდეგ მოგვევლინება მხოლოდ „მოხელე ფუტილიარში“ და არა სწავლული და მკვირცხლი გონებით მოაზროვნე მოქალაქე.

განა ეს არის უნივერსიტეტის დანიშნულება? განა ამისათვის უნდა დაიკარგოს ახალგაზრდობის საუკეთესო დრო ცხოვრებისა?“.

საბედნიეროდ, უნივერსიტეტის პირველ სტუდენტთა შორის მრავლად აღმოჩნდა სტოიკური ბუნების, უტეხი ნებისა და მეცნიერებისათვის თავგანწირული ახალგაზრდა. თბილისის უნივერსიტეტის წიაღიდან გამოსული პირველი პროფესორები — სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, შალვა ამირანაშვილი, კოტე ბაქრაძე — ნამდვილად რომ დაამშვენებდნენ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე უნივერსიტეტების კათედრებს.

დემოკრატიზაციის მოსაზრებით უნივერსიტეტის შემქმნელებმა უარყვეს სტუდენტებისათვის სავალდებულო განსაკუთრებული ფორმის შემოღება¹.

უნივერსიტეტის ძირითადი დებულება, ისევე როგორც უნივერსიტეტის წესდება, აუქმებდა ეროვნული ან სარწმუნოებრივი ნიშნით უნივერსიტეტში მიღების ყოველგვარ შეზღუდვას. დამახასიათებელია ერთი მეტად შესანიშნავი ისტორიული ფაქტი.

1918 წლის 31 მარტს ჩრდილოეთ ოსეთის მასწავლებელთა საბჭო თბილისის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე გზავნის შეკითხვას იმის თაობაზე, თუ როგორია მიღების წესი ეროვნულ უნივერსიტეტში, რა ენაზეა სწავლება, შეუძლიათ თუ არა ოსებს მიიღონ უმაღლესი განათლება საქართველოს უნივერსიტეტში. წერილი შემდეგნაირად მთავრდებოდა: „ჩრდილოეთ ოსეთის მასწავლებელთა საბჭოს თვალსაზრისით ოსებისათვის უმაღლესი განათლების მიღება საქართველოს უნივერსიტეტში უადრესად სასურველია, რამდენადაც საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის და ყოფის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ვილაპარაკოთ ოსეთის ისტორიის, ლიტერატურის და ყოფის სრულად შესწავლაზე“.²

1918 წლის 13 აპრილს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო იხილავს ჩრდილოეთ ოსეთიდან გამოგზავნილ ამ წერილს. საბჭო ადგენს: „გაეგზავნოს მადლობა და ეცნობოს, რომ ლექციები ქართულად იკითხება, ხოლო მიღებით ყველანი მიიღებიან, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“.³

1918 წლის 11 მაისს ძაუჯიკაუში ჩრდილოეთ ოსეთის მასწავლებელთა საბჭოს გაეგზავნა პასუხი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ქართული უნივერსიტეტი, როგორც მეცნიერების ტაძარი, მთელ თავის ძალებს მიუძღვნის მეცნიერული სიმართლის კვლევას, კვლევას ჭეშმარიტებისა და სინამდვილისა ჩვენი მადლიანი, მაგრამ მეცნიერული სამყაროსათვის სუსტად ცნობილი კავკასიის მხარის

¹ საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქმე 4, ფ. 5

² საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი ფონდი 471, ან 1, საქ. 5, ფ. 12.

³ საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან, საქმე 2, ფ. 28, გვ. 2.



ყოველმხრივად შესწავლისათვის. ამგვარი შესწავლა ჩვენი ღრმა რწმენით, სწავლის *Conditio sine qua non*, ურომლისოდაც შეუძლებელია მატერიალური და სულიერი ძალების სათანადოდ განვითარება ჩვენი მხარისა და იქ მოსახლე ხალხებისა, ურომლისოდაც შეუძლებელია ხალხთა ძმობისა და ერთიანობის იმ იდეალის სრულად მიღწევა, რომლის თაობაზე თქვენ სასურველად ჩათვალეთ აღგენიშნათ თქვენს მომართვაში და რომლისკენაც ქართული უნივერსიტეტი ქართველ ხალხთან ერთად გულწრფელად ისწრაფვის.

ის უძველესი კეთილმეზობლური დამოკიდებულება ოსებსა და ქართველებს შორის და ერთმანეთზე კულტურული ზეგავლენა, რომლის აღნიშვნა თქვენ მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ჩვენთვის ესოდენ ძვირფასს თქვენს მოლოცვაში, მომავალში კიდევ მეტად ავალდებულებს ორივე ხალხს მჭიდრო ერთიანობისა და კულტურული თანამშრომლობისათვის.¹

პასუხში მითითებული იყო, რომ „ლექციები იკითხება ქართულ ენაზე. უნივერსიტეტში მიიღებიან ორივე სქესის პირები საშუალო განათლებით, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“.

პასუხი მთავრდებოდა იმის აღნიშვნით, რომ „მიღებულია ღონისძიებანი მთიელთა ენის სწავლებისათვის, უპირველესად კი ოსური ენის შესასწავლად“. ეს ლიტონი დაპირება არ ყოფილა.

მართლაც, არა მარტო არაქართველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა სწავლობდა უნივერსიტეტში, არამედ მიღებულ იქნა ზომები კავკასიის ხალხთა ენების შესასწავლად. ერთ-ერთი პირველთაგანი სწორედ ოსური ენა იქნა სასწავლო დისციპლინებში შეტანილი. მას კითხულობდა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი პროფესორი გიორგი ახვლედიანი.

უნივერსიტეტში ქალებსაც იმავე პირობებით ლეზულობდნენ, როგორც მამაკაცებს. ოდნავი შეზღუდვაც კი ამ მხრივ გათვალისწინებული არ ყოფილა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918—1920 წწ. მოღვაწეობის საზოგადო მიმოხილვაში“ აღნიშნავდა, რომ ბევრი ქალი შემოვიდა უნივერსიტეტში მისი ვახსნის დღიდან. 1920 წლის შემოდგომის სემესტრისათვის უნივერსიტეტში 880 სტუდენტი ქალი სწავლობდა. აკად. ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით, „ქალები ყველაზე მეტად სამკურნალოზე არიან, შემდეგ სიბრძნისმეტყველებაზე, მერმე სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოზე“.²

როგორც ვხედავთ, მიღების წესებში ნათლად გამოჩნდა, რომ უნივერსიტეტის შემქმნელები არა მარტო ეროვნულ კარჩაკეტილობას უარყოფდნენ, არამედ ყოველგვარ კონსერვატიზმსაც ახალგაზრდის სტუდენტად შერჩევის დროს. ყოველივე ამან თავიდან აგვაცილა სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონტინგენტის ხელოვნური შემცირება.

უნივერსიტეტს საკუთარი ბეჭედი და დროშა გააჩნდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი დებულება ნორმატულად გამოხატავდა ქართველ მოღვაწეთა დიდებულ საქმიანობას ახალი მეცნიერების პირველ ქართულ ტაძარში.

¹ საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქმე 5, ფ. 14.

² საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 471, ან. 1, საქმე 7, გვ. 3—6.

С. М. ДЖОРБЕНАДЗЕ

ПЕРВОЕ ПОЛОЖЕНИЕ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА

(Резюме)

Тбилисский университет был основан в январе 1918 года по инициативе небольшой группы грузинских ученых во главе с И. А. Джавахишвили.

Весь первый семестр университет действовал, как частное высшее учебное заведение, а со второго семестра начал функционировать, как государственный университет.

В работе рассмотрено первое положение Тбилисского государственного университета и практика его применения.

შინაარსი

ი. დოლიძე — პროფესორ ალექსანდრე ვაჩიშვილის ხსოვნას	5
გ. ინწკირველი — იურიდიული მეცნიერება ახალი ამოცანების წინაშე	7
ვ. ლორია — ადმინისტრაციული კომისიები და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგიერთი საკითხი	15
გ. ერემოვი — აჭარის ასსრ კონსტიტუციის შემუშავების ისტორიიდან	29
ბ. ხარაზიშვილი — საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გახსნის მეთოდოლოგია	45
ლ. ადეიშვილი — მოზარდთა შრომის სამართლებრივი მოწესრიგების ზოგიერთი საკითხი სსრ კავშირში	59
ე. ნეიძე — შრომის დისციპლინის ინსტიტუტის მნიშვნელობის შესახებ საბჭოთა შრომის სამართალში	73
გ. ნადირაძე — სავალიუტო დანაშაულთა ობიექტური მხარის ზოგიერთი საკითხის შესახებ	97
შ. ფაფიაშვილი — მექრთამეობის საქმეებზე ჩასატარებელ საგამომძიებლო მოქმედებათა ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება	95
ა. ფალიაშვილი — სამოსამართლო-საგამომძიებლო ორგანოებისა და ექსპერტების ურთიერთობა ექსპერტიზის ჩატარებისას	113
ლ. ჯომარჯიძე — მშენებლობის სამართლებრივი რეგლამენტაციის ზოგიერთი საკითხი რევოლუციამდელ რუსეთში	127
ნ. კორძაია-სამადაშვილი — დანაშაულის საკითხები ექვთიმე მთაწმიდელის შრომებში	143
ნ. სუმბაძე — სახელმწიფო ორგანოების საკითხის შესახებ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ეტაპზე	153
ნ. ლორთქიფანიძე — იურიდიული ფაქტებისა და საბუთების განკუთვნადობა საბჭოთა სამოქალაქო პროცესში	173
ვ. აბაშმაძე — „მართალი სამართლის“ ცნება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებებში	185
ს. ჯორბენაძე — უნივერსიტეტის ისტორიიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი დებულება	207

СОДЕРЖАНИЕ

И. С. Долидзе — Памяти профессора Александра Вачейшвили	3
Г. З. Инцкирвели — Юридическая наука перед новыми задачами	7
В. А. Лория — Административные комиссии и некоторые вопросы административной ответственности	15
Г. А. Еремов — Некоторые вопросы о разработке конституции Аджарской АССР	29
Б. В. Харазишвили — Расследование преступных нарушений общественной безопасности, общественного порядка и здоровья населения	45
Л. Н. Адейшвили — Некоторые вопросы правового регулирования труда подростков в СССР	59
Е. Г. Неидзе — О значении института дисциплины труда в советском трудовом праве	73
Г. Р. Надирадзе — О некоторых вопросах объективной стороны по валютным преступлениям	87
Ш. Г. Папнашвили — Некоторые тактические особенности следственных действий, проводимых по делам о взяточничестве	95
А. Я. Палиашвили — Взаимоотношение судебно-следственных органов и экспертов при производстве экспертизы	113
Л. С. Джомарджидзе — Некоторые вопросы правовой регламентации строительства в дореволюционной России	127
Н. С. Кордзая-Самадашвили — Вопросы вины в трудах Еквтиме Мтацмидели	143
Н. Д. Сумбадзе — К вопросу об органах государства на первом этапе установления Советской власти в Грузии	153
Н. Д. Лордкипанидзе — Относимость юридических фактов и доказательств в советском гражданском процессе	173
В. В. Абашмадзе — Понятие «martali samartali» в политических учениях феодальной Грузии	185
С. М. Джорбенадзе — Из истории университета. Первое положение Тбилисского государственного университета	207

გამომცემლობის რედაქტორი ი. მჭედლიძე
ტექნიკური რედაქტორი ი. ჩაგელიშვილი
კორექტორები: ლ. თორდუა
 ლ. რაზმაძე



ასაწყობად გადაეცა 9/VIII 66 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/II 67 წ.
ქალაქი 70×108, I, № 1. პირობ. ნაბეჭდი თაბ. 20.
საარ.-საგამომცემლო თაბ. 15,72.
ტირაჟი 500. უფ. 06496. სტ. უფ. № 1694.

2

ფასი 1 მან. 20 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ., 1.
Издательство Тбилисского университета, Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, 1.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.